

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

2 აპრილი 2010 №7(111)

ირვინ შოუს ნოველა
თამაზ ბაძაღუას გახსენება
პაატა ჩხეიძე ლადო პაპავაზე
ქართული პიესა ფრანგულ სცენაზე
ყოფითობის ჯადოსნური მადლი
ნანა კუცია ნატა ვარადაზე
პოსტდარიანული ტრიპტიხი



შინაარსი

ერი და გადისწერა	2	როსტომ ჩხეიძე ყოფითობის ჯადოსნური მაღლი (პალესტინელი მწერლის ავტობიოგრაფიული რომანი)
მსარკეს-ინტერვიუ	5	ზურაბ ლავრელაშვილი „იყავი თვითსრული“ (მოამზადა ნატა ვარადაძე)
დრამატურგია	6	ზურაბ სამადაშვილი ობლები
პოეზია	16	მამუკა წიკლაური გოდება
უსწოთის სხოვრებიდან	22	ჟორჟ პომპიდუ „ფრანგული პოეზიის ანთოლოგიის“ წინასიტყვაობა
ვერონის გზაზე	28	ფრანგულ-ქართული ქმნილება
ჩვენი ყოფა, წუთისოფალი	31	პაატა ჩხეიძე საით?
რეპორაჟი	34	რიტა ბაინდურაშვილი ბინდისფერი ნიგნის ნაღველი (თამაზ ბაძაღუას გახსენება)
კრიტიკა	37	ეკა ცხადაძე პოსტდარინაული ტრიპტიხი
გამომავარება	42	ლევან ბრეგაძე თარგმანი, თარგმანი!
ერთი ლექსის სივრცე	46	ნანა კუცია „...რომ სული არ მიილიოს“ (ნატა ვარადაძის „ყარაჯა დაილამაო“)
დღიურის ფურცლებიდან	51	ნინო ვახანია სიბრძნე უსაქმურობისა (სიზარმაცის აპოლოგეტი ქუთაისში)
ახალგაზრდებო, ან კი თქვენ	53	ქრისტინე ბებია ორი ნოველა
პოეზიის მერიდიანები	56	ალექსანდრ პუშკინი ამონარიდები პოემატიდან
მინაწერი	57	იოსებ ჭუმბურიძე ვალმონდილი ქალბატონი და გენიალურის ნამცვრეები
უსწორი ნოველა	58	ირვინ შოუ გოგონები საზაფხულო კაბაში
გამომავარება	60	ვაჟა ბეთანელი თაობის ნიშანი (ზაალ ებანოიძის „მუნჯი ბედნიერება“)
ნაქვედები	61	მასვილსიტყვაობის ნიმუშები
მოზაიკა	63	კრიკატი

ორკვირული ჟურნალი
დამფუძნებელი „ილიონი“
 მისამართი: თბილისი,
 ჩუბინაშვილის №41
 რედაქცია – (995 32) 96_20_62
 რეკლამა – (995 93) 65_93_68
 გავრცელება – (995 77) 11_24_30
 ფაქსი: (995 32) 96_20_62
 E_mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილი საბეჭდო "ომეგა ტეგი" PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
 სააქოთიჯიო, თბილისი, სარაიშვილის 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
 ატელეფონი: +995 32 53 03 62 TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**
 პროზის რედაქტორი – **ივანე ამირხანაშვილი**
 პოეზიის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე**
 კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**
 მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი**
 სტილისტი-კორექტორი – **ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი**
 ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **ეკა ბუჯიაშვილი**
 გავრცელების სამსახური – **ლევან კიკნაძე**

გარეკანზე: **მამუკა წიკლაური**
ლადო ჩაჩუას ფოტოგრაფიული

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 16 აპრილს

როსტომ ჩხეიძე

ყოფითობის ჯადოსნური მაღლი

□

პალესტინელი მწერლის ავტობიოგრაფიული რომანი

მურიდ ალ-ბარლუთი მაინც პოეტი რომ არის.

სხვა შემთხვევაში მისი მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება „მე ვნახე რამალა“ არ დამთავრებოდა ბალიშის აპოლოგიით. შესაძლოა გაელვებულებოდა ეს სურათი – სასთუმალში თავჩარგული კაცის, სხვა თავშესაფარი რომ არც მოეპოვება – მაგრამ ასეთი გზნებითაც არ წარმოსახულიყო, ცრემლით დაღვრილობის, გულმდუღარების შეგრძნებას რომ გაუჩენდა მკითხველს.

– ბალიში ჩვენი ცხოვრების ჩამწერია, ჩვენი ამბის პირველი ესკიზია, რომელსაც ყოველდღე ახლიდან და უმელოდ ვწერთ და უხმოდ ვყვებით. ის ჩვენს სიბნელეში მომკილი, განოციერებული და მორწყული ხსოვნის მინდორია.

და ეს პასაჟი ამ აკორდით უნდა დაგვირგვინდეს:

– ყოველ ადამიანს აქვს თავისი სიბნელე.

მურიდ ალ-ბარლუთი მაინც ლტოლვილი რომ არის.

სხვა შემთხვევაში ამ ფრაზას – თითქოსდა ლექსის სტრიქონს – არავითარი განმარტება-დაზუსტება არ დასჭირდებოდა, პირიქით, მისი „ბურუსიანობა“ ემჯობინებოდა, ამჯერად კი ეს ფიქრიც ენაცვლება:

– ყოველ ადამიანს აქვს უფლება, მხოლოდ თავისი სიბნელე ჰქონდეს.

დალბინებული კაცი არასოდეს ლაპარაკობს უფლებებზე, მითუმეტეს, თუ ღრმად ინტიმურ სამყაროზე ჩამოვარდება სიტყვა.

როგორ – სიბნელის ხელშეუხებლობასაც უნდა ითხოვდეს? ეს ხომ ისედაც მისია, მისი საკუთრება, მისი შეუვალი უფლება, რომელშიც ვერავინ უნდა ჩაერიოს.

მაგრამ თუკი შენს მინა-წყალსაც გამოგაცლიან ხელიდან და გზას მოგიჭრიან იქ საცხოვრებლად, თუკი პალესტინაში დაბრუნებას ოცნებად გადაგიქცევენ, უკვე ძალიან შიშობ, ის ნავსაყუდელიც ასევე უღმობლად არ დაგინგრიონ, შეჭირვებულ სულს სადაც იოხებ – შენი ბალიში, შენი სიბნელე... და ითხოვ, გულამოკვნილი ითხოვ ამ უფლების დაცვას, შენს იდუმალ სამყაროში ჩაკეტვა რომ ჰქვია; დროდადრო კი ამ შემორკალულ სივრცეში გაისმის მწუხარე, გულისგამყინავი ხმა, რომელიც გატყობინებს, თუ როგორ ტოვებენ წუთისოფელსაც შენი თვისტომნი, იმავე მინა-წყლიდან აყრილი და დედამინის ზურგზე მიმოფანტულნი.

ეს ხმა ტრაგიკული განწყობილებით მსჭვალავს შენს პოეზიას, იქნებ ასე პირდაპირ არც მოისმოდეს, მაგრამ განმსჭვალავს სწორედ ისაა, იდუმალი ნოტი ამ შეგრძნებას რომ უტოვებს მკითხველს.

მურიდ ალ-ბარლუთი მაინც ჰუმანისტი რომ არის.

ოცდაათი წელი ფეხიც აღარ დაუდგამს პალესტინის მიწაზე, მშობლიურ ქალაქ რამალაში, მშობლიურ სოფელ დირლასანაში, და ამ ოცდაათი წლის შემდეგაც მეტად ხანმოკლეა მისი სტუმრობა, ერთს თუ მიმოავლებს თვალს და... კვლავ განდევნილებას უნდა დაუბრუნდეს, რათა ისევ საკუთარ წვენი იხარშოს და გულისფანცქალით ელოდოს, კიდევ როდის დართავენ ნებას, გადაკვეთოს მრისხანედ წამომართული საზღვარი...

ასეთი გამწარებული ყოფისათვის დამუნათები კი ამუნათებს პოლიტიკოსებს და პროტესტსაც უცხადებს ისრაელის ხელისუფლებას: ისე წარმოსახავენ რეალობას, თითქოს თვითონ მსხვერპლნი იყვნენ, ჩვენ კი მოძალადენი, და ღმერთებისა და ბუზების დიასპორაში რომ მიმოვფანტულვართ, თითქოს ჩვენი ნებითა და სურვილით მომხდარიყოს, ვითომდა ჩვენ ვეხვეწეთ მათ, სახლებიდან გამოვეყარეთ, ეს სახლები კი ჩვენივე თვალწინ დაენგრიათ ბულდოზერებით, – მაგრამ ამ შემუარული თხზულების იდეური საძირკველი და მიზანდასახულება ადამიანისადმი თანაგრძნობაა, მისი შებრალება, სიკეთის ჩანერგვა და შემაერთებელი ხიდების ძიება სხვადასხვა ქვეყნებს შორის, რათა თავიდან იქნას აცილებული ის გარდუქვალობა, რასაც ჰქვია მოსახლეობის აყრა საკუთარი საცხოვრისიდან და განწირვა სამუდამო ემიგრაციისათვის.

მაშინ ის ხიდი – რომლის გადავლის შემდეგაც შეგიძლია შეაბიჯო შენი დაკარგული ქვეყნის საზღვრებში, თუკი სათანადო საბუთი გიპყრია ხელთ – ტრაგიკული სურათის ნივთიერი დადასტურება კი აღარ იქნება, არამედ სწორედამ ამ შეერთების, ერთმანეთთან მისასვლელი გზების სიმბოლო.

თორემ ისე მის იმედად ვერ იქნები.

აგერ მწერლის ძმა, ხიდიც რომ გადაიარა, ნებართვის ფურცელიც ჯიბეში ედო, არც არავითარი მიზეზი არ მოეპოვებოდათ მესაზღვრეებს მის უკან გასაბრუნებლად, მაგრამ მაინც რაღაც ჩაელობა და არაფრისდიდებით არ დააკარებინა ფეხი იმ მიწაზე, რომელზე დაბიჯებაც ოცნებად გადაქცეოდა. და საზღვრიდანვე გაძევებული მალე რომ გამოესალმებოდა სიცოცხლეს, მის ტრაგიკულ აღსასრულში უთუოდ ამ მწუხარე დღესაც ედო თავისი წილი.

კიდევ კარგი, მწერალი რომ გადაურჩა ასეთივე ხვედრს, და სიცხეში ოფლის წვეთი რომ ჩამოუცურდებოდა შუბლიდან ჯერ სათვალის ჩარჩოზე, შემდეგ კი მიწაზე, ერთბაშად რეალობისა და ირეალობის მიჯნაზე დგება და ყოველივე ამიტომაც ეხვევა ბურუსში და ერთმანეთს ერწყმის – რასაც ხედავს, რასაც ელოდება, რაც ახსოვს... თვალწინ გაუქრება სცენები, ცხოვრების ის მონაკვეთი რომ მოერთოთ, აქამდე მოღწევის მცდელობაში რაც გაეტარებინა:

– აი, აქ ვარ – მდინარე იორდანეს ვკვეთ, მესმის ხის ჭრიალი ფეხქვეშ. მარცხენა მხარზე პატარა ჩანთა მაქვს გადაკიდებული. თითქოს ჩვეულებრივ მივდივარ – დასავლეთისკენ მივემართები. ჩემ უკან მთელი სამყარო, ჩემ წინ კი – ჩემი სამყარო.

მურიდ ალ-ბარლუთი მაინც საკუთარი დაბადებისაკენ რომ მიილტვის.

მისთვის პალესტინა უკვე აღარ არის ოქროს რუკა, სამშობლოს იძულებით მონყვეტილ ქალებს ოქროს ძენკვზე რომ ეკიდათ, ამას კი ცნობისწინადად ჰკვავდა, ნეტა კანადელ, ნორვეგიელ ან ჩინელ ქალებსაც ასევე თუ უმშვენებთ ყელს საკუთარი ქვეყნის რუკებით?..

საკუთარი დაბადების მიგნება კი იმ კართა კარიბჭეს გულისხმობს, რომლის გასაღები ხელთ რომც არ გეპყრას, მაინც შეაღწე. ოღონდ მიახლოება შეძლო, ზღურბლამდე მიტანება.

მაგრამ ამისთვის შენი მინის მტვერი უნდა დაგეყაროს და ნაჩქარევად ჩამოიბერტყო პერანგის საყელოდანაც და ფეხსაცმელებიდანაც, ყოველდღიურ, წარმავალ, მოსაწყენ საქმეებშიც ჩაეფლო, აბუზღუნდე იქაურ სიცხეზეც, იქ დიდხანს ყოფნით გამოწვეულ მოწყენილობაზეც, და პალესტინა აღარ განიცდებოდეს ტანისამოსის, ორნამენტის, ხსოვნისა თუ ოქროს ყურანის აღკაზმულობად... და მხოლოდ მაშინ შეიგრძნობ, რა ახლოს ყოფილხარ მასთან.

მარტოდენ დაჟინებულ ფიქრსა და ოცნებაში მოპორობილ მშობლიური მხარის კონტურები ვერ შეგაცნობინებს ამ სიახლოვეს.

მტვერს, ბუზღუნს, მოწყენილობას აქვს ის განსაკუთრებული ხიბლი და ძალა, რაც ოცნებას გაგარღვევინებს და სამშობლო აღარ გექნება სანატრელი – ვედარც კი იგრძნობ, როგორ ჩაჰკვრიხარ მის წიაღს და მხოლოდ პოეტურ ხილვებს კი აღარ ასდევ, არამედ ყოფითობის განუმოვრებელ სიღამაზესა და მადლსაც არანაკლები სიმძაფრითა და გულისგულამდე განიცდი.

ახლა კი გაჩერებული დროც გზარავს და სასონარკვეთაში გაგდებს, რაკილა მისი აჩქარება არ შეგიძლია და ამ მისწრაფებასაც ოცნებით თუ გააგნებინებ ვზახ.


მაინც რა არის ოკუპაციის უმთავრესი დანაშაული?

მან ხომ მოსახლეობა აიძულა, ყველაფერი უცვლელად, მოძველებული დაეტოვებინა. მას არ ჩამოუცილებია მკვიდრთათვის გუშინდელი დღის ღუმელები, მაგრამ ჩამოაშორა იმის საიდუმლო, რაც ხვალ უნდა შეექმნათ. ამ წუთებამდე პოეტსაც ისე ენატრებოდა და სურდა დირ ლასანას წარსულთან შეხვედრა, როგორც ბავშვს – ძვირფასი და დაკარგული ნივთების პოვნა. მაგრამ როდესაც ნახა, რომ წარსული ისევე იქ იყო, სოფლის მოედანზე, მზის გულზე გაედგა ფესვი და იჯდა პატრონის მიერ მიტოვებული და მივიწყებული ძალივით, მოუნდა ხელი ჩაეგლო მისთვის, წინ გაეგდო თავისი მომავალი დღეებისაკენ, უკეთესი მომავლისკენ, და ეთქვა: გაიქეცი!.. – რაკილა სიცოცხლის, არსებობის აზრი ყოველთვის წინ სწრაფვაში ყოფილა.

მურიდ ალ-ბარლუთი მაინც რომ ინარჩუნებს ხუმრობის, სიხალისის უნარს.

დირ ლასანაში ყველა სახლს თავისი სახელი რომ ჰქვია – გვარის წინაპრიდან მომდინარე, ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა; და პოეტის მოგვარეთაგანაც ვინც ყველაზე მეტად ამაყობდა ტრადიციებით, ირწმუნებოდა, ჩვენი გვარი წარმოიშვა სიტყვებიდან: ალ-ბირ (ღვთის-მოსაობა) და ალღავთ (დახმარება); ხოლო სტატუსითა და სიმდიდრით თავმოშონენი იმეორებდნენ: ჩვენ დიდ პაპას ერქვა „ღავთ“ და უზარმაზარ ტერიტორიას, რომელიც მას და მის ვაჟებს ეპყრათ, „ბარ ალ-ღავთი“ (ღავთების მინა).

პოეტი კი ყველაზე სარწმუნო ეტიმოლოგიად მიიჩნევა და მის წარმომავლობას სიტყვისაგან... „ალ-ბარლუთ“, რაც რწყილს ნიშნავს.



რომანტიკულობის შარავანდი ერთბაშად შემოეძარცვებოდა მის ჩამომავლობას? გვარის წარჩინებულთაც გაანწყენებდა ამ ვერსიის შეთავაზებით? მაინც არაფრით არ დათმობდა თავის მოსაზრებას და დაიმონებდა ძველი კულტურებისათვის დამახასიათებელ ნიშანს – სახელებისა და გვარების შერჩევას ცხოველების, ფრინველებისა და მწერების სახელწოდებათა მიხედვით.

ამ პასაჟს საგანგებოდ მოიხსენიებს წიგნისათვის დართულ წინასიტყვაობაში ედვარდ საიდი და მიიჩნევს მკვეთრი ირონიის გამოვლენად. ამასთან, დასძენს: თუმც არ მომეპოვება დაზუსტებული ინფორმაცია, ვფიქრობ, ალ-ბარლუთი ერთ-ერთ უდიდეს პალესტინურ გვარს წარმოადგენს, მას ხომ 25 000-ზე მეტი ადამიანი ატარებსო.

და უეცრად ამ წარჩინებული და მრავალრიცხოვანი გვარის მოქცევა ასეთ ირონიულ კონტექსტში, როდესაც სხვა არავინ გედავება, არავინ ცდილობს შენს დამცირებას... და მაშ რა გაიძულეს შენივე ხელით მიანოლო მოქილიკებს საქირქილო მასალა?

წინასიტყვაობის ავტორი ცოცხალი არ იყოს შეცბუნებულია, მაგრამ, ამავე დროს, გრძნობს, თუ რა უცნაურად ანიჭებს ეს უბრალო დეტალი თხრობას მეტ ადამიანურობასა და პიკანტურობას.

თურმე უცნაურიც არაფერი ყოფილა. ეს მწერლის სტილის ნიშანია ზომიერებასთან ერთად.

ის, რაც ამ პასაჟში ასე მკვეთრად იჩენს თავს, შეფარულად კიდევ არაერთხელ ამოჩნდება თხრობისას, და ეს მხოლოდ მწერლური მანერაც არ არის, რათა სამშობლოში ხანმოკლე და მღელვარებით აღსავსე თავგადასავალი გოდებაში არ ჩაიძიროს, არამედ მურიდ ალ-ბარლუთის პიროვნული ხასიათის ის თვისებაა, რომელიც ასე ესაჭიროება ყოველ ადამიანს, და განსაკუთრებით მძიმე ყოფაში, უკიდურესი ტკივილების განცდისას, გადახვეწილობაში ბორიალისას.

მურიდ ალ-ბარლუთისათვის ყოველთვის უცხო რომ გახლდათ ხელისუფლებასთან დაახლოების ჟინიც და ვინმეზე აღმატების სურვილიც.

არ უკვირს, პალესტინის ინტელიგენციის დიდი ნაწილი ხელისუფლებას რომ აუნყოფდა ხმას, დაუახლოვებოდნენ და ბრძნული სახით სავარძლებში მოკალათებულთ დაემსგავსებოდნენ კიდევ ქცევით. ეგაა, თავიდან უცნაური ეჩვენებოდა, ხელისუფლების მხარდამჭერნი და ოპოზიციონერნი ერთნაირად რომ გამოიყურებოდნენ, მერე და მერე კი ამ რეალობასაც შეეჩვეოდა, ოღონდ თავის მხრივ შეეცდებოდა, რომ არ გარეულიყო მათ შორის და გაქცეოდა პოლიტიკური თუ კულტურული დესპოტიზმის ოდნავ გამოვლინებასაც.

სულიერი ავტონომიის შენარჩუნება ყველაზე დიდი მიღწევა იქნებოდა, რისი მოპოვებაც შეუძლია სულიერებით სავსე ადამიანს, და მურიდ ალ-ბარლუთიც არ აითქიფებოდა ინტელექტუალებად მონათლულეებში, რაკილა დარწმუნდებოდა, რომ:

– ინტელექტუალთა დესპოტიზმი არაფრით ჩამოუყარდება ხელისუფალთა თუ ოპოზიციონერთა დესპოტიზმს.

ეს ისეთივე სამწუხარო სინამდვილე გახლდათ, როგორც ხელისუფლებისა და ოპოზიციის ლიდერთა თვისე-

ბების მსგავსება – არ მოეთმინათ კრიტიკა, აეკრძალათ შეკითხვები და მტკიცედ ერწმუნათ ერთადერთი რამ: მე და მხოლოდ მე ვარ მართალიც, შემოქმედებითიც, მცოდნეც, სასიამოვნოც და თანამდებობისათვის შესაფერისიც, რადგანაც ჩემი შემცველი არსად მოიპოვებაო.

კიდევ კარგი, ბალიში გეგულება სულის დასაშოშმინებლადაც და აღსარების სათქმელადაც, რაოდენ დაუნდობელი განაჩენიც უნდა გამოჰქონდეს მის თეთრ, ბამბის სამსჯავროს. პოეტი მას სინდისსაც ადარებს და ყოველდღიური განკითხვის დღესაც, პერსონალურსა და ნაადრევს, რომელიც არ ელოდება, როდის შეაბიჯებს ადამიანი სამუდამო სასუფეველში.

– მხოლოდ აქ აღდგება ფამილარობისა და აჩქარებული ყოფის რიტმისგან ამღვრეული თვალისათვის შეუმჩნეველი ჩვენი სილამაზე, ყოველდღიურად უხეშად ფეხქვეშ გათელილი ჩვენი ღირსება. აქ აღვადგენთ მას ყოველდღე იმისთვის, რომ შევძლოთ განვავარძოთ თამაში – გავაგრძელოთ ცხოვრება... ბალიში სიმართლისგანაა მოქსოვილი. სიმართლე კი იმ საიდუმლოებასავითაა, დღის გათვლებსა და აზრებს რომ მიუჩქმალავთ და მიუშალავთ.

მურიდ აღ-ბარლუთი მაინც ისეთი ეპოქის შვილი რომ არის, სადაც მხატვრულ-დოკუმენტურ ნაკადს უპირატესობა მოუპოვებია მხატვრულ ჟანრებზე.

სხვაგვარად „მე ვნახე რამალა“ მისი პოეტური მოღვაწეობის ერთგვარი დამატება იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, ლირიკულ კრებულთა თანაბრად შეფასდებოდა და ასერიგად ვერ გადაწონიდა პოპულარობით, რომ ამჟამად მწერალი ჯერ ამ ავტობიოგრაფიული რომანის ავტორად იხსენიება და მხოლოდ შემდეგ – პოეტად.

და ნიშანდობლივია, რომ ქართული ენობრივი სამყაროს კარიც ამ ნიგნით შემოაღო მას მერე, რაც „მე ვნახე რამალა“ არაერთ ენაზე ამეტყველდა და ბევრ ქვეყანაში იქცა ახალ ჭოგრიტად პალესტინური ტრადიციის შესაცნობად და გასაზრებლად – ინგლისურად თუ ფრანგულად, იტალიურად თუ ესპანურად, ნორვეგიულად თუ პოლანდიურად, ინდურად თუ ჩინურად, პორტუგალიურად თუ კიდევ და კიდევ...

უთუოდ გაუმართლა, რომ ქართულ სივრცეში მისი მეგზური აღმოჩნდა ნინო დოლიძე, ვის მიერ შექმნილ ორეულსაც (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაბისტიკის დეპარტამენტისა და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების გრიფით რომ აღბეჭდილა) არც ახალგაზრდული ექსპრესია აკლია და არც გამოცდილი მთარგმნელის ხელი, სულმოუთქმელად რომ გაკითხვებს შინ დროებით დაბრუნების ამალელებელ თავგადასავალს და დიდი სულიერი განცდების უშუალო მონაწილეს გხდის.

და ეს იმიტომაც, რომ გარდა დახვეწილი გემოვნებისა, თვითონ ამბავია მთარგმნელისთვის ასერიგად მახლობელი – საქართველოს ამჟამინდელი ტრადიციული სინამდვილის ერთი უმთავრესი ნიშანი, რომლის გადალახვაც ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას მკვიდრ საყრდენს მოუპოვებს და აღარც საშიშროება იქნება ამ ტრადიციის განმეორების, რაკილა ეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა დადასტურება იქნება რუსული იმპერიალიზმის აღკვეთისა და კავკასიური მთლიანობის იდეის საბოლოო გამარჯვებისაც.

ჯერჯერობით კი ჩვენი მკითხველი – უშუალოდ სახლ-კარდაკარგულნიც აფხაზეთის მხარესა თუ შიდა ქართლში და მათი მწარე ხვედრის საკუთარივით განმცდელნიც – მურიდ აღ-ბარლუთის პალესტინურ დღიურებში თავის თავგა-

დასავალსაც ამოიკითხავს და ალაგ-ალაგ ისიც შეიძლება მოეჩვენოს, რომ მოხრობელი ქართველი მწერალია, ვისაც – გაუცხოების მხატვრული მეთოდით – მოქმედება პალესტინის მიწა-წყალზე გადაუტანია, იქ, სადაც ქართველობას ყოველთვის სიხარულით ეგებებოდნენ და იერუსალიმში გამწვლილი დროებით შესვლის უფლებაც მიენიჭებინათ.

მითუფრო საშური გახლდათ „მე ვნახე რამალა“ მეგზურობა ჩვენს სივრცეში – პალესტინური გამოცდილების ამ მართლაც უნივერსალური სურათისა, მის სიღრმეში უმკაფიოესი და უზუსტესი წვდომით რომ გამოირჩევა, სტიუარტ რეიგელუთის შეფასებისა არ იყოს იმ წინათქმვიდან, რომელიც საგანგებოდ დაინერა ქართული გამოცემისათვის.

მურიდ აღ-ბარლუთი მაინც არაბი მწერალი რომ არის და არა, ვთქვათ, ამერიკელი.

ტომას ვულფი თავის უკანასკნელ რომანს ასეთ დრამატულ სათაურს შეურჩევდა – „შინ ვეღარ დაბრუნდები“.

მურიდ აღ-ბარლუთს „მე ვნახე რამალა“ რომ არ ემჯობინებინა სახელწოდებად და სხვა სათაურთა ძებნაში ყოფილიყო, ასე დრამატიზმს აუცილებლად გაერიდებოდა, მისთვის „შინ ვეღარ დაბრუნდები“ რომ დაერქმია.

ამერიკელი მწერლისათვის ის სახელწოდება პირადი თავგადასავლის განსაზღვრებაცაა და ზოგადადამიანური სანუხარისაც. იგი სულიერად თითქოს ვეღარ აგნებს ნაც-ნობ გზებს მშობლიური კერისაკენ, მაგრამ ყოფით რეალობაში სულაც არ ჩაკეტვია იქ მისასვლელი და ამიტომაც არ ერიდება უკიდურეს სიმძაფრეს.

არაბი მწერლისათვის კი პირადულსა და ზოგადადამიანურ სულიერ სატიკვარში იმ სიმწვავით იჭრება ყოფითი რეალობა, რომ უპირველესად პალესტინელთა ტრაგიკულ ხვედრს ასიმბოლოვებს, და მის განსაზღვრებად „შინ ვეღარ დაბრუნდები“ ნიშნავს, რომ საბოლოოდ შერიგებია პალესტინელთა ბედკრულ ცხოვრებას, ერთი მხრივ, დახუფულ გარემოში მომწყვდეულსა და, მეორე მხრივ, დაშლილ-დაღავებულს შორეულ სივრცეებში. დიახ, ამ შემთხვევაში ეს ან რალაც ამგვარი სათაური დაწყვეტილობას გამოხატავდა, სასონარკვეთას, ხელის ჩაქნევას, რასაც მურიდ აღ-ბარლუთი ვერ შეურიგდებოდა.

„მე ვნახე რამალა“ კი დიდ მონატრებასაც აგრძნობინებს მკითხველს და იმედოვნებასაც აღვივებს, რომ ეს არ დარჩება ერთჯერად აქტად, წამიერ გამონათებად, და რამალაც, დირ ლასანაც და პალესტინის ყველა ტოპონიმი, იერუსალიმით დაგვირგვინებული, გადახვეწილობაში მიმოფანტული არაბებისათვის იქნება არა მარტოდენ ჯადოსნური სამყარო, ოცნების საუფლო, ნეტარი ზმანება, არამედ ებრაელებთან მშვიდობიანი თანაცხოვრებით მოპოვებული სავანეც, ის ყოფითი რეალობაც, რომლის მშვენიერებასაც ასე ხელშესახებად გვაზიარებს მურიდ აღ-ბარლუთის ეს ავტობიოგრაფიული რომანი, წარმოსახვისა და სინამდვილის მიჯნაზე გადახსნილი, ვალაკტიონ ტაბიძის იმ სულისმემძვრელი სტრიქონებისა არ იყოს: მაგრამ სამშობლოს ნაცნობ გზებით ვეღარ მოვაგენ და არ მახსოვდა, მქონდა იგი თუ მომაგონდაო.

ნუთუ არ გააჩნია ყოველ ადამიანს უფლება, მხოლოდ თავისი სიბნელე ჰქონდეს?!

და იმ სიბნელეში სისპეტაკით ბრწყინავდეს ბალიში – განკითხვის დღის ყოველდღიური მოვალეობის შეგნებით.

ზურაბ ლავრელაშვილი

„იყავი თვითსრული“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— ალბათ უმჯობესი იქნება თუ ვიტყვით, რა არის გაუსაძლისი გაჭირვება (რადგან განსაზღვრება „გაჭირვება“ მიემართება კაცს და არა მდგომარეობას!). ვერ ვხვდები რა იგულისხმება გაჭირვებაში: ეკონომიური სიდუხჭირე თუ სულიერი შეჭირვება? თანაც, სიკვდილ-სიცოცხლის გარდა ამქვეყნიად უკიდურესი არაფერია.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— კუნძულ პანქიაზე, სადაც ადამიანური სიბრძნე და ცრურწმენა გონების ძალით განისჯება. ეს იგივე წიგნის სამყაროა, რომელშიც ვცხოვრობ.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— არ დაიბადო.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— გილგამეში, სოკრატე პლატონის „ფედონიდან“, პეტრონიუსი სენეკეის რომანიდან „ვიდრე ჰზვალ“, შერლოკ ჰოლმსი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ვინც ადამიანის ცნობიერების გაღრმავებას და გავართობას ემსახურებოდა – კაცობრიობის დიდი მასწავლებლები.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— მომონს ნახატი. მხატვარს მნიშვნელობა არა აქვს.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— მუსიკას სახელი არა აქვს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— გონიერებას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— გონიერებას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— მუსულმანური ლეგენდით, სამოთხიდან გამოძევებულ ადამს ღმერთმა ანგელოსი მიუგზავნა საჩუქრის ყუთით, რომელშიც სამი სათნოება იდო: გონიერება, თავმდაბლობა, რწმენა. ადამს სამიდან ერთი უნდა აერჩია და მან გონიერება ამჯობინა. ანგელოსმა მას დანარჩენი ორიც უსაჩუქრა, რადგან გონიერებაზე მძივის მარცვლებივით არის ასხმული ყველა ადამიანური სათნოება.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— უსაქმობა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— არც ერთი, რადგან უნდა ვიყოთ ის, ვინც ვართ.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ვცდილობ უხასიათო ვიყო.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ამ კითხვას უკვე ვუპასუხე ქალისა და მამაკაცის თვისებებზე საუბრისას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— სიზარმაცე და პასიურობა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— იგივე, რაც ბრძენმა სიკვდილის შესახებ თქვა: როცა ჩვენ ვართ, ის არ არის, როცა ის არის, ჩვენ არ ვართ.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— უფლება, განმესაჯა სხვები.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— უთვისებო.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ყველა მშვენიერია, რაკი მრავალფეროვნებას ქმნიან.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ლოტოსი, რომელიც ჩვენს შიგნით იზრდება.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— უცნაური კითხვაა, კონტექსტს აცდენილი მგონია.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ყველას ვერ ჩამოვთვლი. დრო და ქალაქი არ გვეყოფა.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— დიდი ეპიკოსები.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— კრისტინი, სიგრიდ უნსეტის რომანიდან „კრისტინი, ლავრანსის ასული“.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ვინც ღირსება შეინარჩუნა.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— გურჯი-ხათუნი.

— საყვარელი სახელი?

— რომლებიც სათნო და კეთილ ადამიანს ჰქვია.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— სიბრძნე, დოგმატიზმს, უარგუმენტო მსჯელობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზი დაიმსახურა.

— ვინც ადამიანს იმონებდა და იმონებს.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— კაცის კვლა ალტაცების ღირსი ვერ იქნება.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— რომელიც ადამიანს მეტ თავისუფლებას მოუტანს.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— დავინწყების.

— როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?

— უსურვილო.

— თქვენ სულიერი მდგომარეობა ამჟამად?


— არ მაინტერესებს, არც არასოდეს მაინტერესებდა.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ადამიანი სუსტია.

— თქვენი დევიზი?

— იყავი თვითსრული.



ზურაბ სამადაშვილი

ოკლები

სურათი მეოთხე

ბელოს ბინა. მაგიდასთან ზის მამა იობი და შებინტული ხელით წერს წერილს. შემოდის არყის ბოთლებით დატვირთული ქეთი.

ქეთი — მამა იობს გაუმარჯოს! მამაო, რა გჭირთ ხელზე?

მამა იობი — ღმერთმა დაგლოცოს.

(ხელს შეითვალე რებს და უსიტყვოდ გადააქნევს თავს. ქეთი სავარძელში ჯდება, არყის ბოთლებიან ცელოფანის პარკს ფრთხილად დებს იატაკზე)

შენ ისევ არაყს ყიდი?

ქეთი — სხვა რა გავყიდო? სხვათაშორის, ბინასაც ვყიდი, მაგრამ, ჯერჯერობით, უშედეგოდ, ხომ არ შეიძენდი?

მამა იობი — მამაშენი ისევ უმუშევარია?

ქეთი — ვაჭრობის ნიჭი მაგას არა აქვს და სპეციალობით ვინ ამუშავებს, ვილას სჭირდება ინჟინერი? ზის სახლში და ელოდება სასწაულს, ამასობაში თავდება ხახვი, ზეთი, კართოფილი და ვინცებთ არყის გამოხდა-გაყიდვას, რა არი აქ გაუგებარი?

მამა იობი — რა ვიცი, ქეთი, რთულ კითხვას მაძლევ.

ქეთი — სად ბრძანდებიან ვაჭრატონები, მალე მოვლენ?

მამა იობი — ვერც მაგ კითხვაზე გიპასუხებ. ადგენენ და ცალ-ცალკე წავიდნენ, ოღონდ ერთხმად დამიბარეს, შენი დანაგვიანებული სახლი შენვე მიალაგეო.

ქეთი — ზოგჯერ ისე შემეცოდებიან ხოლმე, ცრემლებს ძლივს ვიკავებ.

მამა იობი *(წერას წყვეტს, გაკვირებული უყურებს ქეთის)* — შენ? ესენი?

ქეთი — ჰო, მეცოდებიან, ერთი-ორჯერ წავიტირე კიდეც.

მამა იობი — მოსიყვარულე გული გქონია.

ქეთი — აქამდე არ იცოდით? თქვენც მიყვარხართ, მომწონხართ.

მამა იობი — იცი, რა, შვილო, შენებურად არ გაუტოო, ისედაც თავგზა მაქვს არეული. შენხელა ვარ, რო მელაზღანდარები?

ქეთი — ხანდახან მინდება თქვენი გაბრაზება.

მამა იობი — ხანდახან კი არა, განუწყვეტლივ მაბრაზებ.

ქეთი — უცნაურ გრძნობას იწვევთ, მამაო, გამოხედვა გაქვთ ორაზროვანი, ალბათ მაგის ბრალია.

მამა იობი — შეიძლება. შეიძლება ჩემი გამომეტყველების ბრალია, რო ვერ ავანყე ურთიერთობა ამ უბანთან. იქით ნათესავებიც მოვიმდურე აქ გადმოსახლებით, არადა, თავიდან ისე მომეწონა ეს სიმშვიდე, სინყნარე; არ ღირს სალაპარაკოდ!..

* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“, №6

ქეთი — არა, მამაო, მე სულ სხვას ვგულისხმობდი. მე, პირიქით, ძალიან მომწონს თქვენი გამომეტყველება.

მამა იობი *(ანყვეტინებს)* — მომისმინე, ტახოს და მამამისის შესახებ არაფერი გაგიგია? უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით, არაფერი უთქვამთ?

ქეთი — კი, ყური მოვკარი, უბედური შემთხვევა არ ყოფილაო.

მამა იობი — მერე? რატო არ მითხარი? ჩემთვის არ უნდა გეთქვა?

ქეთი — რა ვიცი, არ ჩავთვალე საჭიროდ. ისე, სხვათა შორის, მამამისმა, ერთხელ ჩემს კატას დაუპირა მოკვლა.

მამა იობი — კატა კატაა, ადამიანის მკვლელობაზე ვლაპარაკობთ.

ქეთი — გააჩნია ადამიანს და გააჩნია კატას. კატების წამებას თავს გაანებებენ, თუ ეცოდინებათ, რო მისთვის ტყვიას მიიღებენ შუბლში.

(პაუზა. მამა იობი გაკვირებით უყურებს ქეთის)

მამა იობი — როგორც გატყობ, მორალზე ბუნდოვანი წარმოდგენა გაქვს.

ქეთი — მორალის მონა უნდა ვიყო?

მამა იობი *(წერილის წერას ამთავრებს)* — ერთხელაც, ტახო და ბელო ერთმანეთს დახოცავენ. სულ ამაზე ვფიქრობ და გამოსავალს ვერ ვპოულობ. *(წერილს კეცავს და ქეთის აწვდის)* წერილი დავუნერე მაგათ, გადასცემ?

ქეთი — თქვენ თვითონ ვერ გადასცემთ?

მამა იობი — დღეს აქედან მივდივარ და მინდა, რო ჩემი წასვლის შემდეგ წაიკითხოზ *(პაუზა)*, სულ მივდივარ.

ქეთი — მიდიხართ? სად? *(ღიმილი შეეყინება სახეზე)* სხვა უბანში?

მამა იობი — რა მნიშვნელობა აქვს! მთავარია, აქაურობას გავეცალო. საპატრიარქოსთან უკვე შევთანხმე *(პაუზა)*. უაზროა ჩემი აქ დარჩენა.

ქეთი — რატო, მამაო? რატო, ასე მოულოდნელად?

მამა იობი — მარტო ეს თვითმკვლელობაა საკმარისი! თავი ვერ გავართვი სიტუაციას.

ქეთი — ჰო, მაგრამ თქვენ რა შუაში ხართ?

მამა იობი — ღმერთი მსჯის სუსტი რწმენისთვის, სადაც მივდივარ უბედურება მიმაქვს. საერთოდ, ჩემს რჩევებს არავინ ითვალისწინებს, რალა აზრი აქვს ღვთისმსახურებას?

ქეთი — მე ვითვალისწინებ.

მამა იობი — დიდი შეღავათია!

(ქეთი იბუტება)

რამდენჯერ გთხოვე, მამაშენის გამოხდელი არყით ნუ ვაჭრობ-მეთქი და ამოდ, პირიქით, ლატარიაც დაამატე.

ქეთი — მამას ჯერ პენსიაც არ ეკუთვნის, რითი ვიარსებოთ? გუშინ ხახვიანი კართოფილი შევწვი და მეჩხუბა, რა საჭირო იყო, ხახვით რო წვავდიო, და ასე მეორდება მუდმივად. ხან რის ეკონომიას ვაკეთებთ და ხან რის, ხან რაზე ვჩხუბობთ, ხან რაზე.

(დგება, მიდის)

დენი გამოგვრთეს, მალე ალბათ გაზსაც მიაყოლებენ, ჩემი არაყია სალაპარაკო?

მამა იობი — შენი განწყობა არ მინდოდა, სიკეთე მალაპარაკებს.

ქეთი *(წელა ბრუნდება უკან)* — დავივიწყოთ.

(ხელს უწვდის მამა იობს, ისიც მონდომებით ართმევს)

აუცილებელია დღესვე წასვლა? კვირის ბოლომდეც ვერ დარჩებით?

მამა იობი — ვერ დავრჩები. ერთ საათსაც ველარ დავრჩები.

ქეთი — ახალ მისამართს შემატყობინებთ? დამირეკავთ?

მამა იობი (ყოყმანით) — მისამართს შეგატყობინებ, ტელეფონი კი თუ იქნება, დარეკვას რა დაუდგება წინ.

ქეთი (თმაზე გადაუსვამს ხელს. მამა იობი გაეცლება) — გული მწყდება, მოგეჩვიეთ, ეკლესიაში მოსვლასაც ვაპირებდი.

მამა იობი — ეგ კარგად გადაგინწყვეტია, უკეთესს ვერაფერს იზამ.

ქეთი — ჰო, მაგრამ თქვენ თუ წახვედით, ეკლესიაში რალა დამრჩენია.

მამა იობი — უცნაური გოგო ხარ, შენებურად ფიქრობ, არეულ-დარეულად. შეიძლება, ერთი რთული კითხვა მოგცე?

ქეთი — რა თქმა უნდა, ძალიან მიყვარს რთული კითხვები, განსაკუთრებით — სექსუალურ საკითხებზე.

მამა იობი (ხელს ჩაიქნევს) — მოვრჩეთ.

ქეთი — მკითხეთ რა, ძალიან გთხოვთ.

მამა იობი — ისეთი არაფერია.

ქეთი — სულ იმაზე ვიდარდებ, ნეტა რა უნდა ეკითხა-მეთქი.

მამა იობი — კარგი, გკითხავ.

(კაუზა)

როგორ ფიქრობ, თვით-მკვლელობასაც უნდა ვაჟკაცობა თუ სისულელეა თავიდან ბოლომდე?

ქეთი — ვაჟკაცობა ყველაფერს უნდა, ეგ რა კითხვაა.

მამა იობი (აღტაცებით) — რა მარტივად და რა ზუსტად მიპასუხე!

ქეთი — მართლა ეგ იყო თქვენი რთული კითხვა?

მამა იობი — ჰო, სულ ეს იყო.

ქეთი — თქვენგან გამიგონია, თვითმკვლელობა ყველაზე დიდი ცოდვააო, ახლა კი ლამის ვაჟკაცობად აღიაროთ, რატომ?

მამა იობი — ადამიანური უგუნურობის გამო **(სახეს შეუთვალეირებს)**; ლამაზი თვალები გაქვს, ჭკვიანური **(პირჯვარს გადასწერს)**, ღმერთმა დაგლოცოს **(მიდის)**.

ქეთი (მედალიონს იხსნის, მუჭაში მალავს) — მამა იობ, უკვე მიდიხართ? ნეტა მეც დამენერა თქვენთვის წერილი, რაღაც-რაღაცეების თქმა მინდა და ვერ ვამბობ. სულ არ

ველოდი თქვენს წასვლას, აზრადაც არ მქონია, უცებ გამიჩინეთ სადარდებელი.

მამა იობი (ღიმილით) — რა სადარდებელი? **(უახლოვდება, ფრთხილად ეხება მხარზე)** ქეთი, ადამიანები რისთვის ვცხოვრობთ, იცი? იმისთვის, რო ერთმანეთს კეთილი საქმეების მოგვარებაში მივხვდებით. თუ ეს აღარ შეგვიძლია, უნდა ავდგეთ და წავიდეთ **(შუბლზე კოცნის და მიდის)**. კარგად იყავი, გფარავდეს ღმერთი. წერილის გადაცემა არ დაგავინყდეს.

ქეთი (სატირლად გამზადებული) — გადავცემ, მამაო და თუ ბიჭი მეყოლა, იობს დავარქმევ, თქვენ ნურაფერზე იდარდებთ **(მედალიონს შეათვალეირებს, მოღუშული სახით ჩამოიკიდებს კისერზე და წერილის კითხვას იწყებს. შემოდინა ტახო და ბელო. ბელოს ჩანთა აქვს ხელში)**

ბელო — შენ შემოგვევლე, რა სტუმარი გვყოლია?!

ტახო — ეგ წერილი ფრონტიდან ხომ არ გამოგიგზავნეს, ქეთი?

ქეთი — ამ არაყს ჩემს მოსკლამდე თითი არ დააკაროთ, მალე მოვალ. **(ჩქარი ნაბიჯით გადის სცენიდან)**

ტახო — აუ, რა გოგოა!

ბელო — მაგარი **(ჩანთიდან ფიგურების ამოღებას იწყებს, სათუთად ათავსებს თაროზე. ტახო ხელს დასტაცებს ახალ ჟურნალს და სავარძელში მოკალათდება)**

ბელო — ძალიან მაგარი ფიგურებია, არა? რას იტყვი!

ტახო — გადაშენდი მაგ შენი ფიგურებით!

ბელო — რამდენიც არ უნდა იწყევლო, ამ მშვენიერებას გვერდს ვერ აუვლი.

(ოდნავ უკან იხევს, ფიგურებს შორიდან უმზერს)

განსაკუთრებით მარცხენა მხრიდან გამოიყურებიან გადასარევეად, უჰ! ამ დობერმანსაც აქვე დავდებ სიმეტრიისთვის, აი, ასე, იფ, იფ! ბიჭუნი, იცი, ვინ იყო ბატონი დობერმანი? ფრიდრიხ ლუის დობერმანი?

ტახო — შენსავით ზოოფილი ბოზანდარა იქნებოდა.

ბელო — ფრიდრიხ ლუის დობერმანი იყო კინოლოგიის ვაგნერი, შე ბოთე!

ტახო — ვაგნერი არა, ბებიაშენისა!

ბელო (ფიგურებს გადაადგილებს) — მშვენიერებაა პირდაპირ, უმშვენიერესობა! არ მეგონა, ჩემში თუ ამხელა ტალანტი იმალებოდა, დიზაინერი ვარ, აბა ვინა ვარ! აბა, ვინ ჩემი ფეხები ვარ?

ტახო — დაგიხატავენ!



მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი

ბელო — კი არ უნდა გშურდეს, უნდა ამაყობდე ჩემით.
(*პაუზა*)

ტახო — წერენ, რო ნორვეგიაში უტუჩებო გოგო დაბადებულა.

ბელო — ეგ უკვე ძველი ამბავია, რამე ახალი თქვი.

ტახო — ვერაფერ აკოცებს ვერასოდეს, წარმოგიდგენია? ღრძილებზე ხო არ აკოცებენ!

ბელო — კოცნისგან შენც დაზღვეული ხარ, მაგხელა ლაშების მიუხედავად.

ტახო — შენ ხო, რას ამბობ, ქალი არ გაგიშვია უკოცნელად!

ბელო — ეჭვი არ შეგეპაროს!

(*ხელიდან ჟურნალს გამოსტაცებს*)

მილიონჯერ მითქვამს, პირველად მე უნდა წავიკითხო-მეთქი!

ტახო (*წამოდგება*) — ლამის თითები მომამტვრიე!

ბელო (*მის ადგილს იკავებს, ჟურნალის თვალთვრებას იწყებს*) — ნუ სჩრი შენს თითებს ჩემს ნივთებში, რით ვერ გაიგე!

ტახო — მაინცდამაინც ქალების ჟურნალს რატო ყიდულობ, გოგონი, ცისფრობისკენ მიგიწევს გული?

ბელო — ფული ჩემია და რომელ ჟურნალსაც მინდა, იმას ვიყიდი, არ არი შენი საქმე! აი, რას წერენ ამ, შენი აზრით, ქალების ჟურნალში.

ტახო — ეპილაჯიაზე იქნება რამე.

ბელო — ერთ ცალხელა ბიჭზე წერენ, ვერაფერი დაუკარგავს ხელი, ეხლა დედაც დაღუპვია. ანგარიშის ნომერზე ფული ჩაურიცხეთო, იხვენებიან. მაგ ფულსაც ისევ ეს ბოზანდარა ხელისუფლება შეიტყუაპუნებს, რაც ამათ არჩევნებში ფული ფლანგეს, ხო უნდა აინაზღაურონ როგორმე!

ტახო — შენ ვერაფერ მოგატყუებს.

ბელო — ეჭვი არ შეგეპაროს!

ტახო — შენი დასიაფანდება შეუძლებელია.

ბელო — ზუსტადაც ვერა.

ტახო — თუ მაინცდამაინც ქალების ჟურნალი გინდა, კლუბნიკა იყიდე, ტიტლიკანები იჩითებიან. რა ნაშეებია, იცი? იფ!

ბელო — სამაგიეროდ, ამას უფასო განცხადებების კუპონი მოყვება და ასლარიანი ლატარიაც აქვს.

(*ფრთხილად ცდილობს კუპონის მოხვევას. ამასობაში, ტახო კარადიდან ჩიფსების პაკეტს გამოიღებს*)

ხო იცი, ლატარიაში როგორ მიმართლებს!

ტახო — სისულელეებს ბეჭდავენ ვიღაცა აფერისტობლებზე, ვინ ჭამს მაგას! მომისმინე, ჩიფსების პაკეტი მასესხე, ძმურად.

ბელო (*გაოცებული*) — სერიოზულად ამბობ?

ტახო — ჰო, რა! ჩაგასესხებ.

ბელო — პაკეტი დადე თავის ადგილას.

ტახო — დამწვარი ფიგურების ვალს და ჩიფსების ვალს ერთად გადაგიხდი, გეფიცები.

ბელო — თავის ადგილზე დადე ეგ პაკეტი, გესმის? აღარ გამამეორებინო!

ტახო — რა გაგიხდა ეს დამპალი ჩიფსები.

ბელო — დადე-მეთქი!

ტახო — სპეციალურად ხელი არ ვახლე, დაგეკითხე წესიერად, ვალში მინდა.

ბელო — სულ ამ ჩემი ჩიფსების გინებაში ხარ, ეხლა რა გეტაკა!

ტახო — მომშვიდა, შე ჩემა. წესიერად გთხოვ, თავაზიანად.

ბელო — არ გიხდება ეგ შენი თავაზიანობა, მართლა პედერასტს გეცხარ შენი თავაზიანობით.

ტახო — ბოლო პასუხია?

ბელო — უბოლოესი.

ტახო — კარგი, ეგრე იყოს!

(*ჩიფსებს ორივე ხელით დასრებს და დამრგვალებულ მასას ძმას ესვრის. ბელო გაეკიდება. ტახო მაგიდას ურბენს გარშემო, თანაც კარადიდან კიდევ ორი პაკეტის გამოღებას ახერხებს*)

ბელო, შე ლორო, ბეხრეკი ღორივით დაძუნძულე. გაიცამტვერო მთელი შენი საქმელ-სასმელი, გადაგაშენო დაბუღიანად?

ბელო (*ჩერდება*) — ეგენი არ დაფშენა, მაგიდაზე დადე.

ტახო — გეუბნებოდი, გადაგიხდი-მეთქი, ვალში მინდა-მეთქი! ხო გეუბნებოდი? ეხლა აღარაფერსაც აღარ გადაგიხდი!

ბელო — არ გინდა, არ გააფუჭო!

ტახო — არ გააფუჭო, არა?

ბელო — იცი, რა მაგარი თოხლია? იცი, როგორ მომონოს?

ტახო — მაგარია, არა?

(*გამალებით იწყებს ჭამას. შემოდის ნამტირალევი ქეთი*)

მართლა მაგარი ყოფილა, გემრიელია ნაღდად! იფ, იფ! ქეთი ჩიფსებზე დამენწე, მაგარი რამეა.

ბელო — მოგკლავ, შე ნაბიჭვარო! (*ძმას დაეტაკება, იატაკზე ეცემიან, გორაობენ, ტახო ჩიფსებს აბნევს გარშემო. ქეთი ჯიბიდან დანას იღებს, მოჩხუბრებისკენ იხრება და დანის წვერს ტახოს აბჯენს კისერზე*)

ქეთი — არ მორჩებით ცემა-ტყეპას?

ტახო — გაგიჟდი? რას აკეთებ? განიე, გოგო, დანა.

ბელო — მიდი, ქეთი, მიდი, გაუყარე ამ ნაბიჭვარს!

ტახო — მართლა მკლავ, შე კახპა? მეტიკინა, გოგო, მეტიკინა!

ქეთი — არ მორჩებით ნაბოზერობას?

ბელო — ამის ბრალია ყველაფერი, ეს ამტეხავს ხოლმე. კარგი, გადააშენე ეგ ოხერი დანა.

ტახო — ეს ვინა ყოფილა! აი, სისხლი მომდის, დამჭრა ალაღა! დამჭრა რა!

ქეთი — აღარ იჩხუბებ?

ბელო — არა, ოღონდ ენა დაიმოკლოს ამ ბოზიშვილმა.

ტახო — ბოზიშვილისგან მესმის!

ქეთი (*დანას ჯიბეში იღებს. ბელო და ტახო დგებიან*) — ეს წერილი მამა იობისგანაა, თქვენთვის დატოვა.

ტახო — რა წერილი?

(*ქეთი ცრემლს მოინმენდს და ბელოს მიაჩერებს წერილს*)
თვითონ სად ბრძანდება?

ბელო — ხომ ვამბობ, ჭედავს-მეთქი! მოვიდეს, გვითხრას სათქმელი, რა წერა აუტყდა! ოღონდ ბინის ქირას ვერ დაფუტებ, შანსი არ არი!

ტახო — ამ ნაჯღაბნისთვის მკლავდი, გოგო? აი, ნახე, რას მიგავს კისერი. მე სულ შენს ქებაში ვარ და შენ მოსაკლავად გემეტები!

ქეთი — არაფინაც არ მემეტება მოსაკლავად (*ტირის*), არც თქვენ და არც, მით უმეტეს, მამა იობი.

ტახო — მამა იობი რალა შუაშია?

ქეთი — სიკვდილის წინ დაგინერათ ეგ წერილი... თვით-მკვლელობის წინ.

ბელო — რას ბოდავ, გოგო, ეგ რა ხუმრობაა!

ქეთი — იხრჩობოდა ზუსტად იმ ადგილზე, სადაც კიშკამ მოიკლა თავი. კიდევ კარგი, მედალიონის მისაცემად გავეკიდე და სულზე მივუსწარი. გულწასული გამოიყვანეს ბიჭებმა წყლიდან.

ბელო — მოიცა, მოიცა, დანყნარდი! ეხლახანს არ ნახვედი აქედან?

ტახო — ხო, გიჟივით გავარდი.

ბელო — რა თვითმკვლელობა, რის თვითმკვლელობა!

ქეთი — აბა, იმ ადგილას რა უნდოდა, სადაც კიშკამ მოიკლა თავი?

ბელო — მოიცა, თავიდან დაგინყოთ, წესიერად მოგვიყვი ყველაფერი.

ტახო — დალაგებულად!

ქეთი — მივდივარო, წერილი დაგიტოვავთ. მერე... მერე საჩუქრის გადასაცემად გავეკიდე. ბიჭებს დაუნახავთ ზღვისკენ მიმავალი. მივედი და... **(ტირის)** სასწრაფოთი გააქანეს, გულის შეტევა აქვს. გაყოლაზე უარი მითხრეს, ნათესავი უნდა იყოო; ამაზე დალაგებულად როგორღა მოგიყვებ?

ტახო — რო მომკვდარიყო, ეგრევე ჯოჯოხეთში ამოყოფდა თავს ეგ საცოდავი.

ბელო — იქნება მოკვდა კიდევ, რა იცი?

ტახო — აბა, ბიჭო! მეწყინა ნაღდად. კაი ქალზე რო გაიგებ, ან კაი კაცზე — გაბოზდაო, ზუსტად ეგრე მეწყინა.

ქეთი — რას მიჰქარავ?

ტახო — მეწყინა-მეთქი, გეუბნები, მიქარვა რა შუაშია!

ბელო — ალაღად ამბობს, კაცი; მეც მეწყინა. რო უთქვამს, მივდივარო, სად მიდიოდა?

ქეთი — საერთოდ მიდიოდა. არავინ მიჯერებსო, სიტუაციას ვერ მოვერიეო, არა ვარ ღირსი ღვთისმსახური მერქვასო. მერე თვითმკვლელობაზეც დაიწყო ლაპარაკი. იმიტომ ვფიქრობ, თავს იკლავდა-მეთქი.

ბელო — შემთხვევით, ხო არ გვაპამპულავებ?

ქეთი — შენ როგორ გგონია?

ბელო **(წერილს ჩაჰყურებს)** — დაუჯერებელი ამბავია.

ტახო — ჭეშმარიტად.

ბელო — შერიგდითო. თქვენს გამო თუ არ იზამთ, იქნებ ჩემს გამო მაინც შერიგდეთო, თქვენი გამარჯვებისა მჯერაო.

(ქეთის შეხედავს)

ქეთი — ბოლო ნაწილს კითხულობ.

ბელო — მანამდე მოკითხვები და მისთანებია.

ქეთი — მომეცი, მე წაკითხავთ. ვიცი, თქვენთვის წყლის ნაყვა ყველაფერი, მაგრამ მამა იობის ხათრით წაკითხავთ. აი, რას წერს გამარჯვებაზე **(კითხვას იწყებს. ტახო და ბელო ამაყად შემართულები უსმენენ. ეამაყებათ, რომ მამა იობმა პირადად მათთვის დანერა წერილი):** მჯერა, რომ დასძლევთ სიძულვილს, გაიმარჯვებთ ბოროტებაზე, შეიყვარებთ ერთმანეთს, თქვენ ხომ ძმები ხართ — სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, ვინა გყავთ უფრო ახლობელი? ვინა გყავთ უფრო ძვირფასი? და თუ ამას შესძლებთ, ალბათ არც მე გამწირავს ღმერთი და არც ჩემს ცოდვილ სულს გაიმეტებს გენიის ცეცხლში გასატანჯავად. ჩათვალეთ, რომ დღეიდან ჩემი სული თქვენს ხელშია, მხო-

ლოდ თქვენს სიყვარულს შეუძლია მისი გადარჩენა. გიყვარდეთ ერთმანეთი და ნუ შეგეშინდებათ ამ გრძნობის. გემშვიდობებით სამუდამოდ, გფარავდეთ ღმერთი, ღვთის მონა — მამა იობი. **(ქეთი ცრემლს მოინმენდს)**

ტახო — მაგარი სიტყვებია.

ბელო — კაცური სიტყვებია.

ქეთი — აი, ამიტომ ვთქვი, თავს იკლავდა-მეთქი. თანაც იმ ადგილას.

ტახო — ეს წერილი ჯვარცმავზე გავაკრათ. მაგარი წერილია.

ბელო — ნაღდად. პირველად მესმის, კაცი თვითმკვლელობის წინ გამარჯვებაზე ლაპარაკობდეს.

(წერილს ართმევს, კითხულობს)

ტახო — უნიგნურო, რას უკირკიტებ, ქეთიმ ხომ წაგვიკითხა უკვე.

ბელო — შე მართლა უნიგნურო!

ქეთი — მე დასასრული წაგიკითხეთ.

ბელო — შესავალში წერს, მეშინია, ბელომ ტახო არ მისიკვდილოსო.

ტახო — ფრთხილად იყავი, იქით არ მიგასიკვილონ.

ქეთი — არ იშლით თქვენსას?

ტახო — თუ კითხულობს, წესიერად მაინც წაკითხოს!

ბელო — კარგი, მომისმინე. აი, წესიერად ვკითხულობ (კითხვისას მამა იობის ხმასა და მანერებს ბაძავს): ერთ დღეს ადექით, ჩემო ტახო და ბელო, ჩამონერეთ ყველა წყენა, ყველა ბოღმა, რაც აქამდე დაგგროვებიათ და კაცურად ილაპარაკეთ, ალაღად ჩახედეთ ერთმანეთის გულელებში, დარწმუნებული ვარ, გამონახავთ საერთო ენას, თქვენ ხომ ასე გეგხართ ერთმანეთს, ნუთუ ძნელია ამის გაკეთება?

(წერილს კვცავს, ტახოს და ქეთის უღიმის მამა იობის მსგავსი ღიმილით)

ჰა, ტახო და ქეთი, გეკითხებით, ძნელია ამის გაკეთება?

ტახო — მაგრად გამოგდის, ნაღდი იობი ხარ!

ქეთი — რახან არ იშლით მაიმუნობას, ვფიცავარ, რამე თუ მოუვიდა, განანებთ მწარედ, გამოგფატრავთ სათითაოდ! **(კისრიდან მედალიონს იხსნის)** ეს მედალიონი სპეციალურად მისთვის შევუკვეთე, ოთხი თვე ვაგროვებდი ფულს. ჩუქება ვერ გავუბედე, ლამის გავთავდი სირცხვილით. არაყში აღებული ფული მთლიანად ამ მედალიონს მივანარჯე, ის კი ჩემზე სტრიქონსაც არ წერს, არც კი მახსენებს **(აგდებს მედალიონს).**

ბელო — რას ერჩი, მაგარი ნივთია.

ქეთი — ჩემთვის არ იყო გათვალისწინებული.

ტახო — როგორი უცნაური გოგო ხარ! შენც მაგრად ჭედავ, ჩვენში რო დარჩეს.

ბელო — ამის ხნის გოგოები ყველანი ეგრე უბერავენ!

ტახო — რალაცას ვეჭვობდი, მაგრამ ასე თუ იყო საქმე, არ მეგონა.

ქეთი — რას ეჭვობდი, რას მიედ-მოედები!

ბელო — რამ შეგაყვარა, გოგო, იმხელა კაცი?

ტახო — თანაც ღვთისმსახური.

ქეთი — არ არის თქვენი საქმე! თქვენი მჯერაო, წარმოგიდგენიათ, რა გულუბრყვილოა? ზუსტად ჩემისთანა რეალისტი ქალი სჭირდებოდა გვერდით. თქვენი ნდობა შეიძლება?

ბელო **(გადაგდებულ მედალიონს იღებს)** — ღმერთო, გამაძლებინე ამ გიჟებში!

ტახო — ამინ!

ქეთი — ზუსტად იმ ადგილას იყო, სადაც კიშკამ დაიხრჩო თავი. ჩემი თვალთ ვნახე, როგორ გადმოვიდა ნავიდან, როგორ გადადგა ნაბიჯი წყალზე...

ტახო — კარგი, რა!

ქეთი (აგრძელებს) — გეფიცები, რამოდენიმე მეტრი გაიარა. აი, აქედან დაახლოებით (*შორეულ კუთხეზე ანიშნებს*) იქამდე, არ ვიცი, რა მანძილი იქნება...

ბელო — ექვსი მეტრი.

ქეთი — ჰო, ალბათ... გაიარა და უცებ მე დამინახა.

ტახო — სულ მაგას გაიძახოდა, წყალზე უნდა გავიარო.

ქეთი — არ ვიცი, მაგრამ, როგორც შემომხედა, ჩაიძირა ეგრევე.

ტახო — თვითმკვლევლობა სერიოზული ცოდვაა.

ბელო — უსერიოზულესი. რალა მაგ დროს შემოგხედა?

ტახო — იქნება არც იყო თვითმკვლელობა. წერილში ეგ არ ჩანს.

ქეთი — რომც შემეძლოს, ვერაფერს ვუშველი, შველა ჩემთვის არ უთხოვია. სიამოვნებით ვილოცებ მისთვის, მაგრამ სულის გადარჩენას, მაინცდამაინც, თქვენ გთხოვთ, ორ ყველაზე დიდ ცინიკოსს.

(ძმები ერთმანეთს გადახედავენ, ბელო ტახოს მიანვდის წერილს)

ბელო — ჩათვალე, რომ მამა იობის სული გადარჩენილია (*სიცოცხლე იკავებს*)

ტახო — ნაღდად! რახან ჩვენ ჩავვაბარა... ჩავიბარებთ, მეტი რა დავგრჩენია!

(ქეთი კარისკენ გასწევს, ბელო მედალიონს აჩეჩებს)

ბელო — მაგარი ნივთია.

ქეთი (ჩაშვედარი ხმით) — ჯანდაბას! გადააშენე აქედან! თქვენი მიიყვანეთ აქამდე და ლადაობას მაინც არ იშლით.

(მიდის)

ბელო — არ ვლადობ.

(ჯდება, მედალიონს ათვალეობს)

გადასარევი მედალიონია, კარგი გემოვნება ჰქონია ქეთის.

ტახო (წერილს ჩაიკითხავს) — მაგან რა, მართლა გაიარა წყალზე?

ბელო — ქეთი მიჰქარავს რალაცას.

ტახო — გვატყუებს ვითომ?

ბელო (გაკვირვებით შეხედავს) — შენც კარგად ჭედავ!

ტახო — ხო გაიგე, ნავით შესულა, თანაც ატეხილი იყო, წყალზე უნდა გავიაროო, რწმენა შევიმონმოო, სულ ამას გაიძახოდა.

ბელო — ნადი, დაიძინე, გადალლილი ხარ.

ტახო — შენს თავს მიხედე!

(ენაზე მომდგარ გინებას შეაჩერებს, ყოყმანი გამოეხატება სახეზე)

ისე, მართლაც გადავიღალე.

ბელო — მეცოდები, არეულ-დარეულად ცხოვრობ.

ტახო — მეც მეცოდები, კაცმა რომ თქვას, მშვიდობიანად ცხოვრებას არაფერი სჯობია.

ბელო — ღვთისნიერი კაცია, ბოლობოლო, რალაცა დაეკვრება.

ტახო — გეფიცები, მაგის თქმას მეც ვაპირებდი.

(პაუზა)

ბელო — ასეთი გულჩვილობა გაგონილა? სულ ცრემლი ჰქონდა თვალზე.

ტახო — აბა, ბიჭო!

ბელო — მაინც ნამეტანი მოინდომა. რომელი იესო ქრისტე ეგა მყავს, წყალზე გავლა-გამოვლა რო დამინყო!

ტახო — ჰო, მაგრამ ფაქტია, რო რალაცა მაგრად სწყენია.

ბელო — ნაღდა. არ ვიცი, რა ეწყინა, მაგრამ ფაქტია, რო გატეხილში ყოფილა. ისიც ჭკვიანურად მოუფიქრებია, წყენები ჩამონერეთო. პრინციპში, რა უნდა მაგის გაკეთებას?

ტახო — აზრი მეც მომწონს, მაგრამ მე ეხლა დამჯდომი და რამის დამწერი ვარ?

ბელო — ჩამონერა რად უნდა, ზეპირად მახსოვს ყველაფერი. შენ რა, ასე არა ხარ?

ტახო — რა, სკლეროტიკს ვგეგვარ? ვიტყვით, გავაკეთოთ, რა პრობლემაა!

ბელო (მედალიონს ათვალეობს) — არც არაფერი. ძვირფასი მედალიონია. კარგა ძვირი დაუჯდებოდა ქეთის. მერე დავუბრუნებ, ცოტა რო დამშვიდდება.

ტახო — ჰო, უნდა დამშვიდდეს. ნელან, იცი, რა მწარედ მომქაჩა? ცოტაც და დანას გამიყრიდა.

ბელო — ეჭვიც არ მეპარება, აი, არაყიც აქ დარჩენია, აზრზე მოდი, რა გატეხილშია!

ტახო — ყელს მჭრიდა ალაღად.

ბელო — მოდი, ერთი ბოთლი გავხსნათ ჩემს ხარჯზე და ჩიფსებსაც ვკისრულობ.

ტახო — კაცური სიტყვაა.

(ერთმანეთს ხელს ართმევენ)

ბელო — საავადმყოფოში არ ვინახულოთ?

ტახო — ვინახულოთ. *(ბოთლს ხსნიან, მაგიდას შემოუსხდებიან, ბელო არაყს ასხამს)* ეხლა ისევ მამა იობი ერქმევა, თუ ეკლესიიდან გამოაბუნძულებენ?

ბელო — ნუ იცინი!

ტახო — მე ვიცი? აზრადაც არ მომსვლია!

(სერიოზული სახეებით მიუჭახუნებენ სირჩებს)

გაუმარჯოს მამა იობს.

ბელო — მალე გამოსულიყოს!

ტახო — ამინ!

სურათი მხსუთა

ოთახი დალაგებულია. მამა იობის წერილი ჯვარცმავზეა კარული. შემოდინ საავადმყოფოდან დაბრუნებული ტახო და ბელო. ტახოს უჭირავს საჭმელებით სავსე პოლიეთილენის პარკი. ბელო გამოიღებს არყის ბოთლს და მაგიდაზე დადებს.

ტახო (პაკეტის შიგთავსს თეფშზე წამოყრის) — მამა იობს, ეხლა, რამეც რო დაემართოს, ვერავინ გვეტყვის, სიკვდილის წინ არ გინახავთო.

ბელო — მაგდენი რა ამბავია, მთელი პარკი გამოაცარიელე!

ტახო — ორი კაცი უცებ გამოუყვანთ წირვას.

ბელო — ეგეც მართალია.

ტახო — დაჯე, რალას ელოდები, ნაკურთხია სუფრა.

(ბელო მაგიდას მიუჯდება. კერძს დააგემოვნებს)

ჰა, როგორია?

ბელო — გემრიელი.

ტახო — ღმერთმა შეგარგოს. სცოდნიათ იობის ნათესაებს საჭმელების გაკეთება.

ბელო — მარტო ნათესაობა კი არა, მთელი უბანი გვერდში დაუდგა, მეც დავდე ათი ლარი. ერთი ლამე 60 ლარი ღირებულა, წარმოიდგენია? თანაც იანგარიშე წამლები, ნემსები, უჰ, გაიყიდება კაცი!

ტახო — სამოცი ლარი რა ამბავია, საავადმყოფოა თუ ბარდელი!

ბელო — შენ ევა თქვი!

(სასმელს ორ ჭიქაში ასხამს, დიდში და პატარაში, მერე ოდნავ შეყოყმანდება და დიდ ჭიქას ძმას მიანვლის)

ტახო — მადლობელი ვარ, მადლობელი. ვითომ არაფერიო, მაგრამ ამ ხუმრობა ხუმრობაში კარგი, ჯიჯივული სუფრა გავშალეთ.

ბელო — რაც ნაღვია ნაღვია. მაგარი პურ-მარილი გამოგვატანა მამა იობმა.

ტახო — გამოგვატანდა, აბა რას იზამდა, თვითონ არც ეჭმევა, არც ესმევა.

ბელო — გეთანხმები მაგაშიც, ჭეშმარიტებას ლაღადებ, ძმობილო.

ტახო — გახსოვს, ბავშვობაში, საბანს რო გადავიფარებდით და ბებიჩვენის გამომცხვარ ნაზუქებს მივირთმევდით, მაგარი სამალავი გამოდიოდა, არა?

ბელო — შეგეშალა, ძმობილო, მაგ სამალავს ჩვენს მეზობელ აკო გავაშელთან ერთად აკეთებდი და ერთხელ, თავი რო შემოვყავი, ისეთი წიხლი მდრუზე, ცოცხალი თუ დავრჩებოდი, არ მეგონა. შენც გაიხსენე, რა!

ტახო — აკო გავაშელი? რას ლაპარაკობ! გეფიცები, აქამდე მეგონა, მე და შენ ვიმაღლებოდით.

ბელო — ჩემმა ბავშვობამ შენი ტერორის ქვეშ გაიარა, ერთხელ კი, ჩემს დაბადების დღეზე, წამაქციე, დამაჯექი მალლიდან და დაიწყე ტონობით ნერწყვის გადმოფრქვევა. მანამდე არ მომეშვი, ვიდრე მთელი სახე შენი დორბლით არ დამეფარა.

ტახო — მახსოვს ეგ ამბავი, როგორ არ მახსოვს. შეგნებულად არ გამოკეთებია. ვცდილობდი, ნერწყვი გადამეყლაპა, მაგრამ ვერ ვახერხებდი. ეხლაც არ ვიცი, რა დამემართა. ვცდილობდი, ვცდილობდი და შენც არ მომიკვდე, ვერ ვყლაპავდი ნერწყვს.

ბელო — თანაც ჩემს დაბადების დღეზე.

ტახო — მაპატიე. მაპატიე ეგეც და ის წიხლიც, მამა იობის ხათრით მაპატიე.

ბელო — მიპატიებია.

ტახო — ოღონდ, დაახლოებით მაგ დროს, კაი მოზრდილი ქვა, აი, ამხელა, მოტოვებული ქვა გაგისხლტა ხელიდან და მძინარეს ზედ თავზე დამეხეთქა.

ბელო — რა, სამაგიერო არ უნდა გადამეხადა?

ტახო — წარმოიდგინე, უზარმაზარი ქვა ეხეთქება მძინარე ბავშვს, სამინელბაა! თანაც, სამაგიეროს გადახდა სად გაგონილა ორი კვირის შემდეგ, სამაგიერო მაშინვე უნდა გადაიხადა, ცხელ გულზე.

ბელო — ბოდიშს გიხდი, ტახო, ნამეტანი გაგიმეტე მაშინ. თავი ალბათ იმის მერე გიმუშავეს ცუდად.

(ტახო გამომცდელად შეხედავს და პაუზის მერე გაიღიმებს. გაიღიმებს ბელოც)

ძნელი ყოფილა ბოდიშის მოხდა, მართალს ამბობდა მამა იობი.

ტახო — ღმერთმა მიუტევოს ცოდვები.

ბელო — ღმერთმა გისმინოს.

ტახო — ისე, რო მომკვდარიყო, ჯოჯოხეთში კიშკასთან ერთად იქნებოდა, ხმის გამცემი მაინც ეყოლებოდა, სხვა თუ არაფერი.

ბელო — ჰო, იბაზრებდნენ ხანდახან.

ტახო — მე მგონი, იობისნაირების ბოლო მაინც ჯოჯოხეთია, მაგათ უფრო ბევრი მოეკითხებათ, აი, მე კი, თუ აღსარებაზე ვიარე, მოვინანიე და წესიერად ვიმარხულე, სამოთხეში მოხვედრის შანსი მაქვს. თვითონ მამა იობმა მითხრა, ტყუილად რაში მეტყოდა?

ბელო — ეგრე იოლი არა მგონია ეგ ამბავი.

ტახო — რატო, სერიოზული შანსი მაქვს.

(ფიქრს მიეცემიან)

ბელო — რა დონეზე განიცდის ქეთი, აკვირდები?

ტახო — მთელი დღე იწირებოდა. თურმე, გვერდიდან არ სცილდება ავადმყოფს.

ბელო — აბა, ბიჭო!

ტახო — ამხელა კაცი რამ შეაყვარა?

ბელო — ქალისას რას გაიგებ! მედალიონის ხსენებაც არ უნდა. წერილის გვერდით დაკვიდე.

(ძენკვს იღებს ჯიბიდან, ჯვარცმასთან მიღის და მამა იობის წერილის გვერდით ამავრებს)

თუ თავს არ მიხედა, ეგ ჩერჩეტი გოგო ფსიქიატრების ხელში ჩავარდება და მერე, ხო იცი, თავიანთი მკურნალობით მთლად გადაუტრიალებენ ჭკუას.

ტახო — გაუფლის. გამოკეთდება მამა იობი და მაგასაც ეშველება.

ბელო — რო არ გამოკეთდეს? გულმა უმტყუნა კაცს, წყალიც ბლომად უყლაპია, ისედაც რალაცნაირად მოისუსტებდა.

ტახო — გამოკეთდება, გული მიგრძნობს.

ბელო — ჩვენში რო დარჩეს, ორივენი ერეკებიან.

ტახო — ჰო, ჭედავენ ორივენი.

(საჭმელს დასწვდება)

მაგარი პურ-მარილია, არა? კიდე კარგი, მარხვა არ დამთხვა.

ბელო (ისევ მაგიდასთან ჯდება) — ჰო, მართალი ხარ. ხმირ-ხმირად უნდა იაროს კაცმა ავადმყოფების სანახავად.

ტახო — კაცური სიტყვაა, მაგრამ ავადმყოფსაც გააჩნია. ქელეხებიც არ უნდა დაგვაგინყდეს.

ბელო — ქორნილიც კარგი ვიცი.

ტახო — ქორნილი საიდან? ყველანი ქეთის გათხოვებას ველოდებით, ამ ამბების შემდეგ კი მაგასაც შეაგვიანდება.

ბელო — იქნება მე შევირთო ცოლი, რა იცი. რითი ვარ ცუდი სასიძო? ქალები თვალებს როგორ მიუფუფუნებენ, არ აკვირდები?

ტახო — ვის დაკარგვიხარ, თუ ძმა ხარ! საპენსიო ასაკამდე რალა გაკლია!

ბელო — მეუზრდელები! მეუზრდელები, მაგრამ ვითმენ მამა იობის ხათრით.

ტახო — ბოდიში, ბატონო, ინერციით მომდის.

ბელო — ბოდიში მისაღებია, თუ შეგნებულად მებოდიშები.

ტახო — კი, შეგნებულად, თუმცა შენც მანყენინე წელან, თავი არ გიმუშავეს, რო მითხარი. შენიშვნაც არ მომიცია, გავატარე, არ მიაქციე ყურადღება?

ბელო — ჰო, მეც წამოძვდა, ვაღიარებ.

ტახო — კარგი, რაც იყო-იყო. აი, მაგარი ნაჭერი ავირჩიე, საუკეთესო ნაჭერი.

ბელო — მაღლობელი ვარ. ეს კი შენ გამომართვი, არანაკლებია.

ტახო (თავს უქნევს მონონების ნიშნად, ნაჭერს ართმევს) — დააკვირდი, რა ქალები გაეძრნენ საავადმყოფოში? მართლაც რო თვალებით გეჭამდნენ.

ბელო — მაგარი, სერიოზული ქალები. მამა იობის მრევლიდან არიან ალბათ. ასე რო მცოდნოდა, მეც ვივლიდი ეკლესიაში.

ტახო — ამის მერე ვიაროთ, რა გვიშლის ხელს?

ბელო — არც არაფერი.

ტახო — მამაჩვენი იქ რო ყოფილიყო, ალბათ გინებას დაუწყებდათ, მოკლე კაბები რატო გაცვიათო.

ბელო — მართლაც, რა სჭირდა, სულ ქალების გინებაში იყო, თანაც ყველაზე ლამაზს ამოარჩევდა ხოლმე.

ტახო — ალბათ ახალგაზრდობაში გაამწარა ვინმე კარგმა ნაშამ და ეგ წყენა ბოლომდე ვერ მოიხელა.

ბელო — ტვინი რო არ გაგესხმევიენებინა, ვკითხავდით მიზეზს.

(ტახო შეუბღვერს ძმას)

კარგი, კარგი, გასაბრაზებლად არ გეუბნები, მაგრამ ძმურად თუ გამიგებ, მაგ ამბავში შენა ხარ დამნაშავე, თავიდან ბოლომდე — შენ.

(პაუზა)

ტახო — ჰო, მე ვარ, აბა სხვა ვინ? ჩემზეა ეგ ამბავი და ძალიანაც ვცნანობ.

ბელო — მიხარია მაგ სიტყვების მოსმენა. მიხარია, რო ნანობ. მე, რა თქმა უნდა, შემედლო შენი ციხეში გაშვება, მაგრამ არ გავაკეთე და იცი, რატო არ გავაკეთე? განა ქონებას დავხარბდი, მარტო დარჩენის შემეშინდა. დღეიდან შენია სახლის ნახევარიც და საერთოდ, მთელი ქონების ნახევარიც. როცა გინდა, მივიდეთ ნოტარიუსთან და ოფიციალურად გავაფორმოთ. **(ამ სიტყვებით შეძრული ტახო ძმას მორცხვად ართმევს ხელს)** შეგიძლია, ცოდვებშიც გამომიტყდე, როგორც მამა იობმა გვირჩია; ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიოთ ურთიერთპრეტენზიები, ჰა, გაქვს სურვილი? ვილაპარაკოთ და მოვრჩეთ ბოლობოლო, იქნება მართლა მოგვეშვას გულზე.

ტახო (პაუზის შემდეგ) — მაპატიე შენი ჩიფსების გაფუჭება.

ბელო (ხალისით) — მიპატიებია. გახსოვს, წალვერში რო ვისვენებდით? შენი სათამაშო ფურგონი დარჩა წვიმაში, მთლად დასველდა და მერე დაიკარგა კიდეც. რამდენს ეძებდი, გახსოვს? დედა და მამა გაიძახოდნენ, ვინმე მოიპარავდაო. არავის მოუპარავს, ვინ მოვიდოდა იმ თავსხმაში? მე ჩავაგორე ის ფურგონი, დილით ადრე ავდექი და ხევში ჩავაგორე.

ტახო — როგორ მიყვარდა, იცი? ყველა სათამაშოს მერჩია.

ბელო — საქმეც მაგაშია, მაპატიებ?

ტახო (თავს უქნევს) — გული სპეციალურად ავირჩიე შენს დაბადების დღეზე, სპეციალურად გავსკიდი წყლის სმით, მერე ჩუმად თითი ჩავიყავი და ზედ თავზე დავარწყიე. რის დორბლი, რა დორბლი, შენი თვალების ამოვსება მინდოდა ნარწყევით.

(პაუზა) შენც მაპატიე.

ბელო — გპატიობ.

(პაუზა)

ერთხელ, ნანა კიტოვანმა შემოგივალა, კონცერტზე ნავიდეთ, გაჩერებაზე დაგელოდებიო. არაფერი მითქვამს, შურმა ჩამადებინა ენა.

ტახო — ეგ არაფერი. თხელი ტუჩები აქვს და წვეტიანი ცხვირი, ვერ ვიტან.

ბელო — მაგრამ ბილეთები უკვე ნაყიდი ჰქონდა და შენც მოუთმენლად ელოდებოდი, როგორც შეგატყე.

ტახო — ეხლა ეგ ამბავი არაფერს ნიშნავს, მაგაზე ნუ იდარდებ... ჩემი რიგია, გავაგრძელოთ?

ბელო — გავაგრძელოთ.

ტახო — ბილიარდის მაგიდა გქონდა...

ბელო — ძალიან მაგარი მაგიდა.

ტახო — ხან ვის დააბრალე და ხან ვის, მაგრამ ბურთულები მე მოვიპარე, თანაც მთლიანად აგნაპნე, ერთიც არ დამიტოვებია.

ბელო (გალიმებას ცდილობს) — რა ჯანდაბად გინდოდა?

ტახო — ტრასაზე გავედი, მანქანებს დაეუშინე, გაასწორა მაგრად. ორი პარპრეზი ჩავამსხვრიე, აზრზე ხარ?

ბელო — ბილიარდს ხომ ერთად ვთამაშობდით, საკუთარ კაიფში ჩააფურთხე?

ტახო — რომ მიგებდი?!.. აბა, რა გეგონა! ჰოდა, ეხლა, პატიებას გთხოვ, მაპატიე ძმურად... თანაც არ იმოკვებოდა ეს ბურთულები, დეფიციტი იყო.

(პაუზა)

შენი რიგია, რად გაჩუმდი, ისევე მე ვთქვა?

ბელო — თქვი.

ტახო — რალაცა კონკურსში რო მიიღე მონაწილეობა, სამსახურთან დაკავშირებით, აი, ამერიკელებს რო დაჭირდათ მძღოლები, თვეში 500 დოლარი და მთელი ამბები.

ბელო — ჰო, მინიმალური 500 დოლარიო.

ტახო — მოვიდა რალაცა წერილი, გწერდნენ, გამარჯვებული ხარ და აბა შენ იციო, მოსვლა არ დააგვიანოო, ორ დღეში გამოცხადდით. ვერ გაგიმეტე მძღოლობისთვის, ავიღე ის ქალაქი და... თანაც ფალარათი მქონდა იმ დღეს, არ ვიცი, რამ მანყინა. მოკლედ, ნანა კიტოვანისა არ იყოს, ვერც მაგ ინფორმაციამ მოაღწია შენამდე.

ბელო — როგორც შენ ლაპარაკობ, მაღლობა მეთქმის, მე და მძღოლი? იქ წადი, აქ მოდი, არ დალიო, არ ისუნთქო...

ტახო — კარგია, რო სწორად გამიგე. რა მაგის პასუხია და მირიანაშვილმა რო მიგბეგვა, გახსოვს? არადა, მაშინ ცამეტი-თოთხმეტი წლის ლანჩაკი ძლივს იქნებოდა, შენ კი უკვე კარგი მუტრუკი იყავი. მანდაც ჩემი ხელი ერია, მე ვუთხარი იმ ნაბიჭვარს, შენს გარდაცვლილ დედას ბელო ჟიმავედა-მეთქი.

ბელო — ლამის თვალი ამომიგდო „ზუბილით“ იმ ლანჩაკმა.

ტახო — ე.ი. დედა ძალიან ჰყვარებია. მაპატიე, მაპატიე **(ამოიბღველებს)**, თუ შეგიძლია!

ბელო — დამშვიდდი, ძმაო, რა ხმებს უშვებ!

ტახო — დავმშვიდდები, აბა რას ვიზამ, მე სასიკვდილე, სხვა რა დამრჩენია! მეტი რა გავიხსენოთ?

ბელო — ეხლა მე გავიხსენებ.

ტახო — ბრძანეთ, ძმობილო.

ბელო — ერთხელ, ლუდის კათხაში ჩავიფსი. ისე გემრიელად გამოწრუპე, ავ თვალს არ ენახებოდა.

ტახო — როდის იყო ეგ ამბავი?

ბელო — როგორც დავიწყეთ დაღევა, მაშინვე მომივიდა ეგ აზრი თავში. საავადმყოფოში რო დაგვანვინეს, მაგ პერიოდში იყო. შენ გლანდები დაგიჩირქდა და მამაჩემმა, ბარემ ერთად ამოიჭრანო, მეც საავადმყოფოში შემომავდო კინისკვრით. ჰო, ზუსტად მაგ პერიოდში იყო. მაპატიებ, ძმაო?

ტახო — მე კი, მთელი ცხოვრება შენს არაყს მივირთმევ. დავლევ ნახევარს, გადავავსებ წყლით და ვარ ბედნიერად. აი, შენ, მართლაც ძმაო, ზუსტად იმ საავადმყოფოს შემდეგ, არყის გემო არ გაგიგია.

ბელო — იმედია, გრძნობ დანაშაულს.

ტახო — რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. ამ ნაბოზრის შარდი რამ დამალევინა?

ბელო — რაო?

ტახო — რაღა თქმა უნდა-მეთქი.

ბელო — ე.ი. პატიებას მთხოვ, არა?

ტახო — გთხოვ, აბა, რა ჯანდაბას ვაკეთებ?

ბელო — ძალიან კარგი, ძალიან კარგი. თუმცა არ ისმის მთლად დამაჯერებლად.

ტახო — მიდი, რა! შენ თუ!.. არა, ჩუმად ვარ, ვისუსები. მაპატიე, რო მთელი ცხოვრება შენს არაყს ვუბაგუნებდი. უკაცრავად, რო მთხლეს გალევინებდი. დიდი ბოდიში, ბატონო. ისე კი, განზავებული უფრო სასარგებლო ყოფილა ჯანმრთელობისათვის, როგორც გამიგონია.

ბელო — შარდის დაღევაც სასარგებლოაო, სულ ამას წერენ, ალბათ ამიტომაც ხარ ხარივით ჯანმრთელი, მაგრამ მაინც მიგუტევით ერთმანეთს, არაჰიგიენურია ბოლობოლო. მოკლედ, გამოვიდა, ერთ მშვენიერ დღეს, შენი კოხტა რიჟიკა სპორტულ მოედანზე, პირში გაჩრილი კალმით, მაგას ხომ ეგ ჩვევა ჰქონდა! გამოვიდა და... ნითური თმა მოდაზე დაეყენებინა, ის ოხერი ჭორფლიც უხდებოდა... ჰოდა, როგორც მახსოვს, მეორე დღეს დისკოტეკაზე აპირებდით წასვლას... მოკლედ, თავი ვერ შევიკავე, იდაყვზე გავკარი ხელი და რის ცეკვა, რა დისკოტეკა, კალამი ეგრევე გლანდებში გაეჩხირა, გაეკვეხა. გაეკვეხა, ძმობილო და გადაეყარა კიდეც იმ ჩოყლაყ ექიმს. საავადმყოფოს მერე, როგორც ვიცი, ძალადაც არ გაგდებდა.

ტახო — ჰო, მაგის მერე დავშორდით.

ბელო — შურმა ამირია გონება, მხოლოდდამხოლოდ შურმა.

ტახო — შე, ნაბოზვარო!

(თეფშს ესვრის, ხელით მიწვდომას ცდილობს)

შე, მართლა ნაბოზვარო!

ბელო — მაპატიე, მაპატიე!

(წერილზე უთითებს)

მამა იობის ხათრით მაპატიე!

ტახო — გაგსრისო მატლივით? გამოგაყრევიწო ნანლავები?

ბელო — დამშვიდდი, დაწყნარდი, გონს მოდი, ძმაო ჩემო!

(მაგიდას ურბენენ გარშემო)

ტახო — მიყვარდა ეგ გოგო, ყველას მერჩია! ეხლა ცოლ-ქმარი ვიქნებოდით, შენ რო არ ჩაგეშალა ეგ ამბავი!

ბელო — რა ვიცი, რა ეშმაკი შემიჩნდა! ისე ჰქონდა ის კალამი გაჩრილი, თითქოს იხვენებოდა, გადამაყლაპეთო.

ტახო *(წყვეტს სირბილს, სიბრაზისგან კანკალებს)* — რო მომკვდარიყო? რო გაეფშკა ფეხები?

ბელო — მაგაზე არ მიფიქრია, სიმართლე რო გითხრა! დაწყნარდი, თეფშები აღარ გადაყარო, ფული ღირს, დამშვიდდი! ორივენი უნდა დავმშვიდდეთ, ნუ აინყვიტე! მამა იობის ტანჯული სული გახსოვდეს!

ტახო — შეეშვი იმ უბედურს. ლამის მომიკალი საცოლოე და დამშვიდდიო, გაიძახი, როგორ დავმშვიდდე?

ბელო — ძველი ამბავია, პატიებას გთხოვ, მეტი რა ვქნა!

(მუხლებზე დაეცემა, შუბლს იატაკს ახლის)

მაპატიე, მაპატიე, მთელი გულით გთხოვ პატიებას.

(დგება, მაგიდასთან იკავებს ადგილს)

ელამი იყო, შაშიბეშა, ნეტა რა გოგო იყო, ვისი გულისთვის მტანჯავ?

(არხეინად იწყებს ჭამას)

ტახო — არავითარი შაშიბეშა, მაგარი გოგო იყო, თვალელებიც კარგი ჰქონდა და ტანიც.

ბელო — სქელტრაკა იყო.

ტახო — ბოღმა და შური გალაპარაკებს.

ბელო — კარგი, დაწყნარდი, ეხლა შენი რიგია.

ტახო — რაა?

ბელო — შენი რიგია-მეთქი. შანსს ნუ გაუშვებ, გადამიარე შენებურად.

ტახო — გადავიარო?

ბელო — ზუსტად.

ტახო *(ღიმილით მიუჯდება მაგიდას)* — სჯობია გაგჩუმდე.

ბელო — დამშვიდდი?

ტახო — ასეთი მშვიდი არასდროს ყოფილვარ, კარგი ყოფილა გულახდილობა.

ბელო *(გაკვირვებულია)* — კარგი ყოფილა, არა?

ტახო — ძალიან.

ბელო — მართალი ხარ. აი, კალამზე მოგიყევი და ამლამ ტკბილად დამეძინება, ლოდი მომესხნა გულიდან, შენ ალბათ აღარაფერი დაგრჩა მოსანანიებელი!..

ტახო — მოსანანიებლის მეტი რა მაქვს!

ბელო — სერიოზულია რამე? კალმის ამბავზე უფრო სერიოზულია?

(ტახო ორაზროვნად იღიმება)

თუმცა, რა უნდა იყოს მასეთი სერიოზული?!

ტახო — არ ვიცი, არ ვიცი, ვერაფერს ვიტყვი, ყველაფერი შედარებითია.

ბელო — ნამდვილად.

ტახო — გახსოვს, ყველა ფიქრობდა, კიშკას ძმამ აახია ყურები საცოდავ ძაღლსო, შენს ლესიზეა ლაპარაკი.

ბელო *(დარწმუნებით)* — არ თქვა, მე გავაკეთეო, არ დაგიჯერებ.

ტახო — კიშკას ძმა არაფერ შუაშია.

ბელო — მაშინ მხოლოდ შენ რჩები, სხვა ვერ იზამდა.

ტახო — ჩავათრიე ხევში, ცალ ხელში შენი დიდი მაკრატელი მეჭირა, მეორეში — საყელური. რაც მაგან იქ ინკნავლა და ინკმუტუნა!.. ისეთი დებილი ძაღლი იყო, კბენა აზრდაც არ მოსვლია, რო ეკბინა, გავუშვებდი. წენაოდა, სანამ საქმე ბოლომდე არ მივიყვანე, თითქმის მაიძულა, რა! დავაჭერი ყურები და დავტოვე აღნავლებული.

ბელო — არა მჯერა, ნაღდად არა მჯერა! ასე არ გამოვა, ტყუილების მოგონებას არა ვართ. ყველამ იცის, კიშკას ძმა თვითონ ყბედობდა, მე გავაკეთეო.

ტახო — დამამტკიცებელი საბუთი გინდა?

ბელო — უეჭველად... და თანაც სასწრაფოდ.

ტახო — სასწრაფოდ არ გამოვა.

(დგება, ოთახისკენ მიდის)

დრო დამჭირდება.

(ბელო დამცინავი მზერით გააცილებს. ტახო მალევე ბრუნდება, ცელოფანის პარკიდან ძაღლის ბანჯგვლიან ყურებს იღებს და ძმას თავზე აწყობს, მერე ფლომასტერს აწვდის)

აი, შენი ფლომასტერი, შეგიძლია ლესის ყურებს შენი ინიციალი დაანერო. სამწუხაროდ, სამუყუყუედ არ გამოდგება, მაგრამ ალბათ მაინც გამოიყენებ რამეში.

ბელო — ეს რა არი?

ტახო — მაპატიე თუ შეგიძლია, მაპატიე! მთელი ჩემი დამპალი სულით გთხოვ პატიებას! მონანიება თუა, მონანიება იყოს!

(ბელო წელი ნაბიჯით მიდის კარადასთან და იღებს დიდ დანას, ამასობაში ტახო ასწრებს თოფის ჩამოსხნას და სავარძელში ჩაჯდომას. მაგდისკენ შეტრიალებული ბელო თოფის დანახვავზე ოდნავ შეცბება, მაგრამ მაინც უახლოვდება ძმას)

ბელო, რა ჩაიფიქრე?

ბელო — ისეთი არაფერი, ღორივით უნდა დაგკლა!

ტახო (თოფს მიუშვებს) — დადე დანა ადგილზე!

ბელო — ჯერ თავს წაგათლი!

ტახო — თოფს ვერ ხედავ?

ბელო (ისე უახლოვდება ძმას, რომ ლულა მკერდზე ებჯინება) — სანყალი ლესი, სანყალი ლესი!

(დანას გაიქნევს)

ტახო — მორჩი დანის ქნევას, არ მომხვდეს!

ბელო — რას ერჩოდი იმ საცოდავს, ყველას ელაქუცებოდა, ყველას ეფერებოდა!

(დანას იქნევს)

ტახო — მორჩი, ბელო!

ბელო — რას ერჩოდი, გამაგებინე!

ტახო — რას ვერჩოდი და იმას ვერჩოდი, რო შენ უფრო უყვარდი იმ ძაღლიშვილს!

ბელო (უკან იხევს) — კარგი, მასე იყოს, არ დაგკლავ!

ტახო — სწორია, იობის წერილზე უნდა ვიფიქროთ.

ბელო (ისევ გაიქნევს დანას) — რას მიჰქარავ! ძაღლი წამებით მომიკალი და ეხლა რაღაცა წერილზე მელაპარაკები?

ტახო — ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა, მაშინ არ ვაპირებდით ახლებურად ცხოვრებას.

ბელო — იქნებ დაგკლა მაინც? იქნება მაზოხისტი ნაბოზარი ხარ?

ტახო — ხო იცი, დაგაჭედებ უეჭველი!

ბელო — მიმიფურთხებია, გაიგე? მიმიპურჭყებია!

ტახო — დანყნარდი, გენაცვალე, დამშვიდდი.

ბელო — რა დამამშვიდებს, რა დამანყნარებს?!

ტახო (თოფს ღუმელისკენ მიმართავს) — არც ეს დაგამშვიდებს?

ბელო — ღუმელს მოეშვი!

ტახო — დამარტყი, კი, ბატონო, დამარტყი და ნახავ, რა დარჩება შენი ღუმელისაგან!

ბელო — რას მიედმოედები, 300 დოლარი მაქვს მაგ ღუმელში გადახდილი.

ტახო — მით უკეთესი.

ბელო — ბოზურად იქცევი.

ტახო — მაშინ დანა მოაშორე.

ბელო — ღუმელი რა შუაშია?

ტახო — დანა რა შუაშია?

ბელო — ოხ, შენი, ოხ, შენი, ნაბოზარო!..

ტახო — რა „ოხ შენი“ აგიტყდა, ენა გაგეჩხირა გლანდებში?

ბელო — თესლო, თესლო, თესლო!

ტახო — ჰო, ჰო, გააგრძელე! რა თესლო?

ბელო — რა და შენი დედაც!.. შენ ადამიანი არ უნდა გერქვას, შენ!.. აი, შენ!

(დანას გაიქნევს, წარმოსახულ ადამიანს კაფავს)

აი, შენ! ღორი ხარ, მართლა ღორი ხარ!

(სახეზე უეცარი შიში გამოეხატება)

ნაღდი ღორი ხარ! ვაიმე, მართლა ღორი ხარ!

(უკან იხევს შეშინებული)

ღორო! ღორო!

ტახო — გეშინია, შე ქვეშაფსია? კრუნჩხვები დაგემართა შიშისაგან? ახია შენზე!

ბელო — ღორო, დაიკვლები ადრე თუ გვიან, დაიკვლები!

(პაუზა)

ტახო — დანყნარდი?

(ბელო ჩაჯდება, სახეს ხელებში ჩარგავს)

დანყნარდი?

ბელო — კარგი, მასე იყოს.

(კარადისკენ წავა)

მასე იყოს.

ტახო — მშვიდობა სჯობია, არა?

ბელო — სჯობია.

(დანას კარადაში შეინახავს, მაგიდასთან თავის ადგილს უბრუნდება და ძაღლის ყურებს დაჰყურებს)

ტახო — დანა აღმართე და ვისზე, საკუთარ ძმაზე? უნამუსობაა!

ბელო — შენ არა მარტო აღმართე, მამა და საყვარელი ძაღლი — სანყალი, უწყინარი ლესი მომიკალი!

ტახო — საკუთარ ძმას დანას ურტყამდი!

ბელო — თოფი დადე და ისე მელაპარაკე, არ გაგივარდეს!

ტახო — არ გამივარდეს?

ბელო — ალბათ დამცველზეა!

ტახო — დამცველზეაო, ამბობ; დარწმუნებული ხარ?

ბელო — ჰო, ჰო, დამცველზეა-მეთქი, გეკითხები!

ტახო — მეკითხები, არა?

(ტყვიას ისვრის, ღუმელის ნახევარი იმსხვრევა. ბელო მუხლებზე ეცემა, თავზე ხელს შემოირტყამს, ტახო წამოდგება და მეორედაც ისვრის, ღუმელი მთლიანად ნადგურდება)

დამცველზე არ ყოფილა, ხედავ?

(ტახო არხეინი გამომეტყველებით ჯდება სავარძელში, ბელო ისევ დაჩოქილია)

და იცი რას გეტყვი? ამოვიდა ყელში ეს შენი ზოოფილოზა!

(გიჟივით წამოიჭრება და კონდახით ამტვრევს ძაღლების ფიგურებს. ნამტვრევები ოთახში იფანტება. სასონარკვეთილი ბელო ვერ ახერხებს ძმის შეჩერებას)

არ თქვა, არ ვიყავი ამის ღირსიო.

(ტახო მაგიდასთან მოიკალათებს და დამცინავი სახით მიაჩერდება ძმას)

დაიმსახურე ეს ყველაფერი.

ბელო (ჩამწყდარი ხმით) — ძაღლებმა რა დაგიშავეს?

ტახო — შენს ძუკნას მახსენებდნენ, შენს ლესის.

ბელო — ღუმელიც დაანგრე.

ტახო — მხეცი თოფია, ღუმელებს ანგრევს.

ბელო — მხეცი თოფია, მაგრამ ტყვიები აღარ დევს შიგ.

(ბელო კარადას მიეჭრება, დანას დასტაცებს ხელს. აქეთ ტახო ამოყრის დაცლილ ვაზნებს, ჯიბებს მოიქეჩავს და თოფს წამში გადატენის. შაყურებლისთვის უცნობია, თოფში აწყვია თუ არა ვაზნები)

არ არი შიგ ტყვიები, ტყუილად ფაციფუცობ.

ტახო — შეიძლება არც არი, ვინ იცის! თუ გინდა, შევა-მონმოთ.

ბელო (დანით დაადგება თავზე. ტახო თოფს მიუშვერს) — უეჭველად უნდა შემონმდეს.

ტახო (დამცინავი ღიმილით) — რაღას ელოდები, გაიქ-ნეი ხელი!

(პაუზა)

ბელო — დროა, წირვა გამოგიყვანო!

ტახო — ნუ ყბედობ, იმოქმედე!

ბელო — არა ხარ სიცოცხლის ღირსი!

ტახო — შესაძლებელია.

(პაუზა)

რაღას უცდი, დამარტყი დანა!

(თოფს იატაკზე დებს)

აი, თოფი დავდე, რიღასი გეშინია?!

ბელო (დანას შეათამაშებს და მაგიდაზე მიაგდებს, მერე ჯვარცმასთან გაკრულ წერილს შეეხება) — გული მიგრძ-ნობს, ამ წუთებში იობი კვდება.

ტახო — ვინ ეხვეწებოდა ფსონის ჩასვლას? თანაც რა ფსონის, სულზეა ლაპარაკი. ღვთისმსახურისთვის, საერ-თოდ, თამაშია აკრძალული, ეგ კი, ადგა და ჩვენს იმედზე წყალში გადაეშვა. ეგ ჩვენ რას გვიყურებს, ხანდახან რო ვჩხუბობთ და ვიგინებით, მაგით ფუჭდება რამე? ჩხუბი რით არი ცუდი?

ბელო — რა, კარგია?

ტახო — ჩხუბი სიყვარულის მეორე მხარეა, აი, რა არი ჩხუბი. იობს ამისი არაფერი გაეგება. არ ვიცი, თავის დრო-ზე ჯიბეგრობდა თუ ხულიგნობდა, მაგრამ ეხლა რასაც ვუ-ყურებ, ნაღდი დედიკოს ბიჭია.

ბელო — ისე, კაცმა რო თქვას, ზოგჯერ მართლაც კარ-გი რამეა ჩხუბი, მაგრამ როცა ძალს გიკლავენ და ზედ მა-მასაც მიაყოლებენ, ეს უკვე ნაღდი უდამპლესობაა.

ტახო — მაგაზე ბოდიშს გიხდი, სულითა და გულით; მა-პატიე, ახალ ძალს ვიყიდი, თუ გინდა. იობი არაფერ შუა-შია, ბოდიშს მაინც მოგიხდის, ადრე თუ გვიან. იგივე ეხე-ბა ღუმელს და სტატუეტებს, ბოდიში, ბატონო. მყრალი ხასიათი მაქვს, ფხუკიანი, იმიტომაც გიხდი ბოდიშს. თუ არ განყოფს, აიღე ეგ დანა და დამარტყი, წინააღმდეგობას არ გინევე.

ბელო (პაუზის შემდეგ) — ლამის გავსკდე გულზე.

ტახო — მესმის.

ბელო — გამოუსწორებელი ნაბოზარი ხარ.

ტახო — გეთანხმები.

ბელო — და მართლა გრძნობ დანაშაულს?

ტახო — ვგრძნობ მთელი 100 პროცენტით, არა — 1000 პროცენტით.

ბელო — მაშინ მამა იობი შეიძლება არც კვდებოდეს ამ წუთებში.

ტახო — შეუძლებელი არაფერია.

(პაუზა)

ბელო — არ არი ცუდი კაცი.

ტახო — გეთანხმები.

ბელო — არც გადასარევიია, მაგრამ ცუდიც არ არი.

ტახო — ჰო, რაღაც საშუალოა.

ბელო — რა დონეზე გვენდობა, წარმოგიდგენია? საკუ-თარი სული გვანდო კაცმა.

ტახო — ეგრე გამოდის.

(წამოდგება)

სადმე კაფეში შევალ, ცოტას კიდევ ჩავარტყამ, შემომი-ერთდები?

ბელო — ნადი, დაგეწევი.

(ტახო გასასვლელისკენ მიდის, ბელო დარდიანად დაჰყუ-რებს ნამტვრევებით მოფენილ იატაკს)

ტახო — მერე ერთად დავალავთ. ნებო თუ დაგრჩა, ზოგიერთი ფიგურა იქნებ შევანებოთ კიდევ.

ბელო — ნებო დამრჩა, მაგრამ ხუფი დამეკარგა სადღაც, გაქვავდებოდა.

ტახო — ეგ ძველი ამბავია ნებობთან დაკავშირებით.

ბელო (ყოყმანით) — შავი დღისთვის ცოტა ფულიც მაქვს გადანახული, ახალი ღუმელი ხომ არ გვეყიდა?

ტახო — ფული გაქვს გადანახული?

ბელო (გალიზიანებით) — რა, არ უნდა მქონდეს?

ტახო (პაუზის შემდეგ) — თუ ეგ ფული სარდაფში, ორ კაფელს შორის იყო გაკვეხებული, უკვე დახარჯუ-ლია. ვიფიქრე, წინაპრების დატოვებულ განძს მივაგე-ნი-მეთქი.

ბელო (ბელო თოფს აიტაცებს, ტახო გარეთ გავარდება. ბე-ლო გაკიდებას აპირებს, მაგრამ გადაიფიქრებს) — ხო დაბ-რუნდები სახლში, როდემდე ირბენ!..

(თოფს გადახსნის, ცივად გაიღიმებს)

მოუსწრია თოფის გატენვა მაგ ეშმაკის მოციქულს!

(ვაზნებს ამოიღებს, მაგიდაზე დაყრის)

ჩემი მოკვლა შეეძლო... როგორც ჩემი ძალი მოკლა, ჩემი ღუმელი მოკლა, მამაჩემი მოკლა.

(თოფს დადებს, ჯვარცმიდან იობის წერილს ჩამოგლეჯს, სანთებლას ანთებს წერილის დასაწვავად)

არარაობა ხარ, მამა იობ, არარაობა! არც შენი მჯერა და არც შენი ღმერთის!

(წერილს ცეცხლს უკიდებს და უმაღვე აქრობს)

ღმერთო, მაპატიე!


(პირჯვარს იწერს)

ღმერთო მაპატიე! ერთი პატარა ცოდვილი ვარ, პატარა ჭიანჭველა, მაპატიე! რა ვქნა, არაფრის შეცვლა შემიძლია, არც მქონია რამის შეცვლის შანსი, ვცხოვრობდი, როგორც მაცხოვრებდი და ვიცხოვრებ, როგორც მაცხოვრებ. მაპა-ტიე, ღმერთო, ჩემი უძლურება; ჩემს ძმასაც აპატიე, მამა იობსაც აპატიე. გვაპატიე, რო უსუსურობით დაგამახსოვ-რეთ თავი. *(წერილს ისევ ჯვარცმაზე ამაგრებს)* გვაპატიე, ღმერთო!

(ჯიბიდან ხურდა ფულს ამოიღებს, გადაითვლის და კარის-კენ წავა)

ღმერთო, თუ ამას რამე მნიშვნელობა აქვს, დღეს მეტს აღარ დავლევ... გეფიცები, წვეთს აღარ დავლევ.

(შორიდან ისმის ზარის რეკვის სუსტი ხმა. ბელო ჯვარც-მისკენ ტრიალდება, პირჯვრის წერით გადის სცენიდან. ზა-რის ხმა კიდევ უფრო სუსტდება, პარალელურად იკლებს გა-ნათებაც, სინათლის სხივი მხოლოდ რამდენიმე წამით შეჩერ-დება ქრისტეს სხეულზე)



მამუკა ნიკალური

გოდება

1. დასაწყისისთვის

რევოლუციის მოახლოება
 მე სამი ნიშნით მენიშნაო, –
 წერდა დღიურში ალექსანდრ ბლოკი
 და იქვე კიდევ ჩამოთვლიდა მისტიკურ ნიშნებს:

ახალგაზრდობა ძიუღოზე გადაირია –
 უხეში ძალის ისტერია მოედო ქალაქს;

სულ აითქვიფა საზომები და სანონები –
 გმობდნენ პუშკინს და აღმერთებდნენ სევერიანინს;

და პეტერბურგში ყვავ-ყორანი ისე გამრავლდა,
 ცა აღარ ჩანდა.

...
 ჩემთვის კი ასე იწყებოდა ახალი წარღვნა:
 ქალაქის ცაზე კუდიანი ვარსკვლავი გაჩნდა –
 ენთო, ინვოდა, გრძელი კუდი ულაპლაპებდა.

ასტრონომებმა თქვეს ჩვეული თავდაჯერებით:
 – ასტეროიდი მოდის ჩვენკენ, მაგრამ აქამდე
 ვერ ჩამოაღწევს, ატმოსფეროს შეასკდებო;

არ დაუჯერეს ასტრონომებს ფატალისტებმა:
 – ნაბრძანებია, დედამინა უნდა აფეთქდეს
 და ეგ ვარსკვლავი წარღვნასავით დაგვატყდებო;

ხოლო პირიმზის დასტურებმა კურატის ბეჭში
 გაიხედეს და „ღვთის ნაწერი“ ამოიკითხეს:
 – რქიანი დევი ჩანოლილა ბეჭის ბრტყელობში,
 სისხლში წევს დევი, პირიდანაც სისხლი გადმოსდის.

ქადაგებმა კი გამყინავი ხმით დაიკვივლეს:
 – ცეცხლის გველები წამოვიდნენ ჩრდილოეთიდან,
 ცეცხლით და ქარით დავიფერფლებ-დავილეკებით,
 გადმოექანა კუდიანი ვარსკვლავი ჩვენკენ,
 დაასრულებენ ჩვენს სიცოცხლეს ცეცხლის ქარები.

...
 ჩემთვის ამგვარად იწყებოდა ახალი წარღვნა –
 ცოცხალთა ჩასვლა მინაში და მკვდრების ამოსვლა.
 ...ჟამი წურავდა ათას ცხრაას ოთხმოცდათერთმეტს
 და უსასრულო მზებუდობის ჟამი დგებოდა.

2. ტკივილებისთვის

დამსუსხეს ტინქრის ქარებმა, დამხრამეს
 ცრემლის წვიმებმა,
 აღარც ხმლის ქნევას აქვს აზრი, არც – ისრის ასისინებას,
 ნუთუ არ ჩასთვლემ ტკივილო, ნუთუ არ დაგეძინება!

...
 ზოგჯერ მგონია, ჩემს თავს ვეომე
 და ჩემი მტრებიც საკუთარ თავს ეომებოდნენ.
 ეს ტკივილებიც იმ უაზრო ომმა დაბადა,
 ისინი უცებ შემოცვივდნენ ლტოლვილებივით –
 მიუსაფარნი, დაელდილნი, დაშინებულნი
 და ჩემს ტკივილში ტკივილების სამეფო შექმნეს.
 ყველაზე უფრო საშინელი ჩემი რწმენაა –
 მე აღარ მჯერა, ძველი მთვარე კვლავ თუ ამოვა
 და ჩემს ჭალებში ადრინდელი უდარდელობით
 გამწკრივდებიან მთვარიანი საღამოები;
 არ მნამს, ძველი მზე თუ ამოვა და მწვერვალებზე
 ოქროს ქალივით გადმოდგება დილა მზიანი...

...
 დამსუსხეს ტინქრის ქარებმა, დამხრამეს
 ცრემლის წვიმებმა,
 აღარც ხმლის ქნევას აქვს აზრი, არც – ისრის ასისინებას.
 ნუთუ არ ჩასთვლემ ტკივილო, ნუთუ არ დაგეძინება!..

3. აფთრებისთვის

გამოიღვიძა დილით აფთარმა,
 მყრალი სოროდან გამობობლდა და მთელ ქალაქში
 სანამლავივით გააბნია ლალატის სუნი.

...
 გადაიხედე, ფანჯრიდან რა ჩანს –
 მთები გოდებენ, მთვარე გოდებს, პოეტი გოდებს;
 რაღაც მდუმარე საგოდებლით გოდებენ მთები,
 საგოდებელის შავ ღრუბლებში იხრჩობა მთვარე,
 და უკანასკნელ მწარე ლექსში კვდება პოეტი.

გადაიხედე, ფანჯრიდან რა ჩანს –
 დაურაზმია წვირიანი აფთრები სიკვდილს
 და ჩვენი დედაქალაქისკენ საომრად მოჰყავს.
 ჯარის ერთ ფლანგზე რამკიანი ქურდები დგანან,
 ხოლო რამკიან არტიტებსა და რეჟისორებს
 მოსკოვისაგან მონიშნული ფლანგი უჭირავთ.
 ხვალ-ზეგ ჩამოვა „რამკიანი პოლიტიკოსი“
 და ეს ქალაქი შეცურდება რამკიან დროში.
 მოგხვდეთ, ღმერთო! – უსასოო ლოცვით ვლოცულობთ...
 თუმც... ესეცაა, უფალი ხომ ყველაფერს ხედავს –
 და რაღა ჩვენი ვედრება და მოთქმა სჭირდება?!

4. წაქვლინათვის

...ველარც ვტირით, თითქოს დაშრა ცრემლიც, ვინ დაგვწყევლა ამ უწყალო წყევლით?!

...
 ჯერ სიმართლეს ესროლეს, გულში დასჭრეს სიმართლე, მერე მაცულის თოფი სინდისისკენ მიმართეს, ბოლოს ღმერთიც მოკლეს და ტვინში ჩაქრა სინათლე. ჰო, ჯერ სიმართლეს გადაუჭრეს მთავარი ძარღვი და სისხლის ნაცვლად ჭრილობიდან სიმართლე წაგვსკდა; მერე სინდისზე გადამართეს თოფის ლულები და ჭრილობიდან, სისხლის ნაცვლად, სინდისი წაგვსკდა; ჩვენს „პლატფორმაზე“ არ არისო – ღმერთსაც ესროლეს და სისხლის ნაცვლად, ჭრილობიდან უფალი წაგვსკდა...
 აი, ეგ იყო, რაც იყო და დავიცარენით – მეზავრმა დაკარგა გზა და მეგზური – მიდიოდა და არ იცოდა, სად მიდიოდა. გაღმი-გამოღმას სიძულვილის მდინარე ყოფდა. ის სიძულვილი ღრუბელივით დარჩა ჩემს გულზე – თითქოს სიზმარი, ბუნდოვანი სიზმარი, ვნახე – მოკლეს სიმართლე, სინდისი და მოკლეს უფალიც. მერე რაც მოხდა, პატარებმაც კარგად იციან – უპატრონო ცხვარს შეეყარა მშვიერი მგელი...
 ...

ველარც ვტირით, თითქოს დაშრა ცრემლი, ვინ დაგვწყევლა ამ უწყალო წყევლით?!

5. კომუნიათვის

ვულკანებსაც დევებივით სძინავთ, ბოროტებით ნაქეიფარ დევებივით თვლემენ. გაიღვიძებენ, მძიმე საბნებს გადაიძრობენ, ცხელი დორბლივით ამოღვრიან მაგმას და ლავას, მერე კი ისევ თავის დორბლში ჩაყურდებიან...
 – ნეტა ვიცოდე, ამ ჩვენს ქალაქში რა სიბინძურის ვულკანები ამოიღვარენ? საიდან გაჩნდნენ დორბლიანი შურისმგებლები? – ამ კითხვად ვიქეცე, ვეკითხები ამვლელს და ჩამვლელს, ცას ავძახი და მიწას ჩავძახი... მხოლოდ იასე ხევისბერმა დამიგდო ყური და თქვა პასუხად:
 – ეს სიბინძურე კომუნიზმის გვამიდან გაჩნდა, ნუთუ არ გეცნო, კომუნიზმის სუნია იგი. დგას ეს სიმყრალე, ქალაქი კი არ ნიავდება – ქუჩებს გაუჩნდა სიმხდალის და ღალატის სუნი, იის სუნი და ვარდის სუნი ჩაკლა ამ სუნმა. ამასაც ჩვენი ხევისბერის აჩრდილი ამბობს:
 – ცა ჩაიკეტა, ველარ ადის ლოცვა ზეცაში, ჩვენივე ლოცვა კრისტალდება ცაში ყინულად და ძირსვე ცვივა.
 ზეცის სიღრმისკენ აღმავალი გზა ჩაიკეტა, ზეციურ გზებზე კომუნიზმის სიბნელე ჩანვა.
 – აკი, წავიდა კომუნიზმი, აკი, მოკვდაო?
 აკი, თავისსავ ბოროტ ცეცხლში ამოინვაო?! – კითხულობს ვილაც, გულუბრყვილოდ გაკვირვებული.

– წავიდა, მაგრამ შემობრუნდა, ისევ აქაა! – ისევ იასე ხევისბერის აჩრდილი ამბობს: ის კიდევ ბევრჯერ მოვა-წავა, მოვა და წავა, ის კიდევ ბევრჯერ დაბრუნდება უკანა კართ, დიდხანს არ გავა მისი სუნი ამ ქალაქიდან.

6. განწყენისათვის

„საქმიანი“ ენები, უსაქმური მკლავები, დაბერილი მუცლები, დაჩუტული თავები – ამ ეშმაკის მახეში ჩვენი ნებით გავებით..
 ...
 დაცარიელდა ეს ქალაქი, დაიცალა სილამაზისგან „პოლიტიკური“ ღრიალის და ყრიალის შემდეგ, ენების ფრიალ-სრიალის შემდეგ დარჩა გამომშრალ-გამონურულ-გამოფიტული; ცარიელია ეს ქალაქი, დაიცალა სიყვარულისგან – აღარც წარსულის სიყვარულში უდგას ფესვები და არც მომავლის მზის ამოსვლას ხედება ზეიმით; დაცარიელდა ეს ქალაქი, დაიცალა სურვილებისგან – მხოლოდ და მხოლოდ წამლეკავი თქემის მოვარდნის და ნიაღვრების აღქაფების სურვილი დარჩა, რომ ჩაირეცხოს მოედნები და გამზირები, რომ ქუჩებიდან ნაიშალოს მაცულის კვალი, რომ ჩამოიქცეს მერეხი და ჩააქროს ცეცხლი – შუა ქალაქში ავსულებს რომ აულამპრიათ... ამ ნატვრითაა გაუღენთილი ახლა ქალაქი, თუმც... ზოგჯერ ვფიქრობ, ერთადერთი, ვინ იცის, მე ვარ, ვისაც ეს ნატვრა გულისფიცარს უმტვრევს შუბივით.
 ...
 „საქმიანი“ ენები, უსაქმური მკლავები, დაბერილი მუცლები, დაჩუტული თავები – ამ ეშმაკის მახეში ჩვენი ნებით გავებით.

7. მაცილისათვის

ამ მთებს რა უჭირთ! – ნისლები აქვთ შემობურვილი, ხეებს რა უჭირთ! – შეხვენილან ფოთლების ნისლში; მე რა ვუნამლო შიშველ სულს და შიშველ ტკივილებს?!
 ...
 სასწაულები? – სასწაულებს ვინ არ იგონებს! – ზოგს ღვთისმშობელი ეცხადება, ზოგს თვითონ ღმერთი, ზოგ-ზოგი უცხოპლანეტელებს ხედება პურ-ღვინით... მე კი მაცილი დავინახე – ტანკში იჯდა და ავტომატი ეჭირა ხელში, დედაქალაქის მთავარ გამზირებს აკონტროლებდა და „აჯენდა ტყვიას ტყვიაში“. ადვილი იყო ამ ქალაქში მისი მოძებნა – სადაც ის იყო, სისხლის კვალიც იქ მიგიყვანდა. დიახ, მაცილი დავინახე – ტანკში იჯდა და ავტომატი ეჭირა ხელში, მაგრამ... აქ მაინც არ მთავრდება სასწაული და როცა მაცილი მიიცვალა, შემოკრბნენ ძმანი და კელაპტრებით გაასვენეს კათედრალიდან.

...
 ამ მთებს რა უჭირთ! – ნისლეები აქვთ შემობურვილი;
 ხეებს რა უჭირთ! შეხვენილან მწვანე ნისლეებში;
 მე რა ვუნამლო შიშველ სულს და შიშველ ტკივილებს?..

8. სამშობლოსათვის

ნელ-ნელა ვკვდები – რა ძნელია ასეთი კვდომა!
 მომეცით თოფი ან ხანჯალი – ერთბაშად მოვკვდე!

...
 ამ დღეების და ღამეების ცრემლი და კვნესა
 შეიკრა ერთად, ერთ ტკივილად ჩამოყალიბდა
 და ერთი სიტყვის სახურავქვეშ გაერთიანდა.
 ეს ერთი სიტყვა არის „სამშობლო“ –
 ჩვენი სამშობლო – ჩემი და შენი.
 ეს სიტყვა ახლა ბარბაროსთა ურნალებისგან
 ნაქცევულ ციხის ექოსავით გუგუნებს გულში
 და ადუღებულ ტყვიასავით ეღვრება სმენას.
 უკიდევანო და მიძიმა ეს ერთი სიტყვა
 და მიკვირს იგი სამყაროში როგორ ეტევა?!
 თუმცა.. ხომ ეტევა ისტორია სულაც ერთ ნიგნში!
 მზე ხომ ეტევა ტელესკოპის სამზერ მინაში!
 ხომ ეტევიან ვარსკვლავები წყლის გუბებში!
 და ხომ ეტევა თერგის გრვინვა თერგის ჭალაში!
 ხომ ეტეოდა ერთ ქარქაშში ერეკლეს ხმალი!
 და რუსთაველი ხომ ეტევა ერთ პოემაში!
 და მთვარიანი ღამეებიც ხომ ისრუტავდნენ
 ალზევანიდან მომავალი მეურმის ურმულს!..
 დღეს კი ამ ყოვლის დამტვეველ და შემკრებელ სიტყვას
 მტვერი და ქარი შეესივნენ გასამტვერებლად,
 განადგურების ჰიმნს მღერიან მტვერი და ქარი
 მტვერი და ქარი ჩაეგრინენ ერთიმეორეს,
 ჩვენს ჩასანთქმელად წამოვიდნენ მტვერი და ქარი.

...
 ნელ-ნელა ვკვდები – რა ძნელია ასეთი კვდომა!
 მომეცით თოფი ან ხანჯალი – ერთბაშად მოვკვდე!

9. მკვლევანისათვის

ბევრს ესროლეს და ბევრს მიეყინა
 ტუჩებზე კითხვა: რატომ მესროლეს?
 ნუთუ ეს ღამე არასოდეს არ განათდება?!

...
 დღეს მოკლეს იგი – მაცილისგან გამოგზავნილი
 ბოლმის ცხენზე ამხედრებულნი
 გამოეკიდნენ, დაენივნენ, გზა გადაუჭრეს
 და იმნაირი გამეტებით ესროლეს ტყვია,
 ცოფიან მგელს რომ ესვრიან და ასამარებენ.
 შიშის, სიბნელის, უვიცობის ბრმა მორევიდან
 ისევ ახალი წამების მთა ამოიშართა
 და მოკლეს კაცი, რომელსაც ზეცის
 გასაღებები ეჭირა ხელში
 და ჩასძახოდა ყურში ყრუებს – ცას შეხედეთო,
 თეთრი გიორგის – თეთრი მთვარის ხმას მიჰყევითო...

და სწორედ სიტყვის სინრფელისთვის დასაჯეს იგი –
 იმას კი არა, მისგან ნათქვამ სიტყვას ესროლეს.
 მერე უკვირდათ – სისხლის კვალს ვერ მივაკვლიეთო.
 მართლებიც იყვნენ – სისხლი არ სდის ნატყვიარ სიტყვას
 და სიტყვები ხომ არცა კვდებიან!..
 არ გამეორდა, რაც ერთხელ მოხდა –
 მას არ გადმოსკდა სისხლი და წყალი...

...
 ბევრს ესროლეს და ბევრს მიეყინა
 ტუჩებზე კითხვა: რატომ მესროლეს?!
 ნუთუ ეს ღამე არასოდეს არ განათდება?!

10. მარცხლებისათვის

...აი, დაუდგა დრო მელასაც – ჩაბრძანდა მორჭმით
 მეფის ტახტში და მეფე ვარო, გამოაცხადა.
 ის მაშინ გაჩნდა, ქალაქი რომ მტრებად გაიყო,
 ქვასა და რკინას რომ ესროდნენ ერთიმეორეს.
 მაშინ დაუდგა დრო მელას და დაბრძანდა მორჭმით –
 ფეხი განვადა, ტყუილების კარტი გაშალა...
 საკუთარმა უგონობამ გააოგნა ქალაქი
 და სიცივის ჭრუნანტელმა დაუბერა ბეჭებში.
 იწყებს ახალი ჟამთაღმწერი ახალ „აღწერას“:
 – ეს ის დრო იყო, მეფის სკამზე მელა რომ დაჯდა,
 ეს იყო ხალხის ტოტალური გამოტვივება –
 თავისი სისხლი სხვისი სისხლი ეგონა ქალაქს...
 ...ახლახან ერთი ბიოლოგი შემხვდა და მითხრა:
 – თუ დააკვირდი, ჩვენს ქალაქში ამ გაზაფხულზე
 შავი მერცხლები (კლდის მერცხლები)

მოფრინდნენ მხოლოდ,
 ჩვენი გულთეთრი მერცხლები კი აღარ გამოჩნდნენ,
 ჩანს, სისხლიანი ბუდეები ველარ იგუეს.
 ...ზოგჯერ მეც ვნატრობ, გადამფრენი ფრინველი ვიყო –
 მეც ნავიდოდი, გავქრებოდი, გავიბნეოდი,
 გავეცლებოდი სისხლის სუნით გაჟღენთილ ქალაქს...

11. ბრძოსათვის

აგერ, ქუჩაში ღრიანცელის მდინარე მიდის
 „დემოკრატიულ“ ლოზუნგების ღრიალ-ღრიალით,
 „რევოლუციურ“ პლაკატების ფრიალ-ფრიალით:
 – ძირს დიქტატორი!
 – ძირს ფაშიზმი!
 – ძირს ჩაუშესკუ! –
 შეჰღრიალებენ კაცს, რომელიც მთელი სიცოცხლე
 სწორედ ფაშიზმს და დიქტატურას ეომებოდა
 და იგი ერთი პირველთაგანი
 იყო, რომელმაც კომუნისმის დროშა დაამხო...
 ქუჩაში დიდი ღრიანცელის მდინარე მოდის –
 „პოლიტიკური ლიდერები“ და „ბელადები“
 ბრბოზე სხედან და მას ვირივით მიაჭენებენ:
 – გაფრინდი, ვირო, თუ დავამხეთ, თუ ვიყოჩაღეთ –
 ქერ-სვილიანი თოფრა გელის ქუჩის ბოლოში...
 ეს რა ადვილად ატყუებენ ბრბოს, რა ადვილად!

პატარებსაც ხომ ატყუებენ, ხომ ადვილია, ბავშვს დააჯერო – ავტობუსიც პატარა იყო, მერე კი სწრაფად გაიზარდა, რადგანაც იგი დაუზარებლად მიირთმევედა სადილს და სამხარს... აი, ამგვარი ტყუილები უყვართ პატარებს, სიამოვნებით გისმენენ და ილიმებიან, თითქოს სჯერათ და არცა სჯერათ შენი ნათქვამი... ბრბოც ეგრე არი – უფრო სჯერა, ვიდრე არ სჯერა და რაკი ბრბოა, ტყუილებით უნდა იკვებოს, ბრბოს ატყუებდნენ, ატყუებენ და მომავალშიც მოატყუებენ. ბრბოს უფალმა რომ ყურში უთხრას – გატყუებენო, – არ დაუჯერებს! – ყრია ჩვენს გზებზე დიდი ქვები, რისი ანევა და გადაგდება თვით უფალსაც არ შეუძლია...

12. გოდავისათვის

„ზღვასავით დიდია შენი დაქცევა, ვინ არის შენი განმკურნებელი?!“ – იერემია დაჰქვითინებს თავის მკვდარ ქალაქს. თუმცა... არც შუამდინარეთიდან და არც მკვდარი ზღვის ნაპირებიდან! – სადღაც ახლოდან ისმის ეს კვნესა, ვილაც ახალი იერემია თავს ახლის თავის ქალაქის კედლებს: – შავი წყალივით დაგვენია მაცდურის წყევლა, გზა გადაგვიჭრეს ნიაღვრებმა – ჩახრამეს გზები, საყრდენი გაქრა, ფეხქვეშ მინა გამოგვეცალა და წყევლის ტბორში ატივტივდა ჩემი ქალაქი. აჰა, ენები შხამისმნთხეველ გველებად იქცნენ, აჰა, ყურები ამოივსო გესლით და შხამით. დანერილია: ასრულდება მაცდურის წყევლა; დანერილია: ნიაღვრები ჩანთქავენ ქალაქს; დანერილია: ჩვენი მთვარე უნდა ჩაბნელდეს და მზესაც უნდა ჩაეკეტოს აღმოსავლეთი... რაღაც ისეთი თავზე ჩამოტყდა, რომ ქალაქს თავზე დაემხო ბანი; რაღაც ისეთი ძარღვი გადაჭრეს, რომ ქალაქს უცებ შეუწყდა წყალი; რაღაც ისეთი ფესვი მოთხარეს, რომ ქალაქს უცებ ნაერთვა ჯანი... მე საკუთარ თავს დავტირი ახლა და ვფიქრობ – ფიქრის ეკლებში

ვარ გამომწყვდეული:

თუკი სიგიჟის ქარიშხლებმა უნდა ნაგვეკონ – რატომ მოვედით?!
 ან დედ-მამანი, ან წინაპრები რატომ მოვიდნენ?!
 ან წინაპრების წინაპრები რატომ მოვიდნენ?! – რისთვის აღმართეს ეს კედლები მიწიდან ცამდე?! რატომ იბრძოლეს, რად შეასკდნენ მტრის ლეგიონებს?! რატომ იშრომეს ჩვენმა ხარებმა,

რატომ ჭიმავენენ გუთნისა და მარხილის ჯაჭვებს; რატომ იქროლეს ჩვენმა ცხენებმა, ქარებმა რატომ აფრიალეს მათი ფაფარი; რატომ იყეფეს ჩვენმა ძაღლებმა, ბნელ ღამეებში რად კვესავდა მათი თვალები; რატომ იწივლეს ჩვენმა ისრებმა, მსროლელებს რატომ არ უმტყუნა თვალის მიზანმა; რატომ შებედეს ჩვენმა მგოსნებმა ცის სიმაღლეს და აარღვიეს ზეცა ლექსებით... მაგრამ ეს ფიქრი ზეასროლილ მინის ბურთივით ძირს ეცემა და იღუნება სისხლიან ქვებზე. ...ჩემს წინ აგდია სულთმობრძავი ჩემი ქალაქი, რომელმაც თვითონ გადაიჭრა სისხლის ძარღვები.

13. წმინდანებისთვის

ძველი მწერალი დიდ წმინდანებზე მანყვერელზე და მტბევაზზე ამბობს: „დაიძინეს მათ ნეტართა...“ მართლაც ნეტარი ძილით დაიძინეს – თავები დადეს თავის მიწაზე, მინას დააყრდნეს დალილი მხრები, გულზე დაიწყეს ნაჯაფარი, ხმელი ხელები და დაიძინეს. დაიძინეს ნეტარი ძილით. ...მაგრამ ახლა მე ვინ დამაჯერებს, რომ ისევ სძინავთ! იმდენი ცრემლი ჩაიჟონა მათ საფლავებში, იმდენი სისხლი დაიღვარა მათ შიშველ ძვლებზე – რა დააძინებთ, აბა, როგორ დაიძინებენ?!

14. სიზმრებისათვის

აი, აცხადდა ჩემი სიზმარი – დიდი ხნის წინათ, ჩემს ბავშვობაში, ხატის იფნებთან ჩაძინებულს რომ დამესიზმრა: თავზევისბერი გველის კუდით ეკიდა ხეზე, მას შხამიანი კბილით კბენდა ასპიტი გველი და ნაკბენები აჩნდებოდა ნახანჯლარივით. ყვითელი შხამით შეეღება ხევისბერს სახე, ყვითელი შხამით შეიღება იფნის ტოტები, ყვითელი შხამის გუბები დადგა მინდორზე... არ ნებდებოდა კაცი ასპიტს, ებრძოდა, მაგრამ თავს ვერ იძვრენდა შემოფსკენილი

გველის ყულფიდან.

ხალხი კი იდგა გახევებულ-გაყინულივით, დამშრალი მზერით შეჰყურებდა გველის და კაცის ამ ორთაბრძოლას. გველმა ორკაპი ენის სავსავით და ცივი მზერით გაყინა ხალხი. ...აი, აცხადდა ჩემი სიზმარი – ყვითელი შხამი ჩაიზილა ჩვენს ლუკმა-პურში, ყვითელი შხამი ჩაიღეს ჩვენს სასმელ წყალში და გველის ყულფში აფართხალდა ჩემი ქალაქი.

15. სიკვდილისათვის

აი, სიკვდილის ქარ-წვიმებმა გადმომინიველეს,
 სიკვდილის მზერამ გამახვია თავის ბადეში.
 მე ვერ გავიგე, როგორ იქცა ეს დრო სიკვდილად –
 როგორ მოვიდა, რანაირად მოშინაურდა
 და რანაირად შევეგუეთ ერთიმეორეს?!
 ის შიგნითაა, გარედან არ ჩანს,
 შიგნით დაცურავს – ძარღვებში და გულისფიცარზე;
 ის სუნთქვაშია, ფილტვებში და ხერხემალშია
 და გაჩერებულ დღეებსა და ღამეებს ძიძგნის.
 ჩვენ ერთად ვცოცხლობთ,
 უსიცოცხლო სივრცეში ვცოცხლობთ –
 მე და სიკვდილი ერთმანეთის ნაწილები ვართ
 და მე არ ვიცი, რანაირად გავთავისუფლდე
 ამ მომნუსხველი მზერისგან და შიშის ქარისგან;
 როგორ გავიდე მისი წრიდან, როგორ გავუსხლტე
 ჩემი თავიდან ჩემი თავი როგორ განვდევნო?!
 ჩემი თავიდან ჩემი თავი როგორ დავიხსნა?!

16. ღუმილისათვის

დგება დრო, როცა მახვების სკამზე ჯდება ღუმილი
 და სეფე სიტყვას სწორედ მახვების ღუმილი ამბობს.
 ...
 ისრები უკვე გატყორცნილია,
 უკვე წაიღეს სიკვდილი მტრისკენ.
 ვინ დააბრუნებს უკან იმ ისრებს? –
 ისრები უკან არ ბრუნდებიან.
 ...ერთნი ამბობენ: „ემშაკის ომში“
 დახოცილების აკრეფის და ტირილის დროა!
 სხვანი ამბობენ: შურისძიების
 და სისხლის სისხლით განბანის დროა;
 ერთნი ამბობენ: ჩავაგოთ ხმლები!
 სხვანი ამბობენ: არ დავიბანთ სისხლიან ხელებს!..
 მოკლედ, სულყველამ „მჭრელი“ ენა გაიდო მხრებზე
 და თავებს იმით მოჰყივიან, რაც სულ არა აქვთ –
 შორსმჭრეტელობით, სიბრძნითა და განსჯის უნარით...
 ამ გნიასში და გადაკვივილ-გადმოკვივილში
 სიტყვა არ ისმის – მთავარ სიტყვას ვერავინ ამბობს –
 სიტყვას, რომელიც დაკარგულ გზას მოგვაძებნინებს;
 ამ გნიასში და გადაკვივილ-გადმოკვივილში
 მკვდრებიც შეწუნდნენ –
 ისტორიის ღრმა ფენებიდან
 ძილგატეხილი აჩრდილები ამოზევითდნენ –
 წამოდგნენ მკვდარი წინაპრები და ერთხმად ბრძანეს:
 – ღუმილის დროა!
 ...
 დგება დრო, როცა მახვების სკამზე ჯდება ღუმილი
 და სეფე სიტყვას სწორედ მახვების ღუმილი ამბობს.

17. ჰელოცვისათვის

ვინ შეულოცავს ახლა ჩვენს ქალაქს –
 შავი კაცები, შავი დევები, შავი სულები რომ დასევინან?

...
 ცხრა-ათი წლისას კომმარული ძილი დამჩემდა,
 ველარ ვებედავდი დაძინებას სიზმრების შიშით.
 ვიძინებდი და იწყებოდა ჩემი წამება –
 შავი ღამურა ამომავალ მზის კარს ქოლავდა,
 რომ დაემწყვდია და მზე ველარ ამოსულიყო;
 შავი დევები, მაცილები და ალქაჯები
 ბნელი ღამიდან სინათლეზე გამოდიოდნენ;
 კარის ღრეჭოდან მანიშნებდა დევების დედა –
 წამოდი ჩვენთან, ჩემს შვილებთან დაიძინეო;
 შავი გველები ფუთფუთებდნენ შავ გუბებში;
 შავად წიოდნენ კუდიანი ქალები ქარში...
 ძილი შემძულდა, ძილის შიში გამიჯდა გულში.
 ...ხატის ქადაგთან წამიყვანეს შესალოცავად.
 ქადაგს ღრმაზე ღრმა, შავზე შავი თვალები ჰქონდა –
 იმ ორი თვალით ორი ორმო შემომაცქერდა.
 ხმაც შავი ჰქონდა.
 წინ სპილენძის ჯამები ედგა –
 ერთი ცეცხლით და მეორე კი წყლით იყო სავსე.
 აიღო ჩემი მარჯვენა ხელი და დაილოცა ქადაგი ასე:
 – დაიბადა ღამე შავი,
 გამოვიდა კაცი შავი –
 მოიყვანა ცხენი შავი,
 შეიარა შარა შავი,
 წინ დაუხვდა დევი შავი...
 ნადი ღამევე, შავო ღამევე, ნადი!
 თან ნაასხი შავი გველესაპები!
 ნაიტანე ყორნები და ყვავეები!
 გადარეკე შავი დევდორაკები!
 გადააქრე მაგათ სახსენებელი!
 გაიფანტე, შავი შიშის ქარო!
 დაიღვარე, შავი შიშის წყალო!
 ამ ორთქლივით გაიფანტე, ღამევე! –
 სამჯერ თქვა ეს და ჩაისროლა ცეცხლის ლადარი
 წყალში – წყლით სავსე სპილენძის ჯამში.
 ...
 ვინ შეულოცავს ახლა ჩემს ქალაქს –
 შავი კაცები, შავი დევები, შავი სულები რომ დასევინან?!

18. ღალატისათვის

როდის იქნება! ან თუ იქნება,
 რომ არქაიზმებს მიემატოს სიტყვა „ღალატი“?
 ...
 თქვენ მაბატიეთ, ღალატით გატეხილო ციხეებო! –
 ასე გულგრილად რომ გიყურებდით
 და ჩემს ტკივილად ვერ ვაქციე თქვენი ტკივილი,
 ვერ ჩავიხედე თქვენს სევდიან თვალებში ისე,
 რომ დამენახა ქვადქცეული ცრემლების რიყე,
 ვერ ჩავუღრმავდი ისტორიის ბნელ ჭანჭრობებში
 გველგესლასავით ჩანოლილი ფრაზას:
 „– ეს ციხე მტრისგან მოსყიდულის ხელებით გატყდა“.
 თქვენ მაბატიეთ გალავნებო და ციხეებო,
 ღალატისაგან დაშაშრულნო და დაბზარულნო,
 მე ხომ მხოლოდ დღეს გავიგონე თქვენი ქვითინი,
 მე ხომ მხოლოდ დღეს ჩავიხედე თქვენს ჭრილობებში!

როცა ორმოდან ამოვიდნენ მოლალატენი,
როცა ჩემს ქალაქს შიგ ბეჭებში დასცეს მახვილი.

...
როდის იქნება! ან თუ იქნება,
რომ არქაიზმად გადაიქცეს სიტყვა „ლალატი“!

19. პროტესტისათვის

ტყვიით ნახოცი ვარსკვლავი ეყარა სისხლის გუბეში,
დროს ეშმაკის გზა გაექნა, ეშმაკი ეჯდა უბეში.

...
არც სიზმარია, არც – მოჩვენება;
ომია! – ჩვენკენ გამოენთო ურჩხული რქებით.
ომი მოგვასკდა – გესლიანი ენით იტყორცნის
გესლიან სიტყვებს.
ომი აყეფდა – მთელ ქალაქს სჭირს ომი ცოფივით,
ომი აკვესებს ქვაფენილებს რკინის ჩლიქებით.
ომია – ომად გადაიქცა ბოლმის მორევი,
გასკდომაზეა ბოლმისაგან ჩემი ქალაქი –
ბოლმამ გაბერა, ბოლმა ექცა შხამად და ცოფად,
მაგრამ... ხომ უნდა დასრულდეს ომი! –
როცა იქნება, შეწყდება წვიმა.
როცა იქნება, ჩადგება ქარი.
მოხდება საზღვრის სათანადო დემარკაცია
გამარჯვებულ და დამარცხებულ მხარეებს შორის.
...შენ გეკითხები, ჩემო თავო: – მე მაშინ რა ვქნა?! –
ვერ დავუდგები „გამარჯვებულ რაინდებს“ გვერდით –
ჩემია, ჩემი ქალაქი იწვის.
ვერც შურისგებით ანთებულებს მივემატები –
ჩემია, ჩემი იმედი იწვის
და ვერც გულგრილი მაყურებლის როლს ვითამაშებ –
ჩემია, ჩემი ქალაქი იწვის,
ჩემია, ჩემი! / „მტრების“ სისხლიც ჩემი სისხლია!..
მე ვეთიშები ამ სიგიჟეს, გარეთ გავდივარ –
ქალაქის გარეთ, ხორცის გარეთ, სიცოცხლის გარეთ!
ეს მე ვარ – გია აბესაძე, გემშვიდობებით...

...
ტყვიით ნახოცი ვარსკვლავი ეყარა სისხლის გუბეში,
დროს ეშმაკის გზა გაექნა, ეშმაკი ეჯდა უბეში.

20. ფიროსმანისთვის

აფთარი ყმუის –
სისხლის სუნზე მოვიდა იგი,
დაიფლითები აფთრის კბილით, ჩემო ქალაქო!

...
დაიხურა ფიროსმანის გამოფენა.
დაიკეტა ფიროსმანის ქალაქი.
ადგნენ, წავიდნენ ბეგოს სტუმრები.
თვითონ ბეგომაც გამოკეტა სარდაფის კარი.
მთვარიანი ღამეებიც წავიდნენ.
ხარირმები და ფურირმებიც გადაიკარგნენ.
წავიდნენ თვალეზანთებული მექორნილენი –
სიმღერამ და სიყვარულმა დალალა.
აი, იმ ქალმაც, მკლავეზე ჭრელი ჩიტი რომ აჯდა,

იმ სავეს ქალმაც ჩაალაგა სკივრში მზითევი
და ერთ იღბლიან მეთევზეს გაჰყვა.
ჩიტი კი... მოკვდა – თოფის ხმაზე გული გაუსკდა.
ალარც ტივი და ალარც მეტივე...
აგერ, მდინარე დაშლილი ტივის
ორთაყვირებს და ცარიელ ტიკს მოატივტივებს.
თეთრბანტიანი გიტარა და ბატკანიც გაქრნენ –
შესხდნენ ერთ ლამაზ სიმღერაზე და მიიკარგნენ.
დაიხურა გამოფენა.
ფიროსმანი წავიდა –
თან წაიღო თავის წილი ქალაქი.
ფიროსმანი ფიროსმანმა წაიყვანა. წავიდნენ.
...
მგლები ყმუიან –
სისხლის სუნზე მოსულან მგლები,
დაიფლითები მგლის კბილებით, ჩემო ქალაქო!

21. დასასრულისთვის

ჩემო ქალაქო, ისევ ცეცხლის ღადარზე წევხარ,
ხოლო შენს მკერდზე რკინის კვერი ტრიალებს ისევ
და შენი ძვლები იღენება კვერის კბილებში.
სადაა მიჯნა?
შენს წამებას არა აქვს მიჯნა!
ცეცხლზე და კვერზე უფრო მეტად სხვა რამ განამებს –
შენი უძილო ღამეების ღრმა წიაღიდან
ნგრევის, მსხვრევის და ლენა-მტვრევის ხმები ამოდის –
ვინ იმუქრება, ვინ დაალო ყბა ჩასანთქმელად,
ვინ ვერ აღივსო, ვინ ვერ გაძღა შენი წამებით?!
ეს რა ხმებია – ხმლებივით რომ ფატრავენ ღამეს –
თითქოს ვილაცას ახრჩობენ და მშველელს ეძახის,
თითქოს დევები შენს ღამეში კალოს ლენავენ,
იძვრის ქვესკნელი, ქვა ქვას ხვდება და რკინა-რკინას,
რკინის ურდულებს გამწარებით ღრღინან ქარები
და დამწყვედული ქარიშხალი გასასვლელს ეძებს.
რა გველი ჩანვა, რა შხამი დგას მაგ ღამეებში?!
ვისი ხმა ძვრება ბნელი ღამის ჭუჭრუტანაში?!
ვისი ღალატი ვერ მოინელე,
ვისი საფლავის ამოტყორცნა გინდა მინიდან,
მინის წიაღში ვისი ხორცი ჩავიდა შხამად,
რა ყორანია, რომ არ გეხსნება
და სამუდამოდ რომ დაიდო შენს მკერდზე ბინა?!
...ისევ ლაპლაპებს კუდიანი ვარსკვლავი ცაში
და ჯავრის ალში გახვეულა ადგილის დედა.
...დასასრული კი –
ჯერ არ უჩანს ამ წარღვნას ბოლო,
ისევ ნისლია ხევისბერის კურატის ბეჭში
და ისევ ლოთობს ჩვენი სისხლით შავი ყორანი.

მინანქრო: ეს პოემა, ძირითადად, 1992-93 წლებში დაწერე და შევი-
ნახე უჯრაში. მოგეხსენებათ, პოეტებისა და პოემებისთვის არავის ეცა-
ლა მაშინ!.. ახლა კი, კიდევ ერთხელ გადავხედე ტექსტს და ვაქეყენებ.
დღეს, დროდადრო, ისევ ისმის იმგვარივე „მოსაზრებები“ და
„არგუმენტები“, როგორც იმ 90-იანი წლების დასაწყისის წარღვნას
და წარყვანას უძღვრდა წინ. ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება, თუ უკან
მივიხედავთ და დავუკვირდებით – რას გვანიშნებდა „კუდიანი ვარს-
კვლავი“ მაშინ და რას გვანიშნებს იგივე ვარსკვლავი დღეს...

ჟორჟ პომპიდუ

„ფრანგული პოეზიის ანთოლოგიის“ წინასიტყვაობა

პოეტაჟი

ამ რამდენიმე მთავარი მოსაზრების გარდა, ვფიქრობ, უსარგებლო არ იქნება, თვალის ერთი გადავლებით მიმოვიხილო პოეტებიც, რათა გავამართლო ის ადგილი, რომელიც მათ მივუჩინე ან არ დავუთმე.

ყველაფერ იმაზე, რაც წინ უძღოდა XV საუკუნეს, არაფერს ვიტყვი, რადგან ვერ დავრწმუნდი, რომ ამ ანთოლოგიაში შემძლეო სათანადოდ წარმომედგინა შუა საუკუნეთა პოეზია, თვით რუტებეფიც, რომელიც ამდენი შტრიხითაა ვიიონის წინამორბედი.

რა დაემართათ ჩემს მეგობრებს?

მგონი, ქარმა წამართვა.

სიყვარული მკვდარია.

ქარი მიაქანებს ჩემს მეგობრებს.

იგი ჩემი კარის წინ ქროდა

და გაიტაცა ისინი.

(სიტყვა-სიტყვითი თარგმანი)

მოუმზადებელი მკითხველისთვის ისიც უმეტესად გაუგებარი რჩება, ამიტომაც არ მივეცი დეფორმირებული სახე. ესტაშ დეშანი უფრო ადვილად იკითხება. იგი მოქნილი ვერსიფიკატორია, რომელიც ხშირად ნამდვილ პოეტად წარმოგვიჩნდება. მისი მრავალრიცხოვან ქმნილებათაგან ამოვიღე ორი ცნობილი ბალადა. ერთი ვირელე და ერთი რონდო, სადაც ეს მელანქოლიური ადამიანი ძალზე დახვეწილი ფორმით გამოხატავს გულისნადებს.

მე-15 საუკუნე სევდიანია, როგორც ყველა ცივილიზაცია თავისი დაისის ჟამს. შუა საუკუნეთა ეპოქა უიმედოდ ცდილობს შეაყოვნოს ის, რამაც მისი სიდიადე და მშვენიერება შექმნა და რომელიც უკვე კვდება. შუა საუკუნეთა კაცთაგან პოეზია გვაძლევს ორი ტიპის მაგალითს: თავდაპირველად შარლ ორლეანელს, ესაა ნამდვილი დიდებული ჩვენი ლიტერატურისა და თავისი დროის პროგრესული პოეზიის სუვერენული ბატონი, რომელიც უბრალოდ გამოსატყავს ადამიანურ გრძობებს: სამშობლოს, მშვიდობისა და ქალის სიყვარულს ყოველგვარი ზედმეტი გონებათმახვილობის, ბუნდოვანებისა და ალეგორიის გარეშე. წარმოგვიდგება, როგორც კეთილშობილი მგრძობიარე სული, რომელიც უშურველად წარმოჩნდება მუსიკითა და შუქრდილებით მდიდარ ლექსებში. ეს დიდი პოეტი წინამორბედა სახელოვანი შთამომავლობისა, ისეთებისა, როგორიც არიან დიუ ბელიე, ნერვალი, აპოლინერი.

თუ შარლ ორლეანელს ამკობს შუა საუკუნეთა ყველა ხიბლი, ვიიონი განასახიერებს ნალველსა და სინდისის ქენჯნას. უფრო დიდი, ვიდრე პირველსაზე „დანყველილი პოეტებისა“, ბანდიტად ქცეული ეს ქალაქელი სტუდენტი თავ-

ზარს სცემს საშუალო ადამიანს, ტყვეს სიღარიბისა და ავადმყოფობისა, დასევდიანებულს სიკვდილითა და სხვა უბედურებით. ნუგეშის მაძიებელს სუფრისა და ლოგინის პატარა საამოვნებებსა და კიდევ სასოებაში. მან ცოტა რამ დაწერა და თანაც მის ლექსებში ბევრია უღიმღამო, მაგრამ მას ნამდვილად აქვს ჭეშმარიტი ლექსები (შევეცადე ისინი მთლიანად დამებეჭდა), რაც სავსებით კმარა საიმისოდ, რომ იყოს ერთი დიდთაგანი დიადთა შორის, ზოდღერზე ადრე და ზოდღერთან ერთად, იმასთან ერთად – ვინც ყველაზე უკეთ უწყობდა სიკვდილზე საუბარს.

მაროს უბედურება ისაა, რომ XVI საუკუნის კარი ვიიონის შემდეგ შეალო. მას ჰქონდა ბევრი კარგი თვისება, რომლებიც შემდგომ გაიფურჩქნენ ლაფონტენთან. მის ლექსწერილებში, რომელიც თანაბარი ღირსებით გამოირჩევა, ზუსტად იმის ნაკლებობა იგრძნობა, რაც არის ნამდვილი პოეზია, თუმცა პოეზიის ნიჭი არ აკლდა და ის გადმოლევრილია ბევრ პატარა ლექსში, რომელთაგან რამდენიმე მეც შევიტანე ამ კრებულში. მგონია, რომ მას უნდა მივუჩინოთ კარგი ადგილი შედარებით მოკრძალებულ პოეტებს შორის, რომელთაც არ აკლიათ მომხიბვლელობა.

უკვე ოცდაათი წელია, დიდ მოვლენად ითვლება ლიონური სკოლა. მორის სცევი, ლუიზ ლაბე, პერნეტ დიუ გილე, საზეიმოდ ამოასვენეს სამარიდან და ასევე საზეიმოდ დაკრძალეს პანთეონში. სიმართლე რომ ვთქვათ, ფურვიერიც იკმაზრებდა. მორის სცევი უდავოდ ნიჭიერია, მას ხშირად აქვს მოელვარე დასაწყისი, მაგრამ პოეტური სუნთქვა აკლია, ის ამის შევსებას ფორმალური ძიებებითა და მანერული ბუნდოვანებით ცდილობს, რის გამოც დღემდე შემორჩა გულმხურვალე თაყვანისმცემლები. მე შევიტანე რამდენიმე ლექსი მისი საუკეთესო ციკლიდან „დელი“, მეტის მოტანა არ ღირს. შეიძლება მეტის დაბეჭდვაც, მაგრამ ვერ წარმომიდგენია დიდი დოზით დაბეჭდილ მორის სცევეზე უფრო მოსაწყენი იყოს რაიმე, წინამორბედთა განმეორება, ლექსების უსასრულოდ დატრიალება, სადაც უგემოვნება ენაცვლება შეზღუდულობას, აკნინებს შემოქმედებას ამ ჭეშმარიტი პოეტისას, რომელსაც მხოლოდ ერთი რამ დააკლდა: უარი უნდა ეთქვა ბევრის შექმნაზე, რათა ყოფილიყო დიდთა თანასწორი. ლუიზ ლაბეს ნაკლები ღირსებანი აქვს, მაგრამ მისი ზოგიერთი სონეტი ალტაცების ღირსია და ზოგჯერ თვითგამოხატვის ჭეშმარიტ ბედნიერებას აღწევს. ის ბევრად მირჩვენია პერნეტ დე გილეს უფერულობას. ლიონის სკოლა პროვინციული სტილის დამცველია დედაქალაქის მოფუთფუთე პოეზიასთან შედარებით, რომელსაც აღმოაჩენენ

დიდების ჭეშმარიტ ქვეყანაში სენისა და მწვანე ლუარის ნაპირებთან

და აი, „პლეადა“ რონსართა და დიუ ბელიეთ, მათი უამრავი მიმდევრით, რომელთაგან ზოგიერთები კინალამ

* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“, №6

თვითონვე იქცნენ მასწავლებლებად. აქ უფრო, ვიდრე სხვაგან, უნდა გავაკეთო ძნელი არჩევანი ამდენ სიუხვეში. თუმცა დორა, რემი ბულო, პონტიუს დე ტიერი და თვით უოდელიც კი მხოლოდ უფერული ასლები არიან რონსარისა და მე მეჩვენება, რომ ბეფისა და გიომ დე ბარტაზის ძალიანმეგამაც თავისთავადობის მისაღწევად მარცხი განიცადა. ამიტომაც ვამჯობინე მეტი ადგილი დამეთმო რონსარისა და დიუ ბელეისათვის, შემდეგ კი მიმდევართა შორის დეპორტისათვის, რომელიც აშკარად სჯაბნის თავის კონკურენტებს. ამათ დაუემატე თითო ამონარიდი ორი გარნიესაგან: რობერის-გან, რომელსაც, დრამატულ ავტორს, უთუოდ ჰქონდა ლირიკოსის ნამდვილი თვისებანი და კლოდისგან, რომელსაც ნილად ხვდა ბედნიერება, ერთხელ შეხვედროდა ნამდვილ პოეზიას.

რონსარი რა თქმა უნდა ყველაზე დიდია. მის შემოქმედებაში საუკეთესოა “ამურები” და კიდევ ის ლექსები, რომლებშიც მშობელ მხარეს უმღერა, და არა “ჰიმნები” და “სიტყვები”, სადაც განსაცვიფრებელი სილამაზე იხარჯება მხოლოდ თემების დაუსრულებელ გამლასა და ზოგჯერ მალაღფარდოვნებაში. ბუალოს გამოთქმა “პედანტური ფუფუნება” მის მიმართ მთლად დაუმსახურებელი არ ყოფილა. მე ვრცლად მოვიტანე მისი ქმნილებანი უფრო ცნობილი კრებულებიდან: “ამურები” და “ელეგები”, მათ მივუერთე ერთი ალტაცების ღირსი პასაჟი “სიკვილის ჰიმნიდან” და უკიდურესად ამაღელვებელი ლექსები სიბერეზე. და ბოლოს დაუემატე გრძელი პასაჟი მისი მიმართვიდან “ყრმათათვის ძალზე ქრისტიანი მეფის შარლ IX-ის სახელით”, რადგან ჩვენს ენაზე დანერვილ დიდაქტიკურ ლექსთაგან ის ყველაზე კეთილშობილია. ჩვენ აქ ნამდვილი პოეზიის მხოლოდ ვღვართან ვდგავართ, მაგრამ მისი ნაფიქრის სიმაღლე, ენის სიძლიერე, რიტმის სიმტკიცე და ფორმულების მშვენიერება გვიჩვენებს, თუ რა შეუძლია დიდ პოეტს ამ ყველაზე უმაღლურ უანრშიც.

ყოაკენ დიუ ბელეი შედარებით უფრო შეზღუდულია, და მაინც ეს იმავე რანგის პოეზიაა და ძვირფასია ჩვენთვის. “ზეთისხილის”, “რომის სიძველეთა”, “სინანულების” სონეტებს აჩნიათ უბრალო და დამატყვევებელი სილამაზე, და კიდევ სულის ელეგანტიურობა აქ პოულობს ბუნებრივ თვითგამოხატვას. ეს არ არის ბელეის მთელი შემოქმედება. ზოგიერთ ლექსს, მაგალითად “უიმედო დაჩვილებას”, აქვს განმაცვიფრებელი კილო.

დეპორტი არ გახლავთ უღირსი მიმდევარი. მას ხალისით დაუთმე მნიშვნელოვანი ადგილი. ვიმედოვნებ, რომ უკიდურესი სილამაზე აქ მოყვანილი სამი სონეტისა, ორი

სიმღერის მსუბუქი ხიბლი და “ჩივილის” კეთილშობილი სიმწარე იკმარებს, რათა იხილოთ მისი შთაგონების მრავალფეროვნება და მისი ნაკლებად ცნობილი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი შემოქმედების ფერადოვნება.


თუ დეპორტი რონსარს მიჰყვება, აგრიპა დ'ობინე განმარტოებულია. სტილითა და ვნებებით მოუსვენარი, ზოგჯერ მალაღფარდოვანი, ზოგჯერაც კლასიკური სინდონით მოგვაგონებს იეზუიტური სტილის ეკლესიებს, სადაც ბაროკო ირევა ანტიკურობაში. მაგრამ იგი გენიის მაღლითაა ცხებული და შექმნა ჩვენი ენის რამდენიმე ულამაზესი ლექსი. მის “უკანასკნელ სამსჯავროს”, საიდანაც ვრცელი პასაჟი მოვიხმე, აქვს მიქელანჯელოს “უკანასკნელი სამსჯავროს” ღირსებანი (ნაკლიც), “ზამთარი” კი, მიუხედავად მისი ცალკეული სუსტი ადგილებისა, მაინც არაჩვეულებრივი ლექსია.

მალერბთან ჩვენ კიდევ ერთ ფურცელს გადავშლით, არა იმდენად მისი შემოქმედების, არამედ უფრო მისი გავლენისა და ნონის გამო. როგორც პოეტი, მალერბი შორს არ დგას აგრიპა დ'ობინესგან. მას ბევრად ნაკლები აქვს ბუნებრივი ნიჭი, მაგრამ როცა შთაგონებულია, ქმნის ძალზე ლამაზ ლექსებს. ზოგჯერ ინვესს რიტორიკის მალაღფარდოვნების შეგრძნებას, მაგრამ ისე თავისუფლად გრძნობს თავს სინტაქსის კანონებსა და მკაცრ რიტმში, რომ ნამდვილად ამართლებს იმ როლს, რომელსაც აკუთვნებს ბუალო. ის აბერნებს XVI საუკუნის ლირიკის მისწრაფებას და ვინც ამით იკვებება, ჰგავს ღარიბი მშობლის შვილს და ვერ აღწევს სრულყოფილებას, მალერბი უბიძგებს ჩვენს მწერლებს წესების ვინრო ჩარჩოებისკენ, რომლებშიც მოქცეულ ფრანგულ პოეზიას ძალა ეცლებათ.

თვით მალერბის შემოქმედებიდან (იქნებ დამიფასონ) ბევრი რამ არ მომაქვს. სიმართლე რომ ვთქვა, სხვა არაფერი მომეჩვენა მოტანის ღირსად. მალერბი სტროფის გარკვეული მოძრაობაა, რაც რამდენიმე ლექსში იგრძნობა. მაგრამ არსებობს მთელი დუჟინი მშვენიერი ლექსებისა და დიდი სახელი. როგორც ხდება ზოგიერთ ცნობილ ოჯახში, რომლის წევრებსაც მხოლოდ მამის სახელით იცნობენ.

მალერბს გვერდით შეიძლება დაუყუყუნოთ ერთი მეტოქე – მატურენ რენიე, სახსე მახვილგონიერებითა და ტალანტით, მაგრამ სატირული პოეზია არ არის საგანი ჩვენი წიგნისა, ამიტომ მასში მოვიტანთ მხოლოდ მოკლე, საპატიო ფრაგმენტს.

ჟან დე სპონდიდან მოვიხმე ერთი სონეტი მარსელ არლანის პატივისცემით, რომელმაც ფართო საზოგადოებას წარმოუდგინა ეს კეთილსინდისიერი ვერსიფიკატორი, რომელიც არ არის მოკლებული პოეზიას.



დავით კაკაბაძე

კომპოზიცია

მეინარი არის მალერბის მიერ შემოკეთებული პატარა ბელე, მაგრამ მან შექმნა რამდენიმე ჰარმონიული ლექსი და თანაც გარკვეულად ახალი ელფერი მიანიჭა მათ. ვერ შევძელი თავი ამერიდებინა რაკანის ცნობილი სტანსების ციტირებისათვის, სადაც მალერბისეული სტროფი მოსავს ბანალურ ფილოსოფიას: “ეს სასიკეთოა”, “მზად ვარ ვატარო”.

სულ სხვა ვითარებაა XVII საუკუნის დასაწყისის პოეტებთან, რომლებიც ბუალომ ჩრდილში მოისროლა ან აღმოჩნდნენ დაპირისპირებულნი ჩვენ დიდ კლასიკოსთა მეფურ პოეტიკასთან. თეოფილი, სანტ-ამანი და ტრისტანი არა მხოლოდ მიმზიდველი სახეებია, არამედ ნიჭიერიც. ისინი შორდებიან კომპაქტურ ჯგუფებს “გროტესკებისა” (სკარონი) თუ “პრანჭიებისა” (ვუატიური, ბენსერადი, კოტენი), რომლებიც ბუალოსა და მოლიერის შემოტევის მერე სამი საუკუნის შემდეგაც ვერ გაიმართნენ წელში. სიმართლე რომ ითქვას, ეს დაგინყება არ არის აუხსნელი. ვერც ერთმა ზემოთჩამოთვლილმა ვერ შეძლო ნამდვილი შემოქმედების შექმნა. სხვა მხრივაც დავაკვირდეთ, რომ ყველა ეპოქაში პოეტები იყენებენ ერთი და იგივე სიუჟეტებს. მაშინ, როცა მოგვყავს რონსარის ნაწარმოები, საჭირო აღარ არის იმავე თემაზე დანერგილი ლექსი ბუალოსა და ბეფისა, რომლებიც მხოლოდ თანამგზავრები არიან. თითქმის შეუძლებელია გააკეთო არჩევანი ლექსებს შორის, რომლებსაც თეოფილ დე ვიო, სენტ-ამანი და ტრისტან ლ'ერმიტი უძღვნიან ერთსა და იმავე თემას. სამივეს აქვს თავისი ღირსება, რამდენიმე მომხიბლავი სტროფი, თავისებური გამოთქმა: მეტი წარმოსახვა და მახვილგონიერება სენტ-ამანთან, მეტი ძიება და მოძიებული ტრისტანთან, მეტი ბუნებრივი პოეზია თეოფილთან (ჩემი აზრით, ამ სამთავან ყველაზე ნიჭიერია). ვერც ერთი მათგანი ვერ გაურბის სიტყვაუხეობას, ვერც უფერულობასა და მანერულობას. მაშასადამე, საჭიროა სამივეს დამონება, მაგრამ მკითხველი, ვფიქრობ, არ მოიწყენს. მაინც არის ნამდვილი პოეზია ამ მწერლებთან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ძნელია დინების საწინააღმდეგო ცურვა, და ასევე ძნელია – თუნდაც ბუნებრივი ნიჭით ამაღლებულიც კი – გახდეთ ნამდვილი პოეტი, როცა მთელი თქვენი ეპოქა ზურგს აქცევს ლირიზმს.

ვუატიურიდან მომყავს ერთი სონეტი, რომელსაც რაიმე განსაკუთრებული ღირსება არ გააჩნია, მაგრამ შესანიშნავი მაგალითია “პრეციოზულისა”. მას ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ ვულგარული მაინც არ არის. იქნებ ბედის ირონიითა თუ ნიჭის წყალობით მისი შედეგია სონეტი, რომელიც მოლიერმა დასაცინად შეიტანა თავის “მიზანთროპში”.

შეიძლება ითქვას, რომ XVII საუკუნის პოეზია შემონახულია “ცდომილებსა” და დაგვიანებულბში? დარწმუნებით ვიტყვი, რომ არა! ჩვენი კლასიკური ლიტერატურა მართალია სცილდება წმინდა ლირიკას, მაგრამ არა პოეზიას. სხვათა შორის კავშირის გამბეულია ჟან დე ლაფონტენი. ყველაზე თავისუფალი გონება, ყველაზე მეტი ფანტაზიის პატრონი, ყველაზე ინდივიდუალისტი, მაგრამ ასევე გულმოდგინე ხელოვანი, ყველაზე უფრო მზრუნველი ფორმაზე, კლასიკური ხელოვნების ოსტატი “ადვილი ლექსების ძნელად კეთებისა”. სასაცილო იქნება, თუ შევეცდებით ზუსტ განსაზღვრებაში მოვაქციოთ ლაფონტენი: უბრალოდ, იგავებში უნდა ეძიოთ იგი. აი, რატომ მოვიხმე თითქმის მხოლოდ იგავები და მათში ისინი შევარჩიე, რომლებიც უფრო ლამაზი მეჩვენა, ისინი (ეს თითქმის მუ-

დამ იგივეა), რომლებშიც პოეზია ეხმარება გასართობ ამბავს, გონებას, მორალურ ჩაფიქრებას ან ყოველ შემთხვევაში მთლიანად ერწყმის მათ.

ლაფონტენამდე და მის შემდეგ – აი, კორნელი, მოლიერი, ბუალო, კორნელი პოეტი, ამის საჩვენებლად არ მომწევია გაქცევა ამა თუ იმ ფსალმუნის მისეული პარაფრაზისაკენ. მაროსა და მალერბის შემდეგ კორნელის, რასინისა და ბევრი სხვის მიერ შექმნა საკმაოდ პირობითი ჟანრი, რომელსაც მიმართავენ პოეტები, განსაკუთრებით სიცოცხლის მიწურულს, რასაც საბოლოოდ მიყვავართ ჟანბატისტ რუსოს ან ლეფრან დე პომპინიანის რიტმულ რიტორიკამდე. მიუხედავად რამდენიმე ხარისხიანი ლექსისა, განსაკუთრებით რასინთან, არაფერი ისე გასაკიცხი არ იქნებოდა ფრანგულ პოეზიაში, როგორც ეს “ღვთისმოსავი” სტილის სავარჯიშოები, რომ გარედან შემოტანილი არ იყოს. კორნელისთან ბედნიერი გამოხატვისია, რომ პოეზია ყველაფერზე წინ დგას მის ტრაგედიებში. მე მაინც შევზღუდე ჩემი არჩევანი “ცინათი”, “პოლიევქტიით” და განსაკუთრებით “სიდიით”, საიდანაც ვრცლად მომაქვს სცენა როდრიგოსა და ხიმენეს შორის. მიუხედავად კორნელის პერსონაჟთა მიდრეკილებისა, წარმოთქვან სასამართლოსთვის დამახასიათებელი ტირადები, ეს სცენა მაინც რჩება სიყვარულის ამაღლებულ სიმღერად, იგი იძლევა შეგრძნებას უნიკალური პოეზიისა, ისევე კარგად, როგორც დუეტი “რომეო და ჯულიეტასი”.

არ შეიძლებოდა მოლიერისა და ბუალოს გამოტოვება, თუმცა საგანს მათი ხელოვნებისა შეეძლო დაეცილებინა ლექსის ეს ოსტატები იმისაგან, რაც არსებითად არის პოეზია. მე შევეცადე ისინი მოკლედ, მაგრამ ღირსეულად წარმოგიჩინა.

შემდეგ მოდის რასინი ლაფონტენთან ერთად, XVII საუკუნის ყველაზე დიდი ფრანგი პოეტი და ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მეღეჭე. მე ვერ შევძელი უარი მეთქვა – გარემოებათა და პირობითობათა გამო – მისი ლექსების წარმოდგენაზე. ისინი ვრცლად ამოვკრიბე მისი ტრაგედიებიდან, რომლებიც გაჯერებულნი არიან პოეზიით, რადგან თუმცა ისევე დრამატულია, როგორც კორნელი, იგი ორატორობს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში და, ამის მიუხედავად, პოეზია უქვეყლად კარგად არის შერწყმული დრამატულ სიტუაციებთან-როგორც “ბერენისში”, როლის ხასიათთან – როგორც “მონიმში” – მითოლოგიის ლეგენდარულ ატმოსფეროსთან, როგორც “ფედრაში”, და ისტორიის სიდიადესთან, როგორც “მითრიდატეში”. მე შევძლებდი მომედგენა არა მხოლოდ დიდი თხრობა “აგრიპინადან”, არამედ ზოგჯერ ლირიკული, თითქმის წმინდა პოეზია. ვფიქრობ კლიტემნესტრაზე, როცა ვისხენებ მის მოზრუნებას იფიგენიას მსხვერპლად შეწირვის შემდეგ.

და მე ვინც წავიყვანე ტრიუმფულად გაღმერთებული, უკან მოვბრუნდები მარტო, სასომხიდილი! მე ვნახავ გზებს, სურნელებასურჩენილს იმ ყვავილებისას, მის ნაბიჯებზე რომ მიმოაბნეის!

ან კიდევ “ულისედან” პიესის ბოლოს.

ქარი ამოდრავებს ჰაერს ბედნიერი თრთოლვით და ზღვა მას პასუხობს თავისი ბლავილით, შორს კვნესის ნაპირი, ათეთრებს ტალღას.

შეგვეძლო გაგვემრავლებინა ციტატები პიესებიდან, გარდა იმ ადგილებისა, სადაც მას სჭირდება თავის პერსონაჟთა წასვლა-მოსვლის ან მომავალი მოქმედების პერიპეტიათა ახსნა. რასინი ჩამოყალიბებული პოეტია, მისთვის, ისევე როგორც ლაფონტენისა და ბოდლერისთვის, ანთოლოგია მხოლოდ ნაწილის მოკვეთა, ამპუტაცია შეიძლება იყოს.

აზიდა რა პოეზია სრულყოფილებამდე ყველაზე ბუნებრივი და ამავედროულად ყველაზე დახვეწილი სახით, მან ერთგვარად ხელი შეუწყო ჩვენი პოეზიის წყაროს დაშრეტას. მთელი საუკუნის მანძილზე იყვნენ მხოლოდ მიმბაძველები. იმის გამო, რომ არ მოხერხდა ზეგავლენის შერყევა და შთაგონების განახლება, XVIII საუკუნე წარმოგედგება პოეზიის უდაბნოდ. ვოლტერი ძლიერი ვერსიფიკატორია, მაგრამ უმეტესად უსულო. მე მოვძებნე ორი პატარა ლექსი, სადაც მას იმედგაცრუება და სიბერე მუზად შეეშველა. თუ ზოგიერთი ავტორი, ვისთვისაც გალექსვის ხელოვნება არ წარმოადგენდა სიძნელეებს, იმსახურებს დამონმებას, ეს ხდება იმ იშვიათ ქმნილებათა გამო, სადაც იწყება ლექსის პიროვნული ლირიკისკენ ევოლუციის მოხაზვა, ასე შეიძლება მოენახოს მცირე ადგილი ჟან-ბატისტ რუსოს, დელილს, ჟილბერს, მაგრამ მხოლოდ რომანტიკოსთა დამსახურებაა ამ პოეტური ფორმის აკაპუკაშება.

XVIII საუკუნის მიწურულს ჩანს ერთი ფიგურა, რომელსაც რომ დასცლოდა და კიდევ ეცოცხლა, იქნებ მოეხერხებინა და ახალ სიმაღლეზე აეყვანა ეს ევოლუცია. ანდრე შენიე ცდილობს კლასიკურ ტრადიციაზე დაყრდნობით შექმნას პიროვნული პოეზია, რომელიც ეყრდნობა ბერძნულ კულტურას და ლირიზმით ებრძვის რასინის ზეგავლენას, მაგრამ ამავედროულად ანახლებს მას. იგი ძალზე ნაადრევად გარდაიცვალა და სრულყოფა ვერ მოასწრო. ბუერი მისი ბუკოლიკა ჯერაც იცავს “სტილის სავარჯიშოებს” და “რომის ფასეულობას”. მას ელემენტები აქვს აღტაცების ღირსი დასაწყისები, რომლებიც მოულოდნელად ლებულობენ ახალ მიმართულებას. მისი გრძელი ქმნილებანი, როგორცაა “ამერიკა”, სჯობნის მხოლოდ დელილისეულ დიდაქტიკას და მის უკანასკნელ, ყველაზე ამაღლეზე ლექსებს ცოტათი მაინც ორატორული სახე აქვთ. მაგრამ ეს არის ნამდვილი პოეტი, ვინც თავისთავში ატარებდა შემოქმედებას და ვინც შეძლებდა ჩვენი მწერლობის რომანტიკულ XIX საუკუნეში ზოგიერთი გამაღიზიანებელი ნაკლის მოცილებას.

XIX საუკუნის პირველი თვალსაჩინო წარმომადგენელი ლამარტინია. ყველაზე ცოტა, რის თქმაც შეუძლიათ, არის ის, რომ იგი აღარაა მოდაში. ადვილია მისი გაკრიტიკება. მან დაწერა უამრავი ლექსი, რომლებიც მიღწეულის ან დიუსის შექმნით აეტაცებინათ. “ჟოსლენის” გარდა არაფერია “ანგელოზის დაცემაზე” მოსაწყენი, მაგრამ დიადი “შედიტაციები” ჩვენი პოეზიის შედეგებია. შეიძლება ვინმემ ამჯობინოს შედარებით უფრო მშრალი ალკოპოლით სიმთვრალე, მაგრამ, ჩემი აზრით, შეუძლებელია დარჩე გულგრილი “განმარტოების”, “ხეობის” ან “ტბის” მიმართ. ყოველთვის, როცა იყო მძლავრად შთაგონებული, იგი პოულობდა იშვიათი სილამაზის გამოთქმებს. თუ დღეს ისევ გადავიკითხავთ, კვლავ ვიპოვით ყველაფერ იმას, რაც მას ჯერაც აერთიანებს დელილსა ან მიღწეულისთან და, თუ შევადარებთ იმათ, ვინც მას მოსდევს, განსაკუთრებით ბოდლერსა და სიმბოლისტებს, ჩვენ დავივინწყებთ მის უმთავრეს როლს. შეიძლება გული დაგვწყდეს, რომ შენიემ ვერ მოას-

წრო მისი ადგილის დაკავება, მაგრამ სიმართლეა, რომ ლამარტინი გაუძღვა პოეზიას საფრანგეთში და იყო თაოსანი ჩვენს ისტორიაში ყველაზე მდიდარი და ყველაზე ლირიკული საუკუნისა.

მის შემდეგ მრავლად ჩნდება პირველი რიგის სახელეები. თავიდან – ჰიუგო, “ჰიუგო, ვაგლახ!” – ამბობდა ჟიდი. რასაკვირველია, ჰიუგოს პოეზია არ არის ის, რაც ყველაზე მეტად მალეღვებს. გამაღიზიანებელია მისი პირველი კრებულთა სიტყვიერი სიადვილე და იქნებ კიდევ უფრო მეტად – უკანასკნელ ლექსთა გაფიცხებული მოთხოვნელობა. და თუ გაჩნდა სურვილი “სატანის აღსასრულისა” და “ღმერთის” მისი შემოქმედების მწვერვალად აღიარებისა, იქნებ ეგ გამოიწვია “ბერძენი ბავშვისა” და “მიეცი ყველაფერი, თუნდაც დასაღვეად, ამბობს მამაჩემის” სანინალმდეგო რეაქციამ. მეც ეს მინდა, მაგრამ იმაზე მეტად, ვიდრე აგრიპა დ’ობინიეს “ტრაგედიებში” ჩანს მანათობელი ლექსისთვის ზედმეტად ჭარბი ფრაზეოლოგია. “ქუჩის სიმღერებიდან” და “ტყიდან” მასხენდება მხოლოდ მძიმე ხუმრობები. ამ ყველაფერს შორის ბევრია მშვენიერი ლექსი, ზოგიერთი აღმაფრთოვანებელი შედეგიც, მაგრამ ვერაფერი შეედრება კრებულებს “შემოდგომის ფოთლები”, “ბინდ-ბუნდის სიმღერები”, “შინაგანი ხმები”, “სხივები” და “ჩრდილები”, “ნამებანი”, “ჭვრეტანი” და “საუკუნეთა ლეგენდა”. ეს არის ის, რასაც ხელგაშლილად გვირიგებს გენია. იგი, მგზნებარე ხატებითა და ხილვებით, ისტორიისა და მსოფლიოს, თვით საკუთარი სამყაროს გარდამქმნელი, თავს უყრის ათასობით დიდებულ ლექსს. გამოსაქვეყნებლად შევარჩიე ყველაზე მშვენიერები ერთმანეთის მიყოლებით: ინტიმური ლექსები, ეპიკური სიმღერები ნაპოლეონური ციკლიდან (მე ვამჯობინე ნაპოლეონ II, თუმცა სხვას შესაძლოა “მონანიეზე” აერჩია), დიადი რისხვის ლექსები ნაპოლეონ III-ის წინააღმდეგ და ეს დიდებული შედეგური “ჩაძინებული ბოოზი”, ისევე, როგორც მთელი რიგი ვიზიონერული ლექსებისა, სადაც გენია ბობოქრობს: “მოგვები”, “სავსე ცა”. გარკვეული ამონარიდები სიბერის რვეულებიდან. ვფიქრობ, მთლიანობაში დაიხატა საკმაოდ ზუსტი სურათი ჰიუგოს მდიდარი შემოქმედებისა, თუმცა მოცულობა ამ ნაშრომისა დამაბრკოლებდა “საუკუნეთა ლეგენდის” ერთი-ორი მართლაც ლეგენდარული დიდი ლექსის დასამონმებლად, ყოველ შემთხვევაში, არაფერი გვიმღლის ხელს, რომ ნავიკითხოთ მისი შვიდი თუ რვა უფრო მაღალი რანგის კრებული, თუნდაც “ნამებანი”, “ჭვრეტანი” და “საუკუნეთა ლეგენდა”.

ჰიუგო განაგებს საუკუნეს, ყველა, ვინც 1830-დან 1880-წლამდე დაწერა ლექსები, ფიქრობდა მასზე და ცდილობდა გაქცეოდა მის ზეგავლენას. მათ ამ გოლიათის გვერდით არსებობის იმედი არა ჰქონდათ, და მაინც, ან იქნებ ამავე მეტოქეობის მიზეზით, ჩვენ ვპოულობთ რამდენიმე საუკეთესოს ჩვენს უდიდეს პოეტთა შორის.

თავდაპირველად აღფრენ დე ვინი – განსაკუთრებით მიმზიდველი ფიგურა, რადგან იგი ერთი იმ პოეტთაგანია, რომლის მადლიც მხოლოდ ნამიერად გვეხება, მაგრამ როგორი სიკაპუკაშით! ბევრი მისი ქმნილება საშუალოა და საუკეთესოებშიც კი ყოველთვის ვერ იცილებს თავიდან უგემოვნობასა და სიმდარეს. წარმატებულ ლექსებს შორის “მუაზი”, “ზეთისხილის მთა”, “მგლის სიკვდილი” ჯერ კიდევ შეიცავენ გარკვეულ სიცივეს, მაგრამ “სამსონის რისხვასა” და

“მწყემსის სახლში” არის მშვენიერი ლექსები, რომელთა გამართულობა და სტილი მას აყენებს პირველ რიგებში.

ჟერარ დე ნერვალის ძნელად წერდა ლექსებს, მაგრამ თითქმის ყველა ლექსი შედეგია, თან განსაკუთრებული “წონის”. როცა ჟიდი აცხადებს, ამოდ დაეშვერი, “რათა მესწავლა ჟერარ დე ნერვალისაგანო”, მეჩვენება, რომ ეს აღიარება თავისთავის წინააღმდეგ უფროა მიმართული. ჟერარ დე ნერვალი არა უბრალოდ პოეტია, არამედ ეძებდა რა გამუდმებით ჯადოსნურ თვისებებს, წარმატებას მიაღწია იქ, სადაც სცევი დამარცხდა. იგი ფრანგულ პოეზიას უხსნის ახალ გზას, რომლითაც მალერბის შემდეგ პოეზიამ უარი თქვა ევლო, და ამით მან აიცილა ჰიუგოსა და ასევე თავის სხვა თანამედროვეთა სამყარო. იგი გზას უხსნის ბოდლერს, მალარმესა და რემბოს. მე აქ დავბეჭდე მისი აღმადგინებელი სონეტები “ქიმერებიდან”, ასევე სხვა ზოგიერთი მარტივი, მაგრამ ალტაცების მომგვრელი ლექსი. “ქრისტე გეთსიმანის ბაღში”, ჩემი აზრით, ამათზე დაბლა დგას: გამონაკლისის გარდა ამ კრებულში თითქმის მთლიანად ჰპოვებენ ნერვალის შემოქმედებას, მოკლეს, მაგრამ შეუდარებელს.

აღფრედ დე მიუსესთან ჩვენ სრულიად სხვა სამყაროში ვხვდებით. რამდენადაც ვინი და ნერვალი მძიმე შრომას სწევდნენ ცარიელ ქალაქთან, რომელსაც “სითეთრე იცავს”, მიუსესთან იგრძნობა სიადვილე, მაგრამ მას იმდენად ცხადად აქვს მომადლებული პოეტური ნიჭი, იმდენად შორს არის ყოველგვარი ვულგარულობისაგან და ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი არაჩვეულებრივი და მომხიბვლელი შვილებით, რომ ყველაფერს პატიობენ. იგი ერთადერთია ჩვენს ლიტერატურაში, ვინც შეძლებდა შეექმნა პოეზიის ჟანრები, რომელთა შესახებაც მატურენ რენიემ, ვოლტერმა და ბუალომ იცოდნენ მხოლოდ გონებითა და მსჯელობით. აქედან გამომდინარე, იგი უფრო ახლოა ლაფონტენთან, რომელიც უყვარდა, და მთლიანობაში “ღამეებიდან” და ზოგიერთი სხვა ლექსიდან გვრჩება სიყვარულის ყველაზე უფრო მართალი პოეტი, ამასთან ყველასთვის უფრო მისაწვდომი. ეს არ არის მაინც და მაინც ისეთი ნაკლი, როგორც ზოგიერთი ფიქრობს, ვინც პრუსტის “ბლომის” მეშვეობით მეტყობა: “ფრთხილად იყავი შენი მდაბალი ზრახვებით სერ მიუსესთან”. იმ დღეს, როცა სიყვარული ჩვენს ჩვევებში შეავიწროებს ეროტიზმს, მიუსე დაბრუნდება მოდაში. ამას ვამბობ მხოლოდ მშვენიერი სიმღერების გასახსენებლად, რომელთაგან რამდენიმეს ამ წიგნში ნახავთ, და რომლებზეც ზოგიერთი კეთილგონიერი გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ მათ შეეძლოთ დაეკინებინათ შემოქმედება, რომლის ადგილიც უშუალოდ პირველი რიგის შემდეგ მოდის.

ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსები გვისხნიან, რომ რომანტიზმის მერე მოდის “პარნასი”, ეს სკოლა, თუ მას მოვაცილებთ ვერლენისა და მალარმეს პირველ ლექსებს, მოიცავს ერთ წინამორბედს – გოტიესა და პოეტთა ბარაქიან ჯგუფს: ლეკონტ დე ლილს, ბანვილს, სიული პრიუდომს, ჰერედისა და ა.შ. ხომ არ შემბორკავს ეს აღიარება? აქ ბევრი რამ არის ჩემთვის მოსაწყენი. გამონაკლისი დავუშვათ ლეკონტ დე ლილისთვის. მასში იპოვით გულმოდგინე პოეტის მთელ სიდადეს. მაგრამ თუ თავი მოვალედ მივიჩნიე, რომ მომეტანა გოტიეს რამდენიმე ლექსი, ეს მოხდა მხოლოდ ბოდლერის პატივისცემით, რომელმაც მას მიუძღვნა

“ბოროტების ყვავილები”. ბანვილი უფრო ნიჭიერია, მაგრამ ცარიელი. ჰერედია კი სენტ-ანტუანის გარეუბნის ნამდვილი მშრომელია. იგი მტკიცედ და მუყაითად ქმნის წარსულიდან. ყველაზე მეტად მასევედიანებს სიული პრიუდომი, ვისაც ასე უწოდდა ყოფილიყო პოეტი. მე მაინც ავიღე მისი ერთი ლექსი, სადაც მდაბიური მთლიანად ვერ შთანთქავს მელანქოლიის გარკვეულ ხიზლს.

რა მკრთალად მოჩანან ყველანი მათი თანამედროვე შარლ ბოდლერის გვერდით. აუღელვებლად ვერ ვუყურებ 1857 წელს გამოსულ მოყვითალოგარეკანიან ტომს, რომლის სათაურია “ბოროტების ყვავილები”. აქ არის მთელი პოეზია, რაც ჩემს გულს აღელვებს. კაეშანი სიცოცხლისა და სიკვდილის წინაშე. შეგრძნება ცოდვისა და ჟინი ამბოხებისა, პოეზია თანამედროვე ცხოვრებისა და პოეზია გაქცევისა. ყოველივე ეს ბოდლერთან პოულობს ყველაზე ამაღლებელ გამოხატვას. სიმართლე რომ ვთქვათ, შეუძლებელია, რომ რამდენიმე სიტყვით შევასდეს პოეზია, სადაც არის ყველაფერი, და რომლის შეცნობაც მთლიანად არის საჭირო. აქ შევიტანე ის, რაც ყველაზე მშვენიერი მეჩვენა, მაგრამ გადავიკითხე რა დანარჩენი, და ვრწმუნდები, რომ იქ არ იყო არაფერი, რაც ამ წიგნში შეტანის ღირსი არ იქნებოდა. საგულისხმოა აღინიშნოს: მაშინ, როცა ლაფონტენი რჩება მეშვეობით გარეშე, როცა რასინი უნაყოფოს ხდის თავის მიმდევრებს, როცა ჰიუგო ამრავლებს მხოლოდ საშუალო დონის შეგირდებს, ბოდლერმა შექმნა სკოლა, სადაც არიან ძალიან დიდი პოეტები. მისი შემოქმედება იყო არა დამამთავრებელი შედეგი, არამედ დასაწყისი. ბევრმა მისგან ნასულმა შეძლო გათავისუფლებულიყო მიმბაძველობისაგან, რათა ეპოვა საკუთარი გზა და თავისთავადობა.

თავდაპირველად ვახსენოთ მალარმე, იქნებ ყველაზე დიდიც კი. არავის დაუნერია ლექსები ასე ძნელად, მაგრამ ამ სიძნელეებში მან ჰპოვა განახლება. ძიება როგორც ლექსიკაში, ისე სინტაქსში – და სასურველი, მაგრამ არასოდეს იაფი ბუნდოვანება ქმნიან ძლევაგამოსილ მისტერიას პოეტური ინკარნაციისა. იქნებ მის ყველაზე ამბიციურ ქმნილებებში – “ფავნის ნაშუადღევსა” ან “ჰეროდიადაში” – შეიძლებოდა აღმოჩენა სუსტი ადგილების და ნაკლებად ხელგაშლილი შთაგონებისა, მაგრამ მთლიანობაში ჩვენს წინ წარმოჩნდება პირველი რანგის პოეტი, რომელსაც განუწყვეტილად უნდა კითხულობდე.

ვერლენი უფრო ადვილია. ნუ ვეძებთ მასში ფორმისა თუ წარმოსახვის უსაზღვრო ძალმოსილებას. იგი ლამაზად აჟღერდება გიტარისა და ვიოლინოს თანხლებით, მაგრამ აქოშინდება ორკესტრის აკომპანემენტით. არ არის არაფერი “სიბრძნის” ქრისტიანულ სონეტებამდე ისეთი, რასაც მდარედ მივიჩნევდი, მაგრამ ისევე, როგორც ვიოლინი და ბოდლერი არიან ნალველისა და სინდისის ქენჯნის პოეტები, ვერლენი გახლავთ პოეტი მელანქოლიისა და სინანულისა, მან შეძლო სათქმელის ყველაზე ნაზი მისტერიულობითა და მუსიკალურობით გამოხატვა, იგი ჩვენი გულუბრყვიანების ერთერთი ყველაზე ძვირფას პოეტთაგანია. მას მივიჩნევდი ცუდ მასწავლებლად, რომ არ ყოფილიყო აპოლინერი.

ტრისტან კორბიერს ნამდვილად ჰქონდა ტალანტი, იგი მეტად ახალგაზრდა გარდაიცვალა და ვერ შეძლო თავისი ნამდვილი სიმაღლე გამოეჩინა. აქ მომყავს მისი ორი ლექსი, სადაც იგი იწყებს თვითგამოხატვას, აღსანიშნავია “ბაზრობის რაფსოდი”. თავის ცნობილ ლექსებში მან იხუმ-

რა “დანყველილ პოეტებზე”, რომელთა შორისაც თვითონაც დგება ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ მაგალითად. მგონია, რომ დასცლოდა, შეძლებდა გაათავისუფლებულიყო სიმწარისა და ნუნუნისგან, მაგრამ ძალიან ძნელია შექმნა პოეტური შემოქმედება ამდენი სხვის შემდეგ, და მერე კიდევ მისი განახლება ხომ ხელოვნებაში იშვიათად ხდება.

და მაინც, რემბომ მოახდინა ეს სასწაული, ისიც ახალგაზრდა აღესრულა, განსაკუთრებით პოეზიისთვის, ზოგიერთი მისი ლექსი ნიჭიერი სიჭაბუკის ბრწყინვალე სავარჯიშოა, სხვები ორიგინალობისთვის განუვლი ძალისხმევით, ზოგჯერ ბავშვურები, შეიცავენ დიდ სილამაზეს. მისი ზოგი ლექსი და განსაკუთრებით “მთვრალი ხომალდი”, მცირეოდენი ხიზვის მიუხედავად ჩვენი პოეზიის უტყუარი შედეგებია. ჩემს მიერ უკვე აღნიშნული ნესების თანახმად, არაფერი მოვიტანე “გამოსხივებებისა” და “ჯოჯოხეთში გატარებული სეზონიდან”. რემბო კი თავისი ბედისწერით “მონყვეტილი ვარსკვლავისა” და იმ რამდენიმე კვალის წყალობით, რომელიც მან გაავლო ცაში, დიდხანს გააგრძელებს ზმანებითა და ხილვებით ჩვენს მოხიბვლას.

ეგებ მისაყვედურონ, რომ მცირე ადგილი დავუთმე XIX საუკუნის ბოლოს ასე მომრავლებულ პოეტებს, რომლებიც ჩემმა წინამორბედებმა ფართოდ წარმოადგინეს. თუმცა არცერთი, რომლებიც გამოვტოვე – ლუი მენარი, შარლ კრო, ჟერმენ ნუვო, ალბერ სამენი, ვან ლაბერგი და უფრო გვიან ემანუელ სინიორე თუ შარლ გერენი – ჩემი აზრით, სახელთა უბრალოდ ხსენებაზე მეტს არ იმსახურებს. მათი შემოქმედებიდან საუკეთესოც კი მხოლოდ ექვს პარნასისა თუ სიმბოლიზმისა. მე ვერპარნის ვრცელ და საპატიო შემოქმედებაში ვიპოვე ერთი ნამდვილი ლექსი. ეს წარმატებაა? შეიძლება უფრო დიდსულოვანი ვიყოთ ჟან მორეასის მიმართ, რომლის სტანსესაც ხშირად აქვთ გარკვეული ელფერი. ანრი რენიემ დაწერა რამდენიმე შესანიშნავი ლექსი. ჟიულ ლაფორგი ბევრად უფრო ნიჭიერი გახლდათ, მაგრამ იშვიათად ახერხებს, რომ აჯობოს მკითხველის განცვიფრების სურვილს და მის მანერულ შემოქმედებაში იგრძნობა ნოსტალგია გენიისა, რომელმაც გაფურჩქვნა ვერ მოახერხა.

ამ პოეტ-ზვარაკებს ძალიან მაღლა ჰქონდათ აწეული მიზანი და ვერ შეძლეს მიეღწიათ თავიანთ წმინდა თავისთავადობამდე. მე ვამჯობინებ ნაკლებად შესამჩნევ ხიზლს პ. ჟ. ტულუსი. იგი სხვა ეპოქისათვის იყო გაჩენილი. უნდა ყოფილიყო ტრუბადური ან მარკიზა დე რამბუიეს ცისფერი ოთახის მგოსანი. მან მხოლოდ წვრილი ლექსები დაწერა, სადაც შესანიშნავად შეუთანხმდა ერთმანეთს სკეპტიციზმი და პოეზია.

ორმაგად საყურადღებოა ერთი გამონაკლისი განთიადზე ეპოქისა, როცა უფრო სერიოზულად ეკიდებიან ყველაფერს, ვიდრე ოდესმე. ეს თაობა კიდევ ერთხელ განაახლებს ფრანგულ პოეზიას. რამდენიმე წლის ინტერვალით იზადებიან კლოდელი, ფრანსის ჟამი, პოლ ვალერი და შარლ პეგი.

პოლ კლოდელი გაბედულად წყვეტს კავშირს ჩვენი პოეტის ყველა ტრადიციულ ფორმასთან, იგი ლექსის ნაცვლად იყენებს ანონილ რიტმულ ფრაზას და, აუქმებს რა რითმას, გარკვეული შემთხვევებისათვის იტოვებს ასონანსის ეფექტს. სხვა რა ვთქვათ? ეს არის თავისებური, ესპანური სასტუმრო-ბაკი XVI საუკუნისა, სადაც ღრინცელი-

თა და არეულობით, სადაც მთელი დედამიწა წარმოჩნდება. ვნებებს აყოლილი, მოგონებით დახუნძლული მოგზაურები, ეპისკოპოსი და მათხოვარი, მეფე და წმინდანი ქალი. მისი პოეზია რომელიც ძირფესვიანად დიალოგზეა აგებული (იხილეთ “კანტატა სამი ხმისათვის”), ბუნებრივად უნდა დამთავრებულიყო დრამით. აი, ამიტომაც მის პოეტურ კრებულთაგან ამოღებულ ლექსთა გვერდით მოვიტანე ერთი სცენა “ატლასის ფეხსაცმელებიდან”. კლოდელის უბადლო გენია, რომელიც არ ცნობს რაიმე საზომის არსებობას, ყველაფერს აცოცხლებს თავისი სიტყვისა და სუნთქვის ძალმოსილებით.

უამრავი მიგნება აქვს შარლ პეგისაც, მაგრამ – კლოდელისგან განსხვავებით – ხშირად იყენებს კლასიკური ვერსიფიკაციის ხერხებს და არ ცდილობს მკითხველი ჩაითრიოს თავის წარმოსახვათა ნიაღვარში. განმეორება მისი ღვიძლი მეთოდი, ძველი მეთოდი, რომელსაც ვხვდებით სიმღერებისა და ბალადების რეფრენებში, მუსიკალურ ვარიაციებსა და უფრო ხშირად ლიტანიებში. ჟიდი მართალია, როცა მიიჩნევს, რომ პეგიმ ზედმეტად გამოიყენა ეს ხერხი, იქამდე, რომ მთლიანობაში ცდომილებამდე მიიყვანა, მაგრამ ჟიდის აზრის საწინააღმდეგოდ ადვილია გამოვიყენო აღმაფრთოვანებული პასაჟები, სადაც განმეორების ეფექტი ინარჩუნებს ყველა ღირსებას. რა თქმა უნდა მხოლოდ კეთილი განზრახვებით არ შეიქმნება კარგი ლიტერატურა, მაგრამ პოეტისთვის აუცილებელია სულის მაღალი ხარისხი. პეგის ეს თვისება კი კარგად ჩანს და ასხივოსნებს მთელ მის შემოქმედებას, ნამდვილი პოეზიის ელფერით ამკობს და არაფერია ისეთი თვით მომავლის ჭვრეტებშიც კი, რომ არ ანიჭებს ასერიგად ამაღლებულ სახეს მის ცნობილ ლექსებს:

ბედნიერები – ვინც დაიხოცნენ ამ მგრძნობიარე მინისთვის, დაჯილდოებულნი სამართლიან ომში სიკვდილით

ისევე, როგორც ვიქტორ ჰიუგოსთან, რომელიც 2 დეკემბრამდე ყვიროდა:

ოჰ, არავინ განიდევნოს, განდევნა უღმერთობაა.

მე პეგის ყველაზე უფრო მშვენიერ და ცნობილ ლექსებს დავუმატე სიჭაბუკისდროინდელ კატრენტა ციკლი, რომლებიც წარმოგვიჩენს ამ ადამიანს უფრო მთლიანად და სრულად, ვიდრე მხოლოდ ქრისტესა და სამშობლოს მგზნებარე ჯარისკაცს, როგორც ჩვეულებრივად წარმოადგენენ ხოლმე.

ფრანსის ჟამი? უნდა ვაღიაროთ, რომ ვერ შევძელი მისი გამორიცხვა, თუმცა, სიმართლე გითხრათ, არასოდეს მქონია ინტერესი მისი შემოქმედების მიმართ. კაიკაცური გლეხური ტონი ვერ შენიღბავდა მის საშუალოობას, კლასიკურად რომ ეწერა. უშმაკი ვინმე გახლდათ. ცუდი მხატვარი, რომელიც მიჰყვება რაფაელისა თუ ენგრის ნაბიჯებს, ადვილად ამკარავდება. თუ იგი იწყებს აბსტრაქციის შექმნას, მეტი ყურადღებაა საჭირო მის შესაშფოთებლად, ასევე ჟამმა, ანგრევდა რა ალექსანდრიული ლექსის რიტმს და ხშირად უკუაგდებდა რითმას, წარმატებით მოახერხა დაეფარა მისი ნათესაობა დიუპონთან:

**მეორი დიდი ხარი მყავს გომურში
ორი დიდი თეთრი ხარი წითლად დადალული.**

მაგრამ რაც უნდა იყოს, ჭეშმარიტად ეს არ არის ვერგო-ლიუსი. ამ სამივეს – კლოდელს, პეგის, ჟამს – მთლიანად ემიჯნება ვალერი. არ არსებობს უფრო კრიტიკული აზროვნება და უფრო ზედმინევიანი ზუსტი მწერალი. სწამს მხოლოდ მოთმინებითა და გონიერებით დახვეწილ-დამუშავებული ხელოვნება. იგი ანაწილებს და განალაგებს სიტყვებს, როგორც სხვები ციფრებსა და ქიმიურ ნივთიერებებს. ზოგჯერ ხდება, რომ ეკარგება მიზანი და მისი ნაწარმოები ემსგავსება ფარ-მაცვეტულ მიქსტურას, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მასვილ-გონიერებამ, ენის ღრმა შეგრძნებამ, უნაკლო ტექნიკამ და ბოლოს და ბოლოს პოეტურმა ნიჭმა მისცა ძალმოსილება და-ენერა ლექსები, რომლებიც ჩვენი პოეზიის ყველაზე ძვირფას საგანძურში შედის. ვალერი აკლია მხოლოდ ცოტადენი იდუმალეზა (რომელიც არ არის ბუნდოვანება), რათა გახდეს თავისი მასწავლებლის – მალარმეს – ტოლი და სწორი.

ეს ვერგოლია, ვისაც ენათესავება გიომ აპოლინერი. იგი იყენებს მისეულ ოთახის მუსიკას და უბრალო მანერას. როცა ამ გველენიდან თავის დაღწევას ცდილობს, ხშირად მიდის ჟონგლირობამდე, რაც ექსპერიმენტად დარჩა. მაგრამ თავის წმინდა რეგისტრებში შეუდარებელია. იმდენად სურდა თანამ-გზავრს, თვითონვე ქცეულიყო მასწავლებლად, რომ შეძლო “ცუდად შეყვარებულის რომანსით” შეექმნა თავისი შედეგრი, როგორც რემბომ “მთვრალი ხომალდით” ან ვალერიმ “მეზღ-ვაურთა სასაფლაოთი”, მაგრამ თითქმის მთლიანად “ალკოჰო-ლები” და ბევრი სხვა ლექსი ქმნიან ანსამბლს, რომელიც აპო-ლინერს ჩვენს დიდ პოეტთა შორის უჩენს ადგილს.

აქ შევჩერდეთ, აქ საჭირო გახდებოდა თანამედროვეებზე საუბარი და სიუარრეალისტების შეფასება, მაგრამ რადგანაც პრინციპის გამო გამოვიტყუებ ცოცხლები, არჩევანი შე-იზღუდა. ბოლო ოცდაათ წელიწადში გარდაცვლილი პოეტე-ბი, ჩემი აზრით, მეორე რიგისანი არიან. ვერც კატრინ პოზი, ვერც პოლ ფორი, ვერც ანა დე ნოეი, ვერც მაქს ჟაკობი, მიუ-ხედავად მისი ყველაზე მკაფიო, მაგრამ უთავბოლოდ გაფ-ლანგული ნიჭისა, ვერც პიერ რევერდი, ჩემი აზრით, ვერ შეძ-ლებენ გაუძლონ დროის გამოცდას. ბევრი სხვისთვის პოეზია იყო სიჭაბუკის სავარჯიშო, რაზეც მერე ხელი აიღეს სხვა ჟან-რების გამო. დიდხანს შემაყოვნა ანტონინ არტოს შემთხვევამ. თავს დამნაშავედ ვგრძნობ, რომ უარი ვუთხარი “თუნდაც მარცხიან არსებობაზე”, რასაც იგი სთხოვდა ჟაკ რივიერს შე-მოქმედებისთვის, რომელიც ასე ტრაგიკულად დარჩა ავტორ-ზე დაბლა. საბოლოოდ ავირჩიე მხოლოდ ორი ავტორი: ჟიულ სუპერვიელი, რადგანაც იგი ბოლო გარდაცვლილია და აქვს ხიბლი, თუმცა აკლია რაღაც ძირითადი, და პოლ ელუარი გან-საკუთრებით – იმდენად ნამდვილი პოეტი, ვბედავ გავამხი-ლო, რომ მისი პოეზია ისეა შერწყმული ჩვენს ახალგაზრდო-ბასთან, მისი ხსენებისას ყოველივე ნაზდება. და მაინც, ვფიქ-რობ, რომ ელუარი ვერ შეძლებდა იმ განუმეორებელი აქცენ-ტის პოვნას, რომელიც მხოლოდ ყველაზე დიდებს ხელეწიფე-ბათ, რომ არა ის გარემოება, რომ მან, პეგისავით ამაყმა და კე-თილშობილმა, შეძლო თვითგამოხატვა ლექსებში, რომლებიც ღირსნი არიან ამ გრძელ კორტეჟში მყოფი პოეტებისა.

**ფრანგულიდან თარგმნა
ბადრი თიხვაძემ**

ქალაქ ლა ბოლის (საფრანგეთი) თეატრალურმა კომპანიამ — „პრესტო ანდანტე“ — წარმოადგინა პრემიერა ალექსი ჯა-ყელის ფრანგულ-ქართული პროფესიული ქმნილებისა „სადა ხარ?“. მისია კონცეფცია, რეჟისურა, სცენოგრაფია და ქორე-ოგრაფია. განათება: დომინიკ ლეგლანისა და ჟულიენ ჟელის. გალაკტიონ ტაბიძის ლექსები თარგმნა რევაზ ნიკოლაძემ. ფრანგული ტექსტის მომზადებაში მონაწილეობდა დომინიკ გრეგუარი. მონაწილეობენ მსახიობები: გვანცა დადიანიძე, ლიკა კველიშვილი, ზაზა ცარულაშვილი.

გაზეთის „ვესტ ფრანსე“ ფურცლებზე (2010, 4 მარტი) სპე-ქტაკლის ირგვლივ გამოქვეყნდა მასალები, რომელთა თარ-გმანსაც გთავაზობთ.

ფრანგულ-ქართული ქმნილება

ჩანაწიძრის შესახებ

როდესაც ჩემი ყოფილი მონაწილეები დამიკავშირდნენ და მაცნობეს, ამ ზამთარს თავისუფლები ვართო, დიდი ენთუზიაზმით გადავწყვიტე, ჩემთან მომენვია, რათა ერ-თად გვემუშავა და შეგვექმნა სპექტაკლი.

ჩვენ ერთმანეთს კარგად ვიცნობთ, ვინაიდან სამსახი-ობო ხელოვნებას თეატრალურ უნივერსიტეტში ვასწავ-ლიდი. ასევე ვიცნობ მათ შემდგომ გზას და ვიცი, რომ მათ დამატებით შეისწავლეს სიმღერა და ცეკვა.

ამგვარად გამიჩნდა არჩევანი, შემექმნა სპექტაკლი პანტომიმის ფორმით. შესთავაზო ქმნილება, სადაც ამ „უნივერსალურ ენას“ შეურევ ცოცხალი სპექტაკლის სხვა ელემენტებს, როგორცაა ცეკვა და სიმღერა, ჩემი აზრით, საუცხოო საშუალებაა, გადაილახოს ენის ბარიე-რი. შესტებისა და სხეულის მოძრაობათა ენა, რაც გან-საზღვრავს პანტომიმას, ისევე, როგორც ცეკვა და სიმღე-რა დრამატული გამომსახველობის სრულყოფილიანი ელემენტებია და თავისი ადგილი აქვთ თეატრში.

ჩვენ გარდამავალ ხანაში ვცხოვრობთ, სამყარო ცვლი-ლებებს განიცდის. სიცრუე, ძალაუფლებისა და ფულისათ-ვის ბრძოლა არასოდეს ყოფილა ასეთი განუწყვეტელი. ომები ჩაღდება და ადამიანებს ხოცავენ ამაო საბაბებით. პიროვნებანი თავიანთ მთლიანობასა და იდენტურობას კარგავენ მასის, კოლექტივის სასარგებლოდ, განსაკუთრე-ბით კი ზოგიერთების საკეთილდღეოდ. ცხოვრება ბევრი-სათვის ტრაგედიაა, თეატრი კი ცხოვრებით საზრდოობს.

მაგრამ თეატრში, სადაც არ არის საზღვრები და რა-სიზმი, მნიშვნელობა აქვს მოქმედებას. ესაა აგრეთვე მსა-ხიობებისა და რეჟისორის ძალისხმევა შემოქმედების სამ-სახურში. ამ სპექტაკლს სურს გაიაზროს, რომ არაფერია მარადიული, უფრო სწორად, არაფერი, რ ა ც ჩ ა ნ ს, მა-რადიული არ არის. მხოლოდ უხილავს, მორალურ ღირე-ბულებებს, სულს შეუძლიათ, სწრაფვა მარადიულისაკენ.

„სადა ხარ?“ არის პირველი ნაბიჯი ფრანგულ-ქართუ-ლი თანამშრომლობისა, რომელიც გაგრძელდება და გა-ფართოვდება მომავალ წლებში. ჩემთვის ძვირფასია ეს გაცვლა, რომელიც აერთიანებს მსახიობებს, ჩამოსულებს

იმ ქვეყნიდან, სადაც მე დავიბადე და ვისწავლე, და მსახიობებს იმ ქვეყნიდან, სადაც ვცხოვრობ და რომელმაც მიმიღო. ესაა შემთხვევა, აჩვენო, რომ არ არსებობს დაბრკოლებანი კაცებისა და ქალების შეხვედრისას. საშუალება, ამტიციო, რომ ერთმანეთთან შეკავშირებით შესაძლებელია შექმნა სამყარო, რომელიც აზრს იძენს ნებისმიერ ქვეყანაში, განსხვავებული მაყურებლის წინაშე. კონკრეტული ხერხი, თქვა, სიტყვებით გამოხატავ სათქმელს თუ სიტყვების გარეშე, მთავარია ადამიანთა გულებს ჩაწვდეს, საზღვრების, დაბრკოლებათა და გაუგებრობათა მიღმა.

ხელოვნების მცირე რევანში პოლიტიკაზე.

ალექსი ჯაყელი

„სადა ხარ?“

და ქალაქებს
ეშხეფებოდა სილურჯე
რადგან უბედური კაცი...
ჟაკ ბრელი, „ძიება“

„სადა ხარ?“ არის ფრანგულ-ქართული ორიგინალური პროფესიული ქმნილება, რომელიც განხორციელდა სამი ქართველი მსახიობის ცხოვრებისას ლა ბოლში, სადაც მათ მასპინძლობენ 2010 წლის იანვრიდან აპრილამდე, და სადაც მდებარეობს თეატრალური კომპანია „პრესტო ანდანტე“. კომპანიის დირექტორი, ფრანგულ-ქართული წარმოშობის ალექსი ჯაყელი საფრანგეთში დამკვიდრდა 2000 წლიდან, მანამდე დიდხანს იმუშავა პრესტიჟულ ქართულ თეატრებში. იგი ასწავლიდა დაახლოებით ათი წლის განმავლობაში თბილისის თეატრალურ უნივერსიტეტშიც, სადაც მისი მოწაფეები იყვნენ გვანცა დადიანიძე, ლიკა კვეციანი და ზაზა ცარულაშვილი.


ამ სამი მაღალი დონის მსახიობის ჩამოსვლა საფრანგეთში გახდა პირველი ძაფი საფრანგეთსა და საქართველოს შორის თეატრალური გაცვლისა, რომელიც განვითარდება მომავალ წლებში ალექსი ჯაყელის ინიციატივით. „სადა ხარ?“ ამ ფარგლებში დაიბადა 2010 წლის იანვარში. ეს ძალზე ორიგინალური სპექტაკლი აერთიანებს თეატრის, პანტომიმის, სიმღერისა და ცეკვის ხელოვნებებს. 2010 წლის მარტსა და აპრილში საფრანგეთში გამართული პირველი წარმოდგენების შემდეგ ამ სპექტაკლს ითამაშებენ საქართველოს მთავარ ქალაქებში 2011 წლისათვის ჩაფიქრებული გასტროლების დროს.

„სადა ხარ?“ ძალზე თავისუფალ შთაგონებას იღებს ქართველი მწერლის ოთარ ჩხეიძის ორი დრამატული ნაწარმოებიდან, რომელთა სახელწოდებებია „დედა“ და „პანო“. რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილი ეს მწერალი, ვის კალამსაც ეკუთვნის ოცზე მეტი პიესა და რომანი,

ცნობილია, როგორც თავისი ქვეყნის უდიდესი დრამატურგთაგანი. სამყაროს აღქმის მისეული სიმძაფრე და მის ნაწარმოებთა შთამბეჭდაობა მიზეზი იმისა, რომ მას ხშირად აახლოებენ ისეთ ავტორებთან, როგორებიცაა შექსპირი, მოლიერი, ლოპე დე ვეგა თუ კალდერონი.

შეუძლებელია ისეთი სპექტაკლის მოკლედ გადმოცემა, როგორიცაა „სადა ხარ?“ თუმცა ის ამბავს გვიამბობს. და თან რა ამბავს... ამბავს ყველას და თვითეულისა, ამბავს, რომელიც უნივერსალურობას აღწევს, ვინაიდან ეხება თვითეული ადამიანის განსაკუთრებულობას. რისგანაა შექმნილი ადამიანის ცხოვრება, როდესაც იგი საკუთარი მზერით მოიხელთებს მას? ერთმანეთთან დაუკავშირებელ მომენტთა წყებისაგან, რომელიც აერთიანებს ანმეოსსა და წარსულს, რეალურსა და გამონათვალს, ინტიმურსა და საზოგადოს... და ჩვენს ადამიანს ამ გაბნეული ნაჭრებისაგან ძალზე უჭირს გამოჰყოს მსგავსება დაკავშირებულობისა, ლოგიკურისა, აზრისა. ეს რომანებში ხდება, რომ (გმირის) ცხოვრება ჰარმონიულ ხაზად იხატება, რომლის გააზრებული მარშრუტი ისეთივე სიცხადით მოხაზავს ბედ-ილბალს, როგორც მატარებელი – თავის რელსებს. ნამდვილ ცხოვრებაში ასე არ ხდება. ნამდვილი ადამიანების შემთხვევაში ასე არ ხდება.

ალექსი ჯაყელი



სპექტაკლის ორიგინალურობა ისაა, რომ ფორმა მჭიდროდ ერწყმის იმ ქაოტურ აღქმას, რაც გააჩნია ადამიანს საკუთარ არსებობის თაობაზე. აქ, რასაკვირველია, ნახავთ პატარა ეპიზოდებს, რომლებიც თვითეული ცხოვრების დიდ მოვლენებს ქმნიან. გარედან თუ შეხედავთ, ეს ძალიან ჩვეულებრივი მოჩანს; შიგნიდან დახაზვით კი ექსტრემალური თავგადასავლებია. თვალსაზრისის საქმეა. ცხოვრება მარტივი არაა, მით უმეტეს, თუ ყველა ორიენტირი, რომელთაც მეგზურობა უნდა გაეწიათ ჩვენთვის სიბნელეში, ჩვენი თამაშობს. მამ რა არის ეს სამყარო, რომელიც თავდაყირა აყენებს ყველა ღირებულებას, რომელსაც კორუმპირებულები ცამდე აპყავს და მართალთ ლაფში სვრის, რომელიც ერთმანეთში ურევს ოქროს მარცვლებსა და მიუწვდომელ ვარსკვლავებს? როგორ ვიპოვოთ აზრი ამ საყოველთაო არეულ-დარეულობაში? ჩვენი ყველაზე სარწმუნო ღირებულებანიც (დონ კიხოტი, ჰამლეტი, მაკბეტი და მისი ლედი, დონ ჟუანი და მისი კომანდორი, რომლებიც მსწრაფლ იჭრებიან სცენაზე) უცებ თავდაყირა დგებიან, თითქოს პიჯაკი გადმოაბრუნესო.

ამ შემთხვევაში თავისთავად ცხადია, რომ ხელჩაჭიდებულ მაყურებელს მშვიდად არ შეიყვანენ გამჭვირვალე ამბავში, სადაც საიდუმლოებებს მონდომებით ეხდება ფარდა თავის დროზე და სადაც კვანძის გახსნა კეთილმოსურნე და დამამშვიდებელია. არა, ამ სპექტაკლს არაფერი აქვს საერთო ფეიდოს სტილის ინტრიგასთან.

„სადა ხარ?“ კითხვითი თეატრალური ფორმა და ასეთად რჩება კვანძის გახსნამდე. ვინ არის ეს „შენ“? და „სად“ არის ის? მას ჯერ კიდევ ეძებენ. „ყველა“ ეძებს და არც იცის, რას, სპექტაკლის პერსონაჟებისა არ იყოს. ნურც მისი პოვნის იმედი გექნებათ დიდად. ბოლოსდაბოლოს, არც გოდო უპოვიათ! და როცა კარგად შევხედავთ, ყველა შეკითხვის, რასაც წამოეჭრით და რასაც ჩვენს თავს ვუსვამთ, პასუხები ხშირად მხოლოდ კითხვითი ფორმაში გვაქვს: „სადა ხარ?“ მე უკეთ ვიცი, რომ შენ მხოლოდ ის არა ხარ, რაცა ხარ!

კითხვითი, უარყოფითი... მაშ ამ ყველაფერში არაფერი მტკიცებითი არაა? დიას, არა. თუმცა კი, შესაძლებელია ეს იყოს პირველი სიყვარულის შორეული მოგონება, განშორების ბუნდოვანი შეგრძნება, გამოუთქმელი ნოსტალგია რალაცის, რაც ლოგიკური იყო, მაგრამ რის?.. და მინც, ყველაფრის მიუხედავად, დაბეჯითებით ვთქვათ: „სადა ხარ?“ არაჩვეულებრივი სპექტაკლია, ძახილის ნიშანი.



სცენა სპექტაკლიდან „სადა ხარ?“

მელშიც შედის მრავალი სახელოვნებო ფანრი, როგორებიცაა ცეკვა, მუსიკა, ვიზუალური სურათი... ამგვარად, მუსიკამისი თეატრის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, ისეთივე სრულფასოვანი, როგორც სიტყვები, სინათლე თუ აქსესუარები. ის ინარჩუნებს სპექტაკლის ტემპო-რიტმს, ქმნის მოქმედების, ემოციის, თამაშის სამყაროს. ამავე აზრობრივი თანამიმდევრობით, მიაჩნია, რომ ცეკვა არის სპექტაკლის ერთერთი სრულფასოვანი გამოსატვის საშუალება, რომელსაც მოაქვს რიტმი და გვთავაზობს მოქმედების მეტაფორას. ამით იგი საბჭოთა სკოლის ტრადიციის წარმომადგენელია, სადაც მსახიობი არის პოლივალენტური. თამაშობს, მაგრამ აგრეთვე მღერის, ცეკვავს, აკეთებს პანტომიმას... მსახიობის თამაშში განახორციელებს შემოქმედებითი გამომსახველობის ამ სხვადასხვა ასპექტს ყველაზე ფართო მნიშვნელობით.

გვანცა ღაღინიძე

1994 წელს შედის თბილისის ეროვნულ თეატრალურ უნივერსიტეტში ალექსი ჯაყელის კურსზე. 2004 წელს დიპლომირებულია და მუშაობს ინყებს გორის ეროვნულ თეატრში, სადაც განასახიერებს ოცდაათამდე როლს: შექსპირი, ბულგაკოვი, სტრინდბერგი, ბიუხნერი, მოლიერი, იონესკო. 2007 წლიდან თამაშობს გორისა და ზესტაფონის თეატრებში.

დომინიკ ბრეშარი

დოსია

ალექსი ჯაყელი

საფრანგეთში დაპყვირდა 2000 წლიდან. ორმოცდაექვსი წლის ამ ფრანგ-ქართულმა განათლება მიიღო თბილისის (საქართველო) თეატრალური ხელოვნების უნივერსიტეტში და დიპლომირებული იქნა, როგორც მსახიობი (1984) და რეჟისორი (დოქტორის ხარისხი მიენიჭა 1987 წელს). გარდა იმისა, რომ იგი მოღვაწეობს, როგორც კინომსახიობი და თეატრალური და საოპერო რეჟისორი, თერთმეტი წელი ხელმძღვანელობდა გორის თეატრს და შვიდი წელი კითხულობდა თეატრალური ხელოვნების უნივერსიტეტში. შემდგომ კი ხდება თბილისის გრიბოედოვის სახელობის ნაციონალური თეატრის შტატის რეჟისორი. ხელოვანი აღარ ითვლის ტიტულებსა და ჯილდოებს, რაც მას თავისი კარიერის მანძილზე მიენიჭა. დავასახელოთ მხოლოდ პრიზი, რომელიც მიიღო 1995 წელს, როგორც საუკეთესო ქართველმა რეჟისორმა მთელი თავისი შემოქმედებისათვის. დღეისათვის იგი სამმაგ საგანმანათლებლო საქმიანობას წარმართავს ლუარს მხარეში: მოყვარულებთან (სტუდენტები მოზრდილთათვის, მოზარდთა და ბავშვებისათვის); სასკოლო ფარგლებში, საბავშვო ბაღიდან ლიცეუმამდე, და განსაკუთრებით, როგორც ხელმძღვანელი სხვადასხვა თეატრალური სახეობისა; ეროვნული განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით; პროფესიულ სფეროში („აფდას“ სტაჟირებები, ქმნილებები...).

ალექსი ჯაყელისათვის თეატრი მთლიანი სპექტაკლია, რო-

ლიკა კვცივილი

1988 წელს შედის თბილისის ეროვნულ თეატრალურ უნივერსიტეტში, ალექსი ჯაყელის კურსზე. თბილისის ეროვნულ თეატრალურ უნივერსიტეტში დიპლომირებულია 1992 წელს, შემდეგ მუშაობს ინყებს გორის თეატრში, სადაც განასახიერებს ათამდე როლს, ვიდრე იმუშავებდეს თბილისის ეროვნულ თეატრში. 1996 წლიდან, გორის ეროვნული თეატრის შტატში ყოფნისას, ალექსი ჯაყელის ხელმძღვანელობით განასახიერა შექსპირი, ბულგაკოვი, სტრინდბერგი, ბიუხნერი, მოლიერი, იონესკო, შემდეგ იმუშავა სხვადასხვა რეჟისორთან ისეთ პიესებზე, როგორებიცაა „მეფე ლირი“, „რევიზორი“, „ბერნარდა ალბას სახლი“ და ქართული დრამატული რეპერტუარის ოცამდე როლზე. გარდა თეატრალური საქმიანობისა, თამაშობს რამდენიმე კინოფილმში, სატელევიზიო და სარეკლამო ფილმებში. გაიარა რამდენიმე ეტაპი ცეკვისა და სიმღერის შესასწავლად.

ზაზა ცარულაშვილი

1997 წელს თბილისის ეროვნული თეატრალური უნივერსიტეტის დიპლომირებულია. მუშაობს ინყებს გორის ეროვნულ თეატრში, სადაც განასახიერებს შექსპირს, ბულგაკოვს, სტრინდბერგს, ბუხნერს, მოლიერს, იონესკოს... 1999 წელს მონაწილეობს გასტროლებში, რომელიც მოიცავს ქართული პოლიფონიური სიმღერის 50 კონცერტს სანკტ-პეტერბურგში. 2001 წლიდან მუშაობს გორის ეროვნულ თეატრში და სხვადასხვა რეჟისორთან ნათამაშევი აქვს 24 როლი, საიდანაც 12 მთავარია.

ფრანგულიდან თარგმნა ნინო ციმაკურიძე

პაატა ჩხეიძე

საით?

არც კი ვიცი, რომელია დღეს ყველაზე პოპულარული პროფესია საქართველოში: იურისტი, ეკონომისტი თუ პოლიტოლოგი? ალბათ, მაინც პოლიტოლოგი, რადგანაც ყველაზე პრესტიჟული, იურიდიული და ეკონომიკური ფაკულტეტების მიზანსწრაფულ სტუდენტთა ყურადღება პოლიტიკისაკენ არის მიპყრობილი, რადგან იქ ეგულებათ კარიერისა და ბიზნესის გასაღები.

პოლიტოლოგი ყველაზე სასურველი მოსაუბრეა და, ამდენად, ყველაზე სასურველი სტუმარი კონფერენციებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ოფიციალურ თუ კერძო ადგილებში; პოლიტოლოგს გარს ეხვევიან, ეკითხებიან, უსმენენ; ადრე პოეტი ან, თუ სიზმრების ასხნა დააინტერესებდათ, ფსიქოლოგი იყო ასეთი ყურადღებით მოსილი.

ზედმეტი პოპულარობა ხშირად უქმი პატივმოყვარეობისა და ზედაპირულობის გამოწვევია; ამიტომაც არის, რომ პოპულარული პოლიტოლოგი (ექსპერტი) ბევრი გვყავს, მაგრამ რჩეული ცოტა; ბევრია ინტერვიუები, ცოტაა ნაშრომები; და რა გასაკვირია, რომ გაჩნდა ნიჰილისტური მოსაზრება — ქართული პოლიტიკური მეცნიერება არ არსებობსო. ვთქვათ ისევე, როგორც, ქართული ფილოსოფია არ არსებობს ან ქართული კრიტიკა არ არსებობს, ანდა მითია ქართული მეცნიერების არსებობა!

მინდა ვისაუბრო ლადო პაპავას წიგნის შესახებ — **„ცენტრალური კავკასია“**.


დავიწყებ იმით, რომ ბატონი ლადო ცნობილი ადამიანია, მაგრამ პოპულარული არ არის და ამას მისი ცხოვრების წესი და მსოფლმხედველობა განსაზღვრავს. მას არასოდეს უკადრია იაფფასიანი და მყვირალა განცხადებებით ყურადღების მიპყრობა და ამის ერთ-ერთი დასტური ეს “ძნელადსაკითხავი” ნაშრომია.

წიგნის სათაური პირდაპირ მიუთითებს მის ორიგინალობაზე; კომპოზიტი, **კავკასია** ანუ **კავკ(ას) + აზია** — არა მარტო ორიგინალურია, როგორც ტერმინი, არამედ აღმოჩენაა, და წინასწარჭვრეტაცაა, როგორც კონცეფცია.

ცენტრალური კავკასია გეოგრაფიულად და გეოპოლიტიკურადაც ცენტრალურ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას მოიცავს და წინამდებარე წიგნში სწორედ ამ არეალის მნიშვნელობაა განხილული და დასაბუთებული.

ტერმინით **ცენტრალური კავკასია** ლადო პაპავა სამეცნიერო წრეებს, და არა მარტო მათ, სთავაზობს **ევრაზიის** კრიტიკას; ვინც ევრაზიის ძირითად კონცეფციებს იცნობს, მისთვის გასაგები უნდა იყოს პრობლემის სიასხლე, სირთულე და ავტორის გაბედულება.

წიგნი შედგება შესავლის, ექვსი თავის, დასკვნის, სამეცნიერო აპარატისა და ორი, ინგლისურ და რუსულ ენაზე დაწერილი, ესეისაგან.



ამრიგად, წიგნი პირნმინდად მეცნიერული ნაშრომია და კრიტიკოსისაგან დინჯ და ყურადღებიან შეფასებას იმსახურებს.

შესავალში ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ისეთ მოძველებულ, საბჭოურ ტერმინებს, როგორიცაა **ბალტიისპირეთი, ამიერკავკასია, შუა აზია**; და მათ ნაცვლად დამკვიდრებულ, **ბალტიის ქვეყნებს, სამხრეთ კავკასიას და ცენტრალურ აზიას**. იგი აცხადებს, რომ სურს სცადოს “ზემოთჩამოთვლილი ქვეყნების მომცველი რეგიონის გეოპოლიტიკონომიკური აღქმის ზოგიერთი მომენტის ახლებური გააზრება.”

მისი აზრით, „რეგიონი განხილული უნდა იყოს იმის გარეშე, თუ რა მიზნებს ისახავენ ამ რეგიონში მსოფლიო თუ რეგიონული სახელმწიფოები.“

ამრიგად, ავტორის მიზანია, არა მხოლოდ ტერმინთა დაზუსტება და რეგიონის გეოპოლიტიკონომიკური მიმოხილვა, არამედ გარკვეული საერთაერთობო ნორმების, ერთგვარი „კონსტიტუციის“ შემუშავება მსოფლიოს ერთი, დიდი ნაწილისათვის. ამ მცდელობას რაღაც აბსტრაქტული მიზანი კი არ უდევს საფუძვლად, არამედ წარმოშობილია როგორც

რეაქცია იმ გამონევისა თუ საფრთხის მოსაგერიებლად, რაც მის სამშობლოსა და მის მეზობლად მდებარე მცირე და საშუალო ქვეყნებს ემუქრება.

ეს საფრთხე **ევრაზიის** გახლავთ.

პირველ თავში განხილულია „ევრაზიისა“ და „ცენტრალური ევრაზიის“ გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური კონტურები. ხაზგასმულია აშკარა დაბნეულობა დასავლური გეოპოლიტიკისა და აქტიური, უფრო მეტიც, აგრესიული შრომა რუსი პოლიტოლოგებისა, რათა ტერმინში „ევრაზია“ იგულისხმებოდეს არა მისი ნამდვილი საზღვრები, არამედ რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის ტერიტორიები. ამ თვალთახედვით ძველი მსოფლიოს სამ კონტინენტს — ევროპას, აზიასა და აფრიკას — ემატება კიდევ ერთი, „ევრაზიის“, კონტინენტი, რაც ევრაზიის გეოგრაფიულ საზღვრებს არღვევს და რუსულ იმპერიულ საზღვრებს ადგენს, რუსეთის ეროვნული იდენტობის მაჩაიული ძიების პროცესში.

რუსული აზროვნება (ფილოსოფიური, პოლიტიკური, გეოპოლიტიკური, თუნდაც ლიტერატურული) რუსულ ეროვნულ იდენტობას მხოლოდ იმპერიის სახით წარმოიდგენს, იმპერიაში ხედავს სახელმწიფოებრიობის განსაკუთრებულ ფორმას, რაც სასიკეთოა არა მხოლოდ რუსეთისათვის, არამედ იმ ხალხებისთვისაც, ვისაც რუსეთი შეიფარებს“ და გამოკვებავს“; ამას ემატება მესამე რომის რუსული, მესიანისტური იდეა და ჩვენს წინაშეა არა თუ ახალი გლობალური გამოწვევა, არამედ რეალური საფრთხე ჯერ რუსეთის უშუალო მეზობლებისათვის, სამხედრო აგრესიის სახით, და, დაპყრობების შემდეგ, ახალი უშუალო მეზობლებისათვის. სწორედ ამ საფრთხეს გვიჩვენებს ლადო პაპავა წიგნის მეორე თავში, რუსული ევრაზიისმი“ გამოწველივით განხილვითა და მისი აგრესიულობის ჩვენებით.

მესამე თავში, „ცენტრალური კავკასია“: ძირითადი გეოპოლიტიკონომიკური პრობლემები და ევრაზიისში“, სვამს უმნიშვნელოვანეს საკითხს — „მაინც რა არის ცენტ-

რალური კავკასია?” — როგორც რეზისტენტულ ალტერნატივას საკითხისადმი — “მაინც რა არის რუსეთი”?

ტერმინი ცენტრალური კავკასია განსხვავდება და უპირისპირდება რუსულ ტერმინს **Закавказье**. ცენტრალური კავკასია მოიცავს აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს. ცენტრალური კავკასიის კონცეფცია თავისთავად გულისხმობს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიების არსებობას. რუსეთისათვის ორი კავკასია არსებობს „ამიერ და იმიერ“, ჩრდილო და სამხრეთი; თურქეთისა და ირანისათვის კავკასია ჩრდილოეთში მდებარეობს და ერთი მხარეა; ლადო პაპავას (და მასთან ერთად აზერბაიჯანელ პოლიტოლოგ ელდარ ისმაილოვის) ტერმინი და კონცეფცია კი კრიტიკულად განიხილავს რეგიონის მთავარ მოთამაშეთა გეოპოლიტიკურ ხედვებს და სრულიად ახალ და კავკასიის ხალხებისათვის მისაღებასა და სასარგებლო გზაზე გვაყენებს.

უმთავრესი მნიშვნელობა ცენტრალური კავკასიის ქვეყნებისა უჭკველად მათი გეოპოლიტიკური მდებარეობა და სატრანსპორტო პერსპექტივებია — ახალი აბრეშუმის გზისა და გლობალური ინტეგრაციის კონტექსტში. რეგიონის ეკონომიკური აღმავლობის პოტენციალი დიდია, რესურსი მდიდარი და მრავალმხრივი; ზერბაიჯანის ნახშირწყალბადოვანი საბადოები, საქართველოს საზღვაო და სახმელეთო კორიდორი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, სომხეთის სახმელეთო გზა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ცენტრალური კავკასიის სტაბილურობისა და კეთილდღეობის სანინდარი უნდა იყოს; მაგრამ სწორედ სახარბიელო მდებარეობა ხდება ცენტრალური კავკასიისათვის არეულობისა და დაპირისპირების მიზეზი, რადგან მეზობელი დიდი ქვეყნები, რუსეთი, ირანი და თურქეთი, კარგა ხანია ცდილობენ ან მთლიანად ჩაიგდონ ხელში ან გაიყონ ცენტრალური კავკასიის სიმდიდრე და გეოპოლიტიკური უპირატესობა. სწორედ ამიტომ კავკასიაში, თუ ორიოდ საუკუნეს გამოვიცხავთ, თითქმის არასოდეს ყოფილა მშვიდობა, სტაბილურობა და პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მთლიანობა.

ლადო პაპავა ხედავს ამგვარი ისტორიული დეტერმინიზმის მოჩვენებით სიძლიერეს, მაგრამ ისიც იცის, რომ მისი უსაფუძვლობა სწორედ ისტორიამ დაამტკიცა, თანაც მრავალჯერ. უნდა აღვნიშნო, რომ ცენტრალურ კავკასიის კონცეფციაზე ფიქრისას არ მშორდება შეგრძნება, რომ ავტორი გაცილებით ფართოდ მოიაზრებს და განიცდის კავკასიის პრობლემას, არ ზღუდავს მას მხოლოდ ცენტრალურობითა და გეოპოლიტიკური პრობლემებით.

ცენტრალური კავკასიის საკითხს წიგნში ლოგიკურად უკავშირდება, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ცენტრალური აზიის საკითხიც. ბატონი ლადო ამ რეგიონის განსაზღვრისათვის ჰუმბოლდტის ტერმინს მოიმარჯვებს, ნაცვლად პოსტსაბჭოურისა და ევრაზიისტულია (შუა აზია). თუ კავკასიაში რუსეთის მძლავრი გავლენა ჩრდილო კავკასიაზე, სომხეთსა და ცენტრალური კავკასიის დაპყრობილ ტერიტორიებზე რჩება, ხოლო საქართველოსა და აზერბაიჯანის დაპყრობასა-გადარჩენილ ნაწილში ეს გავლენა საგრძობლად შემცირებული, ცენტრალურ აზიაში რუსეთის გავლენა უფრო მძლავრია, უფრო საფუძვლიანი და მდგრადი. „ცენტრალურ აზიაში“ ლადო პაპავა მოიაზრებს ოთხ ქვეყანას, თურქმენეთს, უზბეკეთს, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთს, ამას ემატება ყაზახეთიც, მიუხედავად მისი რადიკალურად ევრაზიისტული ტენ-

დენციისა და ნიშანდობლივი ყაზახური პოლიტიკისა, ხოლო „დიდ ცენტრალურ აზიაში“ აღნიშნულ ქვეყნებს ემატება ავღანეთი, ჩინეთის ნაწილი და მონღოლეთი.

ცენტრალური აზიის ქვეყნების რეგიონული პოზიცია-ცა და ურთიერთმიმართებაც ძალზე რთულია და მრავალნახნაგოვანი; უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი უფრო აქტიურად მონაწილეობენ ინტეგრაციულ პროცესებში, თურქმენეთი იზოლაციონიზმს ამჯობინებს, საკუთარი რესურსების იმედად. ცენტრალური აზიის სახელმწიფოები, გარდა დსთ-სი, ბელარუსთან და რუსეთთან ერთად ევრაზიის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრები არიან და, ამას გარდა, შედიან შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში.

ცენტრალური აზიის კონცეფციას ვერ გაიზიარებს რუსული ევრაზიიზმი და ვერც თანამედროვე ყაზახური გეოპოლიტიკა. რუსული ევრაზიიზმი „შუა აზიის“ ქვეყნებს ტრანზიტულ ფუნქციას ანიჭებს ინდოეთის ოკეანესთან გასასვლელად, ყაზახეთი კი ევროპისაკენ უფრო იყურება, ვიდრე აზიისაკენ.

საგულისხმოა ავტორის მოსაზრება ცივი ომის არა დასრულების, არამედ გაყინვის შესახებ. რუსეთმა, დასავლეთის დახმარებითა და საკუთარ რესურსებზე დაყრდნობით, გადაიტანა იმპერიის დაშლის უმძიმესი შოკი და ზედ დართული ეკონომიკური კრიზისი; მერე ევროპაში გამავალი გაზი პოლიტიკურ იარაღად აქცია და გაახსენდა, რომ დასავლეთი ნებადართულზე მეტად მიუახლოვდა და თვალეში ჩახედვა გაუბედა. თუ ჩვენთვის დასჯა შიდა მოხმარების აქტი იყო, საქართველოს დასჯა გაფრთხილება გახლდათ მთელი დასავლეთისათვის. და დასავლეთმა შეპასუხება ვერ გაუბედა.

ამრიგად, „გაყინული“ ცივი ომი „გალხვა“ საქართველოში და კვლავ ომის სახე მიიღო.

ევრაზიიზმი დიდი ქვეყნის პოლიტიკური ამბიციაა, ამოცანა და მიზანი; მსოფლიოს დიდი და მცირე ქვეყნებისათვის ნაუნყები და ანგარიშგასაწიფი მუქარაა.

ცენტრალური კავკასია რეგიონის მცირე ქვეყნების პოლიტიკურ მოაზროვნეთა ნაფიქრალი და ნაოცნებარი კონცეფციაა.

რა შანსი აქვს ასეთ კონცეფციას იმ დიად ამოცანასა თუ მუქარასთან? — ერთი შეხედვით, არავითარი. მითუმეტეს, ევრაზიიზმი რუსეთის ხელისუფლების მიერ მოწონებული და სამოქმედოდ მიღებული პროგრამაა, ხოლო **ცენტრალური კავკასიის** იდეა მხოლოდ მეცნიერთა შორის თუ არსებობს და ისინიც უნიათოდ ეხმაურებიან, როგორც წიგნის ყდის ბოლო გვერდიდანაც მოჩანს. ლადო პაპავა აცხადებს, რომ „ნებისმიერი მსჯელობა ევრაზიიზმის სულისკვეთებით ეგრეთ ნოდებულ „კავკასიიზმზე“, როგორც ევრაზიიზმის შესაძლო თეორიულ ანტიპოდზე, საფუძვლემივე მცდარია, უწინარეს ყოვლისა, ცენტრალური კავკასიის პოლიტიკური ჰეტეროგენულობის გამო, როცა ყველა ქვეყანა ერთნაირად არ აღიქვამს როგორც თავად სახელმწიფო სუვერენიტეტის სტატუსს, ისე მისი მიღწევის გზებსაც.“ ესე იგი, **ცენტრალური კავკასია** არ უნდა აღიქვას როგორც პოტენციურად აგრესიული, იმპერიული ტიპის გაერთიანება, მაგრამ იგივე მიზეზი (ერების ჰეტეროგენულობა) ამ ერების შესაძლო ალიანსსაც ეჭვქვეშ აყენებს; გამოდის, რომ სრული უიმედობაა გამეფებული **ცენტრალური კავკასიის** იდეის განხორციელების გზაზე.

მაგრამ ლადო პაპავა იმასაც ხედავს, რომ „თუ ცენტრალური კავკაზის ქვეყნების სახელმწიფო ინტერესების ღერძად მივიჩნევთ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოპოვებული სახელმწიფო დამოუკიდებლობის განმტკიცებასა და განვითარებას, ბუნებრივ აუცილებლობად უნდა ვაღიაროთ, რომ მათთვის მიუღებელი არა მარტო ევრაზიისში, არამედ „პარტლენდის“ თეორია, როგორც ამ ქვეყნების დაქვემდებარება, შესაბამისად რუსეთის ან დასავლეთის იმპერიული სქემებისადმი“.

სწორედ აქ უნდა დაიძვინოს **კავკაზიზმისა** თუ არა **ცენტრალური კავკაზის** პერსპექტივა მაინც!

ამრიგად, დიდი იდეის კონტურები გამოიკვეთება, ახლა საჭიროა რწმენა და შრომა; მაგრამ რწმენა და შრომა, პირველ რიგში, ცენტრალური კავკაზის სახელმწიფოთა მეთაურებსა და პოლიტიკოსებს მართებთ!

ცენტრალური კავკაზის იდეის მომხრეთა იმედი ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ინტერესებია ამ რეგიონის მიმართ; მაგრამ ევროპა უძღური აღმოჩნდა რუსეთის წინაშე, თუნდაც 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს, საქართველოში; ხოლო „შეერთებული შტატები იმდენად შორს არის ცენტრალური კავკაზისაგან, რომ ვერ შეძლებს ამ რეგიონში დომინირებას;“ გარდა ამისა, „შეერთებული შტატები საკმარისად ძლიერია საიმი-სოდ, რომ ჩათრეული არ აღმოჩნდეს ცენტრალურ კავკაზში მისთვის არასასურველ მოვლენებში.“

მიუხედავად ამისა, ლადო პაპავას მაინც ეიმედება ამერიკის ხელისუფლების მხარდაჭერა. იგი ფიქრობს, რომ ამერიკა ცენტრალურ კავკაზში მხარს უჭერს საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, სამართლის უზენაესობის პრინციპთა დამკვიდრებას, სოციალური პრობლემების გადაჭრას და ა.შ... გარდა ამისა, მისი აზრით, „საქართველოში რუსეთის შეჭრის შემდეგ აშშ-სათვის კიდევ უფრო აქტიური გახდა რეგიონში დემოკრატიული პროცესების განვითარების მხარდაჭერის პრობლემა.“

დაინტერესება **ცენტრალური კავკაზით** სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამერიკისათვის, მანამ, სანამ ის მსოფლიოს ზესახელმწიფოდ რჩება, მაგრამ როგორც ავტორი აღნიშნავს, მას არ შეუძლია დომინირება რეგიონში, და არც ის სურს ახალ ომში „აღმოჩნდეს ჩათრეული“, ამჯერად უკვე რუსეთთან; ამგვარი ვითარება კი რეგიონის ქვეყნებს წინდახედულ პოლიტიკასა და დიდ სახელმწიფოთა მიერ წარმართულ ძალთა დაბალანსების პოლიტიკაში აქტიურად ჩარევაზე უარის თქმას კარნახობს.

ძალთა დაბალანსებით გადაჭარბებულმა გატაცებამ ანუ ძალთა ბალანსზე დიდი იმედის დამყარებამ მოიტანა 2008 წლის აგვისტო, რაც ერეკლე II-ის პოლიტიკის მარცხსა და კრწანისის მაგონებს; ან კიდევ, ხომ გახსოვთ ზაქარია ჭიჭინაძის წიგნი, „როგორ მოატყუა პეტრე დიდმა ვახტანგ მეექვსე“; ახლო მომავალში ეგებ ვინმემ სცადოს და დაწეროს წიგნი, „როგორ მოატყუა ჯორჯ ბუშმა მიხეილ სააკაშვილი“.

ცენტრალური კავკაზის იდეა განსაკუთრებული ოპტიმიზმის საფუძველს კი არ მაძლევს, პირიქით, რაც უფრო ღრმად ვინებები პრობლემაში, მით უფრო მიძლიერდება პესიმიზმი; მაგრამ ეს სასარგებლო პესიმიზმია, გაფხიზლებს და სამოქმედოდ განგანყოფნის, რადგან რაკი იდეა არსებობს გზის დასაწყისიც მოჩანს.

იდეა უნდა გავრცელდეს, მომხრენი და ერთგული მიმდევრები შეიძინოს; გარდა ამისა, ის არ უნდა იყოს აბსტრაქტული

და უფესვო, ცარიელ ადგილზე ხელოვნურად ჩანერგილი. საქართველოს დასავლური ორიენტაცია არ ნიშნავს მის მოწყვეტას სხვა მიმართულებებისაგან, ხოლო **„ცენტრალური კავკაზის“** იდეა საქართველოს ტრადიციული გეოპოლიტიკური ფუნქციის, როგორც ევროპა-აზიის ხიდის ან მისი ერთ-ერთი ბურჯის — რადგან ხიდობაზე რეგიონის რამდენიმე ქვეყანა აცხადებს პრეტენზიას — გამყარებად მესახება.

უძველესი დროიდან მოყოლებული, საქართველოში იყვნენ სხვადასხვა — დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის — ორიენტაციის მომხრეები; აეტისა და ფარტაზის სულები რომ არ შევანუხობთ, სულ ახლახან, **XX** საუკუნის დამდეგს, კონსტანტინე გამსახურდია ევროპული ორიენტაციისა გახლდათ, ვახტანგ კოტეტიშვილი კი — აზიურისა, მაგრამ ორივენი გრძნობდნენ და ემსახურებოდნენ საქართველოს. ასეთი იყო ქართული პოლიტიკური ცხოვრების წესი.

ცენტრალური კავკაზის გეოპოლიტიკონომიკურმა იდეამ უნდა განკურნოს რეგიონის ქვეყნები ნაჩქარევ და უმნიშვარ გადაწყვეტილებათა სწეულებისაგან და ხანგრძლივი, თანამიმდევრული პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისათვის მოამზადოს.

ლადო პაპავას **კავკაზიური** თეორიის ძირითად თეზისად რეგიონის ქვეყნების მიერ მოპოვებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ზრუნვა და მათივე ეკონომიკური ინტერესები რჩება. და ეს სწორედ ის ფუნდამენტური საფუძველია, რასაც უნდა ეყრდნობოდეს საკუთარი თავის, ისტორიისა და ტრადიციის პატივისმცემელი სახელმწიფო.

შევეცდები თანამედროვე პოლიტიკის ერთი, ბოლო ხანს გაძლიერებული ტენდენციით გავამაგრო ავტორის კონცეფცია. ნაკლებად მჯერა დემოკრატიის გავრცელებისა და ახალი დასავლური ინსტიტუტების მიერ მოტანილი კეთილდღეობისა პოსტსაბჭოურ კავკასიურსა და განსაკუთრებით ცენტრალური აზიის ქვეყნებში; დემოკრატიზმის შედეგი მაჟორიტარული არჩევნების ბერნ ნიადაგზე აღმოცენებული დესპოტური რეჟიმებია; დესპოტიზმს რა უშვავს, დროთა განმავლობაში ეშველება, სამწუხარო ის არის, რომ ამ რეჟიმებს საბჭოური გადმონათები უფრო კვებავს, ვიდრე ტრადიციული ფესვები. ამიტომ, დემოკრატიზმისა რა გითხრათ და, ეთნონაციონალიზმის გამოღვიძებას აშკარად ვხედავ **XXI** საუკუნის გარიჟრაჟზე.

ეთნონაციონალიზმი გლობალიზმის რადიკალურ გამოვლინებათა წინააღმდეგ წარმოშობილი რეაქციაა. როგორც დასავლეთელი პოლიტიკური მოაზროვნეები მიუთითებენ, ეთნონაციონალიზმი მოქმედებს და მოქმედებს არა მარტო, როგორც მძლავრი ერების აგრესია, არამედ როგორც მსოფლიოს ერთა ზრუნვა და ნუხილი თვითმყოფადობის დაკარგვის გამო.

ცენტრალური კავკაზის ერების მთავარი პრობლემა თვითმყოფადობის შენახვაა, რისთვისაც ისინი საკუთარ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ტრადიციებს უნდა დაეყრდნონ და არა აბსტრაქტულ ინსტიტუტებს; ყოველ შემთხვევაში, როგორც ცენტრალური კავკაზის იდეის ერთ-ერთი მომხრე, მე ამას ვისურვებდი.

ვისურვებდი, აგვეჩია ერთი გზა, დინჯად მივყოლოდით, ყოველ მოსახვევში გზაჯვარედინი არ გველანდებოდეს და არ ვკითხულობდეთ, საით წავიდეთო.

გზა გნებავთ? აი ერთი გზა — **ცენტრალური კავკაზია!**

რიტა ბაინდურაშვილი

ბინდისფერი ნიბნის ნაღველი

□

თამაზ ბაძალუას ბასსენება

„მე ჯერ მოვკვდები ღმერთების თვალწინ და მერე ჩემთვის, ჩემად და მარტო“...

ეს მისი იდუმალი ოცნება იყო.

თუმცა ბედისწერამ სხვაგვარად იწვინა...

22 წლის წინათ მარტვილის გზაზე ის „ღმერთების თვალწინ“ ტრაგიკულად დაიღუპა ცოლ-შვილთან ერთად...

თამაზ ბაძალუა 50 წლის იქნებოდა ახლა.

50 ორიგინალური ლექსი და 50-იც იტალიურიდან თარგმნილი შევიდა პოეტის საიუბილეო კრებულში „სიზმარში მაცინც ვხვდებით ერთმანეთს“, რომელიც მისმა ბიძაშვილმა და მეგობარმა მალხაზ ბაძალუამ ამას წინათ გამოსცა.

კრებულის პრეზენტაცია და პოეტის ხსოვნის საღამო ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში გაიმართა. მეგობრებთან ერთად საღამოს მისი პოეზიის ძველი და ახალგაზრდა თაყვანისმცემლებიც ესწრებოდნენ. შესავალ სიტყვაში დარბაზის მასპინძელმა როსტომ ჩხეიძემ პრძანა:

— ჩვენ არ გვინდა, რომ თამაზ ბაძალუას სახელი მხოლოდ ტრაგედიას უკავშირდებოდეს. დღეს ჩვენ ვიხსენებთ არა ტრაგიკულად დაღუპულ პოეტს, არამედ პოეტს, რომელიც განათლებითა და ნიჭიერებით თავის დროზევე ამკარად გამოირჩა და ახლაც მისი პოეტური ტალანტი, კრებულის სახით, ლიტერატურული პროცესების სრულყოფილებიანი მონაწილე ხდება. მის მშობლიურ მარტვილში გახმინდა პირველად ეს ნიგნი, სადაც პოეტის სულის მოსახსენიებლად პანაშვიდიც აღესრულა. ჩვენი დღევანდელი საღამო კი კიდევ ერთი რგოლია ამ ადამიანის პოეზიის წარმოჩენის გზაზე. რაც ხანი გავიდა, ერთი რამ გახდა ნათელი: ის თითქოს წინასწარ განიცდიდა ქართულ მწერლობაში ამჟამად მიმდინარე პროცესებს. იგი რამდენადმე ამოვარდნილია მაშინდელი პოეტური რეალობიდან, სამაგიეროდ, ბუნებრივად არის ჩართული დღევანდელ სამწერლო პროცესებში და ამიტომაც მისი შემოქმედება აქტუალურია კვლავაც. თანამედროვე ახალგაზრდობისთვის მახლობელი და საინტერესო აღმოჩნდა ის სამყარო, რომელიც თამაზ ბაძალუამ მოიტანა. ამ სამყაროს შესახებ დღეს მისი მეგობრები, ლიტერატორები, მთარგმნელები ისაუბრებენ, რათა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ იგი, როგორც პიროვნება და შემოქმედი, რომელმაც სულ მცირე დროში საკმაოდ ბევრის თქმა და დანერგვა მოახსნრო. თითქოს ავბედით განსაცდელს წინასწარ გრძნობდა და ჩქარობდა...

ბინდისფერი ნიგნი უწოდა თამაზ ბაძალუას ლექსების კრებულს თავის გამოსვლაში სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორმა ნანა კუციამ:

— თამაზ ბაძალუას პოეზია ის უცნაური სამყაროა, მშრალი ციტირებისთვის, სტრიქონებად დამსხვრევისთვის რომ დაგენანება. თავად ლექსი უნდა ამოწერო, უკეთ — ჩურჩულით, ლოცვასავით წაიკითხო, იდუმალი ჰარმონია რომ არ დაირღვეს უნებლიეთ. თუ შეიძლება სასონარკვეთა ქმნიდეს ჰარმონიის ღვთაებრივ მელოდიას, ეს უთუოდ ითქმის თამაზ ბაძალუას ლექსებზე. ასეთ მელოდიად იღვრება სტიქონები:

**ბებერო ცაცხვო, გაზაფხულზე მეც ვყვავილობ
შენს ხმელ ტოტებთან,
მეც ქარებში ვდგავარ ღიმილით
და თავსხმა წვიმა აუხდენელ სიზმრებს მისველებს.
მეც მაკითხავენ გაზაფხულზე შენი ფუტკრები,
რომ გადახსნილი ყვავილებიდან კრიალა
შხამი ამოსწოვო
და ნელ-ნელა თაფლად აქციონ...**

უზუსტესად განმარტა პოეტმა პოეზიის არსი — კრიალა შხამი, თაფლად ქცეული... მის იდუმალ ლექსებში შხამიც კრიალაა, თუმცა ძნელია, განსაზღვრო ამ ლექსთა ჟანრი. რა არის ეს იდუმალი მეტაფიქსტები — ელეგია? დალაი? წინასწარმეტყველება თუ მეტაფიზიკური ლირიკა? ალბათ, ყველაფერი ერთად...

რაც შეეხება მის თარგმანებს იტალიურიდან, მათში დაკონკრეტებულია პოეზიის მაღალი მიზანი — „წარმოიდგინე: ელეგია ჰომნად აქციო“ — ეუჯენიო მონტალეს ეს სტრიქონი მთარგმნელის საკრალურ სათქმელს ასახავს. იქნებ, ამადაც შეეხიზნა მზიურ იტალიას პოეტი-მთარგმნელი?! ბეტარიჩეს გაენდო, გაბრიელე დ'ანუციოს სიტყვები ქართულად დააჭაშნიკა: „თქვენი თვალების ანარეკლს ვიფიქვო“... ეს ის მაღალი თარგმანია, როცა ვაჟასეული ვიფიქვ (მუცალი „იფიქვდა ბრძამს“ ნატყვიარში) უზუსტესად ჩაენგნის იტალიური ლექსის ქართულ ორანს.

უსასრულოდ შეიძლება საუბარი ამ უნატიფეს, უნათლეს პოეზიაზე, ნათელ ნაღველად დაღვრილ მეტაფორებზე. „ჩემად უნდა ილაპარაკო“, უკეთესია, იმდუმარო — ეს ბინდისფერი, ნაღვლიანი ნიგნი ჩემად იკითხო, განმარტობით და ბინდის ქვეყნიდან ჩამოგვეღვრება მშვენიერი სასონარკვეთის მაღალი შუქი...

ამ თავადაც პოეტური გამოსვლის შემდეგ სიტყვა განაგრძო კრებულის წინასიტყვაობის ავტორმა **ანდრო ბუაჩიძემ**:

— თამაზ ბაძალუა მე-20 საუკუნის 80-იანელთა თაობას ეკუთვნის. იმხანად ქართულ მწერლობაში მკაფიო პიროვნულობის და რთული, ტრაგიზმამდე გამძაფრებული მსოფლშეგრძნების ადამიანები მოვიდნენ, რომელთა შორისაც თამაზი გამორჩეული იყო. მისმა უაზრო სიკვდილმა კი გაუსაძლისი ტკივილი მოგვაცენა. ეს ტკივილი ორმაგად აუტანელია მათთვის, ვისაც თამაზთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა. ის შესანიშნავად გრძნობდა მთავარს და არსებითს ადამიანის ცხოვრებაში, არაჩვეულებრივად ტევადი იყო მისი გრძნობები და ამისდა კვალად არაჩვეულებრივად დინამიური — მისი ცხოვრებაც. გარეგნულად არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა მონესრიგებული ყოფა, რადგან მთლიანად შინაგან ხმას

მინდობილი მუდამ თავისუფლებას ითხოვდა და თავისებურ წესებსა და კანონებს ამკვიდრებდა. პირველი ლექსები უნივერსიტეტში სწავლის დროს დაბეჭდა და მაშინვე მიიქცია მკითხველის ყურადღება. მერე იტალიურის სწავლაც დაიწყო, ადვილად ითვისებდა ყველაფერს, კარგად ერკვეოდა პოლიტიკურ საკითხებშიც. პირველი თარგმანები ჩემი რჩევით მიიტანა მთარგმნელთა კოლეგიაში, სადაც შემდგომ მუშაობდა კიდევ. ხალისიანად, თავისუფლად, სწრაფად თარგმნიდა, განსაკუთრებით მეოცე საუკუნის პოეზიის სონეტები იზიდავდა. ასე დაიწყო მისი აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება, რამაც, სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე წელიწადს გასტანა — 23 დან 28 წლამდე. გიგანტური ნაბიჯებით იზრდებოდა და მნიშვნელოვან ლიტერატორად, პოეტად, მთარგმნელად ყალიბდებოდა. მაგრამ საკუთარი შესაძლებლობების გამოხატვა და ამით თავის მოწონება არასდროს უყვარდა. ანალიტიკური აზროვნება ჰქონდა და ამავე დროს რომანტიკოსიც იყო — ბედისწერის გამძაფრებული შეგრძნებით. ამიტომ ჩვეულებრივი ფორმიდან ამოვარდნილს შინაგანი შფოთის განცდა ჰქონდა მუდამ, რაც მის ლექსებშიც აისახა.

თამაზის გარდაცვალებით ქართულ პოეზიას ჭეშმარიტად დააკლდა ორიგინალურად მოაზროვნე პოეტი, რომელსაც, რომ დასცლოდა, განსაკუთრებული და ღირსეული ადგილი ექნებოდა დღეს ჩვენს მწერლობაში. ჩვენ კი, სამწუხაროდ, მხოლოდ მისი კრებული დავგვრჩა...

თემურ ქორიძე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თამაზი არ მოსულა ქუხილით, მუდამ მშვიდი და ნყნარი, რაღაც ბავშვური და თანაც საკმაოდ განონანსორებული იყო. თუმცა ანთროპოლოგიურად ვერ ამოწურავ ამ ადამიანის დახასიათებას, რადგან ამოუწურავია მისი გრძობები, ქვეტექსტები, რომელთა სიღრმეს ქვეცნობიერად გრძობს მკითხველიც. მის ლექსებში მარტვილის ტყეებში მორბენალი ბავშვიც ჩანს და თავის სიკვდილზე დაფიქრებული ბრძენკაციც:

მე აქ ყოველთვის მახსენდება წმინდა მამები, მათი ხელები — ვით სანთლის შუქი... ისინი ბიბლიური ფრინველებივით დაფარფატებდნენ მდუმარ ეზოში თეთრი კირივით შეფრქვეულნი მონასტრის კედლებს.

საოცარი, გამაოგნებელი ხედვაა, ლექსის ბოლოს კი ემოცია კიდევ მძაფრდება, როცა პოეტი დასძენს:

მე აქ ყოველთვის მახსენდება წმინდა მამები, თუმცა ისინი არასოდეს აქ არ მინახავს...

ანდა, „რუსთაველი მახსოვს ბავშვი“ — ესეც ხომ მისი საოცარი წარმოსახვაა?.. როგორ შეიძლება ასეთი წარმოსახვის და ხედვის ადამიანი ლოყებლაჟლაჟა ბიჭად შეაფასო?! ასე უნოდეს მას მწერალთა ერთ-ერთ თავყრილობაზე, როცა მისი ლექსები მოუსმენიათ. უთქვამთ, მისი პოეზიის ტრაგიზმი მოგონილია, რადგან შეუძლებელია ასეთ ლოყებლაჟლაჟა კაცს ასეთი განცდით რამე აწუხებდესო... ბევრს აღიზიანებდა, რომ მან ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდამ გამოსცა ლექსების კრებული, რაც მაშინ იშვიათად ხდებოდა. თამაზი აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის ლიტერატურულ ცხოვრებაში, თავისი პოეტურობის დემონსტრირებას კი არასოდეს ახდენდა. კიდევ ერთი უმშვენიერესი თვისება ჰქონდა — თანაგრძობისა, თანალმობისა. სათნოებით იყო გაჯერებული მისი პიროვნული ხასიათი და ამიტომაც იყო საუკეთესო და ყველასთვის სასურველი მეგობარი, მუდამ დადებითი, თავისი ლექსებივით...



მალხაზ ბაძალუა, როსტომ ჩხეიძე, მეუფე თადეოზი

ცისანა კვინტრაძე:

მე არ ვიცოდი ამ ადამიანის ტრაგედია და შემძრა ამ ამბავმა. შემძრა მისი მეგობრის ივანე ამირხანაშვილის წერილმაც „ტიკვილი და უსასრულობა“, რომელიც ლექსების კრებულს დაერთვის. ჭეშმარიტად, ასე უნდა იწერებოდეს მეგობრის ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილი:

„ჰქონდა, როგორ არ ჰქონდა ბედნიერების განცდა, მთელი არსებით ეტრფოდა სიცოცხლეს, რომელიც ყოველდღიურ ზეიმად წარმოედგინა, მაგრამ იმასაც გრძობდა, რომ ეს იყო ილუზია, მოჩვენება, საბედისწერო თამაში. უთუოდ აღსასრულის ფატალურმა წინათგრძობამ წარმოშვა მასში ცნობიერების ის ტიპი, რომელსაც დააფუძნა თავისი შემოქმედება“ — წერს ბატონი ივანე და, მართლაც, საკუთარი წინათგრძობით შთაგონებულმა თამაზ ბაძალუამ შექმნა სრულიად ახალი პოეტური ქვეყანა, მეტაფიზიკური ლექსების თავისებური სამყარო და გაუსწრო დროს. ძალიან დასანანი ასეთი საინტერესო შემოქმედის ასე უდროო გარდაცვალება...

შემდეგ გურამ ბათიაშვილმა გაიხსენა თამაზ ბაძალუა. გაიხსენა მისი ცხოვრების ბოლო ხანები, როდესაც გარკვეულ მიზეზთა გამო იგი მთარგმნელობითი კოლეგიიდან წამოსვლას აპირებდა. ბატონ გურამს თეატრალურ ჟურნალში პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობა შეუთავაზებია. შეთანხმდნენ კიდევ, მხოლოდ თამაზს

უთქვამს: ორიოდ დღით მშობლიურ მარტვილში მივდივარ, ჩამოვალ და საქმეს შევუდგებიო, მაგრამ საბედისწერო აღმოჩნდა ეს გზა მისთვის — მეუღლეს და პატარა გოგონასთან ერთად ავტოკატასტროფაში დაიღუპა...

გურამ ბათიაშვილმა მის დრამატურგიულ მოღვაწეობაზეც ისაუბრა: პირველი პიესა წმინდა ლიტერატურული პრინციპებით იყო დანერგილი, შემდეგმა პიესებმა კი გვირგვინს, რომ მისგან მართლაც ჩინებული დრამატურგი დადგებოდაო.

პოეტის დრამატურგიაზე საუბარი რეჟისორმა **დიმიტრი ლეთისიაშვილმა** განაგრძო:

— ერთი მსახიობის თეატრში დადგმულ მის პიესას „ღამე და თუთიყუში“ დიდი წარმატება ხვდა. ახალგაზრდა კაცის მიერ დანახული სამყარო მასში არაჩვეულებრივად იყო ასახული. ავტორისეულ განცდებს ძალიან ზუსტად გადმოსცემდა მთავარი როლის შემსრულებელი, მაშინ დამწყები, ნიჭიერი მსახიობი დუტა სხირტლაძე. ყველა რაიონმა მიიწვია ეს სპექტაკლი. მახსოვს, როგორ მითხრა მიხეილ გომიაშვილმა: ნეტა მე მათამაშა ეს როლი. ნახავდით, ხასიათს როგორ გავხსნიდით. მიხარია, რომ თამაზ ბაძალუას შემოქმედებით დღესაც ინტერესდებიან მსურველები, სტუდენტები კი მის პიესებს სადიპლომო ნაშრომის თემად ირჩევენ. მჯერა, პოეზიასა და თარგმანებთან ერთად დავიწყება არც მის დრამატურგიას უწერია.

მარიხე ტურავა: თამაზ ბაძალუას ნიგნის სათაურმა ნოვალისი გამახსენა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ადრეული გერმანული რომანტიზმის ეს დიდებული წარმომადგენელიც ახალგაზრდა, 29 წლისა დაიღუპა, არამედ იმიტომ, რომ ამ ხნის მანძილზე ისიც სიკვდილ-სიცოცხლის, რეალურისა და ირეალურის სამანზე ცხოვრობდა, თითქოს ამთლიანებდა და აერთიანებდა ამ ორ სამყაროს, ამიერ და იმიერ სოფელს. თამაზ ბაძალუაც ორივე სოფელში ცხოვრობდა ერთდროულად: „მე კენჭებს ვისვრი დამშვიდებული და ღვინოსავით ვეჩვევი სიკვდილს“, „მე დაბადება მაახლოვებს სიკვდილის სიღრმეს“. ზოგჯერ კი ეს განცდა სცილდება ლოკალურ, პიროვნულ განცდას და სამყაროს სიკვდილამდე ღრმავდება, გრძნობს, რომ ორი სამყაროს მიჯნაზეა — „ორ ხიდზე ვდგავარ, ქვევით ორი მდინარე ბრუნავს“. თითქოს მუდმივად არჩევანის წინაშეა პოეტი, არ იცის, რომელი მდინარე აირჩიოს, რომელი ხიდი. ერთი მხრივ თითქოს ეშინია სიკვდილის, შეუცნობელის, მეორე მხრივ კი თავგამოდებით მიექანება მიცვალებულთა საუფლოსაკენ. მას ჰქონდა უნარი პოეზიად ექცია ყველაფერი, რასაც შეეხებოდა და თავისი ხანმოკლე ცხოვრებით, რაღაც შეუცნობელით, ძალიან პოეტურით, დატოვა გზა, კვალი მხოლოდ მისეული და ერთადერთი.

ნინო ვახანია: იყო პოეტი, რომელმაც თავისი ორიგინალური სამყარო შექმნა, არ აირია ბრბოში თავისი ნუხილით და საიდუმლოთი. ცხოვრობდა ბიჭი და სიკვდილის წინ ნატრობდა: „მზით დამთვრალი და მზეში დანთქმული წყაროდ მაინც ამოვჩუხჩუხდევო“; და გაფრინდა იგი „იმ გამჭვირვალე სამეფოსკენ, სადაც ბნელი სიცოცხლე ეთერივით ადნება სადაფს“.

იქნებ ვცდები, მაგრამ ამ გადასახედიდან რომ ვკითხულობ თამაზ ბაძალუას ლექსებს, ასე მგონია, არა მხოლოდ საკუთარს, არამედ სამშობლოს ბედსაც (თუ უბედობას) წინასწარ ხედავდა. სხვა რა დავარქვა იტალიურიდან თარგმნილ ამ სტრიქონებს: „თეთრად გალაქულ ხომალდიდან ვხე-

დავდი, როგორ იძირებოდა ჩემი ქალაქი, როგორ ვტოვებდი მიმქრალ ჰაერში დაკიდებულს, ხანძარჩახვეულს“.

მადლობა ამ მშვენიერი კრებულის გამოცემის მესვეურებს, რომელთაც გაგვიცოცხლეს და დაგვიბრუნეს პოეტი.

ინგა მილორავა: არანაირი პოზა, არანაირი წინასწარ მოფიქრებული სქემა... მისი ლექსები მისი სულის ბუნებრივი მდგომარეობაა, ძალიან გულწრფელი, ძალიან უშუალო, ასეთია უბრალოდ... მისთვის თოვლი სიყვარულია, ათასწლოვანი კავშირი აქვს ცაცხვებთან, ცასთან, ვარსკვლავებთან, ალუბლის მტევნებთან, მზესთან... მისი ტკივილი ტკივილად რჩება, განცდები დღესაც მახლობელია, განსაკუთრებით კი თაობის განცდა — გულგრილობის და შიშის თაობის, როგორც უნოდებდა თვითონ. გამორჩეულია პოეტის დამოკიდებულება სიცოცხლისადმი, ის დარაჯია საკუთარი და სხვათა სიცოცხლის... ტექსტის აგების პრინციპებზეც კი (რასაც უდაოდ საუკეთესოდ ფლობდა) ვერ დაჩრდილა მისი გრძნობების სიღრმე. პირიქით, შესანიშნავად შეერწყა ეს ორი უნარი ერთმანეთს და მოგვცა არაჩვეულებრივი სინთეზი — თამაზ ბაძალუას საუცხოო პოეზიის სახით.

სიყრმის მეგობარი გაიხსენა ზაურ კალანდიამ, მისმა მეჯვარემ, რომელთანაც საკუთარ განცდებზე, საბედისწერო სიკვდილის წინათგრძნობაზე არაერთხელ უსაუბრია პოეტს. მოკლე და ტკივილით სავსე იყო მისი გამოსვლა: ნიჭიერი კაცი იყო, იმთავითვე გამორჩეული, მასზე ვეჭონდა სწორება მეგობრებსო.

სუფთა გულის ადამიანი უწოდა თამაზ ბაძალუას **ტრისტან მახაურმაც**, კარგი მეგობრობა იცოდაო...

საღამოს ესწრებოდა მეუფე თადეოზი, რომელმაც პოეტის სულის მოსახსენიებელი ლოცვა წაიკითხა დარბაზში და ბრძანა: ასეთი კეთილი ადამიანებისთვის სიკვდილი არ არსებობს, ისინი მარადიულში მიდიან და ზეციურ საქართველოს უერთდებიან. აქ კი თავისი ქართველობითა და ნიჭიერებით დაუფინყარ სახელს ტოვებენ. ნათელი დაადგეს მის სულს...

საღამოს დასასრულს თამაზ ბაძალუას ხსოვნისა და სიყვარულისთვის მადლობა გადაიხადა **მალხაზ ბაძალუამ**. გაიხსენა ერთად გატარებული ბავშვობა, სიჭაბუკე... სიხარულით და სიამაყით აღნიშნა, რომ პოეტი არა მხოლოდ მის მეგობრებსა და თაყვანისმცემლებს ახსოვთ, არამედ საზოგადოებას, ქართველ მკითხველს, რადგან მის შესახებ უამრავი ინფორმაცია დევს ინტერნეტსაიტებზე, განთავსებულია მისი საუკეთესო ლექსები და თარგმანები. ამ ინტერესის და სიყვარულის გამოხატულებაა თბილისის მე-16 სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა მიერ პოეტზე შექმნილი საგანგებო ვებგვერდიც, რომელმაც „ირმის ნახტომის“ კონკურსზე წარმატება მოიპოვა.

„...შენ იმ ვარდივით ხარ უბედური, რომელიც ჭკნება გაშლისთანავე“ — ეს წინასწარმეტყველური ფრაზა თამაზ ბაძალუას ერთ-ერთი ლექსიდანაა.

დიახ, მან საკუთარი სიკვდილი იწინასწარმეტყველა, ნაადრევი, „გაშლისთანავე“ სიკვდილი...

იწინასწარმეტყველა კიდევ ბევრი რამ, რაც შემდეგ ქართულ მწერლობაში ახდა.

მაგრამ... არ დაჭკნა.

არც არასოდეს დაჭკნება, რადგან სავსეა სინრფელით და სიყვარულით და... ძალიან ჰგავს საკუთარ შემოქმედს.

ეკა ცხადაძე

კოსტდარიანული ტრიპტიხი

ლიტერატურული მისტიფიკაცია მიმზიდველი ხერხ-ია „დანაკლისის“ შესავსებად. „ცისფერყანწელთა“ ორდენს ელენე დარიანის გამოგონება დასჭირდა, რომ ქართველ პოეტებსაც ჰყოლოდათ თავიანთი გიპიუსი ან ახმატოვა. როცა არ არსებობს ნამდვილი, მაშინ ჩნდება გამონაგონი და შეთხზული. შეიქმნა ლეგენდარული ელენე დარიანი, ასეთი მცხუნვარე და მიმზიდველი, რომელიც დღემდე აღელვებს წარმოსახვას, იწვევს აღტაცებას, ეჭვებს, აცხოველებს დამდორებულ ლიტერატურულ ყოფას... აჩენს კვლავ განმეორების სურვილს.

პაოლო იაშვილსა და მის საძმოს გამონაგონი დასჭირდათ იმისთვის, რომ უფრო სრულყოფილად და კომფორტულად ეგრძნოთ თავი. მათი გამოწვევა ელენე დარიანმა ახალი კუთხით გაახმოვანა, ახალი შრეები გადაუშალა საზოგადოებას და დაანახა ხასიათთა მრავალგვარობა.

პაოლო იაშვილმა ერთ არსებად წარმოგვიდგინა დედოფალი, მონა და ცოლი. მის წარმოსახვაში უდაბნო და სამოთხეც გაერთიანდა, ვენბაც და გონებაც ერთიანად წარმოჩნდა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ პაოლოსეული ქართველი ქალი არ აღმოჩნდა მხოლოდ ცისფერ სივრცეთა ბინადარი, მასში სექსი, გზნება და ვნება ფარავდა შორეულ ოცნებათა დამას. მოდერნიზმის ესთეტიკა ჯიქურ მოითხოვდა ძველის ახლებურად აღქმას და ელენე დარიანშიც ნათლად გამოიკვეთა ფროიდისტული აზროვნების ნიშნები, რომლებმაც ასე ააღელვა ნიგნიერებაზე პრეტენზიის მქონე ქართველობა. პაოლომ საგანგებოდ გაუხსვა ხაზი ელენე დარიანის ხასიათს და ათქმევინა:

...და ის მახარებს, მამაისებს ბაღში შემოსულს, რომ ჩემი კოცნა, სიხარული, ხმაც ქართულია, ყოველთვის ციურს ჯერ უცნობი სიგიჟე რომ მსურს...

ქართველი კაცი მიეჩვია სატრფოს შორეულ ხატებას, მიიღო სასურველი არსების ირაციონალური სახე და თითქმის მიივიწყა მინიერ-დიონისურ სანყისთა ძლიერება. პაოლო იაშვილმაც სწორედ ეს „გაიხსენა“ და „გაახსენა“ თავის მოძმეებს.

გრიგოლ რობაქიძე იმთავითვე ცდილობდა მინიურ-ზეციურ თვისებათა ერთარსებაში ჩვენებას, რაც მისეულ სტილად დამკვიდრდა; მენადა და ზეციური აფროდიტა შენივთდა მის ქალ პერსონაჟებში; სომნაბულამ ისტორიულ გარემოში შემოაღწია და ქართული თეატრის სცენა დაიპყრო („ლონდა“, „ლამარა“, „მალშტრემ“). პაოლომ და გრიგოლ რობაქიძემ ერთ „ქიმერას“ მოუხარეს ქედი და არნახული აჟიოტაჟი გამოიწვიეს.

„კოცნა, სიყვარული, ხმაც ქართულია“ ძნელად შესაგუებელი სიახლე შეიქნა. კონსტანტინე კაპანელის აზრით ამავე სადინარში ერთდება, როცა დაასკვნის: „საქართვე-

ლოში ქალი არის მხოლოდ ფიზიოლოგიური ფენომენი, მოკლებული ინდივიდუალობას, სექსუალობას, ეროტიკულ ვენებას — ქალურობას“.

კაპანელისთვის „ესთეტიკური“ და „ობიგატელური“ მკვეთრად არის გამიჯნული, მას სურს და ეიდეალება ოჯახში პენელოპე და ასპასია, ქუჩაში ჰეტერა. მამაკაც შემოქმედთ, ხელოვნებისა და კულტურის განმსაზღვრელთ, მოსწონთ ქართველი ქალი, როგორც მინიერი არსება, რომელიც არ არის განძარცული პოეტური ხიბლისგან. ქალი პოეტი უნდა ყოფილიყო, ელენე დარიანის მსგავსად ნიჭიერი, მშვენიერი და ვნებიანი, ხოლო ოჯახის ქალს საკუთარ თავში ასპასია და პენელოპე გაეერთიანებინა. სექსუალობის და ამორძალური ფენომენის მორიგება წარმოუდგენლად ეჩვენებოდა კაპანელს.

პოეტებმა და პროზაიკოსებმა შექმნეს საქართველოში ქალის იდეალი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე მტკიცედებოდა და ყალიბდებოდა. ხელოვანი მამაკაცები ამკვიდრებდნენ ტენდენციებს, თემებს, იდეებს. ისინი გვიწვდნენ აზრებს, ცვლიდნენ და კვლავ უბრუნდებოდნენ მათ. იგონებდნენ „ქართველ ქალს“, რომელსაც შემდგომ თვითონვე ნათლავდნენ „მეშჩანკად“ და ფრიგიდულ არსებად.

ქართველმა კაცმა შექმნა ელენე დარიანი, მაგრამ ამგვარად „გახელებულ მენადას“ არასოდეს ისურვებდა უღლის გამწვანად... სხვათა დასანახად მაინც...

ელენე დარიანი სულ სხვა საზოგადოების დამაა, მალე მას შეცვლის რეალური ქართველი ქალი, რომელიც თავის პოეზიაში ტრადიციულ თავშეკავებასა და სათნოებას სრულყოფილებამდე აიყვანს და არაფრის დაუტოვებს უკმარობის გრძნობას. ამ შემოქმედს არასოდეს ჰქონია ელენე დარიანისეული ზღვარგადასული ვნებიანობა და ეროტიზმი, მას არაფრით დაუშოკავს საზოგადოება, მან მხოლოდ სასიამოვნოდ გააოცა და გაახარა იგი. ანა კალანდაძემ მთელი საქართველო მოხიზლა თანაგრძნობისა და თანაღმობის პათოსით, სათნოებითა და მიმტვევებლობის ჰუმანური ხიბლით. მისმა პოეტურმა მუზამ სხვათა ტკივილების გათავისება იოლად შეძლო და ჩვენი ეროვნული ხასიათის ტოლერანტული მხარე სრულად გამოავლინა:

- რაისთვის აქებ ქისტებს, ბერდედავ, მათ ვაჟკაცობას, ძალას და სიმხნეს? მინა უვსიათ მათ ხევსურთ ძვლებით..
- რას ამბობ, ქალავ, ვაჟკაცებ იყვნეს!...
- ამლას განყვიტეს ბრვე ვაჟკაცები, ახიელამიც უზომო ხოცეს!...
- რას ამბობ, ქალავ, ვაჟკაცებ იყვნეს!...
- რა ვიცი... ღმერთმა მშვიდობა მოცცეს!

დილოგის ფორმა მეტზე საუბრობს: ერთი მთიელია, მეორე კი ეგზოტიკის სახილველ-განსაცდელად სტუმრებული. ავტორის კილო განზრახ არის დატვირთული დაეჭვების პათოსით, რათა მთავარი სათქმელი და იდეა ამ ფონზე გამოინაკეთოს. ბერდედისადმი ფრთხილი მიდგომა სავესებით გამართლებულია, ავტორი თვითონაც ამ აზრით არის სავსე, მაგრამ სურს რიგითმა ქართველმაც დაუდასტუროს გულისთქმა.

გამონვევა და დაეჭვება ხერხია, რომელიც საერთო ეროვნული ხასიათის ტოლერანტულ მხარეს მკაფიოს ხდის.

ანა კალანდაძეს არ სჭირდება არანაირი ზედმეტობა, რასაც ის გვთავაზობს, ყოველგვარი ძალდატანებისა და გარეგნული ეფექტების გარეშე, ძვირფასი და მისაღებია ჩვენთვის. მას აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ტონალობა და ის ენა, რომელიც განასხვავებს ყველასგან და ქმნის ორიგინალურ სამყაროს, რომელიც არასოდეს შეგვეშლება სხვაში. ჩვენ გვიყვარს ანა მაშინ, როცა პირადულს გვიზიარებს, მაშინაც, როცა საქვეყნო სატიკივარს ტირის და როცა მთელ კაცობრიობას უდგას ჭირისუფლად.

ანა კალანდაძეს, ვაჟას მსგავსად, მოსწონს ვაჟკაცი და თავისუფლების მოყვარე მტერი, რომელიც მისი ერის იდეალების მონათესავე სულიერია. იგი შამილის სახით ზოგადად ქედუხრელობას და ჰეროიზმს სცემს თავყვანს, მამაკაცში გამირულ სულს უმღერის და ეთაყვანება:

**რამდენი ცრემლი მადინე,
სახლ-კარს მინგრევიდი,
მინვაჟიდი...
დაუძინებელ მოსისხლეს...
თავს... დაგიხრიდი მინამდი,—
მეც... ვაჟკაცობას გიქებდი,
მტერობას გამოვრიცხავდი,
თავისუფლებით შობილო,
თავისუფლებას იცავდი!
ხელთუქმნელ ჩაჩქანს ირქმევდი,
ხელთუქმნელ ბეგთარს იცვამდი...
საქართველოს ცის მადლმა,
შენდობას შემოგფიცავდი!**

ანა კალანდაძის პოეზიის არაერთ ნიმუშში შექებულია ძლიერი სქესის შემართება, თავმოყვარეობა და ბოლომდე დახარჯვა.

იგი ეროვნებისა და კუთხურობის მიხედვით არ არჩევს ლირიკულ გმირს, არ აკნინებს „სხვათა“ საქციელს და არც „ჩვენებისას“ აბუქებს. პოეტი ყოველთვის სამართლიანი და სანდოა, იგი დამაჯერებლობით გამოირჩევა და უსაზღვრო მიმტყვებლობით გვიზიარებს. ანას ყველანაირი განწყობა სათანადო ნიადაგზეა ამოზრდილი და განტოტვილი, წერს მასზე, რაც მისთვის და ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი, მოსაწონი და ოდითგანვე გათავისებულ-შესისხლხორცებულია. პოეტმა განწყობილებათა უბრალოება და სისადავე შესძინა ქართულ პოეზიას, იგი უაღრესად ნაზი და მგრძობიარე შემოქმედი, რომელსაც ჰეროიზმი და პატრიოტული პათოსი ზოგადკაცობრიულ სულისკვეთებებთან შეუთავსებია. ანას პოეზიის ხასიათი ტრადიციულ თემატიკას ეყრდნობა, აპრობირებულ გამომსახველობით ფორმებს ითავისებს და აზრობრივი სიახლით ბრწყინავს. ყოველდღიური და ბანალური — ბუნების სურათებისა და არქაულ-ბიბლიურ სახესიმბოლოთა ფონზე — იძენს თავისთავადობას.

ანა კალანდაძე არის პირველი და უმნიშვნელოვანესი ქართველი პოეტი ქალი, რომელსაც ეგზომ ნატრობდნენ XX საუკუნის დასაწყისში და რომ არ ეგულეობდათ, თვითონვე იგონებდნენ და ქმნიდნენ. როდესაც ანა გამოჩნდა, როცა მისმა სათქმელმა დაიპყრო გულები, მაშინვე ცხადი გახდა,

რომ „დარიანული“ ამ პოეზიასთან შედარებით ძალიან ვინრო ჩარჩოში მოაზრებული გახლდათ. ელენე დარიანი არის მამაკაცური ოცნების ნაყოფი, ფარჩისა და აბრეშუმის სამოსში გამოხვეული მონყენილი ჰეტერა, რომელიც იგონებს ზმანების უფლისწულს და სასურველში აცოცხლებს. ნამდვილი პოეტისა და ნამდვილი ქალის ზმანებანი გაცილებით მრავალფეროვანი და ხატოვანია, ვიდრე მოგონილის. მამაკაცურმა გულმა და თვალმა გამოძერწა ელენე დარიანი, ბუნებამ შექმნა ნამდვილი პოეტი, უმშვენიერესი და ამაღლებული, რომელიც ყველა ნაქებ-ნალოლიავებ მზეთუნახავზე აღმატებულია და სასურველი.

მთავარი, პირველი, დიდი პოეტის მოვლინება იყო, მას შემდგომ ასპარეზე სხვებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ახალ-ახალი ხედვით და მზერის ნაირობით ხიბლავდნენ და ზემოქმედებდნენ მკითხველზე.

ანა კალანდაძემ მოხიბლა მთელი საზოგადოება, მაგრამ ის მაინც ტრადიციული პოეტური მემკვიდრეობის პირმშო და წარმომადგენელია — მან მოგვანიჭა სიხარული, ხოლო ქართული ლექსის რეფორმატორის სახელი სხვას ერგო. სითამამემ და გამჭრიახობამ, ერუდიციამ და ნიჭმა ნამდვილი ნაყოფი ღია სტურუას პოეზიაში გამოიღო. გაუკვალავი გზებით თამამად მავალი პოეტი სხვა მწვერვალებს უმზერს, საკუთარ სულს ამზეურებს და საქვეყნოდ გამოფენს.

ღია სტურუა მოაზროვნეა და ფილოსოფოსი, ანალიზისა და განსჯის გარეშე არაფერს გვთავაზობს. მას კაცური თემები იზიდავს, ძლიერი ნებისყოფა აქვს და ცხოვრების საზრისს შემოქმედებაში ხედავს. ქართული ვერლობის სათავეებთან ღია სტურუას ფიგურა თავისებურ მომხიბვლელობას იძენს, იგი არის უდავო ავტორიტეტი თავისივე ტალანტით ზურგამაგრებული. მან მედგრად გაუძლო იმ შემოტევებს, ყოველგვარი ახლის დამკვიდრებას გამოუდებით თან რომ სდევს; ყველას დაანახა საკუთარი შესაძლებლობანი, ტრადიციულ, რითმიან ლექსებშიც კი ამაყად განაგრძო თავიდან არჩეული გზა.

ღია სტურუას შემოქმედებაში ინტელექტუალური აზროვნებაა წარმმართველი და ამაშია ამ პოეტის ზეგავლენის ძალმოსილება: აზრი — მთავარი, ფორმა — მეორეხარისხოვანი... პოეტი საგანგებოდ ფიქრობს ფონზე, ანტურაჟზე, საგანთა, არსთა და არსებათა ადგილზე. „ქალაქის მსხვერპლი“ შესანიშნავი ტექსტია, სადაც ურბანიზმის ყოვლისმშთანთქმელობა კარგად არის გადმოცემული. პოეტის აზრით, ქალაქს აქვს ლამის ხელოვნებად ქცეული ვერშემჩნევის უნარი, არადა ქალაქში, სადაც ადამიანთა და მანქანების გაუთავებელი მოძრაობაა, შეიძლება უჩვეულო რამ შეგხვდეს — მაგალითად, ცალ ფეხზე მდგარი წერო, თუმცა მას:

**მაინც ვერავინ ხედავს,
წამგებიანია მისთვის ქალაქის ფონი,
ქალაქის, რომელიც ადამიანების
და მანქანების მოძრაობაა,
ისეთი გაუთავებელი და უაზრო,
თითქოს საცერით წყალი მოაქვს,
მაგრამ შეჩერება სიკვდილის ტოლფასია...**



ანა კალანდაძე



იზა ორჯონიკიძე



ლია სტურუა

ლია სტურუა გვიჩვენებს ცივილიზაციის რიტმის დაუსრულებლობას, მექანიკური აზროვნების და მოძრაობის შეუქცევადობას და „ატავისტურის“ უმწეობას. ასეთივე აზრს შეიცავს ტექსტი „გადაარჩინეთ ჩვენი სულები“:

**...და ღმერთო, გამახსენე,
დიდი ხნის ნასწავლი და დავიწყებული უნარი,
მტლად დავედო ადამიანს
და შევეშველო მცენარის ღეროდ გადაქცევაში,
უტკივილოდ, ულაპარაკოდ, უთაღბოდ,
ისე უბრალოდ,
ნაქცეულ ბავშვს რომ ფეხზე წამოაყენებ...**

ამ ლექსში მცენარის ღერო ადამიანში „ატავისტურის“ მნიშვნელობით არის ნახმარი. კაცობრიობას ცივილიზაციაში გაუქრო ხალასი გრძნობები და პოეტი მის ხელახლად დაბრუნებაზე, თანაგრძნობის კვლავ მონიჭებასა და „მტლად დადებაზე“ გვესაუბრება.

ლია სტურუა ერთგან აღნიშნავს: „ყოველ გაზაფხულზე, უმანკო ჩასახვის წესით, მნიფდება ჩვენს ტანში ატავიზმი“. პოეტისათვის მიწასთან დაბრუნება არის პრესტორიისგან ბოძებული ძლიერების წყარო:

ეს ატავიზმი მიგვერეკება უკან, მიწისკენ...

ლია სტურუა უყურადღებოდ არ ტოვებს ე. წ ტრადიციულ თემატიკას და სიკვდილის თაობაზე წერს:

**მას უნდა შეხვდე სველი თვალებით
და მტკივნეული ხერხემლით იგრძნო
ჭკვიანი ღმერთი ფერისცვალების
შენი ფხვიერი და შავი მიწა...**

პოეტის აზრით, სიკვდილი დროისა და სივრცის წამიერი გადალახვის შესაძლებლობებს გვაძლევს. „ფერისცვალობა“ ერთგვარი „დროშიცვალობაც“ არის. ფროიდის-ტული „დექსტრუქციული ძალა“

სიკვდილი, ჩვენი მწერლობის ტრადიციული გაგებით, სულაც არ არის საბოლოო და ფატალური; მოდერნისტებისაგან განსხვავებით, ლია სტურუა უფრო ეგზისტენციურ თვალთახედვას ანიჭებს უპირატესობას და ეთიკურად განიხილავს ადამიანის მიმართებას წუთისოფელთან.

ძლიერი ხასიათის სამაგალითოდ შესანიშნავია „ოდა წყალს“, რომელიც ღირსსაცნობია იმით, რომ წყლის სტიქია ქალის ძალასთან არის შედარებული. ლია სტურუას ინტერპრეტაციით, წყლის, ერთი შეხედვით, უწყინარი, ჩუმი და ნაზი თავმდაბლობა კლდეების ძალას ინახავს. წყლის სტიქია და ქალი ერთნაირად ძლიერები არიან, მათი გარეგნული სინაზე მხოლოდ ზერელე შთაბეჭდილებაა და სხვა არაფერი.

„სიზიფეს ლოდი“ ინტელექტუალური კაცობრიობის უკვდავი სიმბოლიკა, ეგზისტენციური თემატიკიდან ამოზიდული, ლია სტურუასათვის ასეთ მნიშვნელობას იძენს:

**...დაგორდა ლოდი ტვინის წვეროდან
ფეხის მტკივნეულ ბებერებამდე...
დიდსულოვანია შეკითხვა:
— ვინ ამოიტანს?**

სიზიფეს ლოდი ცხოვრებისეულია, ყველას თავისებური ერგება ის. პოეტისთვის სიზიფეს ლოდი „ტვინის წვეროდან“ დაგორებულია და მანვე უკან უნდა აზიდოს. უნდა აზიდოს მარტომ, სხვის დაუხმარებლად და „ისევ ატყორცნოს ტვინამდე, ცამდე..“ ორიგინალურია დაკავშირება „ტვინი“ და „ცა“.

ტვინი ხშირად ფიგურირებს ლია სტურუას ტექსტებში, ერთგან უწერია „ტვინი, მარჩენალი ხაროვით ღონიერი“, და ასეთ აზრებს გვთავაზობს:

**...როდესაც გული
შუბლის მარჯვენა და მარცხენა
კუნჭულებში გვტკიოდა,
შუაში კი ინტელექტი ლაპლაპებდა
და თავის ტკბილ პურს მოითხოვდა,**

**და თუ აუცილებელია, რომ მან,
როგორც ხარმა მარჩენალმა,
ბალახოვანი მინდორი გადახნას
და პური მოინიოს...**

ინტელექტის დომინირება და აზროვნების სიღრმე სულაც არ უშლის ხელს ქალურ შეგრძნებებს, როცა მას ჰგონია, რომ არის „მსხმოიარე ხე“, დამძიმებული შემოქმედების ნიჭით, ახლოობების პრობლემებით, პირმშოთი და ყოველდღიურობით.

ღია სტურუასათვის „ჩემიანები“ განსაკუთრებული კატეგორიაა. შეიძლება არც იცნობდე ადამიანებს, რომლებიც არც გმირები არ არიან და არც წმინდანები, მაგრამ ისინი შენს ენაზე ლაპარაკობენ:

**და მაინც ვინ არის იგი შენთვის?
არც ნათესავი და არც მეგობარი,
ის არც გმირია და არც წმინდანი,
უმეტეს შემთხვევაში შენ მას არ იცნობ,
მაგრამ ის შენია და თქვენ
ერთ ენაზე ლაპარაკობთ,
რომელიც მზის ალმაცერი სხივივით
უძველესი სამარხებისკენ იხრება...**

„ერთ ენაზე ლაპარაკი“ წმინდა ინტელექტუალურ მომენტს აღნიშნავს, როცა აზროვნების სტილი, განათლება, ცხოვრებისეული პირობები და გარემო ერთიან სივრცეს ქმნის, ერთი სულისკვეთების ადამიანებს წარმოქმნის. პოეტისთვის მათი საცხოვრებელი ლოკოკინას ნიჟარას ჰგავს, შეიძლება თან ატარონ. ისინი მუდმივი ქვეითები არიან, უპატრონო ძაღლებს ეფერებიან ქუჩაში, სალონური კამათის ჯვარზე გაკერისთვის განწირულებს კედელივით აეფარებიან, ამქვეყნიდანაც ლამის ერთნაირად მიდიან, ჩუმად და უხმაუროდ, მათ შემდგომ ერთი ფუთა ბუკინისტური წიგნებიდა რჩება. „ზანტი ჭვრეტის სიამოვნება“ ამ კონტექსტშია მოაზრებული.

ღია სტურუამ იტივრთა და ღირსეულად ზიდა რეფორმატორის ხვედრი, რომელიც ეგ ზომ მძიმე და ძნელად შესაგუებელია ტრადიციული გარემოსათვის.

თანამედროვე მწერლობაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა იზა ორჯონიკიძის შემოქმედებას. იგი გამორჩეული თვალთახედვის და ძალის პოეტია. რთული და გამოუცნობი, არაორდინარული და კრიტიცისტული პათოსის მქონე, ამიტომაც ნებისმიერი თაობისათვის ანგარიშგასაწევი პერსონაა. მოულოდნელია მისი, თუნდაც წუთიერი, განწყობა:

**...ეს საუკუნეც უსულგულო და სულსწრაფია,
ეს, მშურს
ფრანსუა ვიიონის ბიოგრაფია!**

რატომ უნდა შეშურდეს პოეტ ქალს ფრანსუა ვიიონის მწუთხე და სასტიკი ბიოგრაფიის, მისეული უნდობარი ცხოვრების? შუა საუკუნეებში პოეტებისთვის დღევანდელზე უკეთესი ყოფა ეგულება, თუ უცნაური და ხიფათიანი ცხოვრების სწორუპოვარი პოეტური გაფორმება ეიცნებება? ეს სტრიქონები წამიერი სურვილიც შეიძლება იყოს და ღრმა დარდის გამოხატულებაც.

„ფიქრი — გამაძლარი წურბელა“ მართლაც უცნაურ და შორეულ სივრცეებს მოახილვინებს პოეტს, რომლის სტრიქონებიც გაჯერებულია წარსულის ნოსტალგიით:

**მოდი, წამით შევეკედლოთ სხვა დროს,
გარდასულს და გულუბრყვილოდ წმინდას,
დავაბრუნოთ გაცრეცილი კადრი
უნაპირო სიყვარულის მხრიდან...**

წარმატებული და აქტიური პიროვნება მხოლოდ წამიერად ემორჩილება განწყობებს, როცა წარსულზე ფიქრობს და წუხს. იზა ორჯონიკიძე ვერცერთ დროში ვერ მოიპოვებდა სასურველ სიმშვიდეს,

მისი ცხოვრება ყოველთვის იქნებოდა საგანგებო ყურადღების ცენტრში, რადგან ბუნებით არის ძლიერი და დაუმორჩილებელი. თანაც, ნიჭი და ტალანტი ყველა დროში და ყველგან დაუოკებელი ყურადღების სამიზნეა. ლექსი „იფიქრე ჩემზე“ სწორედ ამის დასტურია:

**იფიქრე ჩემზე და ვიდრე განმსჯი,
ვიდრე უმაღლესს მოითხოვ სასჯელს,
ანონე ჩემი ცხოვრების ხარჯი —
სიცოცხლე ერთხელ, სიკვდილი ასჯერ...
ჩემი არც დროა, არც საათია,
თბილისი მუდამ ვახშმობს ჭორებით,
იფიქრე ჩემზე და მაპატიე
ელდა შეხვედრის და განშორების...**

სათუთი და მგრძნობიარე არსება ღრმად არის შეყუჟული იმ გოროზ გარსში, სხვათა თვალისთვის ამქვეყნიურ სიკეთეებს რომ იფერებს.

ორიგინალური აზროვნება და განსჯის თავისებურება „აბესალომის“ ციკლში მთელი სისავსით ჩანს, სადაც პოეტი ზოგადად მამაკაცის ბუნებას ანალიზებს და ქართული ფოლკლორის უმთავრეს პერსონაჟს დაუნდობლად ააშკარავებს. აბესალომი წარმოადგენს მამაკაცის უნებისყოფი და ადვილად მონყვლად სანყისს, რომელიც მრავალს ჰგავს და ამიტომაც შეიძლება მისი განზოგადება. იზა ორჯონიკიძის აზრით, აბესალომი იოლად თმობს მოპოვებულს და სევდასა და ნალველსაც იოლად ნებდება. მეფისწული გაზულუქებული და არასანდოა... მურმანი — ენერგიული და მებრძოლი, იგი არასოდეს არ იხევს უკან, გაუგონარ საქციელსაც სჩადის და ამით ხიბლავს პოეტს:

**აბესალომს, მხოლოდ
აბესალომს ჰგვანან!
ვის რად უნდა თქვენი
ნაჩუქარი დანა?!
გაუმარჯოს მურმანს —
პირშავსა და მართალს,
სულწაწყმედილ ეკალს —
გაჯიბრებულს ვარდთან!**

მურმანი „სულწაწყმედილი“ და ვარდთან გაჯიბრებული „ეკალია“, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან სწორედ იგია ნამდვილი მიჯნური და სანდო კავალერი. იზა ორჯონიკიძე ერთგულია ამ თვალთახედვის და ეჭვი არ

ეპარება თავისი ინტერპრეტაციის სისწორეში, მისი „სიკვ-
დილივით პირდაპირი სტრიქონი“ სასტიკი და მტკიცენეუ-
ლია, მაგრამ გულწრფელი და მართალი:

**ვის გინდათ ქალი ეთერი, მე სანადიროდ მივალო
და მძულდა, მძულდა აბესალომი,
მისი ცრემლებიც, მოთქმა-ურვანიც!
არ მანცვიფრებდა არა, მურმანი...**

მითიური და ფოლკლორული მუხტი მხოლოდ საბაზია
პოეტური აზროვნებისთვის, ჭეშმარიტებას რომ ღრმად
ჩასწვდეს და დღევანდლობას საგულდაგულოდ გადმოუ-
შალოს ხასიათთა თავისებურებანი.

იზა ორჯონიკიძემ იცის, რომ „ოცნებები ისე გალაყდე-
ბიან, როგორც კვერცხები ცივ საბუდარში“, სული და სხეული
მაშინ ამღერდება, როცა სურვილის სუნთქვა და ქარი ყელზე
შემოეხვევა. ამავე დროს იგი აფასებს „უბადლო თავხედობას“,
რომელიც აბესალომის მოდგმას ახასიათებს. ამორძალური
და შემმართველურ-ძალისმიერი ნიშან-თვისებები „უმწეო“
ქალისთვის სულაც არ არის უცხო და მიუღებელი:

**როცა მაქებენ,
ვაუკაცობას მიქებენ მუდამ,
მაძაგებენ და
მინუნებენ სწორედ ქალობას!
გამელიმება ნაღვლიანად —
არ მიყვარს ხურდა,
არც ამ უკაცო
საქართველოს შევთხოვ წყალობას.**

უმწარეს სათქმელს თითქოს მსუბუქად და ტკბილად
იცლებს თავიდან, თითქოს არც მიზეზებს განიცდის,
რამაც მსგავსი სტრიქონები დაანერინა. იზა ორჯონიკიძემ
კარგად იცის, რისი თქმის უფლება აქვს, ისიც კარგად
იცის, როგორ და რა ფორმით მოგვანოდოს ყველაზე
მძაფრი და უკმეხი აზრი.

პოეტს ეოცნებება „მამაკაცური მძიმე ტვირთი“ მოიშო-
როს და „უკაცო საქართველოს“ ხსენება არ დასჭირდეს.
მისი ტექსტი „იომე ჩემთვის“ მართლაც დამაფიქრებელი
და მწველი გრძნობებით აღსავსეა:

**...იომე ჩემთვის, საყვარელო,
ჩემთვის იომე,
მამაკაცური მძიმე ტვირთი
ჩამომხსენი და
ჩემს ქალურ წიაღს დამაბრუნე —
სიცოცხლისათვის...**

სტრიქონებში XX საუკუნის დასასრულის საქართვე-
ლოს ყველა სატიკივარი ერთიანად ჩატეულა, მას დაწვრი-
ლებითი განხილვა და გაშიფრვა არც სჭირდება. არც კი
იცის, რომელია უფრო გამჭვირვალე ხილული სტრიქონი თუ
მისეული ქვეტექსტი.

იზა ორჯონიკიძემ სრულად გაითავისა ევას სატიკივარი,
პირველი ქალის სვე მაშინაც მძიმე იყო და დღესაც მძიმეა.
პოეტმა წარმოგვიდგინა ქალური საწყისის ზოგადი სურათი,
როცა დააკონკრეტა მარადიული ბრალდებები:

**ო, ევა, ევა, მოიმდურე დიდი შექსპირიც,
კაცთაგან ყველა შენთან ომში ეძებს დიდებას,
მარადის ახსოვთ სამოთხეში ვის რას შეჰპირდი
და ცრუ სასწორზე მარად შენი გული იდება...**

იზა ორჯონიკიძის ინტერპრეტაციით ქალი ორმაგი ტვირ-
თვის მზიდველია, მან თავისი შეცოდებებიც უნდა ზიდოს და
აიტანოს და ადამსაც შეუმსუბუქოს მისი წილი ცოდვები.

ქართულ სინამდვილეში ევა სიმართლის მთქმელი და
მამხილებელი, ევა შესაშური პოეტური ნიჭით დაჯილდოე-
ბული, თითქმის დაუფერებელი და მიუღებელია. ალბათ,
ამორძალებთან განცდილი მარცხი მთლად სერიოზულად
არასოდეს მიუღიათ და გაუთვალისწინებიათ ძველად
მეომრებს. ევასგან მოითხოვენ იდეალთან ზედმი-
წვენილობას, ევას კი საკუთარი იდეალები აქვს და მისი
გადასახედიდან მამაკაცები კნინები და პანიები ჩანან.
ყოველდღიურობაში მამრებს შეიძლება დიდ გმირთა სახ-
ელებიც ერქვათ, ყინჩადაც დაიფხორებოდნენ, მაგრამ...
ყველაფერი უმალ ცხადი და ნათელი ხდება:

**...ვხედავ, ეს კაცი სხვის აბჯარს ისხამს,
სხვის ცხენზე ჯდება, მიათრევს სხვის ხმალს,
ნუთუ ამ ჩემმა ხორცმა და სისხლმა
შთამომავალთა არ უწყის რისხვა?!**

მომავალი გადაჯაჭვულია იმედიან განცდებთან,
უკეთესის მოლოდინთან და კეთილი ფიქრების ახდენას-
თან. არ ვიქნებით სამართლიანი, თუ გვერდს ავუვლით იზა
ორჯონიკიძის პოეზიის ლირიკულ პლასტს, მის ამურულ
მხარეს და უჩვეულო სისათუთეს. მკაცრი და სიმართლის
მთქმელი ევა, აბესალომის დამწუნებელი და სხვათა
აბჯარს ამოფარებულთა მამხილებელი — ზოგჯერ სრუ-
ლიად უგულვებელყოფს „ფხიზელ“ განსჯა-შედარებებს და
პირველყოფილი სათუთი ვნებით აღსავსე წარმოგვიდგება.
ასეთ ნუთებში იგი ადვილად მონყვლადი და გაზაფხულის
მაცდური იერით გაბრუნებულია; მარადქალური მძლავ-
რობს და ფრთებს შლის, სწორედ ამ დროს იმლება ზღვარი
რეალობასა და ოცნებას შორის:

**...როგორ მინდა უცნობები ვიყოთ,
კიდევ ერთხელ მინდა გამაბრვიყო,
მინდა შევთვრე არყით ორჯერ ნახადით,
შენს უბადლო თავხედობას ვნახავდი...
მინდა ისევ, უმწეომ და სათნომ,
ყველაფერი შენს მკლავებზე დავთმო...**

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ იზა ორჯონიკიძის პოე-
ზიაში მორიდდნენ „ამორძალი და აფროდიტა“; სწორედ მან
დაიტია ორი სრულიად საპირისპირო არსი და ამგვარი სახით
წარმოუდგა თავის მკითხველს. შეიძლება ისიც დავასკვნათ,
რომ იმ საუკუნის დასაწყისის დიდი ქართველი მოღერნისტე-
ბის სურვილი და ოცნებაც სწორედ ეს იყო, მათ მართლაც
სურდათ იდუმალი ნეითის საბურველი გადაენიათ და ზიარე-
ბოდნენ მარადქალურს, რომლის დევიზიც ასე „ჟღერდა“:

„მე ვარ ის, რაც არის, რაც იყო და რაც იქნება და არც
ერთ მოკვდავს და არც ერთ უკვდავს არ აუხდია ჩემი
საბურველი“.

ლევან ბრეგაძე

თარგმანი, თარგმანი!

თამაზ ნატროშვილი წერილში „შარდენი, შარდენი!“ („ჩვენი მწერლობა“, 2010, №3) მისაყვედურებს, რომ წერ, თამადაინ-სადლეგრძელოებიანი სუფრა მე-19 საუკუნემდე არ არსებობდაო, აკაკი წერეთელსა და ვაჟა-ფშაველას რას უჯერებ, მე-17 საუკუნის ფრანგი მოგზაური უან შარდენი „აკაკისა და ვაჟას საპირისპიროდ, ადასტურებს ქართულ სუფრაზე სადლეგრძელოების არსებობას, რაც თავისთავად გულისხმობს თამადაის არსებობასაც“ —ო (ჯერ ერთი, სადლეგრძელოების არსებობა აუცილებლად არ გულისხმობს თამადაის არსებობასაც, რასაც ჩვენ მიერ ვაჟა-ფშაველას თხზულებიდან ციტირებული ფრაგმენტიც მოწმობს, მაგრამ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ). შარდენის წიგნსაც ვიცნობ და, სხვათა შორის, არაქანჯელო ლამბერტისასაც (ამან რაღა და-აშავა!). აი ციტატა ჩემი წერილიდან „სადლეგრძელო და მისი კომპენსატორული ბუნება“:

„იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი და ფრანგი მოგზაური უან შარდენი (XVII საუკუნე) დაწერილებით აღწერენ ლზინს ძველ საქართველოში, მაგრამ თამადაის ინსტიტუტის შესახებ ვერც მათთან ვხვდებით ცნობებს. შარდენი მხოლოდ იმას ამბობს, ლზინის სმისას ქართველები ჯანმრთელობას უსურვებენ ერთმანეთსო, მაგრამ ამ ჩვეულებას თითქმის ყველა ლზინის მსმელ ხალხთან ვხვდებით (მაგალითად, გერმანელები სმის დროს და ცხვირის დაცემისას ერთმანეთს ჯანმრთელობას უსურვებენ ლათინური სიტყვით „პროზიტ!“) (კრებული „ქართული სუფრა და სამოქალაქო საზოგადოება“, თბ.: 2000, გვ. 11. ეს ჩვენი სტატიის მეორე პუბლიკაციაა).

ბატონ თამაზს მოჰყავს ფრაგმენტი შარდენის თხზულებიდან, სადაც სამჯერ იხსენიება სიტყვა „სადლეგრძელო“. მაგრამ ეს ხომ თარგმანია! არ არის საინტერესო რა წერია მის ადგილას ფრანგულ დედანში?

როგორ არის „სადლეგრძელო“ ფრანგულად? ისევე, როგორც ინგლისურად — (le) toast. ფრანგულში (და სხვა ენებშიც — გერმანულში, რუსულში...) ის ინგლისურიდან არის შესული. „ტოსტი“, რაც გახუხულ პურს ნიშნავს, სადლეგრძელოს მნიშვნელობით ინგლისში მე-18 საუკუნის დამდეგიდან გამოიყენება. ამ სიტყვის მნიშვნელობის ცვლილება კლუგეს ლექსიკონში ასეა ახსნილი: „ვისაც სადლეგრძელო უნდა წარმოეთქვა, იმას წინ დაუდგამდნენ ჭიქას, რომელშიც გახუხული პურის ნატეხი ეგდო“ (კლუგე. გერმანული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 21-ე გამოცემა. ბერლინი-ნიუ იორკი, 1975 წ., გვ. 779).

ასე რომ, მე-18 საუკუნის დამდეგს დაბადებულ სიტყვას (უფრო ზუსტად — ძველ სიტყვას ახალი მნიშვნელობით) მე-17 საუკუნის ავტორი ვერ იხმარდა.

აბა რა წერია შარდენთან იქ, სადაც ქართულ თარგმანში „სადლეგრძელო“ გვაქვს?

ვკითხულობთ ქართულ თარგმანს:

„თავდაპირველად ერთხანს ლზინოს საერთოდ არ სვამდნენ (შარდენი ვახტანგ მეხუთის დისწულის ქორწილს

ავგინერს. — ლ. ბ.); მხოლოდ მესამე თავი კერძის შემოტანისას მიეძალნენ ლზინოს. სვამდნენ საკმაოდ უცნაურად, ასეთი წესით: მთავართან ახლოს მსხდომ რვა კაცს, ოთხს მარჯვნივ, ოთხსაც მარცხნივ, რვა თანაბარი სიდიდისა და ფორმის ლზინით სავსე სასმისებს მიართმევდნენ. ისინი წამოდგებოდნენ და ვიდრე სასმისებს არ დასცილდნენ, ფეხზე იდგნენ. პირველად მარჯვნივ მსხდომნი დალევდნენ ერთად, ხოლო მარცხნივ მსხდომნი მათ პასუხობდნენ, შემდეგ რვაწივ დაჯდებოდნენ და ეს რვა სასმისი მათ უახლოეს მეზობლებს გადაეცემოდა“.

აქამდე სუფრაზე თამადაის არსებობას რამე მოწმობს? ან სადმე ნათქვამია, სასმისის გამოცვლამდე ნადიმის მონაწილენი სიტყვას (речь) წარმოთქვამდნენ? (სადლეგრძელო ჩვენ გვესმის როგორც ლზინის დალევის წინ წარმოთქმული სიტყვა, რუსულად речь-ს რომ ეძახიან). ანდა როგორ უნდა წარმოეთქვა ოთხ კაცს ერთად სადლეგრძელო? შარდენი ხომ გარკვევით წერს, ერთდროულად სვამდნენო! („პირველად მარჯვნივ მსხდომნი დალევდნენ ერთად...“). სადლეგრძელოსაც ერთად ამბობდნენ?!

ქართულ თარგმანში ამის შემდეგ ვკითხულობთ:

„ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე სადლეგრძელო ყველას არ შემოივლიდა“.

აი გამოჩნდა სიტყვა „სადლეგრძელო“, მაგრამ ეს თარგმანია.

დედანში წერია (ვიმონებთ 1811 წლის პარიზულ გამოცემას, ტ. 2, გვ. 120):

„...et ainsi de suite jusq'à ce que la santé eût fait le tour“.

„სადლეგრძელოს“ ადგილას დედანში ყოფილა la santé — ჯანმრთელობა. სიტყვასიტყვით: „ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე ჯანმრთელობა ყველას არ შემოივლიდა“.

ფრანგები ლზინის დალევისას ერთმანეთს ასე მიმართავენ: à votre santé! — „თქვენი ჯანმრთელობისა იყოს!“; გერმანელები — zum Wohl! ან prosit!, რაც იმავეს ნიშნავს; ინგლისელები — your health!; რუსები ამბობენ — за Ваше здоровье! მაგრამ ეს მიმართვები არ არის სადლეგრძელო იმ გაგებით, რა გაგებითაც ჩვენ დღეს ამ სიტყვას ვხმარობთ. ქეგლში „სადლეგრძელო“ ასეა განმარტებული: „სუფრაზე ვისიმე დლეგრძელობისათვის, კეთილდღეობისათვის წარმოთქმული სიტყვა და შესმული სასმელი“. ცხადია, „სიტყვა“ აქ მისი იმ მნიშვნელობით არის ნახმარი, რომელსაც იმავე ქეგლში მე-6 ნომერი უზის: „საჯარო გამოსვლა“ (რუსულად речь).

ვნახოთ, როგორ არის ეს ადგილი „შარდენის მოგზაურობის“ რუსულ თარგმანში (ვიმონებთ ე. ვ. ბახუტოვასა და დ. პ. ნოსოვიჩის თარგმანს, რომელიც წიგნად 1902 წელს გამოვიდა თბილისში. ციტირებული ფრაზები 222-ე გვერდზეა):

[ასე გრძელდებოდა მანამ]...пока чаши не обходили всех гостей“.

აქ არათუ „სადლეგრძელო“, „ჯანმრთელობაც“ არ იხსენიება — მის გარეშეც მშვენივრად გადმოსცეს რუსმა მთარგმნელებმა დედნის აზრი; „ტოსტის“ დაწერა აქ ისეთივე ანაქრონიზმი იქნებოდა, როგორიც ქართულ თარგმანში სიტყვა „სადლეგრძელო“ გამოყენებაა (ჩვენი სტატია სათაურით „სიტყვა „სადლეგრძელო“ ძველქართულ წერილობით წყაროებში“ მალე დაიბეჭდება „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში“).

განვაგრძოთ „შარდენის მოგზაურობის“ ქართული თარგმანის ციტირება:

„შემდეგ ყველაფერი იწყებოდა თავიდან; ახალი სადღეგრძელო რვა უფრო მოზრდილი სასმისით ისმებოდა“.

დედანი:

„Après on en recommençoi une nouvelle avec huit tasses plus grandes“.

აქ ფრანგულში აღარც *la santé* ჩანს! ორიგინალთან ბევრად უფრო ახლოს არის რუსული თარგმანი:

„Потом снова подают в том же порядке восемь чаш, но уже большей величины“.

და ბოლოს: „ამ ქვეყნის ჩვეულების თანახმად, დიდებულებს **სადღეგრძელები** დიდი სასმისებით ბოლოს უნდა დაილიოს. ეს იმიტომ, რომ სტუმრები უფრო მეტად დაათრონ, რადგან მათი ხათრისა და პატივისცემის გამო ისინი იძულებული არიან სვან მანამ, ვიდრე მაგრად არ დათვრებიან“ (ბოლო წინადადება სტილისტურად დასახვეწია. — ლ. ბ.).

დედანი:

„La coutume du pays est de boire **les santés** des grands les derniers avec les plus grandes coupes“.

აქ ისევ გამოჩნდა *la santé* მრავლობით რიცხვში.

რუსული თარგმანი:

„По обычаю страны, за здоровье вельмож пьют в конце пира самыми большими чашами...“.

ახლა გავიმეორებ, რასაც ვწერდი ამის გამო: „შარდენი მხოლოდ იმას ამბობს, ღვინის სმისას ქართველები ჯანმრთელობას უსურვებენ ერთმანეთსო, მაგრამ ამ ჩვეულებას თითქმის ყველა ღვინის მსმელ ხალხთან ვხვდებით“ (აქვე სუფრის ეტიკეტის ერთი მოთხოვნაც გავისხენოთ: ფრანგები ჭამასაც ისე არ დაიწყებენ, თანამეინახე(ებ)ს „ზონაპეტი“ თუ არ უთხრეს, გერმანელები ამ დროს „მალციატს“ ამბობენ. ჩვენ ასეთი ჩვეულება არ გვაქვს).

მოკლედ, ჟან შარდენის ტექსტში არც თამადა ჩანს და არც ის, რომ თანამეინახენი ღვინის დალევამდე სიტყვას (ანუ სადღეგრძელოს, იმ გაგებით, რა გაგებითაც ის ჩვენ დღეს გვესმის) წარმოთქვამენ.

თამადა და სადღეგრძელო (იმ გაგებით, რა გაგებითაც ის ჩვენ დღეს გვესმის) არც არქანჯელო ლამბერტისთან ჩანს. ისიც მე-17 საუკუნეში ჩამოვიდა საქართველოში (შარდენზე ადრე). მოკლემინოთ მას (თარგმანი შესრულებულია იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიას მიერ. იგი სამჯერ გამოიცა — 1901, 1938, 1991 წლებში. ამ თარგმანშიც შეგხვდებათ „სადღეგრძელო“, მაგრამ ამკარა იქნება, რომ ამ სიტყვით აღნიშნული ქმედება სრულიად განსხვავებული იმისაგან, რასაც ჩვენ სადღეგრძელოს ვეძახით):

„რაც შეეხება სასმელს, მისი თხოვნა უზრდელობაა. ამ მხრით სტუმრები უნდა დაემორჩილონ მერიქიფის ნებას. მერიქიფე კი ხან ისე ცოტა ღვინოს მიართმევს სტუმრებს, რომ წყურვილით მოჰკლავს, და ხან ისე უხვად, რომ მისი მონელება შეუძლებელია. თუ ერთხელ კი თქვა ვინმე ღვინის უარი, მერე აღარ მიართმევს მერიქიფე. მხოლოდ ბატონს არ ეთაკილება ღვინის მოთხოვნა, ისიც სიტყვით კი არა, არამედ ნიშნით: ხელეხს და ტურჩებს გაიწმენდს, და როგორც კი ამას შენიშნავს მერიქიფე, მაშინვე მიართმევს თასით ღვინოს (...). მეგრელებს სადღეგრძელოების სმაც აქვთ ჩვეულებად, მაგრამ მათი სადღეგრძელო ჩვენსას არა ჰგავს. ვისაც უნდა სხვას დაულიოს სადღეგრძელო, ასე უნდა მოიქცეს: მერიქიფე რომ მიართმევს თასით ღვინოს, სადღეგრძელოს მსმელი უბრძანებს მერიქიფეს, ეგ თასი ამა და ამ კაცს მიართვიო. ეს კაცი გამოართმევს მერიქიფეს თასს, ჯერ მდაბლად თავს დაუკრავს იმას, ვინც

სადღეგრძელოდ მოდის; ოდნავ მიაკარებს ტურჩებს და ცოტას მოსვამს; მერე ხელით მოსწმენდს თასს იმ ადგილს, სადაც ტურჩები მიაკარა, მერე დაუკრავს თავს და დაუბრუნებს თასს. სადღეგრძელოს მსმელი რომ მიიღებს ამ თასს, მთლიანად გამოსცლის და იმავე წესით გადასცემს ამ თასს იმას, ვისიც სადღეგრძელო დალია და ამით მოიხდის თავის მოვალეობას (...). რადგან დროს გატარებას ჰხედავენ მხოლოდ სმაში, ჩვეულებად აქვთ, რომ, ნადიმის დასაწყისიდან ორი საათის შემდეგ მასპინძელი ამოირჩევს რამდენიმე მსმელს, რომელნიც რიგ-რიგად უნდა ადგნენ და მის წინაშე სვან ღვინო. ერთად დგებიან ხოლმე ექვს-ექვსი ან რვა-რვა მსმელი. სტუმართა შორის მასპინძელი ამოირჩევს ყოველთვის უფრო პატივცემულ კაცებს. მათი რიცხვი დამოკიდებულია სტუმრების რიცხვზე. თუ პირველი წყება მსმელისა იქნა რვა, ამ რვას უნდა ჰყავდეს თავისი რვა მოპირდაპირე. მეორე წყება რვას — კიდევ მესამე რვა და ეგრე შემდეგ, ვიდრე არ შესრულდება დანიშნული რიცხვი.

მასპინძლის წინ გაშლილ სუფრაზე მერიქიფე აწყობს შვიდს თუ რვას ვერცხლის თასს, თავში სულ პატარას, მერე უფრო დიდს და ბოლოში სულ დიდს. მაშინ დგება პირველი წყება მსმელებისა და მიდიან დანიშნულების ადგილისაკენ. იგინი მიდიან ნელის ნაბიჯით, მიძიმედ და ისეთის სახით, თითქოს მიდიოდნენ სასმელად კი არა, არამედ რაიმე სამძიმო საქმის შესასრულებლად. რომ მიუახლოვდებიან დანიშნულ ადგილს, მერიქიფე გაუვსებს თასებს და მიართმევს ჯერ პატარას და მერე უფრო და უფრო დიდებს. მაშინ რამდენიმე მომღერალი იწყებს შეუწყობელ სიმღერას. რამდენადაც ეს სიმღერა ჩვენს ყურს არ ესიაშოვნება, იმდენად იქაურებს ატკობს. ამ სიმღერის დროს მსმელები სცლიან თასებს და მერიქიფე ავსებს“ (პირველი გამოცემა, გვ. 51-53).

ნათელია, რომ ამ წესით ქეიფს თამადა არ სჭირდება. თამადის არსებობას ციტირებული ფრაგმენტის პირველივე ფრაზები გამორიცხავს.

შეიმჩნევა მსგავსება არქანჯელო ლამბერტისა და ჟან შარდენის მიერ აღწერილ სმის წესებს შორის (შეჯიბრებითობა, ჯგუფურად დალევა, მომცროდან უფრო დიდ სასმისებზე გადასვლა...), რასაც ლევან ასათიანიც აღნიშნავს წერილში „არქანჯელო ლამბერტი“: „წესები ღვინის სმისა სამეგრელოს მთავარ-დიდებულთა სასახლეში, აღწერილი ლამბერტის მიერ, სხვათა შორის, ძალიან მოგვაგონებს ანალოგიურ წესებს ქართლის მეფის ვახტანგ მეხუთის (შაჰნავაზის) სამეფო ნადიშზე, რომელსაც დასწრებია შარდენი“ (ლ. ასათიანი. რჩეული ნაწერები. თბ.: 1958, გვ. 362).

არქანჯელო ლამბერტი სანდო წყაროა. ლევან ასათიანის სიტყვით: „მისი ნაშრომი არ წარმოადგენს შემთხვევით გამგულელი მოგზაურის შთაბეჭდილების და ყურმოკრულ ამბების კრებულს, რომლის ნიმუშიც იოსაფა ბარბაროს და ამბროზიო კონტარინის წერილებსა და თუნდაც შარდენის მოგზაურობის წიგნში მოგვეპოვება. ლამბერტიმ თითქმის თვრამეტი წელი დაჰყო საქართველოში, აქედან უმეტესი ნაწილი სამეგრელოში გაატარა. იგი გაეცნო ჩვენი ხალხის ცხოვრებას, მის ადათ-ჩვეულებებს, კულტურას, მეურნეობას და ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მოგვცა წიგნი, რომელიც შეიცავს მეტად ძვირფას ცნობებს ჩვენი წარსული ცხოვრებიდან (გვ. 356)“ (სხვათა შორის, დიდი მსმელის შედგან ჭილაძის ამბავსაც მისგან ვგებულობთ. — ლ. ბ.).

ასე რომ, არავითარი საფუძველი არ არსებობს, არ ვენდოთ აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ცნობებს ქართული სუფრის თაობაზე.

ინგა მილორავა

იქ, სადაც დედამინა ბრუნავს

□

ნინო სადღობელაშვილის რომანი „ორსული“

მკითხველისა და მწერლის სულიერი „გაბაასება“, ურთიერთობა მხატვრული ტექსტის პირველივე სტრიქონებიდან იწყება და გამოკვეთილ სახეს ბოლო სიტყვების ამოკითხვის შემდეგ იღებს. ეს მაინც ბოლომდე ამოუხსნელი, თითქმის მისტიკური პროცესია, რომელიც ადამიანის ცნობიერების და გრძობადი სამყაროს მრავალ, ზოგჯერ მისთვისაც კი უცნობ შრეს მოიცავს და ასევე მრავალგვარი და მოულოდნელი შედეგით შეიძლება დასრულდეს – ესთეტიკური ტკბობით, კათარზისით, ტკივილით, შეცბუნებით, შიშით, იმედით, აღფრთოვანებით... ან დაპირისპირებითა და პოლემიკის სურვილით. ყველანაირი შედეგი მისაღებია, გარდა გულგრილობისა, რადგან თუ ნიგნი შედგა, შეივსო, „იმორგავა“, ხორცი შეისხა და შინაგანი მთლიანობა მოიპოვა, ველარავის დატოვებს გულგრილს. მხატვრული ტექსტის აღქმისას მრავალი ასპექტია მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც შეიძლება ეს სიმრავლე უხეშად და პირობითად სამ ურთიერთგადაჯაჭვულ დონემდე დავიყვანოთ:

1) ამბის დონე: იგი მოიცავს ძირითად სათქმელსაც;

2) ემოციური დონე: მწერალი მძაფრად განიცდის იმას, რაზეც წერს და იმავდროულად ძალუძს გადასცეს თავისი შეგრძნებები მკითხველს და მასშიც აღძრას თანაფარდი ემოცია;

და

3) სახიერი დონე: უშუალოდ მხატვრული, სიტყვიერი ქსოვილის სახე, ხატოვანება, ფერადოვნება, გამომსახველობითი ხერხების სიუხვე და თვითმყოფადობა.

როცა სამივე ეს დონე მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც აქტიურია და თავის ფუნქციას ასრულებს, შეიძლება ითქვას, რომ ნიგნი „გაცოცხლდა“. თბილი, მფეთქავი, გრძობებით სავსე ახალი სიცოცხლე კი ვერავის დატოვებს გულგრილს და მაშინ უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნიგნი შედგა.


სწორედ ასეთი ნიგნია ნინო სადღობელაშვილის „ორსული“, რომელიც, ვფიქრობ, იოლად იპოვის გზას ადამიანების გულებსაკენ. მასში მართლაც სამივე დონე ქმედითი და თანაც მაღალი ხარისხისაა, მაგრამ მაინც მინდა საუბარი სახეობრივი სისტემით დავინყო, რადგან, ჩემი

აზრით, ის ყველაზე ძლიერი და შთამბეჭდავია ნინო სადღობელაშვილის რომანში.

მწერალი ფლობს სიტყვას, სწვდება მის სიღრმეს, გრძობს ზუსტი ფრაზის შესაძლებლობას და ზუსტადაც იყენებს. ის სიტყვით ხატავს, როგორც ფერმწერი და შედეგად ცოცხლდება ნიგნის შიდა სამყარო, ადამიანები, სახეები, ფიქრებიც კი... როიალზე თეთრი ვარდები და მიმობნეული ცვარი, გადაუღებელი წვიმა, ნაძვები და მწვანე წყალი, ამ ნაძვებს რომ ჩამოსდის; მზია ჩორხაული და მისი შვილიშვილი მირიანი ისეთი ხელშესახები ხდებიან, რომ ჩნდება შეგრძნება, რომ თუ ხელს გაიწოდებ, მართლა იგრძნობ მათ სიტბოს (ექსპედიციის ეპიზოდი, ვფიქრობ, ერთ-ერთი საუკეთესოა ამ რომანში). თითქოს ერთი ამოსუნთქვით, მიჯრით, მჭიდროდ მოქსოვილი ევარე მხატვრულ ქსოვილში უამრავი ხატია, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს და ცალ-ცალკე არ შეუძლიათ არსებობა: ხეები, ბალახები, ყვავილები, ადამიანთა სახეები, პანანინა ფერადი წერტილები, რომლენიც სამყაროსავით ძველ და მარადიულ ტკივილს შეიცავენ – თუნდაც გასრესილი პეპლის გაუსრესავად დარჩენილი თვალი. მწერალი იყენებს ნივთის, საგნის მხატვრულ შესაძლებლობებსაც: ბეჭედი, სისხლიანი აფხაზეთის პატარა ნაშთი, სიმბოლოს მნიშვნელობას იძენს. ის ორჯერ გამოჩნდა რომანში და ორივეჯერ სრულად შეასრულა თავისი მიზანდასახულობა – თავის თავში შეინახა გარდასული დრო, დაკარგული სივრცე და ვერმონელებული და ვერდასაძლევი ტკივილის ხატად იქცა. და, რაც მთავარია, მწერალმა შეძლო უდანაკარგოდ მიეტანა მკითხველამდე არა მხოლოდ ის, რაც მის სამყაროში მატერიალურად არსებობდა და რისი წარმოსახვაში გაცოცხლება მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც იოლია, არამედ ისიც, რაც მხოლოდ სულის სიღრმეში, მის ყველაზე ფარულ შრეებშია ჩამალული, ამ მხატვრულ ქსოვილში კი მთლიანად ზედაპირზე აღმოჩნდა ამოტანილი, დაუფარავად, სრულად და ასევე ხელშესახებად.

თითქმის ყველა ფრაზაში, ერთი შეხედვით დამოუკიდებელ, მაგრამ ერთ ძაფზე აკინძულ ყველა ეპიზოდში იგრძნობა, რომ მწერალმა მთელი არსებით განიცადა ის, რაზეც წერს. შესაბამისად მკითხველშიც აღიძრება თანაგანცდის, თანაზიარობის, თანადასწრების სრულიად ადეკვატური რეაქცია. ყველა ხასიათი, მთავარი გმირებით დაწყებული, მეორეხარისხოვანი პერსონაჟებით დამთავრებული, შეძლებისდაგვარად სრულადაა გაშლილი და მიუხედავად მძაფრი ემოციური მუხტისა, მწერალი მაინც შეეცადა შეენარჩუნებინა ობიექტურობა. ის ადამიანების შინაგან სამყაროს სრულიად კონკრეტულ ეპოქასთან გადაკვეთის წერტილში გამოსახავს და მკითხველი აშკარად გრძნობს, რომ ამწუთიერ, წარმავალი დროის ნაკადში მოქცეული შემოქმედი ადამიანებისთვის მარადიული, ზედროული, ზესივრცული პრობლემები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „განქარვებადი“. ასეთია ეკა გვიანიძე – პოეტი, საკუთარ სულში ჩაღრმავებული, მსოფლიო სევდით სავსე სულითა და სიყვარულის გადაუღახავი სურვილით შეპყრობილი. ეკას სახეში იგრძნობა ფილოსოფიური მსჯელობისაკენ მიდრეკილებისა და თითქოს პირველად მხოლოდ მისთვის აღმოჩენილ-აღმოცენებული გრძობების სრული შეერთება, ორგანული კავშირი. მისი ხასიათი

ბოლომდე გახსნილი და გასაგებია და არაფერია მოულოდნელი, თუნდაც ის, რაც ფინალში ხდება. ეკას სახე ისეა აგებული, რომ ძნელი წარმოსადგენია მკითხველს (კაცი იქნება თუ ქალი) გაუჭირდეს მასთან იდენტიფიცირება და ვერ მიიღოს მისი თუნდაც სუბიექტურობის ნიშნით აღბეჭდილი სამყარო. სამაგიეროდ უფრო რთულია კოტე ნიჟარაძის ხასიათი. ის ყველა მიმართულებით ვითარდება რომანში: ანმყოფად, სადაც დგას კოტე ნიჟარაძე გარკვეული ვექტორები მიემართება წარსულის – ბავშვობისკენ, ფიქრებისკენ და მგონი მომავლისკენაც კი. ძნელი წარმოსადგენია უფრო მრავალნახნაგოვნად დამუშავებული ხასიათი და მაინც მას შეუძლია



სხვადასხვა ემოცია აღძრას. მაგალითად, მე ანტიპათიურად განვწყვე ამ ადამიანის მიმართ. სწორედამ რომ ადამიანის, ვინაიდან მწერალმა შეძლო ისე გამოესახა იგი, ისე გაეცნო ჩვენთვის, ყველა კუთხიდან დაენახებინა, რომ შეიგრძნობ როგორც ხორციელ, უკვე ნაცნობ ადამიანს და ასეთივე დამოკიდებულება გიჩნდება მისი საკუთარ თავში გამოკეტვის, თვითიზოლაციის, შეფარული ქედმაღლობის და სიყვარულის ნახევრადდაკარგული უნარის მიმართ. ამავე დროს სავესებით შესაძლებელია, რომ სხვა მკითხველს პირიქით მოეწონოს კოტე, ისევე და ისევე იმ განცდიდან გამომდინარე, რომ ის ცოცხალია, ნაცნობია. ერთი და იგივე ადამიანი ყველას არც უყვარს და არც სძულს. მწერალმა შეძლო ისე რელიეფურად, არასწორხაზოვნად გამოესახა ეს სახე, რომ მის მიმართ, ისევე როგორც ნებისმიერი ადამიანის მიმართ ყველანაირი ემოცია შეიძლება აღძრას. ვფიქრობ, ეს რომანის ავტორის ერთ-ერთი გამარჯვებაა.

მან თავის გრძნობად ველში ჩართო მკითხველი და იმავდროულად მისცა მას საშუალება თავად გარკვეულიყო იმ სამყაროში, რომელიც გადაიშალა ამ წიგნის ფურცლებზე.

და ბოლოს ამბავი... ამბავი კი მოგვითხრობს საკუთარი თავის, სიყვარულის და ცხოვრების საზღვრისზე. ეკა პოეტია, შემოქმედი და მისი სული იმთავითვე „ორსულია“ და დროდადრო მშობიარეც, რადგან მის სულში არსებული სიყვარულით ორსულდება და იშვება შემდეგ ლექსი, მაგრამ მას სურს, მეტიც, აშინებს ისეთი უნაყოფობა, როგორი უნაყოფოც შეიძლება იყოს დაწყველილი ლედვის ხე. ეს არ არის შთამომავლობის გაგრძელების მარტივი ბიოლოგიური ინსტინქტი. მას სხვა, სხეულის და სულის ჰარმონიით მიღწეულ შობასთან ზიარება სწადია და ამიტომ დაუოკებელი

წყურვილით ენაფება სიყვარულს. კოტესა და ეკას თავდაპირველი ურთიერთობა უნებურად გაგვახსენებს პლატონისეულ ანდროგინებს ან ვასილ ბარნოვის „ჯუფთ სულთა“ კონცეფციას, რომელიც მარადისობაში გადაიზიდება და ადამიანი „კაცლმერთობამდე“ აპყავს. მხოლოდ სიყვარულით უნდა გაჩნდნენ ახალი ადამიანები, უსიყვარულოდ დაბადებულები ანგრევენ და ამრუდებენ სამყაროს. ეკას და კოტეს თითქოს აქვთ შესაძლებლობა, რომ ასეთ ჯუფთ სულებად იქცნენ, ისინი ერთნაირ სიზმრებს ხედავენ, ერთნაირად ლაპარაკობენ, ზოგჯერ ფიქრობენ კიდეც. ეკას სულიერი შრომით სიყვარული ნელ-ნელა ახლოვდება, ძლიერდება, მაგრამ ისინი მინიერ არასრულყოფილ

ჩარჩოებში არიან მოქცეულნი. მწერალმა გამოსახა თანადროული ამღვრეული სამყარო, რომელიც თავის მხრივ შედეგია განვლილი სასტიკი ოცნლეულისა და კიდეც უფრო შორს, დროის სიღრმეში უდევს ფესვები. ამ სამყაროში ძალიან ძნელია მთლიანად და უხინჯოდ შეინარჩუნოს სიყვარული ადამიანმა, მით უმეტეს შემოქმედმა, რომელიც თავისთავად ყოველთვის განსხვავებულია და წინააღმდეგობრივი. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, სიცოცხლე მაინც ორსულობისა და შობის ჯაჭვია, როგორც არის და როგორც იქნება, მარადიულად. ეს ორსულობა არის აზრი, მიზანი, სულიერი იქნება თუ ფიზიკური და შედეგიც თანაბრად მნიშვნელოვანია არსებობის გაგრძელებისთვის – სულიერიც და ფიზიკურიც, თუნდაც როგორც ლექსი ან ბავშვი... ეკასთვის, შემოქმედების მარადიული საწყისის მატარებელისთვის ეს ჭეშმარიტებაა: „ორსულობა ყველაზე მშვენიერი მდგომარეობაა სამყაროში, როცა თავისუფლებაზე ფიქრობ. გამუდმებით მხოლოდ თავისუფლებაზე, გათავისუფლებაზე ფიქრობ. მთელი ამ დროის მანძილზე მხოლოდ იმაზე ფიქრობ, როგორ გამოვა ერთხელაც შენგან ეს მეორე სული და როგორ აივსებით ორივე ახალი სიცოცხლით... როგორ გამოთავისუფლდები ერთხელ და სამუდამოდ და დაცარიელდები, რადგან შეუძლებელია მთელი ცხოვრება იყო ორსული. სამაგიეროდ, დედამინა დღემდე მხოლოდ ორსულთა მუცლებში ბრუნავს და, ღმერთმა არ ქნას აღარ... ღმერთმა არ ქნას, ნინო!“

მართლაც ღმერთმა არ ქნას. მეტი რაღა უნდა ვთქვათ ახლა, ამ წუთას, ამ ეპოქაში, როცა ვკითხულობთ ამ მშვენიერ წიგნს და ვფიქრობთ თავისუფლებაზე და ვეძებთ სიყვარულს ახალი სიცოცხლისთვის.

სამშობათს, 6 აპრილს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
განხილვა

იოსებ ბროდსკის
ლექსებისა და ესეების
კრებულის

**„მშვენიერი ეპოქის
დასასრული“**

გია ჯოხაძისეული
თარგმანებისა

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

ნანა კუცია

„...რომ სული არ მიიხილოს“

□

ნატა ვარადას „ყარაჯა დაილაამო“

გალაკტიონის პოეზიაში არის სტრიქონი: „... მხურვალემა ქვიშაზე კენესის. უნდა რომ სული არ მიიხილოს“ („სარკოფაგიდან დგება მუშია“).

სული რომ არ მიიხილოს, წარმოუდგენელი რამ ხდება — მუშია, თავადაც მტვერი და სილა, სარკოფაგიდან დგება.

წარმოუდგენელი ვიზიონი ვარაჯა უდაბნოს უფლის წყალობად დაეფინება — „სიჩუმეა. ჰაერი ლურჯი აბრეშუმი. ორხიდეები ეცემა ნილოსს“...

სულის მისილვა ტრაგედიათაგან უმძიმესია, წყევლათაგან — უსაზარლესი.

ვიზიონის (ნილოსზე დაცემული ორქიდეების) გაგრძელება (ან — პოეტური ჯუფთი) გალაკტიონისავე პარადიგმა — „სილაში ვარდი“ — მიუსილავი მშვენიერება, „ნათელი — ზეცით მოსული.“

ცა-ლაჟვარდი („ჰაერი — ლურჯი აბრეშუმი“) და სილა ოქსიმორონად აღიქმება გალაკტიონთან. რემინისცენცია — ჟან მარი გუსტავ ლე კლეზიოს „უდაბნოს“ პერსონაჟებიც თავისუფალი „ლურჯი კაცები“ არიან — ისინი, ვის „გარდაცვერავენ იცხოვრებს უდაბნოში“ (ჟან მარი გუსტავ ლე კლეზიო, „უდაბნო“)...

სილა — „უნაყოფო მიწა“ ლაჟვარდის მწყალობელ სიგრილეს მოინატრებს. „ლაჟვარდი უკვე ღმერთისაა“ (ლია სტურუა).

„თოვლშიც“ გაკრთება იგივე ვიზიონი — „უდაბნო, ლურჯად ნახავერდები“ — კვლავ დაწყვილდება სილა-უდაბნო და „ცისა ფერი.“

ცვეტაევასთან ლაჟვარდიც ვარაჯარებს: „Как пламенно в лазури“.

გალაკტიონი „მეფისტოფელის საუკუნეშიც“ იგზნებს მთავარს: „დევენილ-ლათუ ვართ, არამედ არა დატყვევებულ ვართ“ (II კორ. 4, 9), ამიტომ მისი სილა **ნანვიმარია**, ღვთაებრივი **წყალობით** დამბალი, გაცოცხლებადი.

არარადან (ღმერთით!) სილაში ვარდს ამოზიდავს პოეტის ძალუმი წარმოსახვა — „მგოსანთ სითამამე“ („მთანმინდის მთვარე“).

წარმავლობის ლამში უფლის ყვავილს — ვარდს მოინატრებს პოეტი, ჟამიერ სოფელში — უჟამო უფალს [„რა შეიძლება იყოს სამყაროს ყვავილი, თუ არა სახელი ქრისტესი?!“ — განმარტავს ორიგენე „ქებათა ქების“ კომენტარებისას (Толковая Библия или комментарии на все книги Ветхого и Нового Завета, кн. 2).

„მეფისტოფელის საუკუნე“ მხოლოდ მეოცე როდია და ნატა ვარადასეული დალამული საყდარი (მისილული ყარაჯა) სილაში ვარდის პოეტურ ჯუფთად აღიქმება (**ნატა ვარადა, ყარაჯა დაილაამო**, „ჩვენი მწერლობა“ №14, 2008.)

„ეპოვე ტაძარი შესაფარი, უდაბნოდ მდგარი“ უკვე თქმულიყო.

სილაში ვარდი ბრწყინავდა, უდაბნოში ტაძარი გეიმედებოდა.

ტატო შორიდან ესიტყვებოდა მეფსალმუნის სინათლიან ნატვრას:

„შევიდე სახლსა შენსა, თაყვანის-ვსცე ტაძარსა წმინდასა შენსა შიშითა შენითა, უფალო“ (ფს. 5, 7).

მეფსალმუნეს განემარტა ღვთაებრივი ლტოლვა-მომრომის მაღალი მიზეზი: „შურმან სახლისა შენისამან შემჭამა მე“ (ფს. 68, 9), თვითმფლობელი ნებით აღერჩია „მივრდომაი სახლსა ღმრთისასა“, რადგან, როგორც თავადვე ეზრახებოდა უფალს: „სჯობს დღე ერთი ეზოთა შინა შენთა უფროს ათასთა მათ“ (ფს. 83, 10).

„ყარაჯა დაილაამო“ მაღალ დარდს და გამთანგავ შუქს იმარხავს.

მაღალი პოეზიის არსი, „დანიშნულება და საღმრთო ვალი“ დარდის შუქად ტრანსფორმირებაა (კონსტანტინ ბალმონტი ესეის „სიტყვა კალიდასაზე“ ეპიგრაფად პოეტისადმი მიმართვას გაიტანს: «Дай нам чудо звонких льдин. Силой мерного страдания дай нам храмы изо льда».

„ყარაჯა დაილაამო“, საყდარი მისილაო — კონსტატირება საზარი ფაქტი.

ტექსტს სრულად ამოვნერთ:

ყარაჯა დაილაამო, ეს-ემ-ეს-ს მწერენ კლასელი ბიჭები.

ალავერდზე თეთრიც კი ყოფილა, მაგრამ ოშკივით უბედური.

ვაბრუნებ პასუხად:

რა გინდათ, ერთგულად დაუმარხავს,

უპატრონია ბუტბუტა ალაზანს,

უდედატერეზა.

დაუმღერია დუდუნა საგალობელი,

ქვიშის ფარდაგი ამოუკეცავს.

აბა, წელს რალა დროს,

დამდეგს კი საშოში ჩავისვამ ლაზარეს,

ცხრა თვეში მზის სინათლეს გამოვანჩენ

და უფალს მივაბარებ.

ოცი წელი ღმერთისა — ერთი წამი.

ბიჭს საულვაშე შავად დაელინდლოს,

არმაზის აბანოებს და ბაგინეთს მოვატარებ.

ყარაჯავ, დაფლული გულისკენ დავგეშავ

და თლილი თითებით ხელახლა აღმოვანჩენს.

შლამს რომ გადაგაცლის, შენამც ამოხედე,

უთერეს ღრუბელად ცას წელში გაემართე,

დედოფალ თამარის ფრესკებით გაანათე.

ალაზანს თავს ვახვენებ:

ნესტიან უბეში კარგადაც შამინახე!

ყარაჯა საყდარი ლამს გადაუფარავს,

ჩვენი მოწყენილი, მუნჯი ბერიკაცი...

კლასელმა ბიჭებმა ქედი მოიხარეს.

ლაზარეს გავაჩენ!

„ყარაჯა დაილაამო“ ნატა ვარადას ლექსთა თვალთაში ერთი მარგალიტია.

ნატიფი, დარდიანი ტექსტების პირველ პუბლიკაციას ავტორისეული — დაწურული და ტევადი მინარტავი უძღვის:

„დავიბადე ყვარელში. ბავშვობიდან დაკარგული ადამიანების დასაბრუნებლად პოეზია მოვიშველიე (კვლავ — დარდის შუქად ტრანსფორმაცია — ნ. კ.).

დავინყების შიშით ყოველ წუთს და წამს ჩავინიშნავ ხოლმე და ასე იბადებიან ლექსები.

პოეზია ჩემი ერთადერთი მეგობარია. კონტაქტური ადამიანი არ ვარ და სათქმელს, ძირითადად, ფურცელს ვუმხელ.

ინტერნეტ-სივრცეში, წლებია, ვაქვეყნებ ნაწარმოებებს, მაგრამ — ნაბეჭდი სახით — პირველად.

ყოველთვის ვამბობდი, ჩემს შვილთან ერთად მეორედ დავიბადები-მეთქი, ახლა კი თითქოს ლექსებად ვიბადები.

თერთმეტ ივნისს 30-ის ვავხდები.

ახლა უკვე სიბერეა.“

ავტორისეული მინარტავი მშრალ თვითნარდგინებად როდი, მხატვრულ ტექსტად, უფრო — მინიატურად აღიქმება, ან „ლექსივით მკვრივი და მუსიკასავით მეტყველი ნოველის“ (ლამარა კიკილაშვილი, „ეგეთად დარჩი...“, „მნათობი“ 3, 1992) მონახაზად — მინარტავი პოეზიის ნახსენებია.

ყვარელში დაბადება გულისხმობს მადლს — ყვარლის მთების ჩრდილში „ქართვე(ე)ლად გაზრდა“, ალაზნის ტალღებში სიყრმიდანვე განათვლა უკვე წყალობაა (ქართული ცნობიერება ასე იაზრებს ამ წმიდა ალაგის მისტერიას).

ლოკალისა და ასაკის დაკონკრეტება პოეტს პატივს სდებს — მადლს გზნებს ნატა ვარადა — მადლს ალაგისა, მადლს ასაკისა.

ლექსებში საკრალურ სახელეზად გაბრწყინდებიან „ალაზანი“, „ალავერდი“, „ოშკი“...

ეს ინტერნეტსივრცე როდია, სულისა, სულის სახლი, პურის სახლი, სულის ბეთლემი (იმ დიდმა ყვარელმა, ქართველთაგან გამორჩეულმა აკი ქართული ბეთლემის სილუეტიც მოხაზა!).

„ფუჰ, ეს არის ალაზანი?!“ — განზილებითა და ტკივილით იკითხავს ნაირა გელაშვილის პერსონაჟი „დედის ოთახში.“

ალაზანი განსანმენდელად აღიქმებოდა (იყო კიდეც), ოღონდ მეოცე საუკუნის ერთ-ერთ გამორჩეულ ქართულ რომანში უღმერთო ჟამისაგან ჟამიერად გასვრილი მდინარე (ყოფიერების, მედინობის მარადი პარადიგმა) იჭვის, ტკივილის გესლს ჩაანთხევს ენდის სულში.

მაგრამ ბუნება თვითმკმარია, თვითგანმმენდი. ალაზანიც. ალაზნით განბლებული, ბაზალეთის განმმენდი ზვირთს მოინატრებს ენდი.

ნატა ვარადას ლექსში ალაზანი უღმერთო ჟამის გადავლამდე სინმინდის — ყარაჯის საყდრის დამმარხველად გარდაისახება. პარადიგმა ტრანსფორმირდება.

„დალამვის“ მაღალ არსს პოეტი გაიცნობიერებს. გაცნობიერებული ტკივილი იმედს ესაძირკვლება.

ავტორისეული რემარკა ლექსების მინარტავში („ახლა უკვე სიბერეა“) ინტერნეტსივრცეული, წამიერი წაწუნუნებაა.



ნატა ვარადა

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ნატიფად ითქმოდა — „კეთილი მოხუცებულები გონებისაი“, „ჯერკულის“ განმგებელი, „კეთილის“ შემწყნარებელი.

ოცდაათი წელი ის ასაკია, როდესაც პოეტი ისე უნდა შევიდეს ალაზანში, როგორც ოცდაათი წლის მაცხოვარი — იორდანეში („ღმერთნი სამე ხართ და შვილნი მალლისანი“ — იტყოდა მეფესალმუნე (ფს. 81, 6).

ინტერნეტსივრცის, მობილურის (და შემადრწუნებლად „მობილური“) ეპოქის პაროლი — ეს-ემ-ესი პოეზიაშიც შემოიჭრება (არადა, აქ, თითქოს, არცაა მისი ალაგი — აქ, სპილოს ძვლის უნატიფეს კოშკში) — არქაულ, ლამის ფოლკლორულსათაურიანი „ყარაჯა დაილამაო“ ასე იწყება: „ყარაჯა დაილამაო, ეს-ემ-ეს-ს მწერენ კლასელი ბიჭები...“

მოკლე ტექსტური შეტყობინება ვარამს (ვარადას ვარამს, რჩეულთა არჩივს) დაიმარხავს — ტკივილის ელდას, რომელსაც არც მოხუცდება გრძელი დალაი, ან ხმით ნატირალი — ჟამია სხვა, სხვანაირი — გლოვა ფუფუნებაა. მხოლოდ ფაქტი კონსტატირდება.

ეს-ემ-ესი ტელეფონში ან ინტერნეტსივრცეში, იქნებ, ნაიშალოს კიდეც, ოღონდ — არა გულიდან.

დაილამაო... სხვისი ნათქვამის „ო“ ტკივილს ამძაფრებს...

ეს-ემ-ესი ადრესატის გულში იმარხება და პოეტურ, ოქროვან სიტყვად გამოხურდება ვარამი.

მერე წარმოსახვაა — „სინამდვილეთაგან ყველაზე უფრო დაიდი“ (გ. დონანაშვილი), სინამდვილითვე ნასაძირკველავი: ყარაჯა, თურმე, „ალავერდზე თეთრიც კი ყოფილა, მაგრამ — ოშკივით უბედური...“

„ჭალიდან თეთრი გედივით ამოვარდნილი ალავერდი“ გურამ რჩეულიშვილისეული მხატვრული სახეა (საცნაურია, რომ ლია სტურუას პოეზიაშიც გედია თეთრი ეკლესიის მეტაფორა) — კახეთის (სრულიად საქართველოს) ერთი სინმიდეთაგანი, ქრესტომათიული ტკივილის დამმარხველი — ვაჟას „ბახტრიონიდან“, აკაკის „ბაში-აჩუკიდან“ გადმოღვირილი ვარამისა — ალავერდი — გველემაშპემოსალტული.

ყარაჯა — „ალავერდზე თეთრი, მაგრამ ოშკივით უბედური“ რთული მხატვრული სახეა — თეთრი სინმინდის, ღვთაებრივი ყოვლისდამტვეწელობის ფერია, შეუბლალობის სინონიმი (და უფლის სახლი იმარხავს ამ სისპეტაკეს, განსხვავებით „კირით განგოზილი სამარეების“ საზარი სითეთრისაგან), „ოშკივით უბედური“ — მიტოვებულობის, მრევლისაგან დაცლილობისა (ერთია სანუგეშო — უფლის მაღლით, ოშკის შემოგარენისაგან განსხვავებით, ყარაჯის სიახლოვეს „სხვა ხალხის ჟრიაშილი“ არ ისმის (თუ... არ გვემის?!).

კლასელების ეს-ემ-ესი შემთხვევით როდი წარეგზავნება პოეტს — უკეთესს.

ტკივილს მხოლოდ პოეტის გონი გამოახურეებს ნუგეშად, საპასუხო გზავნილი რომ დაიმარხავს:

**რა გინდათ, ერთგულად დაუმარხავს,
უპატრონია ბუტბუტა ალაზანს,
უდედატერეზა.
დაუმღერია დუდუნა საგალობელი,
ქვიშის ფარდაგი ამოუკეცავს.**

„ლექსის მეტრულ სხეულში ლირიკული გრადაციის მიზნით ნახევარსტრიქონებად იმსხვრევა სტრიქონი“ (შორენა ქურთიშვილი, „ჩამხედვე ლექსში, როგორც თვალეში“, „ჩვენი მწერლობა“, 25-31 ივლისი, 2003) — ელა გოჩიაშვილის უნატიფეს პოეზიაზე თქმული ესადაგება ნატა ვარადასეული ტექსტის მხატვრულ ქსოვილსაც.

ზმნათა ფორმების მონაცვლეობა („დაუმარხავს“ და „უპატრონია“-ს თურმეობითი და „უდედატერეზას“ წყვეტილი მიდმოგონების (რუს. *размышление*-ს ძველქართული ჯუფთი), განსჯის, ტკივილის ნუგეშად გამოხურეების (გავიმეორებთ ზემოთქმულს) რეფლექსიან, პოეტური ანარექლი.

მერე წყვეტილს კვლავ თურმეობითი ჩაენაცვლება: „დაუმღერია“, „ამოუკეცავს“.

„დაუმარხავს“, „უპატრონია“ განსჯის მდორე, დარდიანი მელოდიან, „უდედატერეზა“ — თავისი მოკვეთილი, მკვეთრი მახვილით — უკვე დასკვნა, გროტესკის სანელებლით გაჯერებული — რაც ადამიანებმა ვერ შეიფერეს, ვერ დაიცვეს, მდინარემ დაიმარხა.

ეს ლამი ლაფი როდი, საფარველია, „ნუ განმამორებ საფარველსა შენსა“ — ლეთისმშობლის სავედრებლის ერთი ვედრებათაგანი (ლოცვანი).

იქნებ, ეს ლამი იმ ღვთაებრივი სიგრილის და სინოტივის პარადიგმაა, მარინა ცვეტაევა რომ წერდა (ხეებს მიმართავდა („ხე ადამიანის მოძმეა შუასკნელში“ (გ. გაჩევი, საქართველოს კოსმოსოფია, „არილი“ 9 მარტი, 1996, 2): „*Лечите обиду времени прохладой вечности*“ (М. Цветаева).

იქნებ, ალაზნის ლამიც, ყარაჯის ჟამიერ დამმარხველი, ჟამის წყენა- ტკივილებს მარადისობის სიგრილით განკურნავს?! („ს ა გ რ ი ლ თ ა ფ რ თ ე თ ა შე ნ თ ა ს ა ვ ე ს ი დ ე“ — ლოცვის შუქიანი ანარექლია).

„დუდუნა საგალობელი“, ალაზანი რომ აღავლენს, ცის მელოდიას იმარხავს, ალაზნისგანვე ამოკეცილი ქვიშის ფარდაგი — მიწისას.

ცის და მიწის ხილად დაიმარხება ყარაჯა — უკეთეს ჟამამდის. „ეკლესიანი, ცათა მობაძავნი“ წარსულიდან გვწყალობებოდა უარესი ჟამის მკვიდრთ.

მაგრამ უკეთესი ჟამი რომ დადგება, „კეთილი მოხუცებულები გონებისაი“ უკარნახებს პოეტს.

მარადი ქალი, პოეტში დავანებული, უკეთეს გამოსავალს, გზათაგან უპირატესს იპოვის ტაძრის აღდგინების, სულიერი აღორძინებისათვის:

**ნელს, აბა, რალა დროს,
დამდეგს კი საშოში ჩავისვამ ლ ა ზ ა რ ე ს...**

შემთხვევით როდი სწორედ ლაზარეს — მკვდრეთით აღმდგარს, აღდგომის ღვთაებრივი მისტერიის დამტყვენელს (მითოლოგიური შრეც გაილანდება — ლაზარე — მიწისა და ლამის „პირმშო“, „ამინდის გამოსანვევი რიტუალის პერსონაჟი“ — ქსე, ტ. VI).

ლექსი ბიბლიის (და მითოლოგიის — პროფეტული აზროვნების) ლაკონურობას დაიმარხავს, გამეორდება შობისა და ადამიანის ღვთაებრივი „დანიშნულების და საღმრთო ვალის“ გაცნობიერებისა და აღსრულების მისტერია: ცხრა თვეში სამზეოზე ამოჩენილ ლაზარეს დედა — პოეტი, მარადი ქალი, ერის სულის კვინტესენცია უფალს მიაბარებს (სიბრძნეთაგან უღრმესი სიბრძნე — უფალს მიაბარეს ქალწული მარიამი, იოანე ნათლისმცემელი...).

„მიუტევე უფალს ზრუნვაი შენი და მან გამოგზარდოს შენ“ (ფს. 54, 22) — მეფსალმუნე ლაკონურია და მანუგეშებელი.

ლაზარესაც უფალს „მიუტევეს“ (მიაბარებს) ყარაჯაზე მონაღვლე.

გამეორდება მისტერია:

„ცხრა თვეში მზის სინათლეს ამოვჩენ“ — ფრაზა პირდაპირი მნიშვნელობითაც ნაიკითხება — მზის სინათლეზე ამოჩნდება ლაზარე და გადატანითითაც, ალეგორიულადაც — მზის სინათლედ თავად ლაზარე გაბრწყინდება.

ლალა პოეტი ალეგორიულია და რეალურის სამანზე (ასოციაცია: „განა ლალია, რომ (მღერის)?!“ მაგრამ ვაჟას ყველაზე ტრაგიკულ ლექსებსაც „სიმღერა“ ჰქვია...).

ღვთაებრივი სიმშვიდე დავანებს სულში, სტრიქონში ჩაიღვრება — „ოცი წელი ღმერთისა — ერთი წამი“ („წელი ათასი წინამე თვალთა შენთა, უფალო, ვითარცა გუშინდელი დღე, რომელ წარხდა“ (ფსალმუნი 89, 4-5).

უფალს მიბარებულ, უფლის „ნილ“ ჭაბუკს დედა (პოეტი და, იმავდროულად, მარადი დედის პარადიგმა) არმაზს და ბაგინეთს (ოშკ-ალავერდივით საკრალურ, საქართველოს გულისგულის, გულისცემის დამმარხველ სინმინდეებს, სანმი-დარს) მოახილვინებს (მდრ. „რაჟამს იგი (უფალი — ნ. კ.) ლაზარეს აღადგენდა, ლ ო ც ვ ა დ დადგა“ (იოანე ოქროპირი, თარგმანები მათეს სახარებისაი, I).

წმიდა ალაგნი საკრალური მადლით აღავსებენ ღვთაებრივი ყრმის სულს და, ყარაჯის „დაფლული გულისაკენ დაგეშილი“ ლაზარე (მკვდრეთით აღმდგარი ქვეყანა) თლილი თითებით გადააცლის შლამს სინმინდეს.

„თლილი თითების“ კონსტატირებაც საცნაურია. ჯერ კიდევ ქართული მწერლობის უმკვიდრესი ლობოს — აგიოგრაფის ესთეტიკური პრინციპებიდან გამომდინარე, „სხეულიდან მხოლოდ ხელები და თვალები მიაჩნდათ სულის გამომხატველად, ადამიანის ხელებს ეტყობაო სულის მოძრაობა, თვალები სულის სარკეაო“ (რევაზ სირაძე, ქართული აგიოგრაფია).

ბაგინეთ და არმაზმოვლილ, ქრისტიანობამდელი და ქრისტიანული საქართველოს სანმინდარების მომლოცველ ყრმას საფიქრალსაც დედა განუსაზღვრავს.

„ყარაჯავ, დაფლული გ უ ლ ი ს კ ე ნ დ ა ვ გ ე შ ა ვ“ — უზუსტეს სიტყვებს იპოვის პოეტი.

„ვზი მზრდელად სიყვარულისადო“, — ერთი და იმავე ფრაზა-კონსტრუქციით იტყოდნენ მალალ სათქმელს ნესტანიცა და თინათინიც...

„გულისკენ (სიყვარულისთვის) დამგეშავი“ და „მზრდელი სიყვარულისა“ — ქართველი ქალი ჟამის ლამში იმარხავდა საღმრთო ნიჭის, საღმრთო მადლის — სიყვარულის და მსახურების, სიყვარულით მსახურების მზიურ ნაღვერდალს.

ტრაგიკულ, ტკივილიან, მაინც იმედის შუქით გალიცლიცებულ სათქმელს ლექსის მხატვრული ქსოვილი ამოამზებებს.

თლილი თითებით ხელახლა აღმოგაჩენსო ლაზარე, ნმი-
დათანმიდას — საყდარს, უფლის სახლს ალუთქვამს ქალი —
დედა ლაზარესი, ზურაბისა, ბაზალეთის აკვანში ჩაკრული
ჩვილისა...

უცხოელის აზრით, „ყოველ ეპოქას ხელახლა უხდება თა-
ვისი სულიერების პროექტის გამოგონება“ (სიუზან სონტაგი,
დუმილის ესთეტიკა, „ხელოვნება“ 5, 1990).

ქართული „სულიერების პროექტი“, ალბათ, გამოსაგონე-
ბელი როდია, მხოლოდ — გასახსენებელ-გასაფრთხილებელი
— „დასამარხველი“, რადგან, როგორც გიორგი ათონელი გა-
ნუმარტავდა თეოდოსი პატრიარქს, „ნმიდათა მოციქულთა
განათლებულნი ვართ და, ვინაითგან ერთი ღმერთი გვიცნო-
ბიეს, არღარა უარგვიყოფიეს და არცა ოდეს წვალებასა მიდ-
რეკილ არს ნათესავი ჩვენი... ამას საფუძველსა ზედა მართლ-
მადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა ნმი-
დათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ“ (გიორგი მცირე, გი-
ორგი ათონელის ცხოვრება).

ბაზალეთის ტბაში თამარს აკვანი ჩაუდგამს, ალაზნისა-
გან დალამულ ყარაჯაში მეფექალის ფრესკები ანათებს...

უცვლელია „სულიერების პროექტი.“

ფოლკლორული ტექსტის ყურ სურნელს ამოიყოლებს
სტრიქონები, დალამული საყდრისადმი ვედრებად აღვლენი-
ლი:

**შლამს რომ გადაგაცლის, შენამც ამოხედე,
უთეთრეს ღრუბელად ცას წელში გაემართე,
დედოფალ თამარის ფრესკებით გაანათე.
ალაზანს თავს ვახვევნი: ნესტიან უბეში
კარგადაც შამინახე...**

სურამის ციხე ერის სულს იმარხავს. ალაზანიც დაიმარ-
ხავს, დალამავს ყარაჯას, როგორც ბაზალეთის ტბა — ნაოც-
ნებარ აკვანს — ჟამამდის.

ორივე ყვარლელი წყალში „დამარხავს“ სანმინდარს —
თამარისეულ აკვანს, თამარისეულ ფრესკებს...

მარადიული პარადიგმები მხატვრულ სიტყვაში დაიმარ-
ხება.

ვარადასეული ყარაჯა — „მონყენილი, მუნჯი ბერიკაცი“
„ძველი დღის“ ხატებხასაც დაიტევს — „ნიკოლოზ გულაბე-
რისძის „საკითხავის“ მიხედვით სვეტიცხოველი ანუ ნათლის
სვეტი გამოხატავს „ძველ დღეს“, ანუ მამა ღმერთს... სვე-
ტიცხოვლის სახეა „მოხუცი კაცი“ — თხზულების ბოლო ნა-
წილში ვკითხულობთ: ღვთისმოყვარესა ვისმე სარწმუნოსა
კაცსა, თავადსა საყდრის შვილსა, ქადაგსა მას ღამესა ძილსა
შინა ეჩვენა სუეტი ცხოველი სახედ მოხუცებულისა ბერისა
კაცისა.“

„მოხუცებული კაცი“ სვეტიცხოვლის სახეში მისტიკური
ხილვაა, რომლის წარმოსახვაც მასთან სულიერ ზიარებას
გულისხმობს, ანუ გულისხმობს სასწაულის მომლოდინე ლი-
ტურგიკულ ცნობიერებას. ...„მოხუცებული კაცი“ სვეტიცხო-
ველზე ანუ ეკლესიაზე ამბობს — „ჩემი საყდარიაო“ (რევაზ
სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I).

რაც შეეხება ბერიკაცის „სიმუნჯეს“ — ანუ დალამული
საყდრის მდუმარებას, იოანე ოქროპირი განმარტავს უკეთ:
„დუმილიცა მისი (ოქროპირი გულისხმობს მაცხოვარს — ნ.
კ.) სწავლაივე იყო“ (იოანე ოქროპირი, თარგმანებაი მათეს
სახარებისაი, I).

მთავარი ცოდნა მისტიურ ფორმულად ჩამონურთხილიყო,
დამამშვიდებელი, მანუგეშებელი: „და ა მ ა რ ხ უ ლ არს ენაი

ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა მესიისა სანამებე-
ლად...“

და ესე ენაი მ ძ ი ნ ა რ ე ი არს დღესამომდე და სახარება-
სა შინა ამას ენასა ლ ა ზ ა რ ე ჰქვიან...“

უცნაურად თანხედებიან იოანე-ზოსიმეს საგალობლისა
და ოცდამეერთე საუკუნის ქართული ლექსის პარადიგმები.
დამარხულიყო ენა, დალამულიყო საყდარი — ჟამამდის...
(„უფალო, ვიდრემდის?“ — ფსალმუნში გაკრთება ტკივი-
ლიანი კითხვა (ფს. 6, 3).

ეს-ემ-ეს-ის წარმომგზავნელი — ყარაჯისავე მრევლი —
პოეტისაგან „ნუგეშსა ამას მიიღებს“ — პოეტი ლაზარეს „გა-
აჩენს“ — გამეორდება აღდგომის მარადი მისტიკა...

ესემესურ, მათიანურ, კომენტარის დამარხველ (კომენ-
ტარი — „მართლგამომეტყუელები“ (იოანე ოქროპირი,
თარგმანებაი მათეს სახარებისაი, I) სტილთა ნატიფი ურთი-
ერთშერევა ლექსის განსაკუთრებულ მხატვრულ ქსოვილს
ქმნის. მოკლედ თქმულ სიტყვაში დამარხული სატკივარი
კონტექსტიდან სისხლად (და შუქად) ჟონავს.

იგივე ტკივილი — ტაძრის ჟამიერი „დალამვისა“, სინმინ-
დის „დამარხვისა“ ვარადამდეც დამარხა ქართულ მწერლო-
ბას.

„ქართული ტრადიციული ხედვა ტაძარს იმთავითვე ინ-
ტიმური თვლით უყურებდა — ანუ როგორც ღმერთისა და
თავის საერთო სახლს“ (ჯანრი კაშია, უბისა, ანუ რენესანსი
„ურენესანსოდ“, „მნათობი“, 5, 1990).

კუმურდოსაკენ დაძრულიყვენ სიმონ ჩიქოვანი, აკაკი
ბელიაშვილი, სერგო ზაქარიძე — ოთარ ჩხეიძის ნოველა
„კუმურდოში“ გაჯერებულია ტკივილითა და სევდით, სინ-
მინდეს მიახლების მოსურნეთ რომ დაუფლებია: „სიმონს არ
უნდოდა, გამოსულიყო ბურანიდანა იმა დროისა, ომკის
დროისა (აქაც ომკის სილუეტია — ნ. კ.), ხახულის დროისა,
კუმურდოს დროისა, არ უნდოდა და არც გამოდიოდა. იგო-
ნებდა: „შენენითა ღვთისათა იოვანე ეპისკოპოსმან დადვა
საძირკველი ამის ეკლესიისაი ხელითა ჩემ ცოდვილისა სა-
კოცრისაითა“... საკოცარი რქმეგია ხუროთმოძღვარსა და
აუგია საოცარი“ (ოთარ ჩხეიძე, ჩემი სოფლის ეტიუდები).

თქეში მოუსწრებთ (ნატა ვარადასთან ლამია, ოთარ ჩხეი-
ძისთან — თქეში — ნ. კ.).

...გადაკარების იმედით (საცნაური პასაჟია!), ტაძარს შეე-
ფარებიან „სხვა საუკუნის მგზავნი გვიანნი“, უღმერთობას
განრიდებულნი, მაგრამ ტაძარშიც ისევე წვიმს, როგორც გა-
რეთ: „მორღვეულიყო თითქოს ყველაფერი, ჩამოქცეულიყო
ერთპირიანადა. ესეც ვიცოდით, სხვაც გვენახა, ბევრი... გვე-
ნახა გუმბათჩაღენილი, შელახული და შებლაღული, არათუ
ძველი შებლაღული, რა თქმა უნდა... იყო უარესი, შემზარა-
ვი... განაცვიფრებდა თვით ჩვენივე მემატინეთა“.

„არათუ ძველი შებლაღული“ — სმირია ეს დეტალი ქარ-
თულ პროზაში. რევაზ ინანიშვილის „განდევლიში“ დახატულ
„მამა რაფდენის“ ქვაბულში მეთოთხმეტე საუკუნის, მეთექვ-
სმეტეში განახლებულ „ფრესკებზე, ფერებჩამაგრებულზე
კახთბატონის — ალექსანდრეს ბრძანებით, მაცხოვარს თვა-
ლები აქვს დათხრილი. ეს უკვე, ეჭვი არავის ეპარება, ჩვენი
საუკუნის ოციან წლებში არის ნამოქმედარი“ (რევაზ ინანიშ-
ვილი, პატარა ბიჭი გოლგოთაზე).

უსახურავო ტაძარი იავარქმნილი ქვეყნის უგამჭვირვა-
ლესი მეტაფორაა.

რეზო კვესელავას მოგონებიდან: თენგიზ აბულაძეს უსა-
ხურავო ტაძარი შეურჩევია იავარქმნილი ქვეყნის ხატებად
ვაჟას პომეების ეკრანიზაციისას — „გადავწყვიტეთ, ბაგრა-

ტის ტაძრის ნანგრევები გვენახა. მით უმეტეს, რომ ზოგი სცენა მომავალი ფილმისათვის აქ უნდა გადაგვეღო. ჩვენთვის ბაგრატი ტაძარი წარმოადგენდა საქართველოს სიმბოლოს. მას სცენარში ერქვა „ჭერახდელი სახლი.“

რ. კვესელავას ნ. ბერდიაევის სიტყვები წამოაგონდება: **«В чем притягивающая нас тайна развалин? В победе Вечности над Временем»** (როგორ იქმნებოდა „ვედრება“, „სინემა“ 4, 1991).

„ჭერახდელი სახლის“, ივარქმნილი ტაძარ-ქვეყნის მკვიდრთა მძაფრ სულიერ ტკივილს წარმოაჩენს ოთარ ჩხეიძე:

„ვიდექით, ვიდექით ანურულნი, თუ განუწულნი, რო არ ვიცოდით, თუ რა გველონა“ („კუმურდოში“).

„ცოდვათა შინა განფრდილინი“ (იოანე ოქროპირი, I, 241] „ხატის მოედანზეც“ კი სახლდებოდნენ, კადნიერად იტყოდნენ უღმერთო სათქმელს: „ხატზე დიდი მე ვარ. თუ სადმე ხატი არსებობს, გამოვიდეს და ან გამოირეკოს თავისი ეზოდან ძროხები. მე შემძლია, ავიდე და აი, ის გამოხრული ხე იქით მხარეს გადავაქციო, მაგრამ არ გადავაქცევ. ხო ხედავთ, რომ საყდარს დაეცემა. ჰოდა, თუ ჩემზე დიდია, აიცილოს თავიდან“ [გოდერძი ჩოხელი, შავი არაგვი].

„განა შენსავით ცოდვიანია“, — მიუგებს სოფელი. ხეპრული დემონსტრირება „ძალმოსილებისა“ „არახალია.“

„თქვა უგუნურმან გულსა შინა თვისსა: არა არს ღმერთი“ (13, 1) — ფსალმუნს დაემარხა.

ვარსკენიცი დაცინვით ეუბნებოდა შუშანიკს: „არა გერგო შენ ეკლესია შენი და არცა ზურგნი ეგე შენნი ქრისტიანენი და უფალი იგი მათი“ (იაკობ ხუცესი შუშანიკის წამება).

აბოსაც არწმუნებდნენ: „რაი სარგებელ გეყოს შენ ქრისტი იგი შენი?!“

ხატზე უფრო ძლიერად უგუნურთ თავი იმიტომ წარმოუდგენიათ, სალოცავისკენ წამოხრილი ხის სხვა მხარეს გადაფრდება რომ „ხელენიფებათ“, მაგრამ ამასაც ამაღლიან წმიდათაწმიდას.

სინათლედ იღვრება სტრიქონი: „ხალხის უმეტეს ნაწილს სჯერა, რომ ის ხე საყდრისკენ არ გადმოიქცევა“ (გოდერძი ჩოხელი).

ეს რწმენაა, ცოდნის „სიცოფეს“ აღმატებული...

საუკუნეების არმურიდან აღწევს ვედრება-გაფრთხილება:

„უფალსა ჰნებავს დამკვიდრებად ასოთა შინა თქვენთა, ვითარცა თქვა წმიდამან მოციქულმან პავლე, მოძღვარმან ეკლესიათამან, ვითარმედ: ტაძარნი ხართ ღმერთისანი და სული წმიდაი დამკვიდრებულ არს თქუენ შორის და უფალი იტყვის წინაისწარმეტყველისა მიერ: მე მოვიდე და დავიმკვიდრო თქუენ შორის“ (იოვანე საბანისძე, აბოს წამება).

დაღამულ ტაძარში ნალვერდალივით ღვივის ღვთაებრივი სული — ჟამამდის დამარხული, ამომზევების მომლოდინე.

ყვარელში დაბადებული უდიდესი ქართველი იტყოდა: „თვითეული ცემა გულის ძარღვისა გვჭრის და გვანყლულებს ჩვენ და

ჩვენი სიცოცხლე ჭრილობით ამ სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო“ (ილია ჭავჭავაძე).

„ქვეყანაზე პოეზია არის.“

ლამიდან ამომზევდება სიტყვა — „საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი.“

P.S. „ყარაჯა დაილამაო“ ერთი მარგალიტია ლექსთა თვალთაიდან.

ღვთიური შუქით ლიცლიცებენ სხვა მარგალიტები (თუნდაც — უნაზესი „რაქელ“, უსაზნო ტკივილით გაჯერებული, ბეთლემისა და რამას საგოდებლის დამმარხველი).

„ნატა ვარადას სამყარო, ის, რაც ამ ლექსებიდან შეიცნობა, ატარებს ფარულ, ან იქნებ ნახევრადგამხეილ განწირულობის ტონალობას“ (გივი ალხაზიშვილი, უცნაური „ქორწინება“, „ჩვენი მწერლობა“ 14).

„თქვენთან ყველაფერი ლამაზია, თავადის ასულო — მინდორიც, მთაც, ქვებიც, ბალახიც“, — ეტყვის გერმანელი არტური თექსმეტი წლის ქართველ გოგონას რევაზ ინანიშვილის ნოველაში „სამგორი“ (რევაზ ინანიშვილი, პატარა ბიჭი გოლგოთაზე).

„— რადგან ყველაფერს განწირულობის შუქი ადგას, არა?!“ — ტრაგიკული და დიდებულია თავადის ასულის პასუხი.

„დევნილ-ლათუ ვართ, არამედ არა დატევებულ ვართ“ (გავიმეორებ ზემოთქმულს) — „განწირულობის ტონალობას“, „განწირულობის შუქს“ იმედის ვარვარა სინათლე ჩაენაცვლება. „სასოებამან არა არცხვინის“...

„...მხურვალეა ქვიშაზე კენესის. უნდა რომ სული არ მისილოს“...

სული არ უნდა მიისილოს, აკი

„შენთვის გაეკრა ჯვარზე იესო, სულო, ჭაობზე უნოტიესო... სულო, იმ ცეცხლზე უმხურვალესო... სულო, ლაჟვარდზე უსპეტაკესო“ (გალაკტიონი, ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა).

რა ზუსტია ცვეტაევისელი: „Как пламенно в пазури“... სული ოქსიმორონია — მენამულის და ლაჟვარდის იდუმალი ჯუფთობის დამმარხველი.


ბიბლიური დარდი და ბიბლიური შუქია ნატა ვარადას ულამაზეს პოეზიაში, ჩუმად რომ უნდა იკითხო და ღმერთთან — სიტყვასთან განმარტოვდე, სიტყვას გაუყურდე.

...ფსევდონიმი მეგონა ვარადა.

„ლიტერატურული პალიტრის“ პუბლიკაციის მინარტავში დაკონკრეტებულია: „თითქმის აღარც მახსოვს, რომ ვარადაშვილი ვარ (ალბათ, არც ფიროსმანს ახსოვდა, რომ ფიროსმანაშვილი იყო — ნ. კ). ასე იცის ლიტერატურულმა თამაშმა“ (4, 2009).

„ლიტერატურული თამაში“ როდია „თამაში რიოში მარგალიტებით.“

ნატა ვარადას სხვა მარგალიტი სწყლობებია — „ვაჭარნი სასუფეველისანი“ რომ მოინატრებენ. გვარადაც — მადლი „ფრუანტელის მომგვრელი ვაჰრადასი“ (კონსტანტინე გამსახურდია, მთვარის მოტაცება)...



ნინო ვახანია

სიზარმახე უსაქმურობისა

□

სიზარმახის აპოლოგეტი ქუთაისში

მწერლისა და მკითხველის შეხვედრა უჩვეულო რატომ უნდა იყოს საქართველოში, მითუმეტეს – „არტიტულ ქუთაისში“, ქართულ ქალაქში, სადაც ნაკითხი, განათლებული, ნიგნის, მწერლობის მოყვარული საზოგადოება ცხოვრობს. თუმცა იმდღევანდელ შეხვედრას მაინც დაჰკარავდა უჩვეულობის ელფერი. **როსტომ ჩხეიძის** ნიგნმა „ქება სიზარმახისა“ ექიმების განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა. 29 იანვარს **ქუთაისის საოჯახო მედიცინის ცენტრში** სიზარმახის საქებრად, უსაქმურობის სადიდებლად, უქნარობისთვის ხოტბის შესასხმელად შევიყარეთ მოცლილი ხალხი: მწერალი როსტომ ჩხეიძე, პროფესორი სალომე კაპანაძე, თქვენი მონა მორჩილი და საოჯახო ცენტრის ექიმთა კოლექტივი.

შეხვედრა გახსნა, დამსწრეთ სტუმრები წარუდგინა და ნიგნის შესახებ ისაუბრა ცენტრის დირექტორმა **მერაბ კვიციანიძემ**.

სალამოს წარმართვაში მას ეხმარებოდა (თუ ეცილებოდა) მწერალი ელგუჯა თავბერიძე. მცირე შესავლის შემდეგ მასპინძლებმა სიტყვა როსტომ ჩხეიძეს გადასცეს.

მწერალიც გატაცებით საუბრობს: თანამედროვე მსოფლიო ძალიან „დაპატარავდა“, მაგრამ რაც უნდა დაუახლოვდეს აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთმანეთს, რაც უნდა დაემსგავსოს და ბევრი საერთოც ნახოს, ერთი განსხვავება მათ შორის აშკარაა და მუდამ შესამჩნევი იქნება – დამოკიდებულება დროსთან. ევროპელი ჩამოკიდებულია საათზე, მის ნიკნიკზე, გათვლილი აქვს ყოველი წუთი და ვერ ეგუება, რომ დრო დაკარგოს. აღმოსავლელი უფრო თავისუფლად ექცევა დროს. თავს უფლებას აძლევს უქმად, ჩიბუხის წევაში ან უამისოდაც, უსაქმოდ იყოს ხანგრძლივად და მხოლოდ ფიქრებსა და მედიტაციას მიეცეს.



მერაბ კვიციანიძე და მერაბ ბარათაშვილი

უილიამ ფოლკნერის რომანის გმირი ქვენტინ კომბსონი ნანილ-ნანილ დაფლეთილ დროს იმით უსწორდება, რომ საათს ამტვრევს, გაშმაგებით შლის და ანაკუწებს, მაგრამ ამაოდ. ნიკნიკის ხმა ისევ მოისმის, დრო ისევ გადის და თავისას მოითხოვს. დროის ტრაგიკულ განცდას მარკ ტვენი ხუმრობას შეაგებებდა, თუმცა რა, დროის უღმობელოება ამით ოდნავადაც არ შერბილებულა.

ლილიბუტებთან მოხვედრილი გულივერი წარამარა დასცქერის საათს. ისინი, ადგილობრივები, ვერ ხვდებიან, ეს რა ნივთია, მაგრამ უტყუარი დასკვნა გამოაქვთ, როგორც ჩანს, ეს რაღაც ამ უცხო კაცის ღმერთია, ისე ხშირად და სასოებით დაჰყურებსო.

ნიგნის გარეკანზე სალვადორ დალის ცნობილი ნახატია. საათები, რომლებიც სხვადასხვა დროს უჩვენებენ — ესეც დანანილებული და გაღმერთებული დროის წინააღმდეგ ამბოხება და პროტესტი.

ნაცარქექია — უსაქმური კაცის, ნაცარქექიობა — სიზარმახისა და უქნარობის აღმნიშვნელი სიტყვებია ჩვენში და, სამართლიანად, გასაკიცხიც. მაგრამ სამართლიანად? აი, რაში შეეპარა ეჭვი ბატონ როსტომს. სხვათა ნააზრევიც მოშველია, საკუთარი ორიგინალური დაკვირვებებიც შემოგვთავაზა და ნაცარქექია უშიშარი, გაბედული, მარჯვე და მიზნის მიმღწევი კაცის სიმბოლოდ დასახა, თან ისე ხატოვნად და დამაჯერებლად, რომ ნაცარქექიობა გვანატრა.

როგორც თვითონ აღნიშნა, ეს ნიგნი დეკონსტრუქციისაკენ სწრაფვამ ან სხვა რამ თეორიამ კი არ დაანერინა, არამედ — დროის საზარელ ტყვეობაში პირადად ყოფნამ და ამით გამონვეულმა საკუთარმა განცდებმა.

არადა, ერთი დღე დასვენებისა ხომ ღმერთსაც ჰქონდა. ღვთიურ სანყისთან დაბრუნებისა და ბუნებასთან სრულად შერწყმისთვის მოცალეობა აუცილებელია. იყავით მოცლილნი, ნუ გაესრესინებით საათს, – მოგვიწოდებს ორატორი და გულწრფელად ნატრობს — ნეტა სადმე ბექობზე წამომანვინა და მდინარის დინებისთვის მაყურებინა. ნეტა უსაქმურობისა და სიზარმახისთვის დრო გამომანახინაო.

ექიმი **მაკა გაბადაძე** დაინტერესდა, საზოგადოებაში რამდენი პროცენტი უნდა, ან შეიძლება იყოს ზარმაცი, ყველა ზარმაცი და უსაქმური ხომ ვერ იქნებაო.

ექიმმა **რუსუდან ლორთქიფანიძემ** იკითხა, ქართველები ზარმაცი ერი ვართ თუ არაო.

გურამ ქურციკიძემ კი გულისტკივილი გამოთქვა იმის გამო, რომ ეს ნიგნი ჯერ კიდევ არ არის ნათარგმნი

უცხოურ ენებზე. ასე ხომ შესაძლებელია პირველობა სიზარმაცის ქებაში სხვამ მიიწეროსო.

ბატონი როსტომი ყველას უპასუხებს — დინჯად, აუღელვებლად, მაგრამ ემოციურად და მიმზიდველად. სულ ახალ-ახალი ლიტერატურული და ცხოვრებისეული მაგალითებით ადასტურებს სიზარმაცის აუცილებლობას. ანეგდოტებითაც გვახალისებს და სკეპტიკოსებსაც მიიმხრობს და თანამოზიარედ გაიხდის.

ისიც ახსენა, თუ როგორ იჩემებენ ფრანგები პრიორიტეტს მოცალეობის, უსაქმურობის საქებრად გამოქვეყნებული წიგნით, რომელიც მისი მონოგრაფიის გამოსვლის შემდეგ გამოიცა, მაგრამ რა გინდა ჯერჯერობით ილონო, როდესაც პარიზის გავლენა ასე აღემატება თბილისისას.

განსაკუთრებული ინტერესი, აზრთა სხვადასხვაობა, გაცემა, კამათის სურვილი გამოიწვია როსტომ ჩხეიძის მიერ ლუარსაბ თათქარიძის მხატვრული სახის თავისებურმა გააზრებამ. გავიხსენეთ, თავის დროზე ლუარსაბის შესახებ გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილსაც რომ დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. იმ შეხვედრაზეც გაიყო აზრი, მაგრამ ლუარსაბის სიმპათიურობა და მიმზიდველობა, მსგავსება თუ იგივეობა ილიასთან და ყველა ქართველთან – ვერავინ უარყო.

პოეტმა და მეცნიერმა **ოძარ გვეტაძემ** როსტომ ჩხეიძეში პოეტი აღმოაჩინა. ბექობზე ნამონოლისა და მდინარის ჩხრიალისთვის ყურის გდების ნატვრა შესანიშნავი პოეტური ხატიაო, – აღნიშნა მან. და თუმცა ავტორი თავგამოდებით ამტკიცებდა, არავითარი წარმოსახვა, მხოლოდ რეალური ნატვრაა და სხვა არაფერიო, მსმენელისთვის ცხადი ხდება, რომ მას მართლაც პოეტი, თავმდაბალი და სულით მაღალი ადამიანი ესაუბრება.

მერაბ ბარათაშვილი, როგორც აღმოჩნდა, თვითონაც დროის ტყვეობაშია მრავალი ჩვენთაგანივით, მაგრამ სიზარმაცის ქებით აღფრთოვანდა. იქვე ზეპირი ნოველაც შეთხზა სიზარმაცის შესახებ, რითაც ჩვენი წილი მონონება და აღფრთოვანება დაიმსახურა. რჩევაც გაუზიარეთ: ეგზე კიდევ დაგეწერა, ნახავ, მშვენიერი იუმორისტული ნოველა გამოვივაო.

თემურ ამყოლაძემ საინტერესოდ ისაუბრა წიგნის შესახებ, თავის მხრივ ქება შეასხა სიზარმაცეს. და უსაქმურობის ხიბლის დასადასტურებლად რამდენიმე სახალისო ამბავიც გაიხსენა.

ჟურნალისტმა **ელისო ქაროსანიძემ** მადლობა გადაგვიხადა სტუმრობისთვის, საინტერესო საუბრისთვის. მისთვის როსტომ ჩხეიძესთან შეხვედრა პირველი არ არის. პირადადაც და უფრო ხშირად კი წიგნებით მანამდეც არაერთგზის მოუსმენია მწერლისთვის. იმ დღეს კი საპატიო სტუმრის ხასიათის ერთმა ნიშანმა მიიქცია მისი ყურადღება — როსტომ ჩხეიძე ილიმება. ალალი, უშუალო, გულწრფელი ღიმილი ახასიათებს მას. ეს ღიმილი კი არ ფარავს, არამედ ხელს უწყობს გულში ნადების და ნაფიქრის გამოხატვას, გამოთქმას, გამომზეურებას...

სალომე კაპანაძემ მადლობა გადაუხადა მასპინძლებს წიგნის, სიტყვის, საქართველოს სიყვარულისთვის. ქუთაისი, ნამდვილი ქართული ქალაქი — ქართული ლექსის, ქართველი მწერლის, ქართული მზის მოტრფიალე

ყოფილა მუდამ. მაგრამ მაინც სასიამოვნოდ გაცელებულია, რომ ამ პრაგმატულ ეპოქაში ექიმები ასე დაინტერესებულნი არიან ლიტერატურით, იცლიან წიგნისთვის — არა მარტო პროფესიული თვალსაზრისით, უამრავი ლექსი იციან ზეპირად და აქვთ შესაშური ლიტერატურული გემოვნება.

შეხვედრაზე ისიც ითქვა, რომ კარგად შერჩეული თემა ჭეშმარიტი მწერლის ხელში მოხვდა. თემამ, ასე ვთქვათ, თვითონ მონახა ავტორი. ამიტომ ფორმაც სათქმელის გამოხატვისა მოხდენილია და მიმზიდველი. ადამიანის ამქვეყნიური არსებობის მიზანი და დანიშნულება სრულყოფილად ჯერ ვერავის შეუცვნიდა და განუმარტავს. თუმცა სწრაფვა პირველყოფილი სინმინდისკენ, ღმერთთან მიახლოებისკენ, კოსმოსთან შერწყმისკენ კაცობრიობის ერთ-ერთი უმაღლესი ოცნებაა. ამის მისაღწევად კი გზა... სიზარმაცეზე, უქნარობასა და მოცალეობაზე გადის. ამ სიბრძნეს ბატონმა როსტომმა გვაზიარა...

„იცის ბიჭმა!“ — ამ შედახილით მთავრდება გალაკტიონ ტაბიძის ერთი ნოველა. დიდი მწერლის მიერ გადმოცემული უბრალო, ჩვეულებრივი ამბავი ნოველად უქცევია ასეთ დასასრულს. ამ გარემოებას როსტომ ჩხეიძემ მიაქცია ყურადღება და ახალი ნოველის აღმოჩენით გახარებული ნამდვილი მკითხველი თავისებურად გამოხატავს თავის გრძნობებს.

ეს შესიტყვება — „იცის ბიჭმა“ — მისალმებად უქცევიათ მერაბ კვიციანიძესა და ელგუჯა თავბერიძეს. გალაკტიონის სიტყვებით ხვდებიან ერთმანეთს და განდობილის იღუმალი ღიმილი აღბეჭდვით სახეზე.

საოჯახო მედიცინის ცენტრში კი ბატონი როსტომი კვლავ გვაოცებდა და გვზიზავდა თავისი ბრწყინვალე პარადოქსებით. ყველაზე დიდ უსაქმურებად დასახელდნენ ძველი ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე და კაკლის ჩრდილქვეშ უდარდელად ნამონოლილი კახელი გლეხი ჩვენებური ანეგდოტიდან. ამ უზარმაზარ ამპლიტუდაში მოიაზრება ყველა პოეტი და ფილოსოფოსი, ერთი სიტყვით — ნამდვილი უქნარები.

ჩვენი შეხვედრა „ცისფერყანწლებში“ გაგრძელდა. როგორც მოსალოდნელი იყო, აქაც სანაქებო მასპინძლობა გაგვიწიეს ქუთაისელებმა. მერაბ კვიციანიძემ აქაც მოგვხიბლა ლექსით, მახვილგონიერებით, სიტყვის დაგემოვნებით... კიდევ ერთი შტრიხი მასპინძლის პორტრეტისათვის — მერაბ კვიციანიძის ბოლო პოეტურ კრებულს ჰქვია „აქედან ზღვამდე შორია“. პირველივე ლექსი ამ კრებულისა ისევ ამ დიდ ტკივილს ეძღვნება... და ნიშანდობლივია, რომ ამ ლექსს კითხულობს მსახიობი დიმა ჯაიანი სოხუმელთა სპექტაკლის – „ზღვა, რომელიც შორია“ – ფინალში. თვითონაც ტირის და მაყურებელსაც აქვითინებს.

ახლა კი, თუ არ მიწყენთ, ერთ რჩევას გავიბედავთ — „თუ დრო შეგხვდეთ ფიქრისა,“ თუ უსაქმურობისა და მოგზაურობისთვისაც მოიცალეთ, თქვენს მარშრუტში არტისტული ქუთაისი არ გამოტოვოთ, ხოლო ქუთაისში ყოფნისას არამც და არამც გულგრილად არ ჩაუაროთ საოჯახო მედიცინის ცენტრს. იცოდეთ, გახსოვდეთ: იქ დაგხვდებათ თქვენი ფიქრის, სიტყვის, საქმის თუ უსაქმობის სწორად გამგები და სათანადოდ შემფასებელ-დამფასებელი საზოგადოება.

დავიბადე 1987 წლის 20 ნოემბერს, ქალაქ წყალტუბოში. ოჯახთან ერთად 9 წლიდან ქალაქ აბაშაში ვცხოვრობდი. 2005 წელს ჩავაბარე ეროვნული გამოცდები და მოვიპოვე 100 პროცენტის დანიშნულება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კულტურის მეცნიერებების სპეციალობაზე და საცხოვრებლად თბილისში გადმოვედი. 2009 წელს დავამთავრე თსუ-ს ბაკალავრიატი და ჩავაბარე ასევე უფასოზე მაგისტრატურაში ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ახლა ვარ! კურსზე...

უამრავი ჰობი მაქვს: ვხატავ და აღებული მაქვს პატენტი, როგორც ხატვის განსხვავებული ხერხის ავტორს... ვმუშაობ ხეზე, ტიხარზე, თექაზე... ვუკრავ სხვადასხვა დასაკრავ ინსტრუმენტზე... ვმღერი... მიყვარს ლაშქრობაში სიარული... ვიღებ ფოტოებს. ქარვასლაში გაიმართა ჩემი და კიდევ რამდენიმე სტუდენტის ფოტოგამოფენა. უნინ ჭადრაკსაც ვთამაშობდი და ტურნირებიც მაქვს მოგებული... მოკლედ, ბევრი ჰობი მაქვს... ასევე ვწერ და საკმაოდ დამიგროვდა მოთხრობები, ლექსები. კარგი იქნება, თუ მათ გამოვაქვეყნებ, სახლში დასადებლად მეცოდება...

ქრისტინე ბებია

ორი ნოველა

სიყვარულის მაღაზია

სიყვარულის მაღაზია გაიხსნა. ყველანაირი სიყვარული იყიდებოდა: მეგობრის, მამის, ძმის, მასწავლებლების, ღამის, ბიჭის, გოგოს, ცოლის, საყვარლის, სამშობლოს, სეირნობის, ნერვებზე თამამის, ფუფუნების, წიგნების, ჯაზის, ზღვის, ცეკვის, წვიმის, ლედვის, სოფლის, ძილის, ჭორაობის, ჭამის, ქარგვის, ექსტრემის, მაღალქუსლიანების... სულ და გულო, რა სიყვარული გინდა, არ გეპოვა ამ მაღაზიაში!

მიანყდა ხალხი. ზოგი მეზობლის სიყვარულს ყიდულობდა, ზოგი — ვარჯიშის, ზოგიერთიც — ზამთრის. ზოგ ისედაც ჰქონდა ესა თუ ის სიყვარული და ახლა სხვა სიყვარულს ყიდულობდა. იმატებდნენ. რაც მეტი სიყვარული გაქვს, მით უკეთესი. მე კი არანაირი სიყვარული არ გამაჩნდა. სწორედ ჩემთვის იყო ის მაღაზია, თუ იყო გახსნილი, მაგრამ ძალიან ღარიბი ვიყავი, კაპიკიც არ მქონდა. ეგ, ფულის სიყვარული რომ არ მქონდა, იმიტომ.

ვიფიქრე, ნავალ, ეგებ არც ისე ძვირია სიყვარულები. ფული ვისესხებ, ცოტას კი მასესხებ-მეთქი. გზას გავუდექი. იმდენი ხალხი ირეოდა ქუჩაში! ამას დედინაცვლის სიყვარული მიჰქონდა, იმ ქალს — მეცადინეობის, შვილისთვის უნდა ეჩუქებინა, სავარაუდოდ, ამას კიდევ — სახლის დალაგების. ახალწვერაყრილ ყმანვილს ღვინისა და ლუდის სიყვარული უყვია.

მოკლედ, ძლივს გავიგენი გზა მაღაზიამდე.

დიდი რიგი იყო. ორი დღე-ღამე მომიწია რიგში დგომა მხოლოდ იმისთვის, რა ფასები იყო, — გამეგო. სიძვირფასე და ხარისხი განსაზღვრავდა ფასს. რამდენიც გინდოდა, იმდენ სიყვარულს აგინონიდნენ.

ყველაზე ნაკლები მოთხოვნით ღვთის სიყვარული სარგებლობდა. თითქმის საერთოდ არ გვეყიდებო, — გამყიდველის სიტყვებს მოვკარი ყური. «ყველაზე საჭირო სიყვარული არ სჭირდებათ!» — ჩემი აზრი იყო ასეთი.

ტყუილად ვიდექი მაღაზიაში, არაფრის მყიდველი მე არ ვიყავი. სხვებს ვუშლიდი ხელს. «გაინი რა, თუ არაფერს ყიდულობ!» — მრისხანედ შემომიბღღვირა ვიღაცამ. შენ, პირველყოვლისა, ხალხის სიყვარული იყიდე-მეთქი, — ვუთხარი და გამოვედი.

რამდენსაც მასესხებენ, იმდენს ვისესხებ და ცოტ-ცოტა ყველანაირ სიყვარულს ვიყიდი, — ვთქვი ჩემთვის გულში.

არავინ მასესხა. ახლა ძაან გვეჭირდება ფული, არ გენყინოსო. რა უნდა მექნა?! დავნაღვლიანდი.

ბოლოს გამიჭრა გონებამ. განცხადება გამოვაქვეყნე გაზეთში, — ვეძებ ადამიანს, ფულის გასესხების სიყვარული რომ აქვს-მეთქი. ან არავის ნაუკითხავს განცხადება, ან საერთოდ არ არსებობს ადამიანი, ფულის გასესხების სიყვარული რომ ჰქონდეს.

ერთი კვირა ვიფიქრე, რა გზას დავდგომოდი. ხალხი კი ყიდულობდა და ყიდულობდა სიყვარულებს.

მეორე კვირაც ფიქრში გავატარე. მაღაზიას კი არ ელეოდა მუშტარი. პირიქით.

კარგი მოგება ნახა სიყვარულის მაღაზიამ. კლიენტებიც რომ არ აკლდებოდა?!

აუცილებლად უნდა გაიხსნას ფილიალი, — ჭორი გავარდა. ფილიალი გაიხსნასო? თავში დამკრა შუქმა. ალბათ, გამყიდველებიც დასჭირდებათ-მეთქი. „ხელფასს რომ ავიღებ, მერე ვიყიდი რაღაც-რაღაც სიყვარულებს, თან ცოტ-ცოტა ყველა მომხმარებელს მოვუტეხავ, ძაან არ მიხვდნენ! ერთ-ორ გრამს რას შეატყობენ. ჩემთვის ეგ ორი გრამიც ბევრს ნიშნავს და მნიშვნელოვანია“, — გავიფიქრე იმედმოცემულმა.

მართლაც გამოცხადდა ვაკანსია.

თავი არ დამიზოგავს, თავი მომენონებინა, მაგრამ ვერ ავიყვანთო, მითხრეს. იმდენი ვეხვებო, დავუწოქე კიდევ, მაგრამ მაინც არა და არაო, შენ საქმის სიყვარული არ გაქვსო. ვიმუშავე და ხელფასით ვგრევე მაგ სიყვარულს ვიყიდი, პირობას გაძლევთ-მეთქი. როდის, ერთი თვის შემდეგო? მანამდე, ნახე, რამდენი საქმის სიყვარულის მქონე ადამიანი დგასო რიგში, მათგან საუკეთესოს არჩევაც კი გვიჭირსო. გამომაბუნძულეს.

მონყენილი უაზროდ დავხტილობდი ქუჩაში. ხალხის ბედნიერი სახეები კიდევ უფრო მაუბნებდებოდა. ჩემს ჯიბრზე რა გაცისკროვნებული ბრუნდებოდნენ ნავაჭრი



მალაზიიდან?! ზოგიც, შოპინგის სიყვარული რომ ჰქონდა, ახლა მიდიოდა სიყვარულის მალაზიაში უზომოდ გახარებული, წინ რომ დიდი სიამოვნება ელოდა.

ფილიალიც გაიხსნა. ფილიალებიც.

ორი-სამი თვე ისე გავიდა, ერთი გრამი სიყვარულიც კი არ მიყიდა. ეეჰ!..

ხუთ თვეში გული ისე დამისივდა, ლამის კაპილარები დახეთქა და ნეკნები დაბზარა. სასონარკვეთილებისგან გადაღლილს არც ფიქრის თავი მქონდა და ასე ბედს მიბარებული ვაგრძელებდი ცხოვრებას. ალბათ, მან თუ მიმიყვანა ერთი წლის შემდეგ სიყვარულის მალაზიაში.

— შეიძლება, უფროსს დაველაპარაკო?

— რა გნებავთ?

— კონფიდენციალური საქმეა. პირადად მასთან მსურს საუბარი.

— კი ბატონო!.. ახლავე დავბრუნდები.

გავიდა და ორ წუთში დაბრუნდა.

— გამომყევით.

კაბინეტში შემიძღვა.

— შემობრძანდით... დაბრძანდით... აბა, რა საქმეზე მოსულხართ? — მკითხა უფროსმა.

— ძალიან მინდა, რაღაც სიყვარული შევიძინო თქვენთან, თუნდაც სულ მცირედი, მაგრამ კატასტროფულად ღარიბი ვარ... ძალიან გთხოვთ, ჩემი სიყვარულიც გაყიდოთ თქვენს მალაზიაში.

გაოცებულმა შემომხედა. რაიმე რომ არ ეთქვა, ეგრევე გავაგრძელე:

— თუ გაიყიდა ჩემი სიყვარული, ხომ კარგი. ფულს რომ ავიღებ, იმით ვიყიდი მერე სიყვარულს. თან, ჩემს სიყვარულს რომ იყიდიან, მერე დამეხმარებიან კიდევ და მეშველება მეც.

— კი, მაგრამ...

— არავითარი „მაგრამ“, გემუდარებით. უმორჩილესად გთხოვთ, უარს ნუ მეტყვით... პროცენტებს თქვენც აიღებთ, რასაკვირველია.

დაფიქრდა.

შევთანხმდით. ფასი დაადო ჩემს სიყვარულს — იაფი. არც იმდენი ვღირდი, ალბათ, მაგრამ მასაც ხომ უნდა დარჩენოდა, არა, რაღაც?!

ასე გამოვჩნდი სიყვარულის მალაზიის ვიტრინაში, მაგრამ ზედაც არავინ მიყურებდა. ტყუილ-უბრალოდ ვუუუუუნებდი სევდიან, ძალით გამხიარებულ თვალებს მყიდველებს. ერთი-ორმა კი შეაჩერა ჩემზე დაფიქრებული მზერა, თითქოს ვერ გადაენწყვიტათ, ღირდა თუ არა ჩემი სიყვარულის ყიდვა. არა, ეს არაფერში გამოგვადგებაო, — დასკვნიდნენ ბოლოს. ფულის გაფლანგვააო ამ სიყვარულის ყიდვა, — ერთის სიტყვებმა ჩამიკლა გული. ერთსაც ბავშვი ეხვეწებოდა, დედი, დედი, ეს მიყიდი, რაო. სადა მაქვსო უაზროდ გადასაყრელი ფული. რაც გამოგადგება, იმას გიყიდიო. დედი, გთხოვ, რა, არ დამწყვიტოო გული. შენ ფულის ყადრი არ იცი და პირველ რიგში, ფულის სიყვარულს გიყიდიო.

— უკაცრავად, გოგონა, ფულის სიყვარული რა ღირს? გავიდა ხანი და ჩამოაფასეს ჩემი სიყვარული. რომც გავსაღებელიყავ, მაინც გროშები შემხვდებოდა. მაგ ფულით ძაან ცოტა სიყვარული თუ მომივიდოდა, მაგრამ

სულ არარაობას, ცოტა არა სჯობია?! სეილმაც არ მოიზიდა ჩემკენ ხალხი.

ამას წინათ ჩემს ფეხებთან ხურდა დაუფარდა ვილაცას და ვერ შენიშნა. არც მე მოვქცეულვარ ისე, წესიერი ადამიანი რომ მოიქცეოდა ასეთ ვითარებაში. ფრთხილად, სხვას რომ არ შეემჩნია, ისე ავიღე ხურდა. კი შემეშინდა, ეჭვი არ აელოთ, ხომ არ მოიპარაო და სხვა რამ ამდაგვარი, მაგრამ იმავე დღეს, მალაზია რომ იკეტებოდა, მაშინ გამყიდველს მაინც ვუთხარი, ამ ფულით რამდენიც მომივა, იმდენი ღვთის სიყვარული ამიწონეთ-მეთქი. მაგით არაფერი მოგივაო.

ახლაც სიყვარულის მალაზიის ვიტრინას „ვამშვენებ“. ან მიყიდიან, ან არა, მაგრამ მაინც იმედით უდგას კაცს პირში სული. ერთ დღესაც გამოივლის, ალბათ, ვილაც მადლიანი და იყიდის ჩემს სიყვარულს, ან რა ვიცი, ეგებ, კიდევ დაუფარდეს ვინმეს ხურდა და შევაგროვებ, სანამ რაღაც სიყვარული არ მომივა, მანამ თუ არ მომისროლეს სანაგვეში, ტყუილად იკავებს ადგილს, მაინც არავინ ყიდულობსო.

ერთი წაბი

იყო ერთი ზარმაცი. ეჯავრებოდა შრომა.

ღმერთო, — უთხრა ერთ დღესაც ღმერთს — ნუ მანამეგ, არ მინდაო შრომა.

პური ხომ გინდაო?

პური — კიო.

მაშინ ხელი გაანძრე. პური შენი ოფლით უნდა მოიპოვო. მე ადამიანი შრომისთვის გავაჩინეო.

ჩემზე დაუშვიო გამონაკლისი, ღმერთო.

ვერ დავუშვებო გამონაკლისს. ყველა ადამიანი ერთიაო ჩემთვის. ხელი თუ არ გაანძრე, კუჭი გაგიჩერდებაო.

— რამდენი წლის სიცოცხლე მაქვს?

— ასი წლის.

— არც ასი წლის სიცოცხლე მინდა და არც — შრომა. გარიგება დავდოთ: რამდენ თეთრსაც დაეხარჯავ, იმდენი წამის სიცოცხლე გამომაკელი.

აბა, რას ამბობ, ეს როგორ იქნებაო?!

არ მოეშვა ზარმაცი. კარგიო — დაეთანხმა ბოლოს ღმერთი. ამიერიდან შრომა და ხელის განძრევა არ დასჭირდებოდა, ისე მიიღებდა ღვთისაგან ყველაფერს, რასაც მოისურვებდა. სანაცვლოდ კი, ისევ ღმერთის ნაჩუქარ ნამებს გადაუხდოდა.

ეს ამბავი აღნიშვნის ღირსიაო და ვინ არ აქეიფა. როგორც იტყვიან, ჩიტის რძე არ აკლდა სუფრას. 100000 წამი დაუჯდა ეს სიამოვნება. მეორე დღეს ნაბახუსევი იყო. სიცოცხლის წამები გაცვალა მინერალურ წყალში, კიტრის მწნილში, ხაშში.

ჩემი რა მიდის, ფეხის ფეხზე გადადებულსაც მუქთად შემიძლიაო კუჭის გავსება და ავსო და ავსო. მისი რა მიდიოდა და — სიცოცხლის წამები. ამაზე ძვირფასი რაღა ნაუვიდოდა!

სტუმარი თუ ენვეოდა, მეფურად უმასპინძლებოდა. არაფერს აკლებდა, მაგიერ საკუთარ სიცოცხლეს აკლ-

დებდა წამებს. იქით მიდიოდა სტუმრად და, საჩუქრებით ინონებდა თავს. ყველასათვის სასურველი სტუმარი და მასპინძელი გახდა. მის მიერ დახარჯული წამები — მილიონზე მეტი.

კარგი ცხოვრება კარგი ბინისა და მანქანის გარეშე რა ბედენააო და ხუთი თვის სიცოცხლე შესწირა. ბინას მონყობა უნდაო და კიდევ სამი თვის სიცოცხლე მიაყოლა იმ ხუთ თვეს. აგარაკები, რა, არ უნდოდა?! უნდოდა!

წყება-წყებად დაუგროვდა „მეგობრები“. დახარჯული წამებიც. ყველაფერს იყიდი, სიცოცხლის გარდა. ეს სიცოცხლეს ყიდდა, ყველაფერს ყიდულობდა.

ტკბილი ტკბილია, მაგრამ ტკბილმა ცხოვრებამ სხვა ტკბილისგან განსხვავებით, გულის მომსუყება და მობეზრება არ იცის. პირიქით, უფრო და უფრო გინდება.

საყვარლები გაიჩინა. საჩუქრებში, კაფე-რესტორნებში, სამიკიტნობებში, სასტუმროებში ფლანგავდა სიცოცხლეს.

ისე როგორ მოვკვდე, საკუთარ ქვეყანას ვეღარ გავცდევო და საკუთარი სიცოცხლიდან აიღო წამები. მთელი მსოფლიო მოიარა.

ზარმაცი იყო, ბოროტი გულის კი არა. ბევრს გაუმართა ხელი. უარს არავის ეუბნებოდა დახმარებაზე.

ადამიანისთვის ერთი წამიც საუკუნეა და პირიქით, საუკუნეა ერთი წამი. დრო ისედაც მიდის, ჯიკაობა არ სჭირდება. ზარმაცი კი, შრომა ეზარებოდა, მაინც დიდი მონდომებით აწვებოდა დროს.

ყველას უკვირდა, საიდან მოაქვსო ამ უსაქმურს ეს სიმდიდრე, მაგრამ რას ჩიოდნენ?! გვარიანად ისარგებლეს და სარგებლობდნენ გაურკვეველი წარმომავლობის სიმდიდრით. პოლიცია—მილიციაც ჩაერია საქმეში, მაგრამ ვერაფერი საეჭვო ვერ აღმოუჩინეს და შეეშვნენ.

კარგა ბლომად დახარჯა სიცოცხლის წამები. გადახარჯვა მოუვიდა.

ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ — წამში ორჯერ ურტყამდა ზარმაცის დრო.

განცხრომას ეძლეოდა. ერთი დღე რომ მიდიოდა, ორს ეს აყოლებდა. ხელგაშლილად აპრანტალებდა წამებს.

არაფერზე ზრუნვა არ სჭირდებოდა და არაფერი აინტერესებდა, მაგრამ ერთ დღესაც დასჭირდა და დაინტერესდა: უდარდელად წამოკოტრიალებულიყო ზაფხულის ერთ, თავის ცხოვრებასავით უღრუბლო ღამეს აუზში მოტივტივე გასაბერ ლეიბზე. ვარსკვლავები უცინოდა. ესეც უცინოდა. წავიდა წამები. ამ შემთხვევაში, თავისით, ზარმაცი არ წაშველებია. ვარსკვლავები ისევ უცინოდა. ეს — არა. რა მოხდა? რა მოხდა და... ნეტავ, რამდენი ვარსკვლავიო ცაზე? იმდენი, შენ რომ წამები დახარჯეო — ხმა ჩაესმა. მე რომ წამები დაეხარჯეო?! არასოდეს გამოუთვლია, რაში რამდენს ხარჯავდა. ამაღ, ვერც ახლა გამოითვლიდა. დაახლოებით იანგარიშა. იანგარიშა, კი! სხვას დაანგარიშებინა. ამ მომსახურებისთვისაც გადაიხადა წამები. მაჩვენებელმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სულ მთლად გაუნიავებია სიცოცხლე. ცოტაც და, დარჩებოდა მშრალზე. შემოეყარა ზარმაცს გულს. ტკბილი ცხოვრებაა ძნელი დასათმობი, თორემ მწარე ცხოვრებას იქით თმობს კაცი.

შეეჩვია ზარმაცი საამურ და უდარდელ ცხოვრებას. როგორი იყო მასთან განმორება?! რა ეშველებოდა?! დაგროვებული ქონება არ გამოადგებოდა. გაყიდდა, მაგრამ წამებს ვინ გადაუხდოდა?! — მხოლოდ ფულს. ფული კი ამას არ გამოადგებოდა. ვაგლახად იყო საქმე. შეეშვა ზარმაცი წამების უგზო-უკვლოდ ფლანგვას. მინიმალურს ხარჯავდა, მაგრამ ხომ იცით ფულის თუ დროის (რა მნიშვნელობა აქვს, ორივე ერთი ბედოვლათია) ამბავი: ცოტას ცოტა ემატება და ბევრი ხდება. ისე შემოგეცლება, შენი მოწონებული. ბოლოს ნანობ, ეს რა დამემართა, რა უაზროდ დაეხარჯეო.

ხელმომჭირნე გახდა. რაც გულუხვობა გამოიჩინა, ერთად გააქუნდა. ელემენტარულიისთვის არ ემეტებოდა წამები. ებლაუჭებოდა ზარმაცი წამებს, მაგრამ დრო?! დრო ისევ ძველებურად მიერეკებოდა. წამს წამი ედებოდა და გროვდებოდა. ცოტას ესეც ხომ უმატებდა. ზღვა კოვზით იცლებო და სიცოცხლე არა — წამებით?! სწორედ ამის ეშინოდა ზარმაცს. თითოეულ გადახდილ წამს მისტიროდა. მშრალ პურსა და წყალზე დაჯდა.



მხატვარი თამარ მინაშვილი

ახალგაზრდობო, ან კი თქვენი

გამოხდა ხანი და გახდა კაცი.
 წამებს ვერ გააგდებინებდი, ხელი უკანკალებდა. ახლა
 პურის ნატეხითაც კმაყოფილდებოდა. კრუხივით აჯდა
 წამებს, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ბოლო წამებილა შერჩა.
 მეგობრები არ შერჩა.

ერთი კვირა იშიმშილა. აენვა კუჭი. შავი პური იყიდა. ხურ-
 და მორჩა და მორჩა! ანი ვერ გამოაკლებდა სიცოცხლეს წა-
 მებს. ამჯერად ათი დღე არ გაეკარა საჭმელს. მეთერთმეტე
 დღეს კუჭი აუღრიალდა და თავადაც აღრიალდა. შიოდა! ძა-
 ლიან შიოდა. კვდებოდა! შიმშილისაგან კვდებოდა! საჭმელი
 უნდა ვიყიდოო. მეტის გაძლება ვერ შეეძლო, მაგრამ უკვე
 გვიანი იყო. დაიგვიანა. არაპუნქტუალურია ზარმაცი კაცი.

მხოლოდ 60 წამი და ბოლო მოეღებოდა მის ტანჯვა-
 წამებას.

50 წამი — კვდებოდა. შიმშილით კვდებოდა.
 40 წამი — სულს ლაფავდა.
 30 წამი — გული წამში იმდენჯერ უცემდა, რამდენი
 წამიც გასცა.
 20 წამი და... ბოლო წამების ათვლა დაიწყო:
 10
 9
 8
 7
 6
 5
 4
 3
 2 და მოკვდა.
 მოკვდა... ერთი წამი დარჩა დაუხარჯავი.

პოეზიის მერიდიანები



ალექსანდრ პუშკინი

* * *
 ასე მეგონა, თავისუფლება
 და უდრტვინველი სულის სიმშვიდე
 ბედნიერებას ჩამინაცვლებდა.
 ო, ღმერთო ჩემო, როგორ მოვტყუვდი,
 რა საზღაური მერგო სასჯელად...

* * *
 შემოფარგლულა სავალი ჩემი,
 თუმც, სიცოცხლე რომ გამიხანგრძლივდეს,
 აღვსილი უნდა ვიყო იმ რწმენით
 დილით, რომ დღისით გნახავთ საითმე.

* * *
 ყველა, ჩემსავით, ვერ გაგიგებთ...
 ისნავლეთ თავის მართვა და ფლობა:
 უბედურების მომტანია მიამიტობა.
(„ვევენი ონეგინი“)

* * *
 ო, სიყვარულის შადრევანო, სიცოცხლის დარო!
 აი, საჩუქრად მოგიტანე ეს ორი ვარდი.
 მიყვარს ეგ შენი უწყვეტი თხრობა
 და პოეტური ცრემლების დარდი.

* * *
 ვინ შეგედაროს შენ მშვენებით, ქართველო ქალო?!
 ნათელი შუბლი, პროშანისფერი,
 თავზე ორმაგი, ხშირი ნაწნავი,
 ანდამატური თვალების ეშხი –
 დღისა და ღამის შერწყმა-ნაზავი.
(„ბახჩისარაის შადრევანი“)

ამონარიდები პოეზიიდან

* * *
 ძველი მოსკოვის უმცროსი დის მშვენიერებამ,
 ძლევამოსილმა, ხელმწიფურმა ნევის დინებამ,
 გადაზნექილმა მის ტალღებზე მძლავრმა ხიდებმა,
 ჯებირ-დამბებმა, გრანიტებით ნაგებ-ნაშენმა, –
 იმ ბალნარებმა, მუქი მწვანით მოჩითულებმა,
 და ბალნარებში ჩაძირულმა იმ კუნძულებმა
 ნაართვეს ბებერ დედაქალაქს ძველი დიდება,
 ისე, ვით მეფურ სამოსელით მორთული ქვრივი
 ახალ დედოფლის ბრწყინვალეობით დაიჩრდილება.
(„ბრინჯაოს მხედარი“)

* * *
 ნისლით დაბურულ სუსხიან ბინდში
 ნელი-ნელ ჩნდება ცისკრის ფერები;
 ყანობირები გარინდებულან,
 აღარ მოესმით მუშაკთა ხმები;
 თავის დამშეულ ძუ მგელთან ერთად
 გზაზე გამოდის მამალი მგელი.

ჰოზიის მარილიანები

* * *

უკრაინული ღამეა წყნარი,
გამჭვირვალეა ტატნობი ზეცის.
კრთიან ვარსკვლავნი, გამოლვიძების
სურვილი არ აქვს მთვლემარე ზეფირს.

(„პოლტავა“)

* * *

როცა ეშვება ვარდისფერ ფრთებით
დღე მიწის ლურჯი ცისპირის მიღმა,
წამოიშლება ოდეს ნისლეები
და სივრცეები დაიჩრდილება,
მაშინ მაფიქრებს მარადიულის

და სიყვარულის იდუმალება
და უცხო ვინმე ჩამიჩურჩულებს,
ალარ მოვავო ბედნიერება.

* * *

ახალგაზრდობა ჩიტზე ლალი და ფრთამალია,
ვის ძალუძს ქვეყნად, ჩაუხერგოს სიყვარულს გზები?
თუმც კი, თავის წილ, სიხარული ყველას კარზეა,
არ მობრუნდება წარსულ დღეთა ელვა და ფერი.

(„ბოშები“)

რუსულიდან თარგმნა
ლილა კაჭარავა

მინაწარი

ვალმოსდილი ქალბატონი და გენიალურის ნამცვრეპები

ლილა კაჭარავა – ეს სახელი და გვარი ძვირფასია ყველასთვის, ვისაც მისგან 53-ე სკოლაში პუშკინის ენა უსწავლია, ან ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში რუსული ლიტერატურის ისტორიის სალექციო კურსი მოუწმენია. ყოველი მათგანი გეტყვით, რომ მისი გაკვეთილებისა და ლექციების დაფინანსება შეუძლებელია. ამას არა მხოლოდ ამბობენ, წერილობითაც ადასტურებენ. მე თუ მკითხავთ, მოწაფეთაგან მისთვის მიწერილი ბარათები წიგნად უნდა შეიკრას და გამოქვეყნდეს, იმის ნიმუშად, თუ როგორ კვალს უნდა ტოვებდეს მასწავლებელი და ლექტორი. ცნებები შემთხვევით არ გამოიჩინა: ქალბატონი ლეილას აზრით, ეს ორი მკვეთრად განსხვავებული პროფესიაა. შეიძლება იყო კარგი ლექტორი, მაგრამ მასწავლებლის ტვირთს ვერ გაუმკლავდებოდა. მას ორივე არაჩვეულებრივად გამოსდიოდა. თუმცა, ამ აზრს თვითონ არასოდეს ეთანხმებოდა. გამორჩეულად თავმდაბალს, მხოლოდ ერთზე ჰქონდა პრეტენზია: სკოლაშიც და უნივერსიტეტშიც ბოლომდე იხარჯებოდა.



სხედან: მიხეილ გედევანიშვილი, ანა კალანდაძე, ლია ხატისკაცი და განან: ზაირა არსენიშვილი, ელენე რუსიშვილი, ლეილა კაჭარავა

ჩვენი „ალმა მატერის“ პირთაგან სავსე ყველაზე დიდი აუდიტორიები სულგანაბული უსმენდა მის ლექციებს, სადაც სიყვარული და ინტერესი ღვივდებოდა არა მხოლოდ რუსული, არამედ საერთოდ ლიტერატურის, მხატვრული აზროვნების, ზოგადად, აზროვნების მიმართ. წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა რუსული და ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშების პარალელური განხილვა-ანალიზი.

მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის ყოველივე უფრო გასაგები რომ გაეხადა, ამ ნიმუშებს თარგმნიდა კიდეც – რუ-

სულიდან ქართულად და პირიქითაც.

მთარგმნელობაზე პრეტენზია არასოდეს გასჩენია, რადგან თვლიდა, რომ მისი უპირველესი მოწოდება პედაგოგობა იყო.

მეც ეჭვი არ მეპარება, რომ მართლაც ამისთვის გააჩინა უფალმა, თუმცა, ისიც ღრმად მწამს, რომ პროფესიის ფანატიკურმა ერთგულებამ მასში მთარგმნელის იშვიათი პოტენცია დათრგუნა.

ამით მოიგო სკოლამ და უნივერსიტეტმა, მაგრამ წააგო ქართულმა

მთარგმნელობითმა სკოლამ.

ქალბატონი ლეილა ამას ოდნავადაც არ ნანობს, რადგან პირნათელია მოწაფეთა წინაშე.

პირნათლად ვალმოსდილები კი მსგავსი მსხვერპლმწიფის გამო არასოდეს ნანობენ.

სამიოდე წელია, რაც პედაგოგიურ სარბიელს ჩამოშორდა. იმდენი იშრომა, რომ დასვენების უფლება წამდვილად აქვს მოპოვებული. ცხოვრობს ვაჟას პროსპექტზე. სულიერად მდიდარს, ძალიან მაღალი ეჩვენება „ხრუმჩოკის“ დაბალი ჭერი, გულს უთბობს მესამე სართულის ფანჯრიდან ღამის სახლში შესული აკაცია, სუნთქავს პოეზიით და სათაყვანებელ ძმაზე (ოლიმპიურ ჩემპიონზე!) მზრუნველობით და დროდადრო თარგმნის – რუსულია არა გამოსაქვეყნებლად. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, რამდენიმე „ამონარიდი“ მაინც დავტყუე და მსურს, მკითხველთან მივიტანო.

დარწმუნებული ვარ, ამას იმსახურებს.

იოსებ ჭუმბურიძე

ირვინ შოუ

გოგონები საზაფხულო კაპეზში

თებერვალი იდგა, არადა, თაკარა მზე აცხუნებდა. ყველაფერი კვირა დღის შესაფერისად გამოიყურებოდა: ქუჩებში ნაირგვარ სამოსში გამოწყობილი ადამიანები დასეირნობდნენ, ავტობუსები გზებზე მოძრაობდა, დახურულსარკმლიანი შენობები კი გარემოს სიმშვიდეს ჰმატებდნენ.

მაიკლს ფრენსისის ხელი ჩაებლუჯა, — სახეზე ღიმილი ეფინათ და ვაშინგტონის პარკისკენ მშვიდად მიუყვებოდნენ. მშვენიერ განწყობაზე კი იმიტომ იყვნენ, რომ დილით კარგად გამოიძინეს, მაღიანად ისაუზმეს და, რაც მთავარია, კვირა დღე იყო. მაიკლმა ქურთუკი შეიხსნა, — ასე თავი უკეთ იგრძნო. საამოდ ქროდა ქარი.

— ფრთხილად, კისერი არ წაიმტვრიო! — თქვა ფრენსისმა, როცა მერვე ქუჩაზე გადაადიოდნენ.

ნათქვამზე ორივეს გაეცინა.

— ეგ ქალი არც ისეთი ლამაზია, კისრის მოტეხვად რომ ღირდეს, — შენიშნა ფრენსისმა.

მაიკლს კვლავ გაეცინა:

— როგორ მიხვდი, რომ მას ვუყურებდი?

ფრენსისმა თავი დახარა და მეუღლეს კეპის ქვემოდაც ეშმაკური ღიმილით ამოხედა:

— მაიკლ, ძვირფასო!

— ჰო, კარგი, მაპატიე!

ვაშინგტონის პარკისკენ ოდნავ აჩქარებული ნაბიჯით გაემართნენ.

— მოდი, მხოლოდ ერთმანეთს ვუყუროთ. ერთი დღე ქმართან მინდა გავატარო, — სანოლშიდა გხედავ ხოლმე. მარტო მე მესაუბრე და მისმინე.

— მერედა, ხელს რა გვიშლის?

— სტივენსონები! მათ უნდათ, რომ პირველი საათისთვის სოფელში გაგვიყოლონ.

— ცბიერი სტივენსონები! — შეიცხადა მაიკლმა, — უჩვენოდ რა, ვერ ნავლენ?

— ალბათ, რაიმეს აღნიშნავენ.

— კი, ასეა.

ფრენსისმა მაიკლს ყურზე აკოცა.

— ძვირფასო, თავი შეიკავე, ეს მეხუთე ავენიუა! — თქვა მაიკლმა.

— აი, რას ვაპირებთ დღეს. ნიუ-იორკში ახალგაზრდა წველისთვის კვირა დღე დავგეგმე.

— უფრო გასაგებად რომ თქვა?!

— ჯერ მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმი მოვიწინააღმდეგებთ, — ფრენსისმა ეს იმიტომ შესთავაზა, რომ მაიკლი მთელი კვირაა შეახსენებდა, იქ წასვლა მსურსო, — სამი წელია არ ვყოფილვარ და რამდენიმე ნახატის

ხელმეორედ ნახვაზე უარს არ ვიტყოდი. შემდეგ ავტობუსით „რედიუ სითიში“ ჩასვლაც შეგვიძლია. მერე „კავანაგში“ ჩავიაროთ და ბლექსიმების წინსაფარივით ვეება შაშხის ნაჭერი მივირთვათ ბოთლ ღვინოსთან ერთად. „ფილმარში“ ერთი ფრანგული ფილმი გადის, რომელზეც ყველა ლაპარაკობს... მაიკლ, მისმენ?



— რა თქმა უნდა, — თქვა მაიკლმა და სწრაფად მორიდა თვალი შავთმიან გოგონას, რომელსაც თმა ისე ჰქონდა შეჭრილი, გეგონებოდა, თავზე ჩაფხუტი ახურავსო. გოგონამ გვერდით ჩაუარა მაიკლს.

— აი, ესაა დღის პროგრამა, — დაასრულა ფრენსისმა, — ან იქნებ სჯობდეს, უბრალოდ მეხუთე ავენიუზე გვესეირნა?

— არა, ნავიდეთ!

— შენ ყოველთვის ქალებს უყურებ, ყველგან, სადაც კი წავალთ, — უსაყვედურა ფრენსისმა

— ძვირფასო, ღმერთმა თვალები იმისთვის მომცა, რომ მანდილოსნებს ვუყურო, მამაკაცებსაც. ვუცქირო მეტროსადგურებს, ფეხით მოსიარულეთ, პატარა ყვავილებს მინდვრად, დავტყებ სამყაროს მშვენიერებით.

— იქნებ საკუთარ სულშიც ჩაგეხედა ისევე გულდასმით, როგორც მეხუთე ავენიუს ათვალიერებ.

— მე ბედნიერი, დაოჯახებული კაცი ვარ. მოდი, დავლიოთ.

— ეგებ მხოლოდ გვევახშმა?

— არა! მისმინე, ძვირფასო, — მაიკლი სიფრთხილით არჩევდა სიტყვებს, — მშვენიერი დღეა, თავს შესანიშნავად ვგრძნობთ და ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ უნდა გავიფუჭოთ განწყობა. მოდი, ეს კვირა დღე მხიარულად გავატაროთ.

— კარგი, არც კი ვიცი, უარი რატომ გითხარია.

ხელჩაკიდებულებმა უსიტყვოდ ჩაუარეს საბავშვო ეტლებს, საკვირაოდ გამონყობილ მოხუც იტალიელ მამაკაცებს და ახალგაზრდა მანდილოსნებს ვაშინგტონის მრგვალ პარკთან.

— წელიწადში ერთხელ ყველა სტუმრობს მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმს, — თქვა ფრენსისმა ცოტა ხნის შემდეგ. მის სიტყვებში ისეთივე ტონი იგრძნობოდა, როგორც საუზმისას და სეირნობის დასასრულს და ეს ტონი რაღაცნაირად კვირა დღესაც მოუხდა, — უამრავი ადამიანი ათვალიერებს ნახატებს და ხედები, რომ ნიუ-იორკში, მიუხედავად ყველაფრისა, ხელოვნება არაა მივიწყებული.

— რაღაც მინდა გითხრა, — სერიოზულად თქვა მაიკლმა, — ხუთი წლის განმავლობაში შენს გარდა სხვა ქალს არ გავკარებდვარ, არასდროს.

— კარგი, კარგი.
— ჩემი ხომ გჯერა?
— კი, მჯერა.

მათ ჩაიარეს ხალხით სავსე სკამებს შორის, დაბალი-რიანი ხეების ქვეშ.

— უსარგებლოდ ვთვლი თავს, თუმცა ვცაადე ამისთვის ყურადღება არ მიმეცია, — თქვა ფრენსისმა, — მაგრამ როდესაც ლამაზ ქალს ხარბად შეათვალიერებ, ვგრძნობ, რომ პირველივე შემოხედვისას სწორედ იმ ქალად აღმიქვამ. გახსოვს, ელის მაქსველის სახლი? დგახარ მისაღებ ოთახში, რადიოს გვერდით, მწვანე ქუდით და ეს ხალხიც...

— ჰო, მახსოვს ეგ ქუდი.

— აი, ისევე იგივე მზერა, ეს საშინლად მოქმედებს ჩემზე.

— გაჩუმდი, ძვირფასო! გთხოვ, გაჩუმდი!

— ახლა მხოლოდ დაღევა მსურს! — თქვა ფრენსისმა.

ისინი უხმოდ მიდიოდნენ. მერვე ქუჩის გადაკვეთისას მანქანებს შორის მაიკლი ფრენსისს სავალს მექანიკურად უკვალავდა. ბარში სარკმელთან ახლოს დასხდნენ, საიდანაც მზის სხივები იღვრებოდა. იქვე ბუხარი იყო, მხიარულად მოგუზგუზე ცეცხლით. მათ ტანდაბალი იაპონელი ოფიციანტი მიუახლოვდათ, გულთბილად გაუღიმათ და მაგიდაზე მენიუ ჩამოდო.

— სადილის შემდეგ რას დაღევა? — ჰკითხა მაიკლმა.
— ბრენდის ვირჩევი.
— ორი კაუჩუკოიზერი, თუ შეიძლება, — მიმართა მაიკლმა ოფიციანტს.

მაღე დაბრუნდა ოფიციანტი ჭიქებით ხელში. ისინი სასმელს სვამდნენ და თან სარკმლიდან შემომავალ მზეს ეფიცხებოდნენ. მაიკლმა ჭიქა ნახევრად შესვა და ცოტა წყალი დააყოლა.

— დიახ, მანდილოსნებს ხარბად ვუყურებ, — თქვა მაიკლმა, — მართალი გითხრა, არ ვიცი, სწორად ვიქცევი თუ არა. როდესაც ქალს გვერდით ჩაფუვლი, თუ არ შევხედე, თითქოს დანაშაულს ჩავდივარ.

— უყურებ და მათთან გსურს ყოფნა, — თქვა ფრენსისმა. ხელში კი ბრენდის ჭიქას ათამაშებდა.

— სადღაც მართალი ხარ. კი, ალბათ, ასეა.
— ვიცი. სწორედ ამიტომ ვგრძნობ თავს საშინლად.
— თუ შეიძლება, კიდე თითო ბრენდი! — გასძახა მაიკლმა ოფიციანტს. შემდეგ ღრმად ამოისუნთქა, თვალები დახუჭა და სახე ხელისგულებზე ჩამოაყრდნო. დახუჭულ თვალებზეც კი ეტყობოდა, რომ წამნამებს ახამხამებდა,

— მე მსიამოვნებს ქალების ყურება. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ნიუ-იორკი მომწონს, ისაა, რომ აქ აურაცხელი ქალბატონია. როცა ოჰაიოდან ჩამოვედი, რაც უმაღლეს თვალში მომხვდა, მილიონობით მშვენიერი ქალი იყო და გული ყელში მომეზვინა.

— ეს ხომ ბავშვური ფიქრებია, მაიკლ?

— ასეა. ასაკი მომემატა, უკვე შუახნის მამაკაცი მეთქმის, მოვსუქდი კიდეც, მაგრამ კვლავ მიყვარს სეირნობა სამი საათისთვის მეხუთე ავენიუზე 50-ე და 57-ე ქუჩებს შორის. ისინი კი საყიდლებზე გამოშლილან, თავიანთი ბენეფიციტითა და უცნაური ქუდებით. ეს ყველაფერი ერთმანეთთან ჰარმონი-

ამია: საუკეთესო ბენეფიციტი, საუკეთესო სამოსი, მომხიბლავი ქალები, ხარჯავ ფულს და ხარ ბენეფიციტი.

ოფიციალტმა ბრენდიანი ჭიქები მაგიდაზე ჩამოდგა და სანდომიანი ლიმილით იკითხა:

— ყველაფერი რიგზეა?

— კი! — უპასუხა მაიკლმა.

— ნუთუ საქმე მხოლოდ ბენვის ქურქი და 45 დოლარიანი ქუდია?

— არა, საქმე

ქურქი და ქუდი როდია, ეს მხოლოდ წარმოდგენას გიქმნის ამა თუ იმ მანდილოსანზე, — თქვა მაიკლმა, — მგონი, არ გაინტერესებს, რაზეც გესაუბრები.

— რატომაც არა, განაგრძე.

— მე ოფისის გოგონებზე ვფიქრობ, — ემხიანები, ხალი-სიანები, სადაც ჩაცმულები, საქმის მცოდნენი, სათვალთ სახეზე. მიყვარს გოგონები 44-ე ქუჩაზე ვანშობისას. მომწონს ათასგვარ სამოსში გამოწყობილი მსახიობები. მაღაზიის გამყიდველი გოგონებიც მომწონს, რადგან პირველად შენ გაქცევენი ყურადღებას, — მამაკაცი ხარ და იმიტომ, — მანდილოსნებს კი უხალისოდ ემსახურებიან. ეს ყველაფერი ჩემში გროვდებოდა. ათი წელია ამაზე ვფიქრობ. ახლა შენ მკითხე ამის შესახებ და მეც გულახდილად გითხარი.

— განაგრძე!

— როცა ნიუ-იორკზე ვფიქრობ, მის ქუჩებში მოსიარულე აურაცხელი ქალბატონი წარმომიდგება თვალწინ. არ ვიცი, მართლმე მე მემართება ასე თუ ყველა მამაკაცი ამ ქალაქში ჩემსავით გრძნობს თავს — თითქოსდა დიდ პიკნიუზე? მე მომწონს ქალების გვერდით ჯდომა თეატრში და საქვეყნოდ ცნობილ ქალბატონთა ყურება, რომლებიც თავის მოწესრიგებას ექვს საათს ანდომებენ. მომწონს ახალგაზრდა, ლოყებანითლებული გოგონების ცქერა ფეხბურთის მატჩზე და თბილი დღეების დადგომისთანავე მაგიჟებენ გოგონები საზაფხულო კაბებით.



მხატვარი ნინო ხურცილავა

ფრენსისმა ჭიქაში ჩარჩენილი ბრენდიც მოსვა და თქვა:

- გიყვარვარ?
- მიყვარხარ!
- მეც ისეთივე მშვენიერი ვარ, როგორც ისინი?
- რა თქმა უნდა, მშვენიერი ხარ!

— შენთვის ყველაფერი საუკეთესო მინდა. ვცდილობ, ვიყო კარგი მეუღლე, დიასახლისი, ერთგული მეგობარი, სხვა რაღა ვილონო შენთვის?!

— ვიცი, — თქვა მაიკლმა და ფრენსისს ხელი ხელზე დაადო.

— იქნებ გინდა, რომ გათავისუფლდე...

— ნულარაფერს იტყვი!

— სიმართლე მითხარი! — ფრენსისმა მაიკლს ხელი გამოსტაცა.

— კარგი, — მაიკლმა ჭიქის პირს თითი ნაჰკრა, — ხანდახან, მართლაც მსურს ვიყო თავისუფალი.

— ხანდახან?

— გეყოფა, ნუ სულელობ! — მაიკლი სკამიდან ფრენსისისაკენ გადაიხარა. ქალი ჩუმად აქვითინდა, იმდენად ჩუმად, რომ ბარში ეს არავის შეუნიშნავს.

— გამოდის, ერთხელაც იქნება და მიმატოვებ! — თქვა ფრენსისმა.

მაიკლმა არაფერი უპასუხა. იჯდა და ბარმენს უყურებდა, რომელიც აუღელვებლად ფტქენიდა ლიმონს.

— კარგი რა, მითხარი, განა ასე არაა! — განაგრძობდა ფრენსისი.

— შეიძლება, საიდან უნდა ვიცოდე?! — თქვა მაიკლმა და სკამზე გასწორდა.

— მშვენივრად იცი, ხომ ასეა?!

— ასეა! — თქვა ცოტა ხნის შემდეგ მაიკლმა.

ფრენსისმა ტირილი შეწყვიტა, ცხვირსახოცი ცრემლს დაენამა. მაიკლს დამშვიდებული სახით შეხედა:

— შეგიძლია რაღაც შემისრულო?

— რა თქმა უნდა.

— ქალები აღარ ახსენო. მშვენიერი თვალები, ლამაზი მკერდი, ჩამოქნილი ტანი, საამო ხმა, — ფრენსისმა მაიკლს ლაპარაკში გამოაჯავრა, — შენთვის შეინახე ეგ ყველაფერი, მე სრულებით არ მაინტერესებს.

— კარგი, ჩემთვის შევინახავ, — მაიკლმა ხელით ოფიციატს უხმო.

ფრენსისი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

— კიდევ ერთი ბრენდი! — უთხრა ქალმა ოფიციატს.

— ორი, თუ შეიძლება! — დაამატა მაიკლმა.

— დიახ მე, დიახ სერ! — თქვა ოფიციატმა და გაბრუნდა.

ფრენსისმა მზრუნველი თვალებით შეხედა მაიკლს და უთხრა:

— გინდა, სტივენსონებთან დავრეკავ. კარგი იქნება, თუკი სოფელში წავყვებით.

— რა თქმა უნდა, დარეკე!

ფრენსისი მაგიდიდან წამოგდა და ტელეფონის ჯიხურისკენ წავიდა. მაიკლი მის ნაბიჯებს თვალს არ ამორებდა და ფიქრობდა: — „რა მომხიბვლელი ქალია, რა ვნებიანი ფეხები აქვს“.

**ინგლისურიდან თარგმნა
სოფიკო დაუშვილა**

ვაჟა ბეთანელი

თაობის ნიშანი

რატომღაც მგონია, რომ ლიტერატურული ცხოვრება არ არის ისეთი, როგორც უნდა იყოს. — კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მაინც როგორი უნდა იყოს? — მკითხავს ოპონენტი და მართალიც იქნება. უნდა იყოს მთლიანი, ერთიანი, კონსოლიდირებული — შესაძლებლობის ფარგლებში, რაღა თქმა უნდა.

მთლიანობა და კონსოლიდირებულობა ასე მესმის: თაობები უნდა ჩანდეს ერთად, ერთ სიბრტყეზე, ერთ კონტექსტში, ერთ სარბიელზე. ეს არის ბუნებრივი მდგომარეობა. თუნდაც იმიტომ, რომ საბოლოო დრო მაინც აერთიანებს, უხეშად რომ ვთქვათ, ანიველირებს, ათანაბრებს ერთი ეპოქისა და სხვადასხვა ასაკის მწერლებს, ერთ განზომილებაში, ერთ დრო — სივრცეში, მცირედი და საყოველთაოდ გასაგები გამონაკლისების გარდა ბუნებრივია.

თაობა მიდის, თაობა მოდის, მაგრამ ვინ იცის, ვინც მიდის, მართლა მიდის თუ არა, ან ვინც მოდის, მართლა მოდის თუ არა.

ამ ქვეყნად ყველაფერი ფარდობითია, განსაკუთრებით ასაკი და კიდევ უფრო განსაკუთრებით — ნიჭი. ასაკს აქვს ერთი ძალიან კარგი თვისება: რაც უფრო დააცდი, მით უფრო ღვიინდება, მით უფრო უახლოვდება ჭეშმარიტების ეპიცენტრს.

„ჩვენი მწერლობის“ 5 მარტის ნომერში, პოეტის ერთი ლექსის რუბრიკით, ზაალ ებანოიძის ლექსია დაბეჭდილი.

გაორებული განცდა გეუფლება უფროსი თაობის წარმომადგენელს რომ ხედავ ამდენი ახალგაზრდის გვერდით. რატომ არის იგი აქ? — შემთხვევით თუ აუცილებლობის კარნახით? შეღავათით თუ თავისი ღირსებით? ნებით თუ იძულებით?

ექვები დრომ მოიტანა, არაკონსოლიდირებულმა დრომ. განყვეტილი კავშირი თაობებს შორის, ახლები არ იცნობენ ძველებს, ძველები არ სცნობენ ახლებს. თუმცა ეს არ არის კონფორმაცია, ეს არ არის არალიარების პოლიტიკა, ეს არ არის საგანგაშო მოვლენა. უბრალოდ, სინამდვილეა. სხვა არაფერი.

კარგი რაკურსი აქვს შერჩეული ზაალ ებანოიძის პუბლიკაციას „პოეტის ერთი ლექსი“. მრავალმნიშვნელოვანი შტრიხია. რედაქტორის პოზიციას ამჟღავნებს. ერთი ლექსი როგორც სასწავლო ნიმუში, როგორც ექსპერიმენტი.

ზაალ ებანოიძე ის პოეტია კულტურულს რომ ეტყვიან, თავის თავს რომ ხედავს და თავისი თავი იცის. სამოცდაათიანელების ტიპური წარმომადგენელია, მაგრამ, ამავე დროს, საკუთარი ხმა აქვს, საკუთარი ხედვა. ზოგჯერ ისე ამბობს და ისეთ ნიუანსებს ამჩნევს, გაგაკვირვებს, გაგაოცებს დაგაფიქრებს. ფილოსოფიური წყობის პოეტია, მაგრამ ამას თითქოს მალავს, უფრო სწორად, სათქმელს პოეტური ხატებით ნიღბავს ისე ოსტატურად, რომ თავად ნიღაბი ქმნის ახალ სახეს, ახალ მხატვრულ სინამდვილეს და კაცმა რომ თქვას ეს სულაც არ არის თამაში, ეს არის გულიდან ამოღებული არსი პოეტური განცდისა. თუნდაც ეს ერთი ლექსი, ზაალ ებანოიძის შემოქმედებითი ნატურის ანარეკლი — „მუნჯი ბედნიერება“ აქ მთავარი მოტივი რა თქმა უნდა დუმია. დუმია, როგორც ფიქრი, როგორც მოლოდინი, როგორც სუბიექტური ყოფიერების ნანგრევები. რეალისტურიდან სიურრეალიზმისკენ გარდამავალი პოეტური ხატებისა და ფიქურებისათვის ყოველთვის ზომიერი კონტექსტი აქვს მოძებნილი — გამოცდილებისა და გემოვნების ნიშანი!

„დუმიალი გრიგალის სამოსია...“

„ფოთლების, ფოთლების ყრუანტელი ფეხდაფეხ დუმიალი გადადის“.

„და ფიქრი უფალთან მისატანი, იმოსავს მუნჯ ბედნიერებას“.

ეს არის მასალა, ავანგარდისტული „სმალტა“, რომლითაც ზაალ ებანოიძე აშენებს თავის აკადემიურ მოზაიკას და, აქედან გამომდინარე, თავის პოეტურ პორტრეტს, ანუ, როგორც ახლები იტყვიან, იმიჯს.

* * *

იყო დრო, როდესაც ზურაბ სამხარაძეს დიდი მოჭიდავის მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. თავიდან კიდევ ცდილობდა, განა არა, ტოლი არ დაედო მამისა და ძმისათვის და ლიხვისა და ფრონეს ხეობების გაღმა-გამოღმა უკვე მკვიდრდებოდა მისი სახელი, როგორც ერთი საუკეთესო ფალანგისა. უჭიდავია და საკმაო წარმატებითაც ყელქცეულის ახლო-მახლო სოფლების იმ ფალანგებთანაც, რომელთაგან ზოგი ოლიმპიური ჩემპიონი გახდებოდა და ზოგიც მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონი. პრიზიორებს ხომ რა ჩამოთვლის.

ბევრი ადამიანის ცხოვრება შებრუნებულა ისე, იმედგაცრუების ნოსტალგიად რომ გადაქცევია დაუმცხრალი იმედები, თვალსადახელშეა გამოცლიათ საიმედო დასანყისი და ისინიც ძალაუნებურად მიჰყოლიან ყოფითობის ნაცრისფერ ნაკადს.

მოგონებდა დარჩა ზურაბისეული „ბრუნი“, სამხარაძეთა განთქმული „ბრუნი“, თუ ვინმეს დაიჭერდნენ ამ ილეთზე, ბეჭდაუდებელს რომ არ გაუშვებდნენ.

არ ძუძგურაობდნენ სამხარაძეები, ქულების მოსაპოვებლად კი არ გადადიოდნენ წრეში, ქართული ჭიდაობის მშვენიერებისა და ლაზათის წარმოჩენა ენადათ, მისი გაუხუნარობისა და უკვდავების, მისი გამორჩეულობისა და რომანტიკული სულის... მთელი არსებით შთაინთქმოდნენ ორთაბრძოლაში და ალტაცებულნი გადაეხვეოდნენ მეტოქეს, თუკი იგი ღირსეულად დაჯაბნინდათ – რაც იშვიათზე იშვიათად ხდებოდა, მაგრამ ამ მხრივაც გაკვეთილს უტოვებდნენ ყველას – მარცხის ვაჟკაცურად გადატანის და არა გულში ჩადებისა და სამაგიეროს გადახდაზე ზრუნვის.

* * *

მურიაც წავიდა – მურად სამხარაძე, გაეცალა ამ წუთისოფელს შემოდარცული ოცნებებით.

მანამდე ჭიდაობა და მერე კი უზომო გატაცებით უყვარდა ჭადრაკი, დაფის დანახვისას ისე აუციმციმდებოდა თვალები, ყველაზე სანუკვარის ხილვა რომ იწვევს ადამიანში, და ისე გადაეშვებოდა 64 უჯრით შემოფარგლულ სივრცეში, თითქოს უკიდევანო სამყაროაო.

მართლაც უკიდევანოა, თუკი მისი დამატყვევებელი სილაზაზე შეგიგრძენია.

უკიდევანო – ანბანის ასოებით.

უკიდევანო – ციფრებით.

განსაკუთრებით გაბრიელ ბეროზაშვილს გადაჰკიდებოდა – ვითამაშოთ და ვითამაშოთო. ის კარგად თამაშობდა, გლეხკაცის კვალობაზე განსაცვიფრებლად კარგადაც და მურია, აბა, იმას რას გაუძლებდა. მაგრამ ისეც როგორ უნდა ყოფილიყო, ერთი ხელი მაინც ვერ მოეგო?! და იმ ერთი ხელის მოსაგებად მიადგებოდა ხოლმე კარზე.

ის გაბზრდებოდა და სამეურნეო საქმეებს მოიმიზეზებდა: ისედაც ვერ ავუდივარ და შენ კიდევ უფრო მომაცდენო. და მურია შესთავაზებდა: მე გაგიოთხნი, მე დაგიბარავ, მე

ზურაბს როდესაც გაახსენებენ გარდასულ სახელს, მწარე ღიმილი აეკიდება ხოლმე სახეზე, თქმით კი არაფერს ამბობს, დღე და ღამე გასწორებული აქვს – სამსახურს რომ მორჩება, ღამით ტაქსით გამოდის თბილისის ქუჩებში – ხან უმართლებს, ხან ვერა, მაგრამ მისი ყოფა უკვე ესაა და აღარ ეურჩება ბედის განაჩენს, ბედისა, რომელიც თვითონვე გამოჭედა.



აგერ ნაცნობი სახე – კახი კავსაძე აუწევს ხელს და მეგობრებთან ერთად ჩაჯდება მანქანაში.

– საით გნებავთ, ბატონო კახი?

ის გადაიბადრება და თანამგზავრებს მიუბრუნდება:

– ეს ისეთი კარგი ბიჭი ჩანს, უფულოდაც ნაგვიყვანს!..

ზურაბი ღიმილით გადახედავს:

– ცხადია, ასეც იქნება, ჩემი უსაყვარლესი მსახიობი

ბრძანდებით, უამრავ ფილმში მინახიხართ, მაგრამ, ბატონო კაცი, კინოში უფულოდ არასოდეს არავის შევუშვივარ, არც ჩვენი სოფლის კლუბში.

ის იცინებს და მანქანიდან ჩასვლისას ფულს მაინც დაუტოვებს, თუმცა ზურაბი შეეცდებოდა უკანვე შეეჩერებინა:

– იმ პასუხში მეტიც გეკუთვნის, მაგრამ ჩემს ყოფას რა ვუთხარი.

ზურაბი ამ სიტყვას მაინც დაანეგს: მეორედაც თუ შეეხვდებით, იცოდეთ, მაშინ ჩემი სტუმარი იქნებითო.

და მას შემდეგ გაფაციცებით აკვირდება აქეთ-იქით, ეგებ კიდევ გადავეყარო სადმეო.

მთა მთას ვერ შეხვდება, თორემ...

მოგირწყავ, მე შეგიწამლავ, მე გაგისხლავ, მე მოგიკრიფავ, ოღონდაც უარი არ მითხრაო.

ის თავიდან შორს დაიჭერდა, მაგრამ მერე იფიქრებდა: სახეიროც იქნება, რატომაც არა, ბოლოსდაბოლოს ნიძლავზე ვეთამაშებიო. უღმერთოდ ანადგურებდა, ცხადია, და ველარც მურიას გამოეყო თავი გაბრიელის ბალ-ვენახიდან.

ჩემი მხრივ ვავარჯიშებდი, დებიუტებს ვასწავლიდი, ზოგად ნესებში ვარკვევდი, დაფაზე უფრო მეტის დანახვის უნარს ვუვითარებდი და აშკარად მოუმატა თამაშს, მაგრამ ეს მაინც არა კმაროდა მრისხანე მეტოქის დასამარცხებლად.

ერთხელაც ისევ მე ვიპოვინდი გამოსავალს.

ყელქცეულის სასოფლო კლუბში მურია რომ გაბრიელს დაუჯდებოდა პირისპირ, გვერდით მე და თემო ჩიტაძე დავშლიდით დაფას.

ეს სამნი განდობილნი ვართ, გაბრიელი ბაიბურშიც არ არის ჩვენი ჩანაფიქრისა და დიმიედებული უზის მაგიდას. იქაურობა ხალხითაა გადავსებული და ჰაერი ისე იმუხტება, გუმანით ყველა გრძნობს, რომ რალაც უნდა მოხდეს.

მე მურიას გვერდით ვიკავებ ადგილს, თემო – გაბრიელისა.

ითამაშებს გაბრიელი სვლას, გაიმეორებს თემო, და მე საპა-სუხო სვლას რომ შევავებებ, მურიაც ამავეს თამაშობს. ისე გამოდის, რომ მე და გაბრიელს გვინევს შერკინება. ის სულ უფრო და უფრო ჩაფიქრდება, გოცებით ახედავს ხოლმე მურიას მისი ყოველი სვლის შემდეგ. აშკარა უზარესდება მდგომარეობა და წაგებულ პოზიციას ღებულობს.

აქ კი აჩქარდებოდა მისი მეტოქე, მე და თემოს აღარ მოგვხედავდა დაიმედებული, ამ პოზიციას ხომ მეც მოვიგებო, და კიდევ ერთბაშად შემოტრიალდებოდა ვითარება და მურიას მეფე საშამათო ქსელში აღმოჩნდებოდა.

დამამათებელი დარცხვენილი ამომყურებს.

გამარჯვებული ჭირის ოფლს ინურავს და გარშემო მყოფთ ამცნობს: მოგებით კი მოვიგე, მაგრამ ძალიან მოუმბატებია თამაშისათვის, კინალამ დამამარცხა, ბენჯზე ვეკიდეო.

ხელახლა დაანყობენ ფიგურებს.

მურიამ უკვე იცის, რომ თავისით სვლის გაკეთებას უნდა მოერიდოს და ჩემი სვლების განმეორება იკმაროს, თუნდაც გამარჯვებამდე თითქმის არაფერი აშორებდეს.

ჭადრაკს სჩვევია ასეთი მოულოდნელობანი, ეს „თითქმის“ საბედისწეროდ რომ გადაქცევიათ თვით გამოცდილ მებრძოლებსაც.

და, აი, გაბრიელის პირველი მარცხი.

გაოგნებული დასცქერის დაფას, მაგრამ შამათს ვერსად წაუვა. ხალხი ჩოჩქოლობს, მურიას ულოცავენ, ხმაური და გნისასი ყურისწამლები ხდება და გარედანაც შემომბატებია გლეხები.

ახალი პარტია დაიწყება თუ არა, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება.

და ანგარიში ორით ერთი ხდება მურიას სასარგებლოდ.

მერე – სამით ერთი.

და წონასწორობადაკარგული გაბრიელი კიდევ ერთხელ რომ დაალაგებს საწყის პოზიციას, მურიას ვანიშნებ, ახლა ჩემი დახმარება აღარ გჭირდება, შენ თვითონაც გაუსწორო-

* * *

მოსწრებული სიტყვა, ეფექტური რითმა ისეთი რამეა, შეიძლება თავიც გაგამეტბინოს.

ზეზვა მედულაშვილს ვილაც ეტყოდა: გეგონება რითმების რეზერვუარი გქონდეს, არა და არ გელევა მათი მარაგი, რითმავ და შენ თვითონაც ირითმები და, ეგებ მითხრა, როგორ ახერხებ ამ განწყობილების მუდმივად შენარჩუნებასო.

ზეზვას ერთი მარჯვე საბაბი კიდევ მიეცემა:

იმიტომაც ვირითმები, რო მაბია ვირი თმები.

და ამის შემდეგ განა შეიძლება ვინმეს საწყენად დარჩეს, ზეზვამ რითმის გულისათვის გამკენწლა, თორემ რა დამიშავებია მისთვისო?!. მითუმეტეს, ასეთი რამის თქმას სხვაზე ყოველთვის მოერიდება, და აიტანონ ბოლოსდაბოლოს მსუბუქი გადაკვრა – და ეს იმიტომაც, რომ მისი სტრიქონები იუმორით სუნთქავს. ...თუმც ვისთვის როგორ!..

დები-მეთქი.

როდესაც ფსიქოლოგიური დუელი მოგებულისა, საჭადრაკო გამარჯვებას წინ რაღა უდგას.

და მურიაც ალალ, დაუყვედრებელ ორთაბრძოლაში გაანადგურებდა მეტოქის თავდაცვას, შენირვებსაც აღარ მოერიდებოდა და ლამაზ საშამათო ქსელს მოქსოვდა შავი მეფის გარშემო.

ხალხი ხელში აყვანილს გამოიყვანდა გარეთ, თანაც შეაგულიანებდნენ: მაღარიჩი შენ-ზეაო.

მურიაც რა უკან დაიხევდა, ოღონდ შორიდან ეძახდა გაბრიელს: იცოდე, უშენოდ არაფერი არ იქნება და აუცილებლად უნდა წამოხვიდეო.

ის დარეტყანებული მიაბიჯებს.

ვილაც ცდილობს გუნება გამოუკეთოს:

– ალბათ შეგეცოდა და მოა-

გებინე.

მაგრამ ის:

– მოვავებინე კი არა, მთელი ძალ-ღონე ჩავხარჯე, ასეთი მონდომებით არასოდეს არავისთან მითამაშია, ხელი არ გამანძრევინა, ის მიკვირს, პირველი პარტია როგორ მოუფე.

დაიმარტოხელებდა, ჰკითხავდა: ასე როგორ გაძლიერდი, სად ისწავლე ამისთანა თამაშით?..

შენთან შერკინებამ გამომწვრთნა და ამიმაღლა თამაშის კლასიო, – მურიამ, თავმოწმონედ, – თანაც, ხომ იცი, ვაშლის გასაყიდად ბათუმში რომ დავდივარ, იქ მასწავლეს რაღაც-რაღაცებით.

...და ბათუმში გასამგზავრებელი „იკაროსი“ რომ ჩამოდგებოდა და ყელქცეული გლეხობა თავთავისი ხილით იქ მოკალათდებოდა, უეცრად გაბრიელიც გამოეცხადებოდათ: თქვენ რომ სულ იქ დადიხართ, მე რაღა დავაშავე, ვისზე რა ნაკლები ვაშლი მისხიაო.

...ნავიდა, მურიაც ნავიდა ზედ ახალწლის კარზე, თითქოს შიო არავისპირელის პერსონაჟი ყოფილიყოს, ნოველების იმ რკალისა, სადაც ახალ წელს – იმედოვნების, სასიკეთო მოლო-



მხატვარი კარლო ფაჩულია

კრიკეტი

საიდან დაეინყოთ თხრობა – ამბის დასაწყისიდან თუ დასასრულიდან? მოდი, ჯერ დასასრული ვთქვათ, დასასრული ფათერაკებიანი და არაორდინარული გზისა.

1963 წლის 30 ივლისს გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა მოკლე ცნობა, სადაც აღნიშნული იყო შემდეგი: დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომმა კიმ ფილბიმ მიმართა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს თხოვნით, რომ მიეცათ მისთვის საბჭოთა მოქალაქეობა. ეს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა.

ამგვარად, ყველასთვის გაცხადდა ის ფაქტი, რომ კიმ ფილბი, რომელსაც ნლეების განმავლობაში ეჭირა მთელი რიგი თვალსაჩინო პოსტები ინგლისურ სადაზვერვო სისტემაში და, როგორც ამბობდნენ, ნახევარი ნაბიჯილა აკლდა „ინტელიჯენს სერვისის“ შეფობამდე, იმავდროულად, თურმე საბჭოთა მზვერავი ბრძანდებოდა.

სენსაცია ბომბივით გასკდა და კიმ ფილბის პიროვნება, მისი ცხოვრება, ბრწყინვალე კარიერა, ფარული მრწამსი, შეხედულებანი გახდა კვლევადი-ობისა და მსჯელობის საგანი.

ყველაზე პოპულარული ინგლისური გაზეთების რედაქციებში ერთმანეთისგან საიდუმლოდ ამუშავებდნენ ფილბიზე პუბლიკაციების პროექტებს. ათობით გამოცდილი ჟურნალისტი გადაისროლეს „ფილბის საქმეზე“ მასალების მოსაძიებლად. ლონდონის „სანდი ტაიმსმა“ ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩაირიცხა 18 (თვრამეტი!) რეპორტიორი, რათა ჩაეტარებინათ საკუთარი გამოძიება ფილბის მოღვაწეობისა.

გაჩაღდა ნადირობა ფილბის მეგობრებზე, ნათესავებზე, თანამშრომლებზე, უბრალო ნაცნობებზე, რომელთაც შეეძლოთ მოეცათ თუნდაც უმცირესი ინფორმაცია ფილბის შესახებ.

თავად ფილბიც, რასაკვირველია, ვერ გადაურჩებოდა დაჟინებულ ყურადღებას თავისი პერსონისადმი. მას არაერთხელ უწევდა გამალებით მიეტოვებინა სპექტაკლი მოსკოვის ამა თუ იმ თეატრში, როცა თვალში მოხვდებოდა ცნობისმოყვარე ინგლისელ ჟურნალისტს.

ერთხელაც გაუმართლა როიტერის სააგენტოს კორესპონდენტს. მან გამოიჭირა ფილბი დიდი თეატრის ფოიეში. და ხელიდან რომ არ გასხლტომოდა, მაგრად ჩაეჭიდა მისი პიჯაკის ღილაკი. „როგორ მოგწონთ ცხოვრება საბჭოთა კავშირში?“ „გასაოცარია, აბსოლუტურად შესანიშნავი“. „როგორაა საქმე რუსული ენის შესწავლაში?“ „არც ავად, არც კარგად“.

მეორეჯერ კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩაავლეს და შუა კონცერტიდან მოუწია გაქცევა.

ყველაზე ილბიანი გამოდგა გაზეთ „სანდი ტაიმის“ კორესპონდენტი მიურეი სეილი, რომელიც სპეციალურად ჩავიდა მოსკოვში ფილბის საპოვნელად. საზრიანმა და მოხერხებულმა რეპორტიორმა მალე მიაღწია სანადგულს.

მიურეი სეილის სიტყვით, ფილბის რომელიმე მეგობარმა ბეირუთში აცნობა, რომ ფილბის გაგიჟებით უყვარდა კრიკეტი (სპორტის ეს სახეობა ფილბისთვის არანაკლებ პოპულარულია ინგლისში და, ასე ვთქვათ, ინგლისელთა მონოპოლიას წარმოადგენს. ცნობილ ფილმში „ხიდი მდინარე კვაიზე“ იაპო-



კიმ ფილბი

ნური კონცლაგერის უფროსი უდისციპლინობას საყვედურობს დატყვევებულ ინგლისელ პოლკოვნიკს: ჩვენ აქ ვომობთ, განა კრიკეტს ვთამაშობთ!).

მიურეი სეილი წერს: „ბუნებრივია, რომ კრიკეტში მატჩების ანგარიში არ ქვეყნდება „იზვესტიაში“ და გონივრულად ვივარაუდებ, რომ კიმი ავიაფოსტით იღებდა ლონდონიდან გაზეთ „ტაიმსს“.

მარიფათიანი ინგლისელი რეპორტიორი გაეშურა მოსკოვის მთავარ ფოსტამტში (ყოფილ გორკის ქუჩაზე) და ჩაუსაფრდა ფილბის. ლოდიმმა გასტანა მთელი დღე, ფილბი კი არ ჩანდა. ნუთუ გაუმტყუნდა ვარაუდი? ნუთუ ფილბის ყველაფერი გადაავინყდა მშობლიური და მათ შორის – კრიკეტიც? ნუთუ ინგლისური კრიკეტიდან რუსულ ჰოკეიზე გადაერთო?

მთელი დღე ერთ ადგილზე მოკალათებული უცხოელი რას გამოეპარებოდათ ფხიზელ საბჭოთა მილიციელებს და მკაცრად მიმართავდნენ: დაიშალეთ, მოქალაქე, დაიშალეთ!

მიურეი სეილი მეორე დღეს ისევ გამოცხადდა ფოსტამტში და ცოტა ხნის შემდეგ თვალი მოჰკრა დარბაზში შემოსულ კაცს, რომელიც ერთი შეხედვითვე მიიჩნია ინგლისელად – მას ეცვა სპორტული ყაიდის პიჯაკი, შალის პერანგი და კისერზე მოხვეული ჰქონდა შარფი.

ეს უეჭველად კიმ ფილბი უნდა იყოსო, – დაასკვნა „მონადირემ“, ჯიქურ მიუახლოვდა „ნადავლს“ და ჰკითხა: „მისტერ ფილბი?“ კიმ ფილბი წამით შეცბუნდა და მერე პასუხად თავისი შეკითხვა შეაგება: რომელ სასტუმროში გაჩერდითო? დაპირდა, დავირეკავთო და შეასრულა კიდევ დანაპირები. დაურეკა და ამცნო ადგილი და დრო პაემანისა: „სასტუმრო მინსკი, ნომერი 436, საღამოს რვა საათზე“.

აი, ასე შედგა ფილბის პირველი ინტერვიუ მოსკოვში. მიურეი სეილის მასალა დაიბეჭდა „სანდი ტაიმის“ ფურცლებზე 1967 წლის 17 დეკემბერს.

დანეყებული იმ დღიდან ინგლისში სტარტი აიღო გაუგონარმა კამპანიამ, რომელსაც „ფილბიმანია“ უწოდეს. მხატვრული ლიტერატურა, ტელევიზია, კინო და თეატრი ხარბად დაენაფნენ ფილბის ცხოვრებას და მოღვაწეობას.

ამ მამაცხონებულ ინგლისელ ჯენტლმენებს (კინალამ არ წამომცდა – უტვინოებს-მეთქი) კემბრიჯის კურსდამთავრებული არისტოკრატი, საბჭოთა დაზვერვის რჩეულ აგენტად რომ იქცა, თქვენ წარმოიდგინეთ, სამშობლოს მოღალატედ არ შეურაცხავთ!

ისიც სასაცილოა, რომ მთელი ცივილიზებული მსოფლიო გატაცებით ლაპარაკობდა კიმ ფილბის შესახებ და თავად საბჭოეთში კი მისი სახელი ცნობილი იყო მხოლოდ პროფესიონალთა ვინაობის ნრისათვის, ვინაიდან საბჭოთა მზვერავები ანუ ჯაშუშები, საბჭოთა პროსტიტუციისა და ტუბერკულოზის მსავსადაც, ბუნებაში არ არსებობდნენ.

საბჭოთა საზოგადოებაც პირველად შეიტყო კიმ ფილბის სახელი 1980 წელს, როდესაც მოსკოვში რუსულ ენაზე გამოსცეს მისი წიგნი „ჩემი საიდუმლო ომი“, რომელიც ინგლისსა და შეერთებულ შტატებში გამოქვეყნდა თორმეტი წლით ადრე – 1968 წელს.

პირ იტანდა სიყალბეს

ილია ჭავჭავაძეს რომ თვალსაჩინო ამაგი მიუძღვის საქართველოს ისტორიის წინაშე, ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. აღნიშნული საკითხი არაერთგზის გაუშუქებიათ ჩვენში. დიდი ქართველი მწერლის მიერ ხატოვნად გამოთქმული მოსაზრებანი, მიმოფანტულნი მძაფრ პოლემიკურ წერილებსა თუ პუბლიცისტურ ნაწერებში, დღესაც ურყევი ავტორიტეტით შეგვეჩვენება ხოლმე და ესთეტიკური ორნამენტით ამშვენებს მეცნიერულ ნაშრომთა დაკანონებულ ჩარჩოებს. რამდენჯერ დაუმონებიათ თუნდაც შემდეგი სიტყვები: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მანანალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყნოვია და თავისი ისტორია არ ახსოვს“.

ათასი საქვეყნო საქმით გადატვირთული, ათასი საჭირობოროტო საკითხით გულდამიმძებული, არც დროსა და არც ძალღონეს არ იშურებდა ისტორიისათვის და ქართველი ხალხის ინტერესებს ისევე იცავდა წარსულზე მსჯელობისას, როგორც აწმყოს მოვლენათა მსვლელობაში. დაუზარებლად შეჰქონდა თავისი ანგარიშგასანევი წვლილი საქართველოს ისტორიის კვლევაში იმხანად, როდესაც ჩვენი ქვეყანა არცთუ განებივრებული გახლდათ პროფესიონალ მკვლევართა სიმრავლით.

ილია ჭავჭავაძის ფხიზელი თვალი მშვენივრად არჩევდა ერთიმეორისგან ჭეშმარიტსა და გაყალბებულ ისტორიას ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე დაინერებოდა ახალგაზრდული შემართებითა და უკომპრომისობით გამსჭვალული, ლაკონიურად ჩამოყალიბებული „მამულიშვილობა და მეცნიერება“ ივანე ჯავახიშვილისა.

ქართული თეატრი წარმოადგენდა პატრიოტიზმის თავისებურ სკოლას, მაგრამ ილია ჭავჭავაძე, მიუხედავად იქაური გაკვეთილების კეთილშობილური მიზანსწრაფვისა, მკაცრი მასწავლებლის პოზიციას იჭერდა და არაფრად მიაჩნდა სპექტაკლი, თუკი წარმოსახული იდეა მხოლოდ მალაღფარდოვანი დიდაქტიკის სამოსელი იყო შემკული და ცრუობდა როგორც მწერლობის, ისე ისტორიის წინაშე.

დიდი ქართველი მწერალი გმობდა სცენაზე წარმოდგენილ ზოგიერთ დრამაში გამოხატულ უსუსურ აზრს, რომლის თანახ-

მაცაც ჩვენი ქვეყნის მტრები კაციჭამიები იყვნენ, ადამიანობაზე ხელაღებულნი, ქართველები კი – ყოველგვარი ადამიანური სიკეთით დაჯილდოებულნი. ბალღურ ნაწილად მიაჩნდა ორად ორი ფერის უსაზღვრო გაბატონება, რაც ნახევარი საუკუნის შემდეგ ავი სენივით მოედო პლანეტის ერთ მეექვსედს.

„ჩვენ კარგნი ვართ, ისინი კი – მხეცები და აფთრები არიანო. ეს გრძნობის ჭეშმარიტს გზაზე დაყენება კი არ არის, გრძნობის ნაწყმედაა, გაყალბებაა, დაბრმავება...“ – წერდა ილია ჭავჭავაძე 1890 წელს თავის რეცენზიაში „ახალი დრამების გამო“.

შენიშნავდა, რომ ორივე სპექტაკლში ქართველები ამარცხებდნენ შემოსეულ მტერს და ასკვნიდა, გამარჯვებას გადაჩვიული ახლანდელი ქართველი ალტაცებული რჩება ბრძოლის მოგებით თეატრის სცენაზე და მისი ტაშისცემაც წარმოდგენის დროს ავტორთაგან შეთხზული გამარჯვებითა გამოწვეული და არა – საკუთრივ დრამის ღირსებითაო.

სცენიდან წამდაუნუმ მოსმენილი ყვირილი: „გაუმარჯოს საქართველოს!“, ეტყობა, მიამიტი და ზარმაცი მონაფის ნამოძახილად უფრო ეჩვენებოდა, ვიდრე იმ მოწოდებად, რომელსაც ძალუძდა გაერღვია „პატრიოტული სკოლის“ კედლები და ნამდვილი გამარჯვების მისაღწევად ოდენ თავისი ომახიანობით როდი დაკმაყოფილებულიყო, არამედ სწავლა და შრომა, ძიება ჭეშმარიტებისა და კაცთმოყვარეობა უნდა შეეზავებინა უკვდავ ეროვნულ იდეასთან და ფსევდოპატრიოტული ზიზილ-პიპილები სამუდამოდ გადაესროლა დავიწყების ზღვაში.

მაგრამ როდესაც ერთი ავყია მოსკოველი კორესპონდენტი დაცინვით მოიხსენიებდა ქართული თეატრის სცენაზე აფრიანულ დროშას – ეროვნული ღირსების სიმბოლოს, ილია ჭავჭავაძე მედგრად დაუპირისპირდებოდა და მოთმინებით უხსნიდა უტიფარ ავტორს მისთვის მეტ-ნაკლებად გასაგები ენით:

„ქართული დროშა ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმნიკველად და უჩირქოდ გარდაუცია; გაჭირვების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არაერთხელ გამოსულა საომარ ველზე და მის წინამძღვრობით და სახელით ქართველობას არაერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად“.

წარსულსაც კარგად ხედავდა და აწმყოსაც – ამიტომ იყო, რომ მომავალი ეიმედებოდა.

ქრონიკა

ჭადრაკის სასახლეში გაიმართა წარდგინება ზურაბ აზმაიფარაშვილისა და მარინა მილორაფას წიგნისა „პატარა ქვეყნის დიდოსტატი“, რომელიც დაემთხვა გამოჩენილი მოჭადრაკის, ყველა დროის საუკეთესო ქართველი გროსმაისტერის, ევროპის ჩემპიონისა და არაერთი თვალსაჩინო საჭადრაკო ტურნირის გამარჯვებულისა და პრიზიორის, მსოფლიო ჩემპიონის მწვრთნელის, ფიდეს ვიცე-პრეზიდენტის დაბადების 50 წლისთავს.

წიგნი, რომელიც დახვეწილი გემოვნებითაა შედგენილი და პოლიგრაფიულად ევროპულ დონეზე გამოცემული, მოიცავს ბიოგრაფიულ ნარკვევს, ზურაბ აზმაიფარაშვილის 50 რჩეულ პარტიას — მისივე კომენტარებით, და ფოტოალბომს. და სხვადასხვა კუთხიდან წარმოგიდგენს დიდებული სპორტსმენის შთამბეჭდავ პორტრეტს.

შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ გია გიორგაძემ. შემდეგ ზურაბ აზმაიფარაშვილმა მოკლედ დაახასიათა წიგნის საერთო შედგენილობა და მადლობა მოახსენა ყველას, ვინც მონაწილეობდა „პა-

ტარა ქვეყნის დიდოსტატის“ გამოსაცემად მომზადებაში. სიტყვით გამოვიდნენ მწერლები: ვახტანგ ჯავახიძე და როსტომ ჩხეიძე, მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი გარი კასპაროვი, დიდოსტატი თამაზ გიორგაძე, სპორტული ჟურნალისტი გივი გამრეკელი. პატარა მოჭადრაკეებმა ლექსებით მიულოცეს იუბილას ეს დღე.

წიგნი შეფასდა არა მარტო როგორც სპორტული მოვლენა, არამედ საზოგადოებრივიც და ლიტერატურულიც, რადგანაც ბიოგრაფიული ნარკვევი დოკუმენტური პროზის სტილშია დაწერილი. მართალია ტიტულზე აღნიშნული არ არის, მაგრამ ესაა განზრახული სამტომეულის პირველი წიგნი, მეორე და მესამე ტომებში კი ნავარაუდევია ზურაბ აზმაიფარაშვილის საზოგადოებრივ-ფუნქციონერული მოღვაწეობისა და ყოფითი ცხოვრების წარმოჩენა.

წარდგინების შემდეგ აჩვენეს დოკუმენტური ფილმი ზურაბ აზმაიფარაშვილზე (რეჟისორი მირიან შენგელაია) — ბავშვობიდან დაწყებული და სასახლო მიღწევებით დამშვენებული, არც დრამატიზმი რომ არ მოკლებია.